საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
9 - 15 დეკემბერი, 2009
№41
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
გამოდის ორშაბათობით
info@geworld.net



# კარლსონი, რომელიც სახურავიდან გადმოვარდა

2

მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის წინ ნაძვის ხე აანთო და საქართველოს ბავშვების სახელით ხელი სანტა-კლაუსთან, ლაპლანდიაში, გაგზავნილ წერილს მოაწერა. გასაგებია, იმისთვის, რომ საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს, იგი მზადაა, მოაწეროს ხელი ტარიელის წერილს ნესტან-დარეჯანთან, ვიკონტ დე ვალმონის წერილს სესილი ვოლანჟთან და, შესაძლოა, ფაუსტის ცნობილ ხელწერილსაც კი. მაგრამ იმას, რომ შუამავლად ჩადგე ბავშვებსა და სანტა-კლაუსს შორის, ნამდვილად განსაკუთრებული მონდომება სჭირდება.



13

## ბლაგვკუთხა სამკუთხედი, ანუ გვარამია «GO & STUDY», შაშკინი «COME HERE»

ერთხელ საქართველოში //

3

### ხლისტების გადამწყვეტი შეტევა საპატრიარქოზე!

ექსპერტის ტრიბუნა //

გიორგი თავდგირიძე:

### სააკაშვილს აგვისტოს ომით შელახული რეპუტაციის აღდგენა სურდა

4

ფსიქოპორტრეტი //

ზურაბ გაგნიძე:

### ალექსანდრე ჭაჭიას კომენტარი თუ შეფასება გასაგებია ყველასთვის ყველა დროში და ყველგან

6

დიპლომატიური კლუბი //

მასაიოში კამოჰარა:

### ძალიან ძნელია ქართველების პოლიტიკის გაგება

7

SOS //

### მოცეკვავე შარდევანი წმიდა ილია მართლის ძეგლის სანაცვლოდ

8

სტუმარ-მასპინძელი //

ნიკოლაი სილაევი:

### სამლოცველოც მე დავანგრიე?

9

დიდი ქართველი //

### გოლიათებთან მებრძოლი

15

არნო ხიდირბეგიშვილი:

## Вы меня НЕ ПРЕДАЛИ... РАЗОЧАРОВАЛИ!

12

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# კარლსონი, რომელიც სახურავიდან გადმოვარდა

**მიხეილ სააკაშვილი იდგა დაჟანგული, ჩამოწერილი პროჟექტორის ფონზე ისეთი ამაყი სახით, თითქოს სტალინგრადი აეღოს და უცნაური ღიმილით საუბრობდა გველეშაპის თვალსა და ბოროტების მოკვეთილ საცეცებზე. მართალია, ასეთ დროს მიღებულია ბავშვების ოთახიდან გაყვანა, ტელევიზორის გამორთვა და, ყოველი შემთხვევისთვის, მავთულების გადაჭრაც კი, თუმცა ამ კონკრეტულ გამოსვლაში ერთი საინტერესო დეტალი იყო, რომლისთვისაც ყურადღების მიქცევა ნამდვილად ღირდა.**




ეს ხდებოდა შაბათს ბათუმში, ბათუმის „შერატონის“ (ვინ დათვლის მერამდენე) საზეიმო გახსნაზე. ილფი და პეტროვი რომ იტყოდნენ: „Остапа несло“. ო, უკაცრავად, სულ სხვა კლასიკური ციტატის მოყვანა მინდოდა, რომელსაც ქვემოთ მოვიყვან კიდეც. მოკლედ, სააკაშვილი ყვებოდა სულისშემძვრელ ისტორიებს „ცივი ომის“ ეპოქიდან: „ამ სანაპიროზე ბუდობდა გველეშაპი. გველეშაპის საცეცები გამოიხატებოდა სხვადასხვა ფორმით. ერთ-ერთი მოჭრილი საცეცი აგერ გვაქვს სიმბოლურად მოტანილი და მინდა გითხრათ, რა იყო ეს საცეცი. შეიძლებოდა ბიჭი და გოგო გასულიყვნენ ერთად პლიაჟზე საღამოს, რათა მარტო დარჩენილიყვნენ და უცებ, ნახევარ წუთში მათ დაანათებდა უმძლავრესი პროჟექტორი, კაცმა არ იცის, საიდან გამოჩენილი გველეშაპის თვალი, და თუ კიდევ დიდხანს გაჩერდებოდნენ იქ, რამდენიმე წუთში მიაკითხავდნენ და წაიყვანდნენ იქ, სადაც ჯერ არს“.

**ვიღაცას, შესაძლოა, მოეჩვენა, რომ სააკაშვილმა ტოლკიენის „ბეჭდების მბრძანებლის“ კითხვაში რამდენიმე უძილო ღამე გაატარა და ყოველი ელექტროხელსაწყოს მიღმა საურონის თვალი ელანდება. მითუმეტეს, რომ ასეთი შემთხვევები კარგად შესწავლილი და აღწერილია. მაგალითად, აქ: „Jahrbuch fur psychoanalytische und psychopathologische Forschungen, მაგრამ ყველაფერს პირდაპირი მნიშვნელობით ნუ გავიგებთ. ეს იყო მეტაფორა, მართალია, ისეთივე ხელოვნური და უხეში, როგორც გია ნოდიას შედარება მთვრალ ზღარბთან, მაგრამ მაინც...**

უბრალოდ, სააკაშვილს დაავიწყდა ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, კერძოდ ის, რომ (ზღაპრების ენაზე თუ გადავალთ) იგი თავად იყო მის მიერ ხსენებული გველეშაპის მსახური, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების ფორმა ეცვა. შესაძლოა, პროჟექტორსაც, ე.წ. ბოროტების თვალს, უბრიალებდა აკრძალულ ზონაში შეპარულ შეყვარებულებს, ავტომატით თავზე ადგებოდა და მიჰყავდა კიდეც „იქ, სადაც ჯერ არს“. **საინტერესო იქნებოდა, გაეზიარებინა ჩვენთვის „მონსტრის მსახურის მოგონებები“. გრძნობს თუ არა რაიმე მსგავსს, რასაც გრძნობდა მებაღე ევგენი შვარცის უკვდავი „დრაკონიდან“: „იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რამდენი დრო დავხარჯე ამ ცალთავა ურჩხულის თათის ლოკვაზე. რამდენი ყვავილი შემეძლო მომეყვანა!“. ასე რომ, ალბათ, მეტი დაკვირვებაა საჭირო ზღაპრების მოყოლისას, მეტი სიფრთხილე...**

შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილს სურს კიდეც ყოველივე ამის დავიწყება, მაგრამ, მერწმუნეთ, გველეშაპს ყველაფერი ახსოვს.

მოგზაურობა ზღაპრულ სამყაროში მომდევნო დღესაც გაგრძელდა. მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის წინ ნაძვის ხე აანთო და საქართველოს ბავშვების სახელით ხელი სანტა-კლაუსთან, ლაპლანდიაში გაგზავნილ წერილს მოაწერა. **გასაგებია, იმისთვის, რომ საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს, იგი მზადაა, მოაწეროს ხელი ტარიელის წერილს ნესტან-დარეჯანთან, ვიკონტ დე ვალმონის წერილს სესილი ვოლანჟთან და, შესაძლოა, ფაუსტის ცნობილ ხელწერილსაც კი. მაგრამ იმას, რომ შუამავლად ჩადგე ბავშვებსა და სანტა-კლაუსს შორის, ნამდვილად განსაკუთრებული მონდომება სჭირდება.**

მოედანზე თოკებით ჩამოუშვეს სანტა-კლაუსები, ზოგიერთი მათგანი ისე საცოდავად ჩამოეკიდა თავით ქვემოთ, რომ კუ-კლუქს-კლანის მსხვერპლს დაემსგავსა. დაკვირვებულ მაყურებლებს კი არ გამოჰპარვიათ ის დეტალები, რომლებითაც ეს თავყრილობა, წინა წლებში გამართულისგან განსხვავდებოდა. მაგალითად, სამი წლის წინათ სააკაშვილის ადმინისტრაციის პრესსამსახური ამაყად გვამცნობდა: **„ზემო აფხაზეთიდან ჩამოსულმა თოვლის ბაბუამ პარლამენტის შენობის წინ ქვეყნის მთავარი ნაძვის ხე აანთო. ღონისძიებას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო. თოვლის ბაბუამ მთელ საქართველოს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და მთელ ერს ბედნიერება და ჯანმრთელობა უსურვა“. ალბათ, დროა, ბავშვური გულუბრყვილობით ვკითხოთ: რა უყავი თოვლის ბაბუა? რა დაემართა ზემო აფხაზეთს? ჩვენ კი არა, იმ პატარებს უპასუხე, რომელთა სახელით წერილს ხელს აწერ.**

რაც შეეხება სანტა-კლაუსს, რომლითაც სამთავრობო მედია წლიდან წლამდე მოსაწყენი მონოტონურობით ცდილობს, ჩაანაცვლოს თოვლის ბაბუა, ალბათ, უმჯობესი იქნება, არჩევანი თავად ბავშვებს მივანდოთ. მათ ჩვენზე კარგად იციან, რომ თოვლის ბაბუასთვის არ არის საჭირო საგანგებო წერილების მიწერა, რადგან ისედაც უწყის, რაზე ოცნებობს თითოეული პატარა. წერილი რომელმაც, ლაპლანდიამდე ტრანზიტით „დედ მოროზის“ სამფლობელო უნდა გაიაროს (ეს ისე, ცნობისთვის), შეიძლება გზაში დაიკარგოს, ხოლო ოცნება არასოდეს დაიკარგება; თოვლის ბაბუა, თუნდაც ფეხით, თუნდაც კოდორის ხეობიდან მაინც მოვა და თითოეულ ბავშვს მოეალერსება.

**ასე რომ, ძმები გრიმები რომ იტყოდნენ, არაა საჭირო ეს გამუდმებული დაკვრა ფლეიტაზე ჰამელნის ქუჩებში, შეიძლება ერთხელაც ნერვებზე ძლიერ იმოქმედოს. ხოლო თუ ვითარებას რეალისტურად შევხედავთ, დავინახავთ რომ ყველაზე დიდი საახალწლო საჩუქარი საქართველოს შეიძლება არა ფეხებით ჩამოკიდებულმა სანტამ, არამედ თომას ჰამარბერგმა გაუკეთოს თუ ცხინვალის საპატიმროდან ორი ქართველი მოზარდის დახსნას მოახერხებს.**

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის დაკავებული ქართველებისა და ოსების გათავისუფლებას ინფორმაციის ნაკლებობაა. იმ სიებში, რომლებიც თბილისმა და ცხინვალმა ჰამარბერგს გადასცა, შეტანილია არა მხოლოდ ის პირები, რომელთა ადგილსამყოფელი (საპატიმროში) დანამდვილებით დადგენილია, არამედ უგზოუკვლოდ დაკარგულებიც. ასე, ოსური მხარის მიერ ევროპელი დიპლომატისთვის გადაცემულ სიაში ფიგურირებენ ალან ხაჩიროვი, ალან ხუგაევი და სოლტან პლიევი, რომელთა ადგილსამყოფელი დღეს უცნობია. ოსურმა მხარემ, აგრეთვე, გაავრცელა ვიდეო-მასალა, სადაც ჩანს, როგორ სცემენ და ამცირებენ ამ ახალგაზრდებს, თუმცა გადაჭრით იმის თქმა, რომ ამას ქართველი ძალოვნები აკეთებენ, ისევე როგორც იმის დადგენა, თუ რა გზით მოიპოვა ოსურმა მხარემ ეს ვიდეო მასალა, დღეს შეუძლებელია.

**ერთი რამ კი ცხადია, თუ გაირკვევა, რომ ეს ახალგაზრდები ცოცხლები აღარ არიან, ამის ალბათობა კი საკმაოდ მაღალია, ცხინვალი მათ მკვლელობაში ქართულ მხარეს დაადანაშაულებს და ამით რადიკალურ საპასუხო ნაბიჯებს გაამართლებს.**

ბუნდოვანია იმ ხუთი ოსის ისტორიაც, რომელიც ქართულმა მხარემ გამოუშვა იმ ორი (ოთხიდან) ტირძნისელი მოზარდის სანაცვლოდ, რომელიც ჰამარბერგმა ცხინვალიდან გამოიყვანა თითქოს და ქართულმა სასამართლომ ისინი აგვისტოში გაათავისუფლა, მაგრამ ამის შემდეგ პოლიცია მათ გორში აკავებდა (?), სავარაუდოდ, ქართველებზე გაცვლისთვის. ეს აშკარად არანორმალური სიტუაცია იყო და ჰამარბერგმა თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „როდესაც სასამართლო ვინმეს გაამართლებს, ის უნდა გათავისუფლდეს“, თუმცა პირდაპირ პასუხს კითხვაზე — ჯდება თუ არა ეს საქმე მძევლების აყვანის კატეგორიაში, დიპლომატიურად თავი აარიდა.

**ცხინვალის მოთხოვნებმა ხელი შეუშალა ევროპის საბჭოს კომისარს 10 ქართველი პატიმრის გათავისუფლებაში (მათ შორისაა დუშეთის რაიონის 6 მკვიდრი, რომელთაც ოსური მხარე მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე უნებართვო შესვლაში ადანაშაულებს). სავარაუდოდ, ცხინვალში მისი მომდევნო ვიზიტის დროს აქტუალური კიდევ ერთი ქართველი მოზარდის, გიორგი არჩვაძის გათავისუფლების საკითხი გახდება, რომელიც ოსურ მხარეს ომბუდსმენის პრეს-სამსახურის ცნობით, 5 თვეზე მეტია, დაკავებული ჰყავს.**

ზოგადად, ეს თემა ძალზე ფაქიზია და უნივერსალური რეცეპტი, რომლის მიხედვით უნდა მოქმედებდეს საქართველოს ხელისუფლება, უბრალოდ, არ არსებობს. ზოგადი მიდგომა, ალბათ, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: მისაღებია ყველა (ლეგიტიმური) მეთოდი და გზა, რომელსაც ადამიანთა გათავისუფლებამდე მივყავართ. თითქოს ბანალური ჭეშმარიტებაა, მაგრამ რამდენიმე გარემოებამ შეიძლება დაგვაეჭვოს, რომ ოფიციალური თბილისი მას კარგად აცნობიერებს. გავიხსენოთ აკაკი მინაშვილის ცნობილი ბრალდებები თომას ჰამარბერგის მიმართ. ადრესატმა საჭიროდ ჩათვალა, განემარტა, თუ რატომ არ აკეთებდა ხმამაღალ, რადიკალურ განცხადებებს: „თუ საჯაროდ გამოვიდოდი და დავგმობდი ამას, შემდეგ დიალოგის გამართვა ძალიან რთული გახდებოდა“. მიუხედავად იმისა, რომ მინაშვილმა სხვა ბრალდებებიც წაუყენა, შვედმა დიპლომატმა ხაზი სწორედ ამ ასპექტს გაუსვა. საინტერესოა, რატომ?

**რებუსების მოყვარულები უკვე შეამჩნევდნენ, რომ ჩვენი სტუმრის გვარი შეიძლება ორი სხვა ლეგენდარული შვედი დიპლომატის — დაგ ჰამარშელდისა და რაულ ვალენბერგის გვარებისგან შეადგინო. მათ სიცოცხლე შესწირეს მშვიდობისთვის ბრძოლას და ომის მორევში ჩათრეული უბრალო ადამიანების დახსნას გარდაუვალი დაღუპვისაგან. შვედური დიპლომატიის ბრწყინვალე სკოლას კი, რომელსაც თომას ჰამარბერგი წარმოადგენს, უნიკალური გამოცდილება გააჩნია არა მხოლოდ ძლიერ აღგზნებულ მხარეთა შორის შუამავლობისა, რომლებიც აღტაცებით იქნევენ სისხლიან ნაჯახებსა და ბირთვულ ქობინებს, არამედ იმ ტყვეთა და მძევალთა გადარჩენისა, რომელთა ბედი ცოტა ვინმეს აინტერებს, ამ საქმისა ძალიან კარგად გაეგებათ.**

ჰამარბერგმა ოსტატურად მიანიშნა (საკმაოდ საეჭვო) დილემის არსებობაზე: ბოლოს და ბოლოს, რა არის თქვენთვის მთავარი, ხმამაღალი განცხადებები საკუთარი თავის წარმოსაჩენად და მოწინააღმდეგის „მისაშავებლად“ თუ „ჩუმი დიპლომატია“, რომელიც პატიმართა გათავისუფლებაში დაგვეხმარება? არჩევანის გაკეთება აუცილებელია, რადგან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ერთი მეორესთან წინააღმდეგობაში მოდის.

**პასუხს მალევე გავიგებთ, როდესაც დავაკვირდებით საქართველოს ხელისუფლების ქცევას ჰამერბერგის მისიის მომდევნო ეტაპზე, რომელიც, წესით, კიდევ რამდენიმე ქართველისა და ოსის გათავისუფლებით უნდა დაგვირგვინდეს. ალბათ, რაციონალური იქნება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ხელისუფლების რიგმა წარმომადგენლებმა თავი შეიკავონ განცხადებებისაგან, ბულგაკოვის თქმისა არ იყოს, „космического масштаба и космической же глупости“.**

ორშაბათს განათლების მინისტრად დიმიტრი შაშკინი დაინიშნა. ერთი საგულისხმო ნიუანსი: **ცნობები მთავრობაში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ დილიდანვე გავრცელდა, ოღონდაც შაშკინს არა განათლების, არამედ თავდაცვის მინისტრობის კანდიდატად ასახელებდნენ. შესაძლოა, ეს უბრალოდ შეცდომა იყო, შესაძლოა სიგნალი, იმის თაობაზე, რომ დანიშვნა ამერიკელი პარტნიორების დაჟინებული რეკომენდაციის შედეგად მოხდა, რადგან ორივე თანამდებობა მათი უშუალო ინტერესის სფეროს მიეკუთვნება. მიჩნეულია, რომ შაშკინი ამერიკელებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სანდო და საიმედო ფიგურაა, მისი ბიოგრაფია და საკმაოდ საინტერესო კონტაქტები შტატებში ამ ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას ამყარებს.**

ისე კი, თავდაცვის (ენერგეტიკის, ფინანსთა, თუნდაც შინაგან საქმეთა და ა.შ.) მინისტრის პოსტი დღევანდელ საქართველოში სტრატეგიული მნიშვნელობით განათლების მინისტრის პოსტთან ახლოსაც ვერ მივა. სწორედ მას შეუძლია, მოახდინოს გავლენა მომავალზე, იმაზე, თუ როგორი გახდება საქართველო რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, დაეპატრონებიან თუ არა მას ანგლო-ამერიკული სამყაროს ღირებულებებზე ორიენტირებული „ახალი ქართველები“? აქ მნიშვნელოვანია, გავმიჯნოთ ადგილობრივი რეჟიმის სურვილები და ვნებები აშშ-ს გრძელვადიანი ინტერესებისაგან, იმპერიების დროს ცოტა სხვა რიტმი აქვს. არსებული რეჟიმი დღეს არის, ხვალ აღარ იქნება, კიდევ ორი-სამი ასეთი (იმედია, ოდნავ უკეთესი) შეცვლის ერთმანეთს, ვიდრე განათლების დაგეგმილი რეფორმა თავის ნამდვილ ნაყოფს გამოიღებს. აი, მაშინ კი შტატებს საქართველოში ნამდვილად მყარი დასაყრდენი გაუჩნდება.

**შაშკინის დანიშვნა გარკვეული თვალთახედვით, სისტემაზე და, შესაბამისად, რეფორმის განხორციელებაზე ამერიკელების უშუალო კონტროლის დაწესებას მოასწავებს. თუ ეს ვარაუდი სიმართლეს შეესაბამება, (მნიშვნელოვანწილად ფარული) ბრძოლა განათლების რეფორმის გარშემო განსაკუთრებულ სიმწვავეს შეიძენს. ნებისმიერ შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნება, ახალი მინისტრის ნაბიჯებს ყურადღებით დავაკვირდეთ.**

**დიმიტრი მონიავა**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ხლისტების გადამწყვეტი შეტევა საპატრიარქოზე!

**ვფიქრობ, მკითხველისთვის ზედმეტია იმის შეხსენება, თუ ვინ და რა ძალები იგულისხმება რაღაც შემზარავი იდუმალების მატარებელ სიტყვა ხლისტებში. იმას კი შეგახსენებთ, რომ არსებობს წინამდებარე წერილის სათაურის გარკვეულწილად მსგავსი დასახელების წიგნი „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის", რომლის ავტორიც მაშინ ახალგაოპოზიციონერებულ-გარადიკალებული და დღეს ქვეყნის პრეზიდენტი მიშა სააკაშვილია.**


თეა თუთბერიძე


შალვა რამიშვილი


დავით ამირეჯიბი

სწორედ იმ, უკაცრავად და, ნაშრომში უხვად იყო გაბნეული ეროვნული, დემოკრატიული მოტივები, გნებავთ დეკლარირებული, რაც საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ, როგორც რუსები იტყვიან, „за чистую монету" მიიღო. მიშას ქარიზმითა თუ ყალბი პათეტიკით „დაბოლებულებმა" მოვახდინეთ ე. წ. ვარდების რევოლუცია. „90 ს ჩემტო" პროცენტით ავირჩიეთ პრეზიდენტი, რითაც ხელისუფლება თურმე „თავისუფლების ინსტიტუტის" ბუდარა-ბუდარიხებს, ხლისტებს ჩავაბარეთ; ხლისტებს, რომლებიც წლების მანძილზე ჩრდილში ამჯობინებდნენ ყოფნას, მაგრამ ფაქტობრივად მართავდნენ ქვეყანას, ყოველივე ქართულის დამანგრეველ პროცესებს.

**აი, ისინიც, ვინც არ იცნობთ, გაიცანით ზოგი მათგანი: ლევან რამიშვილი, გიგა ბოკერია, გიგი თევზაძე, გივი თარგამაძე, დავით პაიჭაძე, ნოდარ ლადარია, თეა თუთბერიძე, ეკა კვესიტაძე, დავით ამირეჯიბი, ბექა მინდიაშვილი, ნუგზარ პაპუაშვილი, რომან ქევხიშვილი, დოდონა კიზირია, დავით რაფავა, კახაბერ კურტანიძე და სხვები და სხვები, მინიმუმ 235 ბუდარა და ბუდარიხა. სწორედ ამდენ ხლისტს მოუწერია ხელი იმ ღია წერილზე, თუ რა ვიცი, რა დავარქვა, ჩვენი სათაყვანებელი პატრიარქისთვის გაგზავნილ პასკვილზე, რომელშიც ისინი საკუთარ თავს საზოგადოების ნაწილს უწოდებენ.**

ჩამოთვლილთაგან ზოგი დიდია და ზოგი — პატარა, ზოგი „ექსპერტია" და ზოგი — „ფილოსოფოსი", ზოგი „დეკანოზია" და ზოგი — „ჟურნალისტი" და ა.შ. მაგრამ ყველას ერთი რამ აქვთ საერთო — ლიბერალურ-დემოკრატიულ **ნიღაბაფარებულებს, ყოველგვარი ქართული, ეროვნული სძაგთ და ეზიზღებათ. და კიდევ ერთი — უდავო და უპირობო ლიდერი ჰყავთ შავბნელი მურთხის, ლევან რამიშვილის სახით, მაგრამ მოდი ყველაფერი თავიდან, არსებითიდან და კონკრეტულიდან დავიწყოთ...**

**„ბოლო დროს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად მონაწილეობს და აცხადებს, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველი და ქვეყნის ეროვნული იდენტობის სახეა",** — აი, ასე იწყება ე. წ. „საზოგადოების ნაწილის" მიმართვა ილია მეორესადმი.

ეჰ! სამწუხაროდ, საჭირო დოზით და აქტიურობით არ ერევა მისი უწმინდესობა საერო საქმეებში, რაც, სხვათაშორის, ჩვეულებრივი ამბავი იყო საუკუნეების განმავლობაში, თორემ დიდი ხნის დამთავრებული იქნებოდა სოროსის იქედნეთა ხელისუფლება.

რაც შეეხება ეროვნულ იდენტობას, ბოლო დროს კი არა, მინიმუმ 1700 წელია, რაც მართლმადიდებლობა ქართველობას ნიშნავს და პირიქით — ქართველობა მართლმადიდებლობას!

ქვემოთ, შეძლებისდაგვარად შევეცდები ხლისტების მიერ დასმული კითხვების ციტირებას მოვერიდო და მხოლოდ კომენტარებს დავჯერდე, მკითხველი კი თავად მიხვდება საქმის არსს.

რა თქმა უნდა, საბჭოთა „სუკი" ეკლესიის გაკონტროლებასაც ეცდებოდა. აგენტებიც ეყოლებოდა ისევე, როგორც დღესა ჰყავთ სოდელკუდელებს ილია II-სთან შეგზავნილი აგენტები. აი, მის უწმინდესობას ვერაფერი მოუხერხეს და ამიტომაც სჭირთ მუცლის გვრემა.

საქართველოს საპატრიარქოსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის ის კავშირი არსებობს, რომ მოსკოვში ჩასულ ჩვენს პატრიარქს პუტინი და მედვედევი ხაზგასმული მოწიწებით შეხვდნენ, როგორც მართლმადიდებელი საქრისტიანოს „светила"-ს და მისდამი პატივისცემის ნიშნად პერევიდან ჯარი გაიყვანეს!

**რაც შეეხება „მხედრიონის" თარეშის არგაპროტესტებას, ნამუსიც კარგი საქონელია, რა! მაგერ გყავდათ პარლამენტში და ახლა მინისტრია ბობოლა მხედრიონელი და ჯაბა იოსელიანის მარჯვენა ხელი ნიკა რურუა. აღარაფერს ვიტყვი, მისი ძმის შეიარაღებულ ზონდერ ბრიგადაზე. გააპროტესტეთ, რატომ არ აპროტესტებთ?**

კიდევ ერთი ციტატა — **„რატომ არ გამოხატავთ ნებას, რომ სახელმწიფომ სომხურ ეკლესიას ისტორიულად მისი კუთვნილი ტაძრები დაუბრუნოს"?**

რა ვიცი, აქამდე მეგონა, რომ სომხებს აქეთ აქვთ ჩვენთვის დასაბრუნებელი. „ქვათა ღაღადი" წაიკითხეთ, თქვე ტუტუცებო! იმ ილია ჭავჭავაძის ღაღადი, რომლის სურათებიც კაბინეტებში გიკიდიათ თქვენ და თქვენს პრეზიდენტს! ისე, ილია ჭავჭავაძე რომ „ზოგიერთ სომხის მეცნიერთას" უწოდებდა, მასეთები დღესაც არიან, რომლებიც ნახევარ საქართველოს ე. წ. „ველიკაია არმენიას" აკუთვნებენ.

დაბოლოს, თავხედობის, ცინიზმის აპოგეა — **„იზიარებთ თუ არა გავრცელებულ შეხედულებას, რომ თქვენ, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი იერარქი, ხართ უცდომელი, რომლის მოსაზრებაში ეჭვის შეტანაც კი არის მკრეხელობა და ცოდვა?"**

ავოე, ხლისტებო! ნათქვამია, **„ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგს — მღვდლის ცოლიო"**. ჰოდა, თქვენს „სარწმუნოებას" და თქვენს „პატრიარქებს", ზბიგნევ ბჟეზინსკისა და ჯორჯ სოროსს მიხედეთ. ჩვენ კი ჩვენი უწმინდესის გვჯერა და გაგვატარეთ!

235 ბუდარა და ბუდარიხა, ანუ **„საზოგადოების ხლისტური ნაწილი, კითხვებს პრეზიდენტსაც უგზავნის, სადაც ათას სისულელეს როშავენ. 25 მილიონით რატომ ფინანსდება საპატრიარქოო და ის არ აინტერესებთ, თუ რა სახსრებითა და რა ნამუსით აიშენა ამ მშიერ-დაქცეულ ქვეყანაში პრეზიდენტმა სრასასახლე; 30 „ჯიპი" და „პიკაპი" რა ამბავიაო და იმას არავინ ითვლის, რომ ყველა ლაწირაკ მინისტრს თავის ოთხ-ოთხი მოადგილეებიანად, თავის დეპუტატებიანად რამდენი მანქანა ემსახურება და ა.შ. და სხვა მრავალი კრეტინობები, რაზედაც პასუხს მიშასგან ელიან. ვნახოთ, რას უპასუხებს ჩვენი ღვთისმოსავი პრეზიდენტი.**

ყველას მაინც ხლისტების მეფემ ლევან (ბუდარა) რამიშვილმა „მოუჯოკრა". ამ არაკაცმა ისეთი ინტერვიუ მისცა „ჯორჯიან ტაიმსს", რომ მსგავსი სიბინძურე ნამდვილად არ მინახავს.

**ეს მართლა გამოსოროსირებული მანქურთი, მანქურთებს უწოდებს სოსო პავლიაშვილს, თამარ გვერდწითელს და ნანი ბრეგვაძეს. უნიჭოები არიან და იმიტომ წავიდნენ რუსეთში, თორემ ნიჭიერები რომ იყვნენ ევროპაში, ამერიკაში წავიდოდნენო.**

ტუტუც! „უნიჭო" სოსო პავლიაშვილმა „დახურა" იურმალაზე. მაგის „სამშობლო" ახლაც ჟრჟოლას ჰგვრის ყველა ნორმალურ ქართველს. თამრიკო გვერდწითელი კი მაშინ უვლიდა მსოფლიოს გარშემო, როდესაც ეს გაურკვეველი ეროვნების სატანა დაბადებულიც არ იყო.

ნანი რუსული რომანსის დედოფალია. თუმცა მაპატიეთ, ქალბატონო ნანი, და ახია თქვენზე, მეტის ღირსი ხართ თუნდაც იმიტომ, რომ შარშანდელი აგვისტოს სამარცხვინო ტაშფანდურაში მიიღეთ მონაწილეობა!

ისე გემოვნებაზე არ დაობენ და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ ხლისტებს ნიჭიერი სტეფანე, კაბუ, ლექსენი და ნინა.

**თქვენ კი სამშობლოს მოღალატედ შერაცხულები ამ უსამშობლო ტუტუცი რამიშვილისგან წითელ მოედანზე კოლექტიური ხარაკირი უნდა გაგეკეთებინათ „მიშა მაგარიას" ფონზე და მაშინ იქნებოდით ქვეყნის პატრიოტები!**

ანტიამერიკულ პროპაგანდას თავი დაანებონო! — დაიჩივლა ამ პირსისხლიანმა შავმა ალბინოსმა. ანტიამერიკულ პროპაგანდას თავად ამერიკელები ეწევიან, როდესაც ერთი-ერთზე შეგვატოვეს რუსულ ტანკებს და ხლისტების ქვეშაფსია მთავრობას ერთი ვაგონი პამპერსები გამოგიგზავნეს.

**ისე ქართველი ფეხბურთელების მოღალატეებად გამოცხადებაც არ იქნებოდა ურიგო. იმდენი არიან რუსეთის სხვადასხვა გუნდებში და არც ერთმა მათგანმა პროტესტის ნიშნად საკუთარი ხელით არ გადაიჭრა ფეხის მყესები.**

ეჰ, მეც დავიღალე და ვშიშობ, რომ თქვენც არ დაგღალოთ, ჩემო მკითხველებო, ამ არაკაცებზე და ქალისუმსგავსებზე საუბრით, ყველაფერი დღესავით ნათელია — პატრიარქზე, ეკლესიაზე, იგივე რუსეთში მოღვაწე ქართველებზე ეს ბოლო, დაუფარავი იერიში სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი აღვირახსნილი რუსოფობიაა!

**უფრო მეტიც, ეს არის ამათი სტრატეგიაც და ტაქტიკაც რუსეთთან მიმართებაში, რაც, მეორე მხრივ, ერთადერთ მიზანს — ნაცების ხელისუფლებაში დარჩენას ემსახურება. ეს არის ხლისტების გააფთრების მიზეზი, რადგანაც იციან, რომ ხელისუფლებასთან ერთად, შეიძლება თავებიც დაკარგონ!**

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მგონია, რომ მცდარია, უფრო მეტიც, სახიფათოა ის მოსაზრება, რომ პატრიარქს დაცვა არ სჭირდება, მას ღმერთი დაიცავს და ღმერთივე მიაგებს სამაგიეროს ულმერთო ბუდარა-ბუდარიხებს!

**ასე რომ ეფიქრათ ჩვენს წინაპრებს, დღეს აღარც სარწმუნოება იქნებოდა და აღარც მამული და ენა. ვინ — ვის! — აი, ასე დგას საკითხი. ეს ხლისტები ყველაფერზე არიან წამსვლელნი და შევიგნოთ ეს, სანამ გვიანი არ არის.**

დღეს პატრიარქი და საქართველო ერთია. ჰოდა, ალიანსი იქნება თუ ფორუმი, ლეიბორისტები თუ კონსერვატორები ეფემერულ მაისის არჩევნებს, პენსია-გაზის მრიცხველებს თავი დაანებეთ და ხალხს რწმენის, ღირსების დაცვისკენ მოუწოდეთ, რაც რეალურად ნიშნავს საქართველოს დაცვას და არა რაღაც არშემდგარ მოძრაობას.

**თუ არა და, მაშინ ფუი ჩვენს კაცობას, ჩვენს ქართველობას, მაშინ ჩვენ ერი არ გვრქმევია და წყეულნი ვიქნებით მომავალი თაობების წინაშე, რადგან, თუ ხლისტებთან ეს ბრძოლა წავაგეთ, საქართველოც დამთავრდება!**

**დავით მხეიძე**

## მოსახლეობა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალური დაფის აღდგენას მოითხოვს

**მარტვილის რაიონის სოფელ გაჭედილში მცხოვრები მოსახლეობა ისტორიული მემორიალისთვის სტატუსის დაბრუნებას მოითხოვს.**



როგორც განცხადებაშია ნათქვამი, სოფელ გაჭედილში მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი არსებობდა, საიდანაც ხელისუფლებამ 160 ქართველი მეომრის ფოტო ჩამოხსნა და სკოლაში გადაიტანა, ხოლო მემორიალის ადგილზე ბენზინ გასამართი სადგური გაკეთდა. მოძრაობის პრეს-სამსახურის ცნობით, ანალოგიური სიტუაციაა ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშშიც. მოძრაობის განცხადებით, მოსახლეობა ამ მემორიალების აღდგენას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ფართომასშტაბიანი აქციებით იმუქრება.

## ნატოს შტაბ-ბინის კორიდორში ერთმანეთს ვაშაძე და ლავროვი შეეჩეხნენ



**ნატოში რუსეთის წარმომადგენლის — დიმიტრი როგოზინის ინფორმაციით, ნატოს შტაბ-ბინის კორიდორში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე და რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი სერგეი ლავროვი ერთმანეთს შეეჩეხნენ და ვაშაძემ რუსი კოლეგა „არ შეამჩნია".**

„ლავროვი კორიდორში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ვაშაძეს შეეჩეხა. ვაშაძემ თვალები დაიბრმავა და ამაყად აუარა გვერდი. მაგრამ ლავროვმა დაუძახა და ამის შემდეგ ვაშაძემ მას ხელი ჩამოართვა.

როგორც ჩანს, ვაშაძე მხოლოდ დაბრმავდა და არ დაყრუვდა", — აცხადებს როგოზინი.

## პოლიციის პოლკოვნიკი ქრთამის აღებისთვის დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ქრთამის აღების ფაქტზე დააკავა თეთრი წყაროს რაიონის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი, პოლიციის პოლკოვნიკი ბაგრატ ქოჩორაშვილი.**

შს სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებული პოლიციელი სისტემატიურად აცილებდა წალკა-თეთრი წყაროს ტერიტორიაზე მიმდინარე საგზაო სამშენებლო ობიექტიდან მოპარულ დიზელის საწვავს, რის სანაცვლოდაც გარკვეულ ფულად საზღაურს იღებდა. ერთ-ერთი ავტომობილის გაცილების სანაცვლოდ ბაგრატ ქოჩორაშვილმა მოქალაქისგან ქრთამის სახით აიღო 300 ლარი. ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია. მოქმედი კანონმდებლობა ხსენებული დანაშაულის ჩადენისთვის 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ბუში 11 სექტემბრამდე გეგმავდა ერაყზე თავდასხმას



**სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით სადამ ჰუსეინის დამხობის სამხედრო კამპანია ერაყში წარმატებული იყო, მაგრამ პოლიტიკურ ასპექტში ეს, როგორც ახლა გამოჩნდა, თავიდანვე სრულ კატასტროფას წარმოადგენდა. ერაყის ომი მის გამჩაღებელ ორივე პოლიტიკოსს — ტონი ბლერსა და ჯორჯ ბუშს — არა მხოლოდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოაჩენს საეჭვოდ, არამედ ჩრდილს აყენებს მათ მთელ პოლიტიკურ კარიერას.**

სირთულეები ბაღდადში ჰუსეინის ძეგლის დემონტაჟის შემდეგ დაიწყო. „პოსტსადამურ“ ეპოქასთან დაკავშირებული გარკვეული და ჩამოყალიბებული გეგმები არ არსებობდა, სამხედროებს კი საერთოდაც უმკაცრესი სკოლის გავლა მოუხდათ: ამერიკელი და ბრიტანელი ჯარისკაცების უმეტესობა წარმატებული შეჭრის შემდეგ დაიხოცა.

გარემოებებს, რომლებმაც ბრიტანეთს აშშ-სთან ერთად ერაყში სამხედრო შეჭრისაკენ უბიძგა, სერ ჯონ ჩილკოტის ხელმძღვანელობით შექმნილი დამოუკიდებელი კომისია შეისწავლის. დაწყებული გამოძიების მიზანია, „გაირკვეს, რომელი გაკვეთილები უნდა ისწავლოს ბრიტანეთმა ერაყში განხორციელებული საკუთარი ქმედებებიდან“, — განაცხადა ჩილკოტიმ და დასძინა: „ჩვენ სასამართლო არ ვართ, ამდენად ვერ დავადგენთ დამნაშავეობას ან უდანაშაულობას“.

პრესაში გამოჟონილი დოკუმენტები მოწმობენ, რომ ბლერი ცრუობდა, როდესაც 2002 წელს მიზნად ერაყის განიარაღებას ასახელებდა და არა იქ არსებული რეჟიმის შეცვლას. თავდაცვის სამინისტროს ანგარიშიდან ირკვევა, რომ ხელისუფლებამ ჯარს ომისათვის სათანადოდ მომზადების საშუალება არ მისცა, რათა ოპერაციის ნამდვილი მიზნების თაობაზე პარლამენტი და გაერო საქმის კურსში არ ჩაეყენებინა. მაშინდელი გაერთიანებული სადაზვერვო კომიტეტის თავმჯდომარის პიტერ რიკეტსის ჩვენების მიხედვით ირკვევა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალისტები ამუშავებდნენ დოკუმენტს, რომელიც სადამის ჩამოგდებას ითვალისწინებდა. დოკუმენტმა განხილვებს ვერ გაუძლო, ვინაიდან „კანონიერ საფუძვლებს“ იყო მოკლებული.

რიკეტსმა დაადასტურა, რომ სადამ ჰუსეინის ბედი ჯერ კიდევ 2001 წელს გადაწყდა, გასარკვევი ისღა დარჩა, მაშინვე გადაწყდა თუ არა ერაყზე სამხედრო შეტევა. საკითხავია ისიც, როდის დათანხმდა ბლერი სამხედრო ოპერაციას, მხოლოდ 2003 წლის თებერვალში, როგორც ყოველთვის ირწმუნება ამას, თუ მანამდე? საგამოძიებო კომისიის კითხვებს პასუხი მინისტრებმა, გენერლებმა, დაღუპული ჯარისკაცების ოჯახის წევრებმა, საიდუმლო აგენტებმა, ერაყის ომის დროს სახაზინო კანცლერმა და ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა და, რა თქმა უნდა, მთავარმა მოწმემ — ტონი ბლერმა უნდა გასცენ.

კომისიის დასკვნა 2010 წლის ბოლოსთვის იქნება მზად, იმ დროისათვის გაცხადდება საიდუმლო გადაწყვეტილებები, რომლებმაც საზოგადოებას ერაყში შეჭრის ლეგიტიმურობა უნდა დაუმტკიცოს.

## გიორგი თავდგირიძე:

# სააკაშვილს აგვისტოს ომით შელახული რეპუტაციის აღდგენა სურდა

**უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ომმა და მშვიდობამ „ქართულად“ საქართველოს მხოლოდ ტერიტორიების ერთი მესამედი, ათასობით ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე არ დააკარგვინა... ჩვენ დავკარგეთ არანაკლებ მთავარი – ომისა და მშვიდობის განცდისა და აღქმის უნარი... დავკარგეთ „ზღვარი“ ამ ორ მდგომარეობას შორის... პრობლემა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც საზოგადოების აზროვნებაშია, რომელმაც პროცესების მიმართ არაერთხელ გამოავლინა არაადეკვატური დამოკიდებულება. პრეზიდენტები, (ძნელად, მაგრამ მაინც) მიდიან და მოდიან... ქართულმა საზოგადოებამ კი ვერა და ვერ „შვა“ ის ახალი ძალა, რომელიც ერთხმად და კატეგორიულად იტყვის – „საკმარისია!!!“**



**...სააკაშვილი არ იყო ეროვნული გმირი, ბრძოლის ველზე რომ დაცემულიყო. მისთვის სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა იდგა საკუთარი სკამის შენარჩუნების სურვილი და შეინარჩუნა კიდეც, მას შემდეგ, რაც ორდღიანი, სამარცხვინო ომის შემდეგ, 10 აგვისტოს, განთიადზე, კაპიტულაცია გამოაცხადა!..**

**სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია — საქართველოში პოლიტიკური პარტიები ვერ ჩამოყალიბდნენ სრულფასოვან, სრულყოფილ ოპოზიციურ პარტიებად და ხელისუფლებისთვის ანგარიშგასაწევ ძალად!..**

პოლკოვნიკ გიორგი თავდგირიძესთან ჩვენი საუბარიც სწორედ ამიტომ გასცდა სამხედრო ექსპერტთა ტრივიალური დასკვნების ფარგლებს — იქ, სადღაც ზღვარი უნდა იყოს ომსა და მშვიდობას შორის... ჩვენ ეს „ზღვარი“ გვაქვს მოსაძებნი!

**— უამრავი მოსაზრების, საერთაშორისო დასკვნისა და იურიდიული აქტის მიუხედავად, ფიქრობთ, რომ 7 აგვისტო, მითის გარეშე, დღეს უკვე რეალურადაა შეფასებული?**

— რეალურ შეფასებას, რეალური შემფასებლის გარდა, სულ მცირე, რეალური სურათი სჭირდება. ასეთი სურათი პირადად მე ჯერ არ მინახავს უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან — რა იყო დასაშვები და რა არა, რა იყო გარდაუვალი და რისი თავიდან აცილება შეიძლებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შევაფასოთ, რამდენად წარმატებულად ან წარუმატებლად შესრულდა მოცემული ამოცანა. პირველი და უმთავრესი ისაა, რომ საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, ქართულ სახელმწიფოს სამხედრო მოქმედებათა დაწყების უფლება ჰქონდა, მაგრამ 7 აგვისტო არ იყო ის კრიტიკული მომენტი, როცა გარდაუვალი იყო საომარი მოქმედებების დაწყება.

**— ბოდიში მომიხდია დასავლეთისკენ იმედის თვალით მზირალ ყველა ოპტიმისტთან, მაგრამ ფაქტია – უკვე 18 წელია, ენგურთან მდგარი ეუთოს მისიის, გაეროს რეზოლუციებისა თუ ნატოში შესვლის იმედად უნუგეშოდ ვართ...**

— პრობლემაც სწორედ ეგაა: ქართულმა სახელმწიფომ, უკანასკნელი წლების მანძილზე, ვერ მოახერხა ევროპის ინტერესების თავის სასარგებლოდ, ქართული სახელმწიფოს ინტერესებში ჩაყენება! ევროპა ყოველთვის შეეცდება, ხელი დაიბანოს და განზე გადგეს ნებისმიერ პრობლემურ სიტუაციაში; მაგრამ საგარეო პოლიტიკის წარმატებით წარმართვაც სწორედ ისაა, რომ ევროპა იძულებული გავხადოთ, ჩაერიოს პროცესებში და თანაც ქართული სახელმწიფოს სასარგებლოდ.

**—მაგ ლოგიკით რუსეთთანაც შეიძლება იგივე პრინციპის გამოყენება და არა — ურთიერთობის ესკალაცია და დაძაბვა?**

— რასაკვირველია, შეიძლება კი არა, აუცილებელია. ქართულ სახელმწიფოს აქვს უზარმაზარი პოტენცია და ბერკეტი (მისი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობიდან დაწყებული, შიდა რესურსით დამთავრებული), საიმისოდ, რომ ევროპასთანაც და რუსეთთანაც ურთიერთობები არამხოლოდ დააბალანსოს, არამედ ქართული სახელმწიფოს ინტერესებისა და გაძლიერების სამსახურში ჩააყენოს! სწორი საგარეო პოლიტიკის პირობებში, აგვისტოს ომის შედეგად, ჩვენ დამატებით კი არ დავკარგავდით ტერიტორიებს, არამედ საომარი მოქმედებების გარეშე შევძლებდით წარმატების მიღწევას.

**— აფხაზეთისა და სამაჩაბლოს წარმატებით დაბრუნების „რეცეპტიც“ საგარეო პოლიტიკაში დევს?**

— რასაკვირველია, თუმცა — მხოლოდ მასში არა. გინახავთ მოჭადრაკე, რომელიც უარს ამბობს ლაზიერით, ცხენით ან დედოფლით თამაშზე და აცხადებს — მხოლოდ პაიკებით უნდა ვითამაშოო?.. ასეა, პოლიტიკაშიც, მით უფრო, თუკი იგი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზეა ორიენტირებული. მერწმუნეთ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება გაცილებით იოლია, ვიდრე ჩვენ ამის წარმოდგენა შეგვიძლია. საამისოდ უამრავი მექანიზმის ამოქმედება და მეთოდის გამოყენებაა აუცილებელი – ქვეყნის გარეთ, როგორც ევროპულ ქვეყნებში, რუსეთში, ასევე, საჭიროა კავკასიურ ხალხებში მოკავშირეების მოძებნა; ქვეყნის შიგნით, თვით აფხაზეთის ტერიტორიაზე პოლიტიკური ძალებისა და დასაყრდენების შექმნა, ნათესაუ-

**საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყანას ცხინვალის რეჟიმთან ომი წააგებინა, ანუ მიშამ წააგო კოკოითთან!..**

# საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება ესაჭიროება

**იმისთვის, რომ საგარეო ინვესტიციების მნიშვნელოვანი კლების შედეგები გამოასწოროს და ეკონომიკური ზრდა გადაარჩინოს, საქართველოს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაზე მოუწევს ზრუნვა. ქვეყანაში ინვესტირების პროცესს მზარდი საბანკო სექტორი და ლიბერალური კანონმდებლობა ასაზრდოებდა.**

გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა და 2008 წლის აგვისტოს ომმა კი ჯანსაღი ზრდის პროცესი შეწყვიტა. წლევანდელმა პოლიტიკურმა არეულობამ ინვესტორები კიდევ უფრო დააფრთხო და ეკონომიკური აქტივობა შეანელა.

სწორედ ამ საკითხებზე ისაუბრა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ბიზნესჯგუფის დირექტორმა ოლივერ დესკამპსმა სააგენტო „როიტერთან“.

მან შეაქო მთავრობის ლიბერალური, ეკონომიკური, საგადასახადო პოლიტიკა და კორუფციის დაძლევისაკენ მიმართული ძალისხმევა, მაგრამ ასევე აღნიშნა, რომ საერთო საინვესტიციო გარემო უნდა გაუმჯობესდეს, ვინაიდან ინვესტორების დაბრუნება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება, როდესაც ქვეყანა 2011 წლამდე საერთაშორისო დახმარებისა და სესხის სახით დონორებისა და ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღებ 4.5 მილიარდ დოლარს ამოწურავს.

დესკამპსის ვარაუდით, 2009 წელს საქართველოს ეკონომიკას 5%-ით შეკვეცაელის, მაგრამ საგარეო ინვესტიციების დაბრუნების შემთხვევაში 2010 წელს ზრდამ შესაძლოა 2%-ს მიაღწიოს.

2009 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ეკონომიკა წლიურ 8,5%-იან ვარდნის წინაპირობას ქმნიდა, მაგრამ მთავრობა იმედოვნებს, რომ წლის მეორე ნახევრაში უკეთესი მუშაობის გამო, წლიური კლება 4%-ს არ გადააჭარბებს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია წლიური გათვლით 2009 წლის პირველ ნახევარში 80%-ით — 226 მილიონამდე დაეცა.

„კრიზისი ჯერ არ დასრულებულა. ჩვენ საქართველოში მოკრძალებულ უკეთესობას და პოზიტიურ ზრდას 2010 წელს ველოდებით“, — დაგვაიმედა დესკამპსმა, რომელიც ქართული ბანკებისგან, რომელთაც ლიკვიდურობასთან დაკავშირებით პრობლემები არ განუცდიათ, სესხების გაზრდას მოელოდა. მისივე თქმით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი 2010 წელს საქართველოში ოთხი პროექტისთვის 400 მილიონის გაღებას გეგმავს.



ბანკმა რუსეთთან ხუთდღიანი ომის დასრულების შემდეგ საქართველოში (ძირითადად ფინანსურ სექტორში) 350 მილიონი ჩადო.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

რი კავშირების აღდგენა და გამოყენება... ბოლოს და ბოლოს, არსებობს ფულიც... რა უდგას წინ იმას, რომ საქართველოს ბიუჯეტიდან გამოიყოს გარკვეული თანხა (რასაკვირველია, ეროვნულ ვალუტაში, ლარებში) აფხაზეთის მოსახლეობისთვის?..

— **ქართული საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ტერიტორიების დაბრუნების სამხედრო გზა მიუღებელია.**

— საზოგადოებას უნდა ესმოდეს, რომ საომარი მოქმედებებისთვის მზადყოფნა მხოლოდ ომსა და სისხლისღვრას არ გულისხმობს. იმთავითვე წაგებისთვის განწირულ ომზე არავინ მიდის; წარმატების შანსების განსაზღვრა და გაზომვა კი ყოველთვის შესაძლებელია. თუკი მოწინააღმდეგე დარწმუნებულია შენს სამხედრო უპირატესობაში, საომარ მოქმედებებს კი არ იწყებს, მოლაპარაკებაზე მოდის და, რაც უფრო მეტია შენი საბრძოლო პოტენცია, მით უფრო მეტს გითმობს იგი მშვიდობიანად!

— **7 აგვისტოს წაგებული ომი სააკაშვილმა წამოიწყო?**

— კი წამოიწყო. დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მან ეს შეგნებულად გააკეთა თუ შეუგნებლად, მაგრამ ფაქტი და შედეგი სახეზეა – იმ სტრატეგიით, იმ პირობებში და მოცემულობაში, რომელშიც სააკაშვილმა 7 აგვისტოს ომი დაიწყო და 10 აგვისტოს კაპიტულაცია გამოაცხადა, ეს იყო საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან ავანტიურა! სააკაშვილს აგვისტოს ომით საკუთარი, შელახული რეპუტაციის აღდგენა სურდა! სწორი სტრადეგიის, სამოქმედო გეგმის, საბრძოლო მოქმედებისა და საგარეო პოლიტიკის პირობებში, მას მართლაც ჰქონდა ამის რეალური შანსი. სამწუხაროდ, მას არ აღმოაჩნდა წარმატების მიღწევისთვის საჭირო არც გონიერება, არც შნო, არც მარიფათი და არც გამბედაობა. ამას დაემატა მისი გარემოცვისგან მიღებული ინფორმაციით გამოწვეული პანიკა. უგულავა და მერაბიშვილი სააკაშვილს გამუდმებით უხატავდნენ აპოკალიფსურ სურათს: თუ როგორ გვბომბავდა რუსული არტილერია, როგორ ამოხოცეს ათასობით ქართველი, როგორ განადგურდა მეოთხე ბრიგადა და ა. შ... ამ პანიკის შედეგი იყო ისიც, პარლამენტის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები მოსახლეობას ჩანგლებით ბრძოლისკენ რომ მოუწოდებდნენ... სააკაშვილი არ იყო ეროვნული გმირი, ბრძოლის ველზე რომ დაცემულიყო. მისთვის სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა იდგა საკუთარი სკამის შენარჩუნების სურვილი და შეინარჩუნა კიდეც, მას შემდეგ, რაც ორდღიანი, სამარცხვინო ომის შემდეგ, 10 აგვისტოს, განთიადზე, კაპიტულაცია გამოაცხადა!

— **და მაინც, დღესაც აღმაშენებელს „ეზომება“...**

— დავით აღმაშენებელმა დაქცეული, დაქუცმაცებული, გაპარტახებული და აოხრებული საქართველოსგან იმპერია შექმნა. მიხეილ სააკაშვილმა კი აღმავლობის გზაზე მდგარ საქართველოს ცხინვალის რეჟიმთან წააგებინა, ანუ მიშამ წააგო კოკოითთან!.. ნურავინ დაიმშვიდებს თავს იმით, რომ აღმაშენებლის დროს სხვა ეპოქა იყო და ახლა სხვა ეპოქაა. ომის პრინციპი, მიუხედავად იმისა, დიდია იგი თუ პატარა, ეპოქებს არ ექვემდებარება, არ იცვლება! ომს დღესაც ერთი ლოგიკა — გამარჯვების ლოგიკა – აქვს, რაც ფარაონების დროსაც ჰქონდა. შეიცვალა მხოლოდ ტექნიკური საშუალებები.

ასე რომ, ვისაც „თეიმურაზობა“ სურს, მისთვის აუცილებლად მოიძებნება სადმე ერთი „ჯაყოც“! პრობლემას ჯაყოს არსებობა კი არ წარმოადგენს, არამედ თეიმურაზის უსუსურობა. თეიმურაზის ადგილზე ვინმე სხვა ჯაყოს თავს სარზე წამოაგებდა და ამით ამოიწურებოდა ჯაყოს არსებობაცა და ჯაყოსგან შექმნილი პრობლემის ალბათობაც...

— **თვით ის ფაქტი, რომ უამრავი შეცდომის, მათ შორის წაგებული ომის შემდეგაც კი, არ გადადგა პრეზიდენტი, პირდაპირ თუ არა, ირიბად მაინც არ მიანიშნებს იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილი საკუთარ თავს მეფედ უფრო მიიჩნევს, ვიდრე პრეზიდენტად?**

— ეს არის იმის ლოგიკური შედეგი, რომ ვერც ქართული საზოგადოება და ვერც ქართული პოლიტიკური ოპოზიციური ძალები ვერ აღმოჩნდნენ სათანადო ძალისა და პრინციპების მატარებლები. ნებისმიერი ცივილური სახელმწიფო დგას აქსიომაზე – ის ვინც აგებს ან დანაპირებს არ ასრულებს, მიდის პოლიტიკიდან და შესაბამისად, ხელისუფლებიდანაც!

— **მაგ ლოგიკით ოპოზიციამაც წააგო მიხეილ სააკაშვილთან ბრძოლა და თანაც არაერთხელ!.. გამოდის, ოპოზიციაც უნდა „გადადგეს“?**

— დიახ, საზოგადოებამ მკაცრი და სამართლიანი შეფასებები უნდა მისცეს როგორც მიხეილ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის ქმედებებსაც. ქართულმა საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ჩვენი მთავარი მიზანი ძლიერი სახელმწიფოს აშენებაა და არა — მიშას წასვლა. დღეს სააკაშვილი ძლიერი სახელმწიფოს აშენების დროებითი წინააღმდეგობაა. არ მინდა, მისი წასვლის შემდეგ მასზე უარესი რომ მოვიდეს! ჩვენ, ყველამ ერთად, არ უნდა დავუშვათ, რომ სააკაშვილის წასვლის შემდეგ საზოგადოება კვლავ მოუმზადებელი, გაუცნობიერებელი და



**„უგულავა და მერაბიშვილი სააკაშვილს გამუდმებით უხატავდნენ აპოკალიფსურ სურათს: თუ როგორ გვბომბავდა რუსული არტილერია, როგორ ამოხოცეს ათასობით ქართველი, როგორ განადგურდა მეოთხე ბრიგადა და ა.შ... ამ პანიკის შედეგი იყო ისიც, პარლამენტის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები მოსახლეობას ჩანგლებით ბრძოლისკენ რომ მოუწოდებდნენ...“**

გაუაზრებელი არჩევანის წინაშე აღმოჩნდეს.

— **გასაგებია, მაგრამ ეგ პროგრამა მაქსიმუმია. პროგრამა მინიმუმი კი, ანუ სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოცილება, ჯერ ისევ შეუსრულებელია...**

— ქართველებს ისე არაფერი გვღუპავს, როგორც ლოზუნგებითა და სადღეგრძელოებით ცხოვრება! ეს ეხება ომსაც, მშვიდობასაც, სააკაშვილსაც და ოპოზიციასაც!.. სუფრა და სადღეგრძელო ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. ხატოვანი ფრაზებით სუფრაზე შეიძლება მოიპოვო ადამიანების სიმპათია, მაგრამ, როცა პოლიტიკოსი სადღეგრძელოებით საუბრობს და მის „ინტეგრირებას“ ცდილობს პოლიტიკაში, უკვე დამღუპველია ქვეყნისთვის! სამწუხაროდ, საზოგადოების დიდი ნაწილი პოლიტიკოსის საქმიანობას დღესაც იმის მიხედვით აფასებს, თუ რამდენად ომახიანი ხმის ტემბრი აქვს, რამდენად ხშირად იცემს გულმკერდზე მჯიღს და რამდენად ხშირად საუბრობს ლოზუნგებისა და სადღეგრძელოების ენით. ცალკეულ ადამიანებს შესაძლოა, მართლაც უამრავი იდეალური იდეა მოუვიდეთ თავში, მაგრამ მთავარი შედეგია, ანუ ის, ვის შესწევს ამ იდეის რეალურად განხორციელების ძალა.

— **ასეთი კი ნამდვილად არავინ გვყავს?!**

— არც გვეყოლება, ვიდრე დამოკიდებულებები არ შეიცვლება. ვიდრე საზოგადოებისთვის პოლიტიკოსის შეფასების კრიტერიუმად არ იქცევა ქმედითუნარიანობა, პოლიტიკური განსწავლულობა, ალღო, ზნეობა და მორალური პრინციპები! ვიდრე ოპოზიცია არ აღიარებს თავის შეცდომებს და მათ გამოსწორებას არ შეეცდება. მიზანი ყველას ერთი აქვს და ეს გასაგებია, მაგრამ, როგორ უნდა აიძულო, წავიდეს სააკაშვილი, ამ ტაქტიკის შემუშავებით არავის შეუწუხებია თავი... სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია – საქართველოში პოლიტიკური პარტიები ვარ ჩამოყალიბდნენ სრულფასოვან, სრულყოფილ ოპოზიციურ პარტიებად და ხელისუფლებისთვის ანგარიშგასაწევ ძალად!

—**დაბოლოს, არის, ალბათ, რაღაც საერთო საბრძოლო მოქმედებებსა და პოლიტიკურ ბრძოლას შორის...**

—არის და თანაც — ძალიან დიდი და არსებითი: ორივეს სჭირდება საკუთარი და მოწინააღმდეგის ძალების რეალური შეფასება, წარმატების განსაზღვრა, სწორი ტაქტიკა, სამოქმედო გეგმა და მანევრი, მორალური და იურიდიული საფუძველი, გონიერება, თავგანწირვა და გამბედაობა!

და, რაც მთავარია, აქაც ჭადრაკის პრინციპი მოქმედებს — თუ თამაშობ, მხოლოდ პაიკებით არ უნდა ითამაშო!.. დღეს, როდესაც ოპოზიცია აცხადებს, „ყველაფერი მოვსინჯე და რა ვქნა, რევოლუციაზე ხომ არ წავიდოდიო“, ამით აღიარებს, რომ „საბრძოლო არსენალში“, აქციებისა და რევოლუციის გარდა, არაფერი ჰქონდა. რევოლუცია, როგორც მოვლენა, არასდროს იგეგმება. უმთავრესი ისაა, რომ ოპოზიციას არ შესწევდა რევოლუციის მოხდენის უნარი. ასე რომ, თავს სასაცილო მდგომარეობაში იგდებენ, როცა ამაყად და დამადლებული ტონით ამბობენ — „რევოლუციაზე უარი ვთქვითო“. ეს იგივეა, საქართველოს შეიარაღებულმა ჯარებმა განაცხადონ — „მილიარდიან ჩინეთს თავს იმიტომ არ ვესხმით, რომ ეს ჩვენი კეთილი ნებააო“.

ესაუბრა
**ელგა ფოლადიშვილი**

# დიდი ბრიტანეთი საქართველოში სასამართლოს მიერ ქარხნის კონფისკაციისა და გაყიდვის საქმეს იძიებს

**ბრიტანელი ჩინოვნიკები იმ ბრიტანული კომპანიის პრეტენზიებს სწავლობენ, რომელსაც საქართველოში მისი კუთვნილი მეტალურგიული ქარხანა ამ ქვეყნის სასამართლომ ჩამოართვა და გაუყიდა.**



საუბარია Thames Steel UK Ltd-ის დირექტორის თომას ბლეიკის საჩივარზე. ბლეიკის ფირმამ ქარხანა ქართველი მილიარდერის ბადრი პატარკაციშვილისგან იყიდა. პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ კი მის აქტივებზე ბრძოლა დაიწყო.

დავამ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დევიდ მილიბენდის ყურადღება მიიპყრო და მან, როგორც ბრიტანეთის საგარეო ოფისის სპიკერმა განაცხადა, ეს საკითხი საქართველოს მთავრობასთან დააყენა. საგარეო ოფისის მაღალჩინოსანი ნოემბრის ბოლოს ლონდონში ვიზიტით მყოფ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ნიკა გილაურს შეხვდა. ბატონი გილაური ლონდონში კონფერენციაზე იმყოფებოდა და ბრიტანელი ინვესტორებიას საქართველოში ბიზნესის წარმოებისთვის მოზიდვას ცდილობდა.

ბატონი ბლეიკი ამბობს, რომ მისმა კომპანიამ, დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებულმა Thames Steel UK-მა ენერგეტიკული და ინდუსტრიული კომპლექსი ბადრი პატარკაციშვილის Global Steel Holdings-ისგან 2007 წლის სექტემბერში 70 მილიონ დოლარად შეიძინა.

სექტემბერში Thames Steel UK-მა ადგილობრივი გაზეთიდან შეიტყო, რომ კრედიტორისთვის Kolkhis Business Corp-ისათვის ქარხნის გადაცემის პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა. იმის გამო, რომ ბლეიკმა აღნიშნულ ფირმაზე რაიმე ინფორმაციის მოძიება ვერ შესძლო, რამაც აფიქრებინა, რომ კომპანია აქტივის გაყიდვაზე განაცხადის წარდგენისთვის საგანგებოდ დაარეგისტრირეს. ოქტომბერში საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებით Thames Steel-ის ქარხანა აუქციონზე გაიტანეს. „იმის გამო, რომ ქარხნის შეძენის სურვილი არავინ გამოთქვა, ის მოგვიანებით Kolkhis-ს გადასცეს“, – განაცხადა ბატონმა ბლეიკმა.

Kolkhis-ის საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება შეუძლებელი გახდა, შესაბამისად ის კომენტარისთვის მიუწვდომელია. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ არ უპასუხა ელექტრონული ფოსტით გაგზავნილ შეკითხვებს და სამთავრობო სააგენტო Invest in Georgia-მ კომენტარზე უარი განაცხადა.

დიდი ბრიტანეთი ევროპაში საქართველოს ყველაზე ხმამაღალი მხარდამჭერი იყო, როდესაც ამ ქვეყანაში 2008 წელს რუსეთის ინტერვენცია განხორციელდა. ბრიტანეთმა რუსეთი ომის გამო დაადანაშაულა, მაგრამ მოგვიანებით აღარ დაუჭირა მხარი აშშ-ს მოწოდებას გაერიცხათ ეს ქვეყანა, ისეთი ფორუმიდან როგორიცაა „დიდი რვიანი“. საქართველოს ეკონომიკა სერიოზულად დაზარალდა ომისა და გლობალური კრიზისის გამო, ამიტომ ქართველებს ძალიან სურდათ ინვესტიციების მოზიდვა. ამ მოვლენებამდე, დასავლური ტიპის გარდაქმნები დაეხმარა საქართველოს ეკონომიკას ხუთ წელიწადში ორჯერ გაზრდილიყო, რადგან ქვეყანა ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად აქტიურად მუშაობდა, მან კორპორაციებისთვის დაბალი გადასახადი შემოიღო. ამან 2007 წელს ხელი შეუწყო უცხოური ინვესტიციების 2 მილიარდ დოლარამდე გაზრდას, როდესაც 2003 წელს მათი მოცულობა მხოლოდ 336 მილიონი დოლარი იყო. ბრიტანული ნავთობგიგანტი BP PLC ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი უცხოური ინვესტორია.

# საქართველოს რუსეთისთვის ფრანგული სამხედრო გემის მიყიდვა აშფოთებს

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანგული საბრძოლო გემის „მისტრალის“ რუსეთისთვის შესაძლო მიყიდვასთან დაკავშირებით უსაფრთხოების გარანტიები მოითხოვა. „ასეთი გემი მხოლოდ შავ ზღვაში შეიძლება გაიგზავნოს,“ — განუცხადა დიპლომატებს პარიზში გრიგოლ ვაშაძემ.**

200 მეტრი სიგრძისა და 21 500 ტონა „მისტრალი“ გემბანზე 16 მძიმეწონიან ვერტმფრენსა და ავტომობილს იტევს.

ეს გარიგება ნატოს წევრის მხრიდან რუსეთისთვის სამხედრო-საზღვაო ტექნოლოგიების გადაცემის უპრეცედენტო ფაქტი იქნება.

რუსი სამხედროებისა და გემთმშენებელების მხრიდან შესაფასებლად გემი სანკტ-პეტერბურგში შევიდა.

ამბობენ, თითქოს რუსული ფლოტის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ „მისტრალის“ მსგავსი გემი რუსეთს საქართველოსთან ომის დროს უფრო ეფექტური ოპერაციების წარმოებაში დაეხმარებოდა, რადგან ორივე ქვეყანას აქვს შავ ზღვაზე გასასვლელი.

რუსეთის გეგმებთან დაკავშირებით შეშფოთება გამოხატეს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმაც, რომლებსაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან მოსკოვთან დაძაბული ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ.

სამხედრო და ენერგეტიკული თანამშრომლობის საკითხებზე მოსალაპარაკებლად პარიზში მყოფმა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა „მისტრალის“ ყიდვის შესაძლებლობის გარდა, ფრანგ ბიზნესმენებსა და მინისტრებთან ორი ახალი გაზსადენის „ჩრდილოეთ ნაკადისა“ და



„სამხრეთ ნაკადის“ საკითხებიც განიხილა. ეს მილსადენები რუსეთს დაეხმარება, დასავლეთ ევროპას გაზი უკრაინის გვერდის ავლით მიაწოდოს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ზურაბ გაგნიძე: ალექსანდრე ჭაჭიას კომენტარი თუ შეფასება გასაგებია ყველასთვის ყველა დროში და ყველგან, რადგან ემყარება ფილოსოფიურ-კონცეფციურ ანალიზს

**ქვეყნის ძნელბედობის ჟამს არიან ადამიანები, რომელნიც თავიანთი ღრმა სულიერებით, მაღალმხედი გონებით, მოღვაწეობით პოულობენ გამოსავალს. ეს პიროვნებები ფართო ერუდიციის წყალობით ერის სატკივარს ზუსტად განსაზღვრავენ, თანამედროვეებმა კი ხშირად არ ვიცით მათი ფასი და წონა. პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას ფსიქოწყობის შესახებ გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით ალექსანდრე ჭაჭიას ძირითად ფსიქოშტრიხებზე, რა განზომილებებს ფლობს მისი სულიერი სამყარო?**

— დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში ბატონი ალექსანდრე თავისი მოღვაწეობის ასპარეზზე მკვეთრი ინდივიდუალიზმით გამოირჩევა. მას შესწევს უნარი, გამოამზეუროს პოლიტიკაში ჩაბუდებული, ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი ზრახვები. ღვთისგან ნაბოძები უნარებით, შეძენილი ცოდნითა და გამახვილებული ინტუიციით უაღრესად პროგრესულია. იშვიათი ალღოს წყალობით შეუძლია მიმდინარე პროცესების არსში ჩაწვდომა და მათი განზოგადება, რასაც ფსიქოლოგიაში „სულის უმაღლეს ინტერესთა შემეცნებას" ეძახიან, ხოლო ხალხში — გამჭრიახობას. თავისი დროისა და ქვეყნის შვილია, მაგრამ არაა ჩაკეტილი, ვიწრო, ნაციონალურ ჩარჩოებში. ალექსანდრე ჭაჭიას კომენტარი თუ შეფასება გასაგებია ყველასთვის, ყველა დროში და ყველგან, რადგან ემყარება ფილოსოფიურ-კონცეფციურ ანალიზს და ამით იძენს საერთოსაკაცობრიო ღირებულებებს.

ყოველივე ზემოთქმულში ბატონ ალექსანდრეს ეხმარება ერუდიცია, რკინის ლოგიკა და ჯანსაღი ფსიქოლოგია. მისი განაცხადი —

## „როგორც საქართველოს მოქალაქეს მტკივა და მწყინს, რომ ჩემი სამშობლო ვიღაცის კოლონიურ დანამატად იქცა"

— თანხვედრაშია საქართველოს მოსახლეობის გულის ამონადუღთან. ამ ტკივილს იგი ხალხთან ერთად, უკვე ოცი წელია, დაატარებს და ამ პრობლემების მოსაგვარებლადაც იბრძვის.

ბატონ ალექსანდრეს მსჯელობაში წინა ხაზზეა რაციონალური საწყისი, პარაბოლური აზროვნება, ემოციურობის მოთოკვით მოსაგვარებელი საკითხების მწვავედ დაყენება. ეს კი მას ინტელექტუალურ მოაზროვნედ და შეურიგებელ მებრძოლად წარმოაჩენს, რითაც უთუოდ აძლევს ბიძგს საზოგადოებაში პოლიტიკური აზროვნების განვითარებას. დღეს არც ერთ ქართველს ეჭვი აღარ ეპარება მის ნათქვამში: „საქართველოს გადარჩენა საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლაშია". მან ლოგიკური არგუმენტაციით შეძლო, ჩამოეყალიბებინა, რომ „არჩეული პოლიტიკური კურსი დამღუპველია და, მისი გაგრძელების შემთხვევაში, ქვეყნის დაშლა გარდაუვალია". მისი ნათქვამი გამართლდა და ამის შემდეგ ხალხი უფრო ყურადღებით უგდებს ყურს მის პოლიტიკურ შეფასებებსა და პროგნოზებს.

**— რასაც ბატონი ალექსანდრე წლების მანძილზე ამბობდა, ყველაფერი ახდა. ამას როგორ ახსნით?**

— ინტუიცია ემყარება გამოცდილებასა და ფაქტების ცოდნას, მათ ლოგიკურ ჯაჭვში მოქცევას. გათვლები გონებრივი იარაღია და მოდის სამართლიანი განსჯის პრინციპით. ინტუიცია უმაღლესი ინდივიდუალიზმის მახასიათებელი ფსიქოშტრიხია და ემყარება სუბიექტის პიროვნულ სიმწიფეს, მაღალგანვითარებულ გონებრივ უნარებსა და ძლიერ სულიერ შეგრძნებებს. ფსიქოლოგები მას ინტელექტუალურ-გონებრივ ჭვრეტას ეძახიან.

2008 წლის აპრილში ბატონმა ალექსანდრემ უცხოურ პრესაში თქვა: „ნატოსთან დაკავშირებულ მთელ ამ ისტორიაში ამერიკელთა ინტერესი გასაგებია: მათ საქართველო პაიკად სჭირდებათ დიდ გეოპოლიტიკურ თამაშებში. ნატო მხოლოდ ამერიკული ინტერესების რეალიზაციის იარაღია. დღეს პოლიტიკოსებმა ამ პრობლემის გადაჭრა დეკემბრამდე გადადეს, თუმცა დეკემბერშიც ანალოგიურ შედეგს მივიღებთ". მთელის მოცემულობის საფუძველზე მისმა გონებამ ამ ფაქტის არსებითი მხარის ჩაწვდომა მოახდინა. ეს არაა მისი მხრიდან მისტიური ჭვრეტა, ესაა ფაქტობრივის დემონსტრირებით დასაბუთება, რაშიც დიდ როლს თამაშობს ამ სუბიექტის ჯანმრთელი ფსიქიკა. ამგვარად, მას გააჩნია ძლიერ გონებასთან შერწყმული მძლავრი ენერგეტიკული ველი. ფსიქოლოგიაში ინტუიცია ორი სახისაა: გრძნობადი და ინტელექტუალური. ბატონი ალექსანდრე საკითხის ღრმა ცოდნას ამჟღავნებს, რასაც ემატება გრძნობადიც. მისი პროგნოზული გათვლები ხშირად ჯერ კიდევ შეუმოწმებელი ჭეშმარიტების დასაწყისია. დავიმახსოვროთ მისი გათვლა: **„ნატოს ეგიდით საქართველოში სწორედ თურქეთის სამხედრო ბაზები განლაგდება, რაც ამ სახელმწიფოს საშუალებას მისცემს, უშუალო კავშირი დაამყაროს თურქეთისადმი ლოიალურად განწყობილ ჩრდილოკავკასიელ ხალხთან, ანუ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგას „დიდი თურანის" იდეის რეალიზაციის გზაზე".** ის ამ ანალიზით პოლიტიკური მოვლენების ლოგიკურ საზღვრებს ადგენს ჯერ კიდევ კონტურებში. მას უდაოდ გამჭოლი მზერა აქვს, ჭვრეტს ძნელად ჩასაწვდომ მოვლენათა არსს.

**— ობიექტურობისა და პრინციპულობის გარდა, მის სათქმელს ხშირად ტყვიის წონა და სიმძიმე აქვს; რას გვეტყვით — სიფრთხილე და დიპლომატია ამ ფსიქოტიპისთვის უცხოა?**

— ათეული წლები პოლიტიკაშია და ემსახურება თავისი შეურაცხყოფილი ერის ღირსებების დაცვას. ფსიქოანალიზით ემოციური ველის თვითრეგულირების ხელოვნებას ნამდვილად ფლობს. მაგრამ სურს ზარივით დარისხებული მჭრელი სიმართლით მთვლემარე თანამემამულეების გამოღვიძება, მათი შეგულიანება მამულისადმი საშვილიშვილო საქმის გასაკეთებლად. ეს გამოსვლები, რასაც თქვენ ტყვიის სიმძიმეს ეძახით, მიზნობრივია. ნათელი გონებითა და მჭრელი ინტელექტით ხალხს სამშობლოსადმი ერთგულებას კი არ ეფიცება, ან ზერელე, შაბლონურ, უპასუხისმგებლო ინფორმაციას კი არ აწვდის, არამედ მიუთითებს და აჩვენებს, სად დავუშვით შეცდომა, ისტორიის რომელ მოსახვევში მოვუხუჭეთ თვალი მკაცრ სინამდვილეს. რაც შეეხება სიფრთხილეს, ხომ გაგიგიათ, „მართალი კაცი ქვაზე მაგარიაო". ოპონენტები კი მას „კრემლის აგენტადაც" ნათლავენ. კარგა ხანია, რაც ხალხმა გაარკვია აგენტად და ჯაშუშად მონათვლა, ამ იარლიყის უნიჭო მიწებება ჩვენი მოღალატე ხელისუფლების ხელწერაა.

**ეს გამოსვლები, რასაც თქვენ ტყვიის სიმძიმეს ეძახით, მიზნობრივია. ნათელი გონებითა და მჭრელი ინტელექტით ხალხს სამშობლოსადმი ერთგულებას კი არ ეფიცება ან ზერელე, შაბლონურ, უპასუხისმგებლო ინფორმაციას კი არ აწვდის, არამედ მიუთითებს და აჩვენებს, სად დავუშვით შეცდომა, ისტორიის რომელ მოსახვევში მოვუხუჭეთ თვალი მკაცრ სინამდვილეს.**

მისი ანალიზი ეპოქალურია, სოხუმის დაცემასა და აგვისტოს მოვლენებს ასე აფასებს:

## „ქვეყნის მმართველი დამოუკიდებლად მოაზროვნე, ეროვნულად ორიენტირებული, გონიერი ადამიანი რომ ყოფილიყო, ომი არ გაჩაღდებოდა".

არც იმას მალავს, რომ

## „რაიმე ძლიერ სამხედრო ბლოკში გაერთიანების იდეა... საქართველოს მეზობელ, ძლიერ სახელმწიფოთა მტრად აქცევს".

უამრავი არგუმენტებით ლოგიკურად გვისაბუთებს, რომ

## „მხოლოდ სამხედრო ნეიტრალიტეტზე დაფუძნებული პოლიტიკა გვიხსნის მოსალოდნელი ექსცესებისაგან"; სხვანაირად „ეს კატასტროფა იქნება, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ისე ქართველი ერისთვის".

აი, სადაა მისი სიფრთხილე, რომელიც უფრო დიდია და მნიშვნელოვანი, ვიდრე პირადი უსაფრთხოება. მას ეშინია სამშობლოს დაკარგვის და მზადაა, ყველა მეთოდით ისარგებლოს. იგი რჩება საქართველოს გადარჩენის საშიშ და ეკლიან გზაზე „დაცემულ ქადაგად" და გვარწმუნებს: „ყველაფერი, რასაც გთავაზობთ, შეიძლება განახორციელოს მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოს პატრიოტულად განწყობილმა ხელისუფლებამ, რომელიც საკუთარი ხალხის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს". ესაა მისი მოწოდება ქვეყნისა და ერის ზნეობრივი კათარზისისკენ. ის არა მარტო მართალ სარკეში გვახედებს, არამედ გადარჩენის მომავალ გზებზეც მიგვითითებს. მისი ზემოქმედების ერთადერთი იარაღი სიმართლეა. ყველაზე მძიმე კი ამ მზისქვეშეთში „მართალი კაცის" მანტიაა. ბატონი ალექსანდრე ჭკუადამჯდარი პოლიტიკოსია, მართალი და პირუთვნელი შემფასებელი. აი, ამონარიდი მისი შეფასებიდან:

## „განა ოპოზიციას აქვს ქვეყნის განვითარების ალტერნატიული მოდელი?" ან „დღეს გავყვირით „ძირს სააკაშვილი!", მაგრამ განა ჰყავს ოპოზიციას საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი განვითარების ალტერნატიული სტრატეგიის მატარებელი? მსგავსი არაფერი — არც პარტია და არც პიროვნება".

და დასძენს, რომ „ეს არაა გასაკვირი, საქართველოში პოლიტიკური ძალების მთელ სპექტრს მკაცრად აკონტროლებენ ამერიკის შესაბამისი სამსახურები, გარედან მართული პოლიტიკური ძალები ეროვნული ინტერესების რეალიზებას ვერ მოახერხებენ". ძნელია, ეს შეფასება გააკრიტიკო, რადგან ცხადია, ოპოზიციის მიზანია, არსებული ხელისუფლება კარგად შეფუთული „მარიონეტებით" ჩაანაცვლოს. ბატონი ალექსანდრე იმ პლეადას მიეკუთვნება, რომელიც აგრძელებს ქართველთა დიდი მეფის — ერეკლეს ტრადიციებს და ერთგულების დროშით დგას ერის მსახურად. ის ვერ მიატოვებს ძალაუფლებაწართმეულ, ტერიტორიებდაკარგულ, რწმენაშერყეულ და საპყარ სამშობლოს. ის ვერ ურიგდება ტერიტორიების დაკარგვას, ეკონომიკური გაჩანაგების მასშტაბებს, განათლების სისტემის წინასწარგანზრახულ ნგრევას, ეროვნული მეცნიერების განადგურებას, უვიცი თაობების ფორმირებას, ისტორიის ფალსიფიცირებას, სადაც რუსეთი წარმოდგენილია აგრესორად და საქართველოს მტრად. ვერასოდეს შეეგუება საქართველოს მსოფლიო სამხედრო ძალების ინტერესთა შეფასების პოლიგონად ქცევას; აწუხებს ჰიტლერიზმისა და სტალინიზმის გათანაბრება ევროსაბჭოს მიერ, კონფლიქტების დარეგულირების პროცესის ხელიდან გაშვება და ჩვენი პროდუქციისთვის მასშტაბური ბაზრის დაკარგვა. ყველაზე მეტად მის სულს აფორიაქებს მომავალი, რომ ნატოში შესვლით მასშტაბური სამხედრო კონფლიქტების დროს დასაშვებია საქართველო და ქართველი ერი მორიგ მსხვერპლად და სამიზნედ ვიქცეთ. მიაჩნია, რომ წინაპართა მიერ დანატოვარი უმდიდრესი მემკვიდრეობის შენარჩუნება, ქვეყნის აღორძინებისთვის ბრძოლა მცოდნე პატრიოტთა და ღირსეულ კაცთა საქმეა.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მისი ქმედება თუ აზრი განპირობებულია ინდივიდის ფსიქოლოგიის სტრუქტურული საფეხურებით: უპირველესი საფეხური არის სუბიექტის გონებრივი იმპერია, ანუ ნიჭიერება. ნიჭიერი კაცი კი ყოველთვის გამოირჩევა სიმამაცითა და სულიერი გამძლეობით, რაც ამგვარ ფსიქოტიპს სიმართლის დამცველს ხდის. მათ შეუძლიათ მხოლოდ სინათლისა და სიცხადის შეტანა ადამიანთა ცნობიერებაში. ალექსანდრე ჭაჭიას ფსიქოსტრუქტურაში თავმოყრილია ძლიერი გონებრივი უნარები, სულიერი სისუფთავე, ლოგიკური ინტელექტი და გრძნობადი განცდა სამშობლოს სიყვარულისა. აქედან იბადება მისი წყალგაუვალი ანალიზი მიზნის მისაღწევი გზებით, მაგრამ მთავარია, არ გამოგვრჩეს დროის ფაქტორი, რომ განხორციელებული ქმედებები შედეგით დამთავრდეს.

ბატონი ალექსანდრეს პიროვნული უნარები, ზნეობრივი ნორმები, ობიექტურობა, ენერგიულობა, მიზანდასახულობა, შორსმჭვრეტელობა სამომავლოდ საქართველოსთვის წარმატების შესაძლებლობას იძლევა.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მასაიოში კამოშარა: ჯერ კიდევ ვსწავლობ საქართველოს პოლიტიკას და ის ძალიან ძნელი გასაგებია

**მართალია, საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობები ჯერ კიდევ 90-იან წლებში ჩამოყალიბდა, მაგრამ ამომავალი მზის ქვეყნის საელჩო ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ წელს, გაზაფხულზე გაიხსნა. ქვეყნის პირველი ელჩი კი ბატონი მასაიოში კამოშარა დიპლომატიურ მისიამდეც სტუმრობდა ჩვენს ქვეყანას, ამიტომ საქართველოს მაშინდელსა და ახლანდელ ყოფას შორის პარალელების გავლება არ უჭირს. ჩვენი რესპოდენტი ზომიერად სიტყვაძუნწი აღმოჩნდა, თუმცა ჩვენთვის საინტერესო შეკითხვებზე მაინც მივიღეთ პასუხი. რატომ უწოდებს ქართულ პოლიტიკას არაპროგნოზირებადს და რას გვირჩევს რუსეთთან ურთიერთობაში გამოცდილი ქვეყნის დიპლომატი, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.**



**— გვიამბეთ თქვენი დიპლომატიური კარიერის შესახებ, საქართველოში ჩამოსვლამდე სად მოღვაწეობდით?**

— საქართველოში ჩამოსვლამდე ვლადივასტოკში მთავარი კონსული გახლდით. იქ სამ წელიწად-ნახევარი დავყავი. რუსეთში დიპლომატიურ სამსახურში ადრეც ვიყავი, საბჭოთა კავშირის დროსაც. გარდა ამისა, ვმუშაობდი ვენასა და ბანკოგშიც.

**— საქართველოში ჩამოსვლამდე ჩვენი ქვეყნის შესახებ რა იცოდით? როგორი რეაქცია გქონდათ, როცა საქართველოში გამომგზავრების შესახებ შეიტყვეთ?**

— ვიცოდი, რომ საქართველოში იაპონიის საელჩო უნდა გახსნილიყო. როდესაც მითხრეს, რომ მე ვიქნებოდი იაპონიის პირველი ელჩი საქართველოში, ეს ჩემთვის ძალიან დიდი პატივი იყო. სანამ საქართველოში ელჩის სტატუსით ჩამოვიდოდი, თქვენს ქვეყანასთან შეხება ადრეც მქონია. თბილისში ორჯერ ვარ ნამყოფი; პირველად — 1985 წელს, მაშინ საქართველოში მშვიდობა იყო, მეორედ კი 1999 წელს ჩამოვედი, სულ რაღაც ორიოდე დღით. მაშინ შთაბეჭდილება შემექმნა, რომ თბილისი საკმაოდ ბნელი და წყნარი ქალაქი იყო.

**— და რა შეიცვალა თქვენი მეორე ვიზიტის შემდეგ?**

— როდესაც აქ ჩამოვედი, საქართველოში აკრედიტებულ ყველა ელჩს შევხვდი. ზოგიერთ მათგანს საქართველოში მუშაობის 4-5 წლის გამოცდილება ჰქონდა. ასევე, აქ ჩამოსვლამდე იაპონიაში საქართველოს ელჩს შევხვდი, რომელმაც მითხრა, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ძალიან დიდი ცვლილებები მოხდაო. ცვლილებები მართლაც შესამჩნევია.

**— საინტერესოა, რამდენად ახერხებთ საქართველოში უძველესი იაპონური კულტურის წარმოჩენას?**

— ოქტომბერში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში იაპონური თოჯინების გამოფენა მოეწყო. გასულ პარასკევს კი (ინტერვიუ ჩაწერილია 2 დეკემბერს) იაპონელმა მუსიკოსებმა რუსთაველის თეატრში კონცერტი გამართეს. ვგეგმავთ, რომ მომავალი წლის თებერვალში თბილისში იაპონური ფილმების კინოფესტივალი ჩავატაროთ. ასევე, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში ლექციების წაკითხვას ვაპირებ.

**— პოლიტიკაში გადავინაცვლოთ, ცნობილია, რომ იაპონიას ტერიტორიული დავა აქვს რუსეთთან — სამხრეთ კურილები დე ფაქტოდ და დე იურედ რუსეთის შემადგენლობაში იმყოფება – ასეთია ოფიციალური იაპონიის პოზიცია. მიუხედავად ამისა, თქვენს ქვეყანას რუსეთთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია, შედარებისთვის იგივეს ვერ ვიტყვით საქართველოზე, თუნდაც გასული წლის აგვისტოს ომი რომ გავიხსენოთ; როგორ ახერხებთ, რომ ქვეყანასთან, რომელთანაც დავა გაქვთ, ამავე დროს ცივილურ ურთიერთობასაც ინარჩუნებთ?**

— სამწუხაროდ, ჩვენც გვაქვს რუსეთთან ტერიტორიული დავა. ამ კუნძულების გამო ჩვენ მშვიდობის დოკუმენტისთვის ხელი არ მოგვიწერია, თუმცა ჩვენ გვაქვს ორმხრივი დეკლარაცია, რომ ჩვენს შორის ომი, ვგულისხმობ მეორე მსოფლიო ომს, დასრულდა. რუსეთთან ჩვენი ურთიერთობები ცუდი არ არის, მაგრამ მთლად კარგსაც ვერ ვუწოდებ. ჩვენ ძალიან დიდი პოტენციალი გვაქვს განვითარებისთვის, მაგრამ იმის გამო, რომ ტერიტორიული საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელია, არ შეგვიძლია ორმხრივი ურთიერთობის პოტენციალის ბოლომდე გამოყენება.

**ძალიან ძნელია ქართველების პოლიტიკის გაგება. სხვა ელჩებმა მითხრეს, რომ არანაირი პროგნოზი საქართველოს პოლიტიკაზე არ გავაკეთო. ერთმა ისიც კი მირჩია, რომ არც წარსული უნდა შეაფასო, რადგან შეიძლება შეცდეო...**

**თუმცა ჩვენ მეზობლები ვართ და ერთმანეთთან კონტაქტს ვამყარებთ. რაც შეეხება ეკონომიკურ განვითარებას, ამ მხრივ ჩვენი ურთიერთობები ორმხრივ სარგებელზეა გათვლილი.**

**— იაპონიას აშშ-სთან ურთიერთობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, ჩვენ კი, შეიძლება ითქვას, პირველ ნაბიჯებს ახლა ვდგამთ, რას გვირჩევთ, როგორ წარვმართოთ ურთიერთობები ისე, რომ არც „ენოლა გეის“ მსხვერპლნი გავხდეთ და არც აშშ-მა აღგვიქვას მორიგ შტატად?**

— ძალიან რთული შეკითხვაა... ვფიქრობ, რომ აშშ-ს რაიმე ტერიტორიული ამბიცია საქართველოს მიმართ არ გააჩნია. **აშშ-ის კულტურის ზოგიერთი ასპექტი მთელ მსოფლიოზე, მათ შორის ახალგაზრდა იაპონელებზეც, გავლენას ახდენს, დაწყებული მოდით, ცხოვრების წესით... ამავე დროს ამერიკაში ჩვენი კულტურის ექსპორტსაც ვახდენთ. იაპონურ კულტურას იქ ბევრი ფანი ჰყავს.**

**— იაპონია უძველესი ტრადიციებისა და კულტურის მქონე ქვეყანაა. საინტერესოა, დასავლეთთან ინტეგრირების პროცესში როგორ ახერხებთ თქვენი თვითმყოფადობის შენარჩუნებას? იგივე პრობლემის წინაშე ჩვენი ქვეყანაც დგას და ტრადიციების მივიწყების პრობლემა ჩვენთვისაც აქტუალურია...**

— ჩვენს ახალგაზრდებს იაპონური კულტურა ძალიან უყვართ. თუმცა ყველას, რა თქმა უნდა, არა. მაგალითად, იკებანა ახალგაზრდა იაპონელ გოგონებში საკმაოდ პოპულარულია; ძალიან ბევრი ახალგაზრდა ჩაის ცერემონიის ტრადიციას სწავლობს. ვფიქრობ, ყველაზე მთავარი ადამიანის ცხოვრებაში არის ის, თუ როგორ გამოიყენოს ფილოსოფია და არა — ტექნიკა.

**— საინტერესოა, თქვენ, როგორც დიპლომატი, როგორ აფასებთ ტალიავინის დასკვნას, რომელმაც საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია?**

**— ვფიქრობ, საკმაოდ ობიექტური დასკვნაა. ზუსტად ამიტომაა, რომ ორივე მხარეს თავისი პრეტენზია აქვს.**

**— როგორია თქვენი აზრი საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით? თუნდაც საქართველოს პატრიაქრის გარშემო აგორებულ შავ პიარზე რას იტყვით?**

— მე ჯერ კიდევ ვსწავლობ საქართველოს პოლიტიკას, რაც ჩემთვის ძნელად გასაგებია.

**მე ვნახე რადიკალური ოპოზიციის პროტესტი ზაფხულში და, სიმართლე გითხრათ, ლოგიკა მთლად ვერ გავიგე — როგორ დაიწყო და როგორ დასრულდა (?!). უფლება არ მაქვს, რომ საქართველოს მოსახლეობას რჩევა მივცე.**

**— როგორც ელჩისთვის, რამდენად ადვილია თქვენთვის საქართველოში მუშაობა?**

— უკვე რვა თვეა, რაც თბილისში ვიმყოფები. ყოველ კვირას ახალ მეგობრებს ვხვდები და ჩემთვის, როგორც ელჩისთვის, ძალიან სასიამოვნოა საქართველოში ყოფნა. როგორც გითხარით, ძალიან ძნელია ქართველების პოლიტიკის გაგება. სხვა ელჩებმა მითხრეს, რომ არანაირი პროგნოზი საქართველოს პოლიტიკაზე არ გავაკეთო. ერთმა ისიც კი მირჩია, რომ არც წარსული შეაფასო, რადგან შეიძლება შეცდეო. დიპლომატისთვის ეს ძალიან ძნელია.

**— დაბოლოს, როდესაც საქართველოში იაპონიის საელჩო იხსნებოდა, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გაჟღერდა, რომ ეს ხელს შეუწყობდა იაპონური ინვესტიციების მოზიდვას, გამართლდა მათი ეს ვარაუდი?**

— ამჟამად იაპონია თვითონ არის ეკონომიკურ კრიზისში. ამ ეტაპზე იაპონელი კომპანიების უმეტესობა სხვაგან დიდი ინვესტიციების დაბანდებას არ გეგმავს. როდესაც საქართველოში ჩამოვედი, იაპონელი ბიზნესმენების ბევრ დელეგაციას შევხვდი, რომლებიც სტამბულში მუშაობენ. დიდი იმედი მაქვს, რომ ერთ დღეს ისინი საქართველოშიც დაიწყებენ ინვესტიციების დაბანდებას.

სალომე გოგოხია

## შტატებში 130 ბანკი აორთქლდა

**გასულ პარასკევს აშშ-ში კიდევ ექვსი ბანკი დაიხურა. 2009 წლის განმავლობაში ქვეყანაში სულ 130 ფინანსურ-საკრედიტო ორგანიზაცია „აორთქლდა“.**




პარასკევს დახურული ბანკების სიაშია ოჰაიოს შტატის „AmTrust Bank“, რომელიც წლის დასაწყისიდან დახურულ ბანკებს შორის სიდიდით მეოთხეა. მისი აქტივები 12 მილიარდ დოლარს შეადგენდა, დეპოზიტების მოცულობა კი — 8 მილიარდ დოლარს.

რეგულატორს მხოლოდ ამ გიგანტის დაზღვევის ხარჯებისთვის ორი მილიარდი დოლარი დაეხარჯება. წლის დასაწყისიდან ამ საქმეს უკვე 20 მილიარდ დოლარზე მეტი მოხმარდა, როცა შარშანდელი მთელი წლის მაჩვენებელი 17,6 მილიარდი დოლარი იყო. FDIC-ის პრობლემური ბანკების სიაში 400-ზე მეტი ამერიკული ბანკია, რომელთა აქტივების საერთო რაოდენობა 300 მილიარდამდე დოლარს შეადგენს. ეს უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ყველაზე ცუდი მაჩვენებელია. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ იმ ბანკების რაოდენობა, რომლებიც „დიდ რეცესიას“ ვერ გადაიტანენ, რამდენიმე ასეულს მიაღწევს. რეგულატორის სტატისტიკის მიხედვით, „შავი სიის“ ფიგურანტების 13% ამ სიას მხოლოდ გაკოტრების ან სხვა ორგანიზაციის მიერ შთანთქმის შემთხვევაში ტოვებენ. ფინანსური კრიზისის ფონზე აშშ-ში ბანკების მასიურმა დახურვამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ უახლოესი ხუთი წლის მანძილზე ბიუჯეტს დაზღვევის სახით დაახლოებით 70 მილიარდი დოლარის გადახდა მოუწევს. სპეციალისტების პროგნოზით, ზოგიერთი ბანკისთვის ერთადერთი გამოსავალი შეერთება იქნება. ბანკების დახურვის უმთავრეს მიზეზად იპოთეკური და სამომხმარებლო სესხების მასიური დაუბრუნებლობა რჩება.

## ობამამ საბიუჯეტო დანახარჯების რეკორდი მოხსნა

**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თავისი პრეზიდენტობის პირველი წლის განმავლობაში საბიუჯეტო სახსრების რეკორდული რაოდენობა დახარჯა.**

2009 წლის სექტემბრის დასასრულისთვის ფედერალური ბიუჯეტის დანახარჯებმა 3,5 ტრილიონი დოლარი შეადგინა. საანგარიშო ფინანსური წელი მოიცავს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მმართველობის უკანასკნელ 3,5 თვეს და ამჟამინდელი პრეზიდენტის 8,5 თვეს.

შედარებისთვის: პრეზიდენტის სავარძელში დებიუტანტმა ბუშმა 2001 წელს სულ რაღაც 1,8 ტრილიონი დოლარი დახარჯა, ისიც, ძირითადად, ინფლაციის გადაფარვას მოხმარდა. იგივე მეთოდით მოქმედებდა ბილ კლინტონი 1993 წელს და 1,6 ტრილიონი დახარჯა. ამასთანავე სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ, მართალია, ობამას ბიუჯეტური დანახარჯები ბევრით აჭარბებს მისი წინამორბედებისას, მოქმედი პრეზიდენტი იძულებულია „თავისი კაბინეტის ირგვლივ ენაგადმოგდებულმა ირბინოს“. 2009 ფინანსური წლის ბოლოსთვის აშშ-ის ბიუჯეტის დეფიციტმა 1,417 ტრილიონი დოლარი შეადგინა, ანუ დაახლოებით 962 მილიარდით გადააჭარბა 2008 წლის მაჩვენებელს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მოცეკვავე შადრევანი წმიდა ილია მართლის ძეგლის სანაცვლოდ

„ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა“.

ილია ჭავჭავაძე

**მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტი წარამარა ჩნდება ილია მართლის პორტრეტის ფონზე და საკუთარ თავს ლამის „ილიას გზის“ მთავარ გამკვალავად მიიჩნევს, ბათუმში ილია ჭავჭავაძის ძეგლის დემონტაჟის გადაწყვეტილება მიიღეს. ერის დაცემისა და გადაგვარების მცდელობას ხედავს ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი ხელისუფლების იმ გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმად, ბათუმში ილია ჭავჭავაძის ძეგლის ადგილის მონაცვლეობა განხორციელდა. ამ გადაწყვეტილების მიზეზად ხელისუფლება ძეგლისთვის ადგილის შეუსაბამობას მიიჩნევს იმ მოტივით, რომ ძეგლი იმ ადგილას კარგად არ „იკითხებოდა“. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით კი, წმიდა ილია მართლის ძეგლის გადატანის მთავარი მოტივი ამ ტერიტორიაზე გასართობი ცენტრის მოწყობის სურვილია, სადაც მიხეილ სააკაშვილი კიდევ ერთი მოცეკვავე შადრევნის გახსნას აპირებს. ბათუმის მერის თქმით, ძეგლის გადატანაზე თანხმობა განაცხადა არქიტექტორმა ვახტანგ დავითაიამაც. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბატონ ვახტანგ დავითაიას კიდევ ერთი ქმნილება, თამარ მეფის ძეგლი, რამდენიმე წელია, ბრინჯაოში ჩამოსასხმელად მზად არის და ხელისუფლებამ მისთვის დედაქალაქში ადგილი ვერ გამონახა. ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიომ“ რამდენიმე თვის წინ მოგითხროთ. მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლებისთვის შადრევნები უფრო დიდი კულტურული და სულიერი ღირებულების მატარებელია, ვიდრე წმიდა ილია მართლის თუ სხვა ეროვნულ მოღვაწეთა ძეგლები. მათ სხვა დატვირთვა მიეცათ, ისინი ხელისუფლებაში სულ სხვა ემოციებს აღძრავენ.**

## რეზო მიშველაძე:

## ამას რომ ერი მოითმენს, ამას რომ ერს გაუბედავენ, ის ერი ბრბოა



— ილია ჭავჭავაძის ძეგლის გადატანა კიდევ ერთი დარტყმაა ქართულ სულიერებაზე, **ეს ხდება „თავისუფლების ინსტიტუტის“ დაკვეთით საქართველოს დემონტაჟისთვის. ეს ახალი ამბავი არ არის. ათი წლის წინათ, როცა თვალებში ჩავხედე სააკაშვილს, მაშინ დავიწყე საუბარი იმაზე, რომ ესენი ყველანაირ სულიერებას წაშლიან, თუ დასცალდათ.** ეს არ არის ბათუმის მთავრობის გადაწყვეტილება. მათ არავინ ეკითხება ამას. ეს არის პირადად სააკაშვილის, რამიშვილისა და ამ სატანების გადაწყვეტილება. ესეც გაბედეს, რომ ილია მართლის ძეგლს შეეხნენ. მიკვირს ოპოზიციის წარმომადგენლებისა. რატომ წავიდნენ მოლაპარაკებებზე?! **რა მოლაპარაკებებზე და არჩევნებზეა საუბარი, როდესაც სამშობლოს კარგავ. თავმოყვარეობა არ აქვს არავის. ამას რომ ერი მოითმენს, ამას რომ ერს გაუბედავენ ის ერი ერი აღარ არის** და ახლა ნუ დაიწყებენ იმის ლაპარაკს, რომ იქ ადგილი არ ვარგოდა და იქეთ გადავწიოთო. კოლხი მედეას, რომლის საქართველოს ისტორიაში არსებობა მე ყოველთვის მრცხვენოდა, ძეგლი უნდა იდგეს ბათუმში, ცენტრალურ მოედანზე, და ილია ჭავჭავაძის ძეგლი უნდა გადასწიონ გვერდით?

**— როგორც ბათუმის მერმა განაცხადა, ძეგლის არქიტექტორ ვახტანგ დავითაიასგან თანხმობა მიიღეს მის გადატანაზე.**

— ვახტანგ დავითაია ძეგლის არქიტექტორია, მაგრამ თავად ძეგლი ერის საკუთრებაა, ერის სულიერი ფასეულობაა. როცა ასეთ ფასეულობებს ეხებიან, ყველაფერს მოსპობენ ნელ-ნელა, თუ დარჩა კიდევ რამე ქართული. ხალხი, რომელიც ამას ითმენს, ის ხალხი ერად არ იწოდება. **ეს არის ბრბო და არა ერი. მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ პოლიციურ სახელმწიფოში, ამოიღებ ხმას და დაგახლიან ტყვიას შუბლში. ეს ყველაფერი ჭიაბერაშვილის კრეტინული გამოსვლებით დაიწყო.** მართლმორწმუნე მართლმადიდებელი ვარ, როგორც ყველა ადამიანი, მეც ცოდვილი ვარ, მაგრამ **როგორ შეიძლება ქართველი კაცი ფროიდს ასეთი დამონებული ჰყავდეს** და ათას სისულელეს ბოდავდეს?! მკითხველს ემახსოვრება, რა განცხადებებიც გააკეთა ჭიაბერაშვილმა ქართლის დედის მონუმენტთან დაკავშირებით. **თევზაძეები, რამიშვილები, თუთბერიძეები — ეს „კმარას კრეტინები“ მოვიდნენ იმიტომ, რომ ყველაფერი ქართული წაშალონ.**

ხელისუფლება, პირველ რიგში, ებრძვის მართლმადიდებლობას და ყველაფერს ქართულს. აჭარა ყოველთვის იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი. მათ სამასწლიანი ბატონობის მიუხედავად, შემოინახეს ქართველობა და ქრისტიანობა. დღეს რაც ხდება, ფერიის მთის მონასტრისა არ იყოს, **ყველაფრის თავიდათავი სააკაშვილია, რომელიც დარბის აქეთ-იქით — ხან შუმახერი, ხან დავით აღმაშენებელი, ხან თავისუფლებისა და დემოკრატიის შუქურაა. ახლა აღმოჩნდა, რომ არის სოკო. შეშლილების ხელში ვართ. ყველა, ვინც ამ ხელისუფლების გვერდით კუნტრუშებს, მხარს უჭერს მათ ასეთ ქმედებებს, პასუხს აგებს ღვთისა და ერის წინაშე.**

## მაყვალა გონაშვილი:

## ეს ძეგლები გორგოჭალებზე ხომ არ დავაყენოთ? ხელისუფლების შეცვლისთანავე ზედმეტი შრომა და ხარჯი რომ არ გაიწიოს და აქეთ-იქით გავაგორ-გამოვაგოროთ?



— ნამდვილად არ მიმაჩნია მართებულად მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ილია მართლის ძეგლისთვის ადგილის შეცვლა. გასართობი ცენტრებისა და ატრაქციონების მშენებლობა უთუოდ საჭირო და ახალგაზრდობისთვის აუცილებელია, მაგრამ ეს **ქართველი ერის მოამაგეების ძეგლთა ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს**. არ შეიძლება, ერთი რომელიმე პირის კაპრიზის გამო მოხდეს ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწის ძეგლის აქეთ-იქით ტარება.

**საქართველოს ხელისუფლება ბოლო 20 წლის განმავლობაში რამდენჯერმე გამოიცვალა. ხელისუფლებაში მოსულ გამსახურდიას სულ სხვა ღირებულებები, ხოლო პრეზიდენტ შევარდნაძეს სხვა შეხედულებები ჰქონდა საზოგადო მოღვაწეებზე...** როგორ მოვიქცეთ?

იმ გმირებს, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე მიიტანეს სამშობლოს სამსხვერპლოზე და რომელთაც მადლიერმა შთამომავლობამ ძეგლი დაუდგა...

ახლა ამ ძეგლებს გორგოლაჭები ხომ არ დავუყენოთ? რათა ხელისუფლების შეცვლისთანავე, ზედმეტი შრომა და ხარჯი რომ არ გაიწიოს, აქეთ-იქით გავაგორ-გამოვაგოროთ?

ეს ყველაფერი ისევ „ქეციანობასთან“ მიდის.

„გულის ფხანა ქეცმა იცის!“ გამოდის, რომ ის ჩინოვნიკები, რომლებიც ამგვარ გადაწყვეტილებამდე მიდიან, ქეციანები არიან? დაე, იყვნენ ქეციანები, ეს მათი საქმეა, ჩვენ კი გვაცადონ, გვკითხონ – რა არის უკეთესი თუ უარესი. ამა თუ იმ ძეგლის ადგილმონაცვლეობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ერთპიროვნულად, არ უნდა იყოს ერთი რომელიმე პირის გადასაწყვეტი.

უნდა შეიქმნას კომისია, რომელშიც შევლენ კულტურის, არქიტექტურის, საპატრიარქოს წარმომადგენლები, რომლებიც ხელისუფლებას რეკომენდაციებს მისცემენ ამა თუ იმ ძეგლის ადგილმონაცვლეობის თაობაზე.

## რეზო ესაძე:

## არ შეიძლება ილიას ძეგლი ისეთი საქმის გამო გადაიტანო, როგორიც შადრევნის ან სკვერის მოწყობაა



— ვინც ამას აკეთებს, საერთოდ არ იცის, რას ნიშნავს ძეგლი, რას ნიშნავს ხელოვნების ეს სახეობა. ეს არის მოდერნისტული შემოქმედება, რომელიც ასეთი სახით ერთადერთია ჩვენს თვალსაწიერში. ეს არის საქმეში ჩაუხედავი ხალხის გადაწყვეტილება, აბსურდული ქცევა. არ შეიძლება, ყველაფერი ერთი ხელის მოსმით შეცვალო. არ შეიძლება, ილიას ძეგლი ისეთი საქმის გამო გადაიტანო, როგორიც დასასვენებელი სკვერების მოწყობაა. ახლა არის ზედაპირულობისა და ფსევდოჭეშმარიტების დრო. **გავაცოცხლოთ ელგუჯა ამაშუკელი, მივცეთ სიტყვა, რომ დაგვადანაშაულოს ყველა. არავინ არ ვართ მართალი მის წინაშე, რადგან ამას ვითმენთ.**

ელგუჯა ამაშუკელი კი, ალბათ, ისევე მიმართავდა ბათუმელებს და, საერთოდ, ქართველებს, როგორც მერაბ ბერძენიშვილმა მიმართა ქუთათურებს ქუთაისში შინმოუსვლელთა მემორიალთან დაკავშირებით:

დღეს, როცა სულიერებისაკენ ვისწრაფით, შუაგულ ქალაქში მემორიალი ავაზაკებმა დაარბიეს, ალბათ, გაძარცვის მიზნით, რელიეფი გამოანგრიეს! **ხვალ ცხენოსან „მზეჭაბუკს“ შეეხებიან გასანადგურებლად, რომელიც იმერთა მშვენიერების, მათი ცხოვრების არსის სიმბოლოდ გამიკეთებია, მაგრამ, ვაგლახ, რომ სტომაქის ღირსება უფრო ფასობს. ფუი, იმ ქუთათურს, რომელიც საკუთარ ღირსებასა და მშვენიერებას პატივს აყრის და მიენდობა საწუთროს სიმახინჯეს.** საკვირველია, პეტერბურგელმა ქალბატონმა ლიდია ლებედინსკაიამ თქვენი მემორიალის ნახვით აღფრთოვანებულმა ჟურნალ „ნევის“ მეშვეობით მთელ მსოფლიოს ამცნო ამ ძეგლის მაღალმხატვრულობა და ღირსება, მნიშვნელობა, ქუთათური კი არბევს მას! თქვენ, მშვენიერნო, ამაღლებული სულის მატარებელნო ქართველნო! სად გაქრა თქვენი ხედვის ესთეტიკური კრედო, ასე გამორჩევით და ჭარბად რომ იყო თქვენს ჯიშში. განა დღევანდელ დღეზე ნაკლები მძიმე დღეები გადაუტანია თქვენს წინაპარს, ციხე-კოშკები, ტაძრები რომ ააშენა და დაგიტოვათ? **ავაზაკი იმიტომაა ავაზაკი, სიბილწე უნდა ჩაიდინოს, დაანგრიოს, დააქციოს, ხოლო სიკეთემ უნდა აღაშენოს**. ერთი ლიტერატურული გმირისა არ იყოს, „ასეა ეს!“

ეს უბრალო, რიგითი შინმოუსვლელის ძეგლი არ არის. აქ სიღრმეა მომავლის ჭვრეტისა. უნდა მოუაროთ, აღადგინოთ.

მემორიალი ჩვენს საუკუნეშია შექმნილი და, თუ მომავლის გწამთ, დაუტოვეთ ჩვენი ფიქრი და განძი მომავალ თაობებს. **როცა ზარი რეკს, ადამიანის სულში ემოციური ძვრები ხდება. თქვენთან მემორიალზე კი დუმან, ბუტაფორიად ქცეულან. რატომ? ზარი ჭეშმარიტების მსახურია, ბატონებო, და არა — სიყალბის. მემორიალის რელიეფის ერთი ნაწილი გამოგლეჯილია! ის ჩემი გულის ნაწილია. ამიტომ ჩემი გულისტკივილი თუ მძაფრად გამოვხატე, მომიტევეთ, ბატონებო!**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის მოსახლეობამ და ამ ქალაქში არსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაახლოებით 4 ათასამდე ხელმოწერა შეაგროვეს, რომლითაც პროტესტს გამოთქვამდნენ წმიდა ილია მართლის ძეგლის ადგილმონაცვლეობის თაობაზე, მაგრამ მათი ხმა დარჩა „ხმად მღაღადებლისა შინა“.

ბრინჯაოში გამოხატული ქართული სულის ხელყოფა, როგორც ჩანს, მოუგვარებელი პრობლემაა, რადგან „რესპუბლიკის მოედნიდან“ დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანას რუსთავში შოთა რუსთაველის ძეგლის ადგილმონაცვლეობა მოჰყვა, **ახლა ილია ჭავჭავაძის ჯერია და ვრცელდება ინფორმაცია, რომ მათი ბედი შესაძლებელია გალაკტიონმაც გაიზიაროს, რადგან ვაკეში მიმდინარე ფეშენებელური საცხოვრებელი სახლების მშენებლობებს უშლის ხელს.**

**ნანა ლალაძიშვილი**

# სამლოცველოც მე დავანგრიე?

**1 დეკემბერს თბილისის აეროპორტში მე და ჩემს უფროს კოლეგას, ისტორიკოს სერგეი მირონენკოს საქართველოში შესვლაზე უარი გვითხრეს. ქართველ მესაზღვრეებს ამის მიზეზები არ აუხსნიათ. ქვეყანაში შესვლაზე უარის თქმის აქტის ასლში, რომელიც თბილისიდან სომხეთში ჩასულებს სომხეთის სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა მოგვცეს, გრაფაში „უარის მიზეზი“ მონიშნულია პუნქტი „სხვა კანონიერი საფუძველი უარისათვის“.**



რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერ-თანამშრომელმა ალექსეი მილერმა და საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორის მრჩეველმა არტემ მალგინმა, რომლებიც თბილისში ჩვენთან ერთად მოდიოდნენ, ქვეყანაში შესვლაზე ნებაყოფლობით განაცხადეს უარი.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ და საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტმა მომხდართან დაკავშირებით სინანული გამოთქვეს, არშემდგარი მოგზაურობის ყველა მონაწილემ ჟურნალისტებთან საკმაო კომენტარები გააკეთა. შეიძლებოდა, აღარც დავბრუნებოდით ამ ისტორიას, მაგრამ 2 დეკემბერს, საღამოს, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პირადად მოაწერა ხელი ქვეყანაში შესვლაზე უარის გადაწყვეტილებას. „რუსეთის ფედერაციის ის მოქალაქეები, რომლებიც წუხელ საზღვარზე არ გადმოუშვეს, რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობენ“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანმა მანანა მანჯგალაძემ.

მანამდე სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში უკვე დაგვადანაშაულა პარლამენტის დეპუტატმა გია თორთლაძემ. „ეს ადამიანები რუსეთის სახელმწიფო უშიშროების მაღალჩინოსნები, პუტინისა და მედვედევის უახლოესი გარემოცვის წევრები არიან და რუსეთში უდიდეს ფინანსურ სახსრებს აკონტროლებენ“, — ამბობს დეპუტატი. მოგზაურობის ერთ-ერთი მონაწილის ალექსეი მილერის შესახებ მან განაცხადა, რომ ის „ევროპაში ნავთობის მიწოდების ჩრდილოეთ მიმართულებებს ხელმძღვანელობს“ და საქართველოში ჩადის, რათა გაზსადენ „ნაბუკოს“ პროექტის განხორციელება ჩაშალოს. არაკონტროლირებადი ასოციაცია: ისტორიკოსი მილერი „გაზპრომის“ მმართველობის ხელმძღვანელის სეხნია და მოგვარეა.

დეპუტატი იმის დეპუტატია, რომ ხანდახან უაზრობები ილაპარაკოს, მაგრამ რადგან სააკაშვილიც ეთანხმება მის სიტყვებს, როგორც ჩანს, პოლიტიკური გადაწყვეტილებაა.

საქართველოში გამგზავრება სექტემბრის ბოლოდან იგეგმებოდა, მას შემდეგ, რაც თბილისში ქართველ კოლეგებთან შესაძლო თანამშრომლობის მთავარი შტრიხები განვიხილე. მაშინ საზღვარზე არანაირი სირთულე არ შექმნილა. ჩანაფიქრი იმაში მდგომარეობდა, რომ პოლიტიკურ საკითხებთან მინიმალური შეხებით საქართველოში რუსეთის შესახებ, რუსეთში კი საქართველოს შესახებ არსებული ცოდნა გაგვეფართოვებინა. ამით აიხსნება თბილისში გამგზავრებულ მეცნიერთა ჯგუფის შემადგენლობა — მათ შორის იყვნენ მხოლოდ კავკასიის საკითხთა სპეციალისტები, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ისტორიულ მეცნიერებათა დამსახურებული წარმომადგენლები. მათი გამოსვლების თემები არ ეხებოდა არც ქართულ-რუსულ ურთიერთობებს, არც საქართველოს შიდაპოლიტიკურ სიტუაციებს, ცხადია, არც მიხეილ სააკაშვილის პიროვნებას. მაგალითად, ალექსეი მილერს უნდა გაეკეთებინა მოხსენება „ზესახელმწიფოს“, „დიდი სახელმწიფოსა“ და „იმპერიის“ ცნებები თანამედროვე რუსულ პოლიტიკაში“. არტემ მალგინი აპირებდა, მოეთხრო რთულ საკითხებთან დაკავშირებით რუსულ-პოლონური ჯგუფის მუშაობის გამოცდილებაზე. სერგეი მირონენკომ თანხმობა განაცხადა, მონაწილეობა მიეღო „მრგვალი მაგიდის“ „საქართველოსა და რუსეთის სამეცნიერო და ექსპერტთა საზოგადოებების თანამშრომლობის პერსპექტივები და მიმართულებები“ მუშაობაში. სპეციალურად ამ „მრგვალი მაგიდისათვის“ მოსკოვიდან თბილისში ჩამოსასვლელად მზად იყო ჟურნალ „რუსეთის ისტორიის“ (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის გამოცემა) მთავარი რედაქტორი ანდრეი მედუშევსკი — მას სურდა, მოხსენებით გამოსულიყო ჟურნალის კონცეფციისა და იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება შეეხოს ჟურნალი საქართველოს ისტორიის თემატიკას და როგორ უნდა მიიღონ მონაწილეობა ამ საქმეში ქართველმა ისტორიკოსებმა.

არავინ აპირებდა, ისე დაეჭირა თავი, თითქოს რუსეთსა და საქართველოს შორის არაფერი მომხდარა. ეს შეუძლებელია. არავინ აპირებდა, მოეწოდებინა ქართველი კოლეგებისთვის, „ძველებურად ესვათ ღვინო და ემღერათ“. ჩანაფიქრი სამი მარტივი თეზისიდან მომდინარეობდა. პირველი: მეცნიერებს არ შეუძლიათ, გადაწყვიტონ მოსკოვსა და თბილისს შორის პოლიტიკური უთანხმოების საკითხები; მეორე: ეს უთანხმოებები გადაუჭრელია იმ ღრმა ურთიერთგაუგებრობისა და ორი ქვეყნის მხრიდან ერთმანეთზე ცოდნის იმ დეფიციტის პირობებში, რომელიც ახლაა; მესამე: მეცნიერებს შეუძლიათ, დაძლიონ ცოდნის დეფიციტი, სწორედ ესაა მათი საქმე.

გამგზავრებისთვის მზადებაზე ცნობა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ქართულ ტელევიზიას დაეწყო მსჯელობა იმაზე, უნდა შეგვიშვან თუ არა საერთოდ საქართველოში. ამას მოჰყვა ქვეყანაში შეშვებაზე უარი და დეპუტატ თორთლაძის მგზნებარე გამოსვლა.

არ ვიცი, რა საკითხები დაიდება მაგიდაზე, როდესაც რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების მოგვარება დაიწყება. არ ვარ მზად, წინასწარ რაიმე ვივარაუდო ამ საკითხთან დაკავშირებით, ცხადია მხოლოდ ის, რომ ამგვარ საკითხთა წრის ხელოვნურად შეზღუდვა არ გამოვა. მაგრამ ცოდნის დაგროვება და სამეცნიერო კონტაქტების გაფართოება ის საფეხურია, რომელსაც ხანგრძლივი დარეგულირებისკენ მიმავალ გზაზე გვერდს ვერ აუვლი. უღრმესი მადლობა ყველას რუსეთშიც და საქართველოშიც, ვისაც ეს ესმის. უკიდურეს შემთხვევაში, როგორც ნაცადი ხერხით გავარკვიეთ, საწინააღმდეგო ერთადერთი არგუმენტი სახელმწიფოს პირველი პირის სახელით ქვეყანაში შეშვებაზე უარის თქმა და სპეცსამსახურებთან კავშირში დადანაშაულებაა.

სერგეი მირონენკო არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივის დირექტორი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის რუსეთის ისტორიის კათედრის გამგე. მისი წიგნი „თვითმპყრობელობა და რეფორმები: პოლიტიკური ბრძოლა რუსეთში XIX საუკუნის პირველ მეოთხედში“ კლასიკად იქცა. მისი რედაქციით გამოიცა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივის გზამკვლევი ექვს ტომად, დეკაბრისტების აჯანყებასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, შრომა-გასწორებითი ბანაკების მთავარი სამმართველოს (ГУЛАГ) ისტორიის ამსახველი დოკუმენტების შვიდტომეული. უთუოდ გენერალია?

ნიკოლაი სილაევი — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის კავკასიურ კვლევათა ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ჟურნალ „ექსპერტის“ პოლიტიკის განყოფილების რედაქტორი, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ამსახველი დოკუმენტების კრებულის შემდგენი. ლეიტენანტობას გაქაჩავს?

**ნიკოლაი სილაევი,**
**ჟურნალ „ექსპერტის“ პოლიტიკის განყოფილების რედაქტორი**

# რამდენიმე წელია, პენტაგონს ბენ ლადენზე არაფერი სმენია

**აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა აღიარა, რომ მის უწყებას უკვე რამდენიმე წელია, ოსამა ბენ ლადენის ადგილსამყოფელის თაობაზე არანაირი ინფორმაცია არ მიუღია. ეს განცხადება მინისტრმა ტელეგადაცემაში „This Week“ გააკეთა, შემდეგ კი გადაცემის წამყვანი დაიმედა, რომ ვიცოდე, სად არის ნომერ პირველი ტერორისტი ოსამა ბენ ლადენი, ის უკვე დაპატიმრებული იქნებოდაო.**



ნოემბერში აშშ-ის სენატის საგარეო პოლიტიკის კომიტეტმა გამოაქვეყნა მოხსენება, რომელიც 2001 წელს ობამას დაკავების ან განადგურების ოპერაციის ჩაშლას ეხებოდა. ამ წარუმატებლობისთვის პასუხისმგებლობას სენატორები აშშ-ის თავდაცვის ექსმინისტრს — დონალდ რამსფელდსა და ავღანეთში ამერიკული ჯარების მეთაურს — გენერალ ტომი ფრენკსს.

ოპერაციის ჩავარდნას სპეციალისტები იმას უკავშირებენ, რომ ამერიკულმა სარდლობამ ბენ ლადენის ლიკვიდაციისთვის არასაკმარისი რაოდენობის ძალები გამოყო. შედეგად „ალ-ქაიდას“ მეთაურმა უპრობლემოდ დატოვა თავისი ავღანური თავშესაფარი და პაკისტანის ძნელად მისადგომ მთიან რაიონში გადაბარგდა.

ოსამა ბენ ლადენი იმ უმსხვილესი ტერორისტული ქსელის „ალ-ქაიდას“ ხელმძღვანელია, რომელმაც 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ იორკსა და ვაშინგტონში ტერორისტული აქტები განახორციელა. გარდა ამისა, ამერიკული სამხედრო ხელმძღვანელობის აზრით, „ალ-ქაიდა“ სხვა ყველა ტერორისტული ორგანიზაციისთვის ორგანიზატორის ფუნქციას ასრულებს და საიმედო დასაყრდენს წარმოადგენს.

სპეციალისტების მტკიცებით, „ალ-ქაიდას“ აქტივობა და ისლამისტებს შორის მისი გავლენა ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის აქტივობის პირდაპირპროპორციულია. ამასთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ „ალ-ქაიდა“ სხვა არაფერია, თუ არა მითი, რომელსაც დასავლელი პოლიტიკოსები მტრის ხატის შესაქმნელად და ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში ამერიკის ჩარევის გასამართლებლად იყენებენ.

# რუსეთი ავღანეთიდან ამერიკული ჯარის გასვლის მომხრეა



**კრემლი კმაყოფილია ავღანეთში ამერიკული კონტინგენტის 30 ათასი ადამიანით გაზრდის თაობაზე ობამასეული გეგმებით. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, რეგიონის სტაბილიზაცია მის ინტერესებშიცაა.**

ბოლო პერიოდში გახშირდა ავღანეთის რუსი ვეტერანების განცხადებებიც. მაგალითად, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სპეცდანიშნულების ელიტარული ქვედანაყოფის „ალფას“ ყოფილი მეთაურის გენადი ზაიცევის განცხადებით, მეტი ჯარისკაცი, უბრალოდ, მეტ მიცვალებულს ნიშნავს. ავღანეთში ნაბრძოლი გენერალი იგორ როდიონოვი საბჭოთა გამოცდილებაზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ კონტინგენტის შემდგომი გაზრდა უაზრობაა.

მოსკოვში ობამას განცხადებასთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულებაა. უკანასკნელი წლების განმავლობაში რუსეთში ამერიკელების ავღანურ წარუმატებლობებზე გარკვეული კმაყოფილებითაც საუბრობდნენ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ოპერაციის ჩაშლით რუსეთი ნამდვილად არაა დაინტერესებული, სხვა თუ არაფერი, ამ ქვეყანასთან უშუალო მეზობლობის გამო.

მაგრამ რა ელის ავღანეთს ამერიკული ჯარის გასვლის შემდეგ? საბჭოთა კავშირმა ქვეყნიდან წასვლის შემდეგ იქ თავისი „ერთგული ვასალი“ ნაჯიბულა დატოვა და სტაბილური მხარდაჭერის შედეგად რამდენიმე წელსაც გააძლებინა. „ახლა დასავლეთს მეორე ნაჯიბულას მსგავსი ვიღაც სჭირდება“, — ამბობს ჟურნალის „რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში“ მთავარი რედაქტორი ფიოდორ ლუკიანოვი, რომელიც ეჭვობს, რომ ამ როლისთვის ავღანეთის ახლანდელი პრეზიდენტი ჰამიდ კარზაი გამოდგეს.

# გაიტნერმა აშშ-ის ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების პირობა დადო

**აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა ტიმოთი გაიტნერმა პირობა დადო, რომ ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტს საერთო შიდა პროდუქტის 3%-მდე შეამცირებს. ამ ნიშნულს საერთაშორისო სავალუტო ფონდი, როგორც წესი, განვითარებად ქვეყნებს სთავაზობს ხოლმე რეკომენდაციის სახით. მინისტრის თქმით, ამ მაჩვენებლამდე მიღწევა გარკვეული დროის შემდეგ იქნება შესაძლებელი.**



რამდენია კონკრეტულად ეს დრო, გეიტნერს არ განუმარტავს. 30 სექტემბერს დასრულებული 2009 ფინანსური წლის შედეგების მიხედვით, აშშ-ის ბიუჯეტის დეფიციტი საერთო შიდა პროდუქტის 10%-ს აღწევს. ეს ციფრი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ყველა რეკორდს ხსნის. 2008 წელს აშშ იძულებული გახდა, მნიშვნელოვნად გაეზარდა საბიუჯეტო დეფიციტი. მაშინ ის საბანკო სექტორის გადარჩენისა და ეკონომიკის სტიმულირებისთვის უდიდეს სახსრებს სესხულობდა. 2008 წლის დეფიციტმა 455 მილიარდი დოლარი შეადგინა. აშშ-ის სახელმწიფო ვალი მნიშვნელოვანწილად ბიუჯეტის დეფიციტის ხარჯზე იზრდებოდა და ახლა 12 ტრილიონ დოლარს, ანუ საერთო შიდა პროდუქტის 85%-ს შეადგენს. 2007 წელს ფინანსური კრიზისის დაწყებამდე ვალი 65%-ს არ აღემატებოდა. მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფო ვალის ესოდენ სწრაფმა ზრდამ ქვეყნის პოლიტიკური და საქმიანი ელიტის წარმომადგენელთა შეშფოთება გამოიწვია. მაგალითად, ინვესტორ-მილიარდერმა უორენ ბაფეტმა არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ განაცხადა, რომ თუ სახელმწიფო ვალი ამ ტემპით განაგრძობს ზრდას, ამერიკა მალე „ბანანის რესპუბლიკად“ იქცევა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net


## ნათია ლაზაშვილი:

# ოპოზიციამ სერიოზული შეცდომები დაუშვა, დიდია ალბათობა, რომ ამ შეცდომებს გაიმეორებს

**დღეს ჟურნალისტების დიდი ნაწილი ქართულ მედიასივრცეში თავისუფალი სიტყვის სათქმელად ქვეყნის დამოუკიდებლობასთან ერთად მოვედით. დეკლარირებული დამოუკიდებლობისა და ფასადური დემოკრატიის მიუხედავად, წლების მანძილზე „ნავსადგურში" საცდურად მუდმივად იდგა „ხელმწიფის ნავი", რომელიც მოგვიანებით „დეპოში" მდგარმა სააკაშვილისეულმა „ჩქაროსნულმა მატარებელმა" ჩაანაცვლა... ახტომა, ჩახტომა და გადახტომა — ეს ის „მარშრუტები" იყო, რომლებიც სამოქალაქო სექტორმა მეტ-ნაკლები შეცდომებით გაიარა და შესაბამისად, არც ჟურნალისტები აღმოვჩნდით ამ შეცდომებისგან დაზღვეულები. მარტივი ლოგიკისა და მძიმე ბრალდების მიუხედავად, ამ ოცი წლის მანძილზე დაშვებული შეცდომები პოლიტიკოსებმა, საზოგადოებამ და ჟურნალისტებმა ერთდროულად უნდა გადავინაწილოთ. ვის მიუძღვის ლომის წილი და ვისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება მხოლოდ „პასიური თანამონაწილეობით", ამას დრო გამოავლენს. დღეს მხოლოდ ერთი რამ არის ცხადი — არ არსებობს თავისუფალი ჟურნალისტიკა იქ, სადაც საზოგადოება არ არის თავისუფალი და, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, ეს თავისუფლებისთვის ბრძოლაა... „საქართველო და მსოფლიო" სიტყვის თავისუფლების პრობლემებსა და სხვა საკითხებზე „რუსთავის 2"-ის ყოფილ სახეს — ნათია ლაზაშვილს ესაუბრა.**



## დღეს ოპოზიციაში ლუსტრაციის პროცესი მიმდინარეობს

**— როგორ აფასებს ამჟამად მაყურებელი ნათია ლაზაშვილი დღევანდელ ქართულ ტელესივრცეს?**

—ქართული ჟურნალისტიკა დღეს აღარ არის ძალა. ის აღარ არის პრესტიჟული პროფესია, რაც, პირველ რიგში, ჟურნალისტების ბრალია. მე არ ვგულისხმობ თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებულ ცალკეულ ჟურნალისტებს, რომლებიც რისკის ფასად აკეთებენ რეპორტაჟებს, იღებენ ფილმებს და წერენ სტატიებს. მედია საზოგადოების სარკე უნდა იყოს და საზოგადობას რეალობას უჩვენებდეს. არის ეს ასე? აშუქებს დღეს რომელიმე სატელევიზო არხი, რეალურად რა ხდება სამედიცინო სფეროში, განათლების სისტემაში, როგორ მიმდინარეობს ქონების გადანაწილება, რა ხდება პენიტენციალურ სისტემაში, როგორ და რა ხერხებით ივსება ბიუჯეტი?! თემები ხელის გულზე დევს, მაგრამ, რასაკვირველია, ამ ფაქტების მოძიებაზე ადვილი რომელიმე პოლიტიკოსის პრესკონფერენციის გაშუქებაა.

**— თუნდაც ამ სამართლიანი კრიტიკის ფონზე არ ნანობთ, თავის დროზე ჟურნალისტიკიდან პოლიტიკაში გადასვლას? საინტერესოა ისიც, თავად, როგორც ჟურნალისტი, სად და რომელ ეტაპზე იყავით აბსოლუტურად თავისუფალი?**

— სანანებელი არსად, არასდროს არაფერი მიკეთებია — არც ჟურნალისტიკაში და არც პოლიტიკაში. არასოდეს წავსულვარ ჩემი სინდისის წინააღმდეგ. ჩემს საქმიანობაში ოდნავი ჩარევის მცდელობაც კი როგორ მთავრდება, ყველაზე კარგად ქიბარ ხალვაშმა გამოსცადა და ეს თავადაც მოყვა ერთ ერთ ინტერვიუში. ჩვენ სწორედ მას შემდეგ დავმეგობრდით, რაც სერიოზული დაპირისპირება მოგვივიდა. „კურიერის" საქმიანობაში მისი მხრიდან ჩარევის ეს პირველი და უკანასკნელი მცდელობა იყო. შემიძლია კიდევ ერთი ადრინდელი მაგალითი მოგიყვეთ: ერთ დღეს „ნიუსრუმში" ეროსი კიწმარიშვილი მირეკავს და ერთ-ერთ კომერციულ ორგანიზაციაზე მეუბნება: „მესმის, რომ ამას არ უნდა გეუბნებოდე და ძალიან დიდ ბოდიშს გიხდით ამისთვის, მაგრამ, თუ შესაძლებელია, იქნებ, ამ ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია მესამე ბლოკიდან მეორეში აიტანოთო".

ამ ორგანიზაციას მაშინ „რუსთავი 2"-ზე რეკლამა ჰქონდა განთავსებული და, ალბათ, კიდევ მეტი უნდა მოეტანა. დამერწმუნეთ, ეროსი

## ...სანამ ოპოზიცია არ გაიწმინდება ძალაუფლებას, გავლენასა და ფულს დახარბებული ადამიანებისაგან, სანამ ქვეყნის ინტერესებს საკუთარ ამბიციებზე მაღლა არ დააყენებენ, წარმატებას ვერ მიაღწევენ...

კიწმარიშვილის ბოდიშის მიუხედავად, იმ წუთში აბსოლუტურად ჩემზე და ჩემს კოლეგებზე იყო დამოკიდებული, სად მოხვდებოდა, და მოხვდებოდა თუ არა საერთოდ, იმ დღის მთავარ საინფორმაციოში ამ კომპანიის კადრები. საერთოდ, რაც დღეს ქართულ მედიასივრცეში ხდება, ეს მხოლოდ ხელისუფლების ბრალი არ არის. ამაში მთავარი დამნაშავეები ჟურნალისტები ვართ!

**— დღეს უკვე აღარავინ დაობს იმაზე (თვით ეროსი კიწმარიშვილიც კი), რომ „ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთი შემოქმედი „რუსთავი 2" იყო. ნებით თუ უნებურად ამ პოლიტიკას მეტ-ნაკლებად ყველა ჟურნალისტი ატარებდა. არც ამის გამო გაქვთ სინანული როგორც მთავარი საინფორმაციო გამოშვების წამყვანს?**

— ძალიან მიკვირს, თუ ვინმე არ დაობს ამაზე. ჩვენ არც ვალამაზებდით მოვლენებს და არც ვამახინჯებდით. დღევანდელი „რუსთავი 2"-ის მსგავსად ხელისუფლებას ფერუმარილით არ ვალამაზებდით.

რას ნიშნავს „ნებით თუ უნებურად"? „რუსთავი 2"-ში ზრდასრული ადამიანები მუშაობდნენ და უნებურად იქ არავის არაფერი უკეთებია. ეს იყო ქართული ჟურნალისტიკის ოქროს ხანა! დრო, როდესაც არათუ ხელისუფლების წარმომადგენელი, არამედ ტელეკომპანიის მფლობელიც კი ვერ ბედავდა ჟურნალისტისთვის რაიმე დაეკვეთა. სინანული კი არა, ამაყი ვარ, რომ მე ვმუშაობდი ქართული ჟურნალისტიკის რენესანსის ეპოქაში. მე ვიყავი იმ დროის აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო ტელევიზიის ჟურნალისტი, მე ვიყავი იმ ტელეკომპანიის სახე, რომელზე დაყრდნობითაც აშუქებდა მსოფლიო მედია საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და ეს იმიტომ, რომ ყველაზე მაღალი ნდობის ხარისხი მაშინ მთელ საქართველოში „რუსთავი 2"-ს ჰქონდა.

**— რამ განაპირობა პოლიტიკაში ირაკლი ოქრუაშვილის გუნდთან ერთად შენი მოსვლა, ფიქრობდი, რომ ჟურნალისტიკაში საკუთარი შესაძლებლობები ამოწურე? თუ მთავარი ფაქტორი ირაკლი ოქრუაშვილის ნოვაციური „პოლიტგარდასახვა" გახდა?**

—არც მაშინ და არც არასდროს მიფიქრია, რომ მე ამოვწურე ჩემი თავი ჟურნალისტიკაში. „უმჯობესია, აკეთო ახალი ამბები, ვიდრე მასზე ილაპარაკო," — ეს ჩერჩილის სიტყვებია და სწორედ მაშინ დავთანხმდი ირაკლი ოქრუაშვილის შემოთავაზებას, როდესაც ეს სიტყვები წავიკითხე.

მე არასდროს მიმუშავია მართულ ტელევიზიაში და ზუსტად ვიცი, რომ ვერც ვერასდროს ვიმუშავებ.

**— მოგვიანებით, ირაკლი ოქრუაშვილის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, როგორ ან რატომ აღმოჩნდი ლევან გაჩეჩილაძის საარჩევნო შტაბში?**

— მე კი არა მთელი ოპოზიცია (და არა მხოლოდ ოპოზიცია) და 7 ნოემბრით შეურაცხყოფილი ქართველი ხალხი აღმოჩნდა მაშინ ლევან გაჩეჩილაძის საარჩევნო შტაბში. იმ დროისთვის ყველა — თავად ირაკლი ოქრუაშვილიც — ერთ კანდიდატზე მუშაობდა და ეს საერთო სახალხო მოძრაობის გადაწყვეტილებით ლევან გაჩეჩილაძე იყო. საერთოდ არ მიყვარს, როდესაც სტატუსს მანიჭებენ, ამიტომ, როდესაც გაჩეჩილაძემ მის პიარ კამპანიაზე მუშაობა შემომთავაზა, რაიმე სტატუსის მინიჭების წინააღმდეგი ვიყავი, — მთავარია რას აკეთებენ და როგორ. საბოლოოდ შევთანხმდით, რომ ამ საკითხში მე მისი თანაშემწე ვიქნებოდი და ვფიქრობ, რომ არ შევცდი — 5 იანვარს ჩვენ მიხეილ სააკაშვილს საპრეზიდენტო არჩევნები მოვუგეთ!

**— და ამ „მოგების" მიუხედავად, დღეს პოლიტიკური პროცესების მიღმა ხარ. სამუდამოდ ჩამოშორდი პოლიტიკას თუ ეს მიმდინარე პროცესებით დროებითი განხიბლვაა?**

— პოლიტიკური პროცესების ხიბლში არასდროს ვყოფილვარ და აბსულუტურად ადეკვატურად ვაფასებდი ყველას შესაძლებლობებს. უბრალოდ, ძალიან ბევრი რამე უფრო ახლოდან დავინახე და ადამიანების შეცნობის უფრო დიდი გამოცდილება შევიძინე. ვფიქრობ, რომ ოპოზიციამ სერიოზული შეცდომები დაუშვა და ძალიან დიდია ალბათობა, რომ ამ შეცდომებს გაიმეორებს. არ ხდება წარსულის რეალური ანალიზი. სანამ ოპოზიცია არ გაიწმინდება ძალაუფლებას, გავლენასა და ფულს დახარბებული ადამიანებისაგან, სანამ ქვეყნის ინტერესებს საკუთარ ამბიციებზე მაღლა არ დააყენებენ, წარმატებას ვერ მიაღწევენ. დღეს ოპოზიციაში ლუსტრაციის პროცესი მიმდინარეობს. ვფიქრობ, კანონზომიერია, რომ მხოლოდ მაშინ შეიცვალოს ხელისუფლება, როცა ჩვენ ყველა პოლიტიკური მოთამაშის რეალურ სახეს დავინახავთ.

**—თავად სად ხედავს საკუთარ მომავალს ნათია ლაზაშვილი – პოლიტიკაში თუ ჟურნალისტიკაში?**

— არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მივიღებ მომავალში, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემს თავს სწორედ ჟურნალისტიკაში ვხედავ, იმიტომ, რომ დროა, ქართულ ჟურნალისტიკას ე. წ „მეორე სუნთქვა" გაეხსნას, სხვა შემთხვევაში ამ ქვეყნაში ეს პროფესია მოკვდება.

ერთხელ უკვე ვთქვი და შემიძლია იგივე გავიმეორო: პოლიტიკაშიც იგივე საქმეს ვაკეთებდი, რაც ვიცი. არ ვყოფილვარ არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი და არასოდეს მქონია იმის ამბიცია ან მცდელობა, რომ საპარლამენტო სიაში მოვხვედრილიყავი. ჟურნალისტიკიდან პოლიტიკამდე ჩემი გზა ჩემი პროფესიის დაბრუნებაზე გადის. მინდა, მე, თქვენ და ჩვენი ათასობით კოლეგა თავისუფალ გარემოში მუშაობდეს მხოლოდ საკუთარი სინდისის კარნახით. აი ეს არის მთელი ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობის პოლიტიკა!

## ...როგორც მაყურებელს არ მაინტერესებს, რატომ მიმალავს სიმართლეს ჟურნალისტი — იმიტომ, რომ აშინებენ, იმიტომ, რომ ოჯახი ჰყავს სარჩენი, იმიტომ, რომ კრედიტი აქვს გასასტუმრებელი თუ იმიტომ, რომ პროფესიონალიზმი არ ჰყოფნის ან თვითცენზურის მსხვერპლია. მე ვიცი, რომ ასეთ ადამიანს არც ერთ ქვეყანაში ჟურნალისტი არ ჰქვია...

ვერ გეტყვით, რომელ ტელეკომპანიაში დავბრუნდები, მაგრამ სახელისუფლოში რომ არა, ეს ზუსტად ვიცი. მითითებებს, ბრძანებებსა და დაკვეთებს ვერ ვასრულებ, პირიქით — აბსოლუტურად უკონტროლო ვხდები. გამოცდილებაც მხოლოდ დამოუკიდებელ კომპანიებში მუშაობისა მაქვს: „იბერვიზია" და „რუსთავი 2". რაც შეეხება იმას, თუ სად ვხედავ ჩემს თავს, გასართობ პროგრამაში რომ არა, ეს ზუსტად ვიცი. საინფორმაციო პოლიტიკა — ეს არის ის, რაც ვიცი, რისი გამოცდილებაც მაქვს და რისი კეთებაც სიამოვნებას მანიჭებს.

**— მიგაჩნია თუ არა, რომ პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს შორის მეგობრული (თუნდაც ფამილარული) ურთიერთობები, ყველაზე მიუკერძოებელ შემთხვევებშიც კი, პროფესიული დამოუკიდებლობის ხარისხს ამცირებს?**

—ნეტავი მხოლოდ ფამილარობა იყოს დღეს ქართული ჟურნალისტიკის პრობლემა. იყო დრო, როდესაც საქართველოშიც, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, პოლიტიკოსისგან არათუ ძვირადღირებული საჩუქრის, არამედ უბრალო კალმის მიღებაც კი, ცუდ ტონად ითვლებოდა... არაფერს ვამბობ რესტორნებსა და ღამის კლუბებში პოლიტიკოსებთან ერთად გართობაზე. ურთიერთობას ვერავის აუკრძალავ და მეგობრებსაც ვერ შეურჩევ ადამიანებს. ჟურნალისტმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რა უშლის ხელს მას პროფესიულ საქმიანობაში და საკუთარ სინდისთან მართალი უნდა იყოს.

**—ქვეყანაში, სადაც ინგა გრიგოლია, ნათია ლაზაშვილი, ეკა ბერიძე, კოკა ყანდიაშვილი და ა.შ., ანუ პროფესიონალთა მთელი ჯგუფი, სხვადასხვა მიზეზებით კადრს მიღმა დარჩა, შენი აზრით, სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება დაცულია?**

—არა, ოღონდ არა იმიტომ, რომ ჩვენ აღარ ვართ კადრში, არამედ იმის გამო, რომ ვინც კადრში დარჩნენ, ისინი არ ამბობენ სიმართლეს. საქართველოში იმიტომ კი არ არის შეზღუდული სიტყვის თავისუფლება, რომ ყოველდღე 9 საათზე ნათია ლაზაშვილს აღარ მიყავს „კურიერი", არამედ იმიტომ, რომ „კურიერიც", „მოამბეც" და „ქრონიკაც" ხელისუფლებიდან იმართება. მე, როგორც მაყურებელს, არ მაინტერესებს, რატომ მიმალავს სიმართლეს ჟურნალისტი (იმიტომ, რომ მას აშინებენ, იმიტომ, რომ მას ოჯახი ჰყავს სარჩენი, იმიტომ, რომ მას კრედიტი აქვს გასასტუმრებელი თუ იმიტომ, რომ პროფესიონალიზმი არ ჰყოფნის ან თვითცენზურის მსხვერპლია). მე ვიცი, რომ ასეთ ადამიანს არც ერთ ქვეყანაში ჟურნალისტი არ ჰქვია. მე ვიცი, რომ ჟურნალისტის ტყუილებით ან, უკეთეს შემთხვევაში, რეალობის დამახინჯებით ქვეყანა ზარალდება.

დღეს ასე დგას საკითხი: დაკვეთების შემსრულებელი ყველა ჟურნალისტი საკუთარ კეთილდღეობას საკუთარი შვილის მომავალზე მაღლა აყენებს.

**ელგა ფოლადიშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «თინეიჯერი» გიორგი კანდელაკი ევროსაბჭოში საქართველოს ინტერესებს იცავს

**საქართველოს საკანონმდებლო ორგანო იმითიც გამორჩეულია, რომ დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად ასაკობრივი შეზღუდვა თითქმის არ არსებობს და 27-28 წლის გოგო-ბიჭებს პარლამენტის ტრიბუნა აქვთ დათმობილი. ასაკის მიუხედავად, ეს დეპუტატები ამომრჩევლის ნდობას ბოროტად არ იყენებენ და ქვეყნის აღმშენებლობისთვის თავდაუზოგავად იღვწიან. ზოგიერთი მათგანი იმდენად დაკავებულია, რომ პირადი ცხოვრებისთვისაც კი ვეღარ იცლის. დეპუტატს, რომელიც ერთდროულად ორი კომიტეტისა და ოთხი მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრია, ისეთი საკითხების გადასაწყვეტად, როგორიც ოჯახის შექმნაა, რა თქმა უნდა, დრო აღარ რჩება და მის ბიოგრაფიულ მონაცემებში ოჯახური მდგომარეობის გრაფა ცარიელია. დაუოჯახებელი დეპუტატი, რომელმაც პარლამენტარის მეტად მძიმე ჯვარი 26 წლის ასაკში იტვირთა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გიორგი რევაზის ძე კანდელაკია.**


კადრი ფილმიდან „მიმინო“


გიორგი კანდელაკი

პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე ტრადიციულად მეტად მშრალი და მწირი ინფორმაცია დევს ამ დეპუტატის შესახებ, მაგრამ მკითხველს არ გაუჭირდება იმის მიხვედრა, რომ გიორგი კანდელაკი პრეზიდენტის ფავორიტია. დიდი მიხეილი პატარა გიორგის იმაზე მეტად ანდობს ქვეყნის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტას, ვიდრე ამის საშუალებას მისი ასაკი და გამოცდილება იძლევა.

მაგალითად, ის ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელია. ამასთან, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში დელეგაციის ძირითად, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში კი დელეგაციის სათადარიგო შემადგენლობაშია. საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტშიც მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრია. მას საკმაოდ საპასუხისმგებლო მისია აკისრია, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ხელისუფლება მუდმივად რუსეთთან საინფორმაციო ომზე საუბრობს. საინფორმაციო ომის მოგება კი რამდენად ხელეწიფებათ პირტიტველა გოგო-ბიჭებს, ფაქტი სახეზეა.

საინტერესოა, ასეთ ნდობას რატომ უცხადებს მიხეილ სააკაშვილი გიორგი კანდელაკს? ან რა ნიშნით გახდა ის მე-7 მოწვევის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი?

ბატონი გიორგი დაიბადა და გაიზარდა თბილისში, უმაღლესი განათლებაც დედაქალაქში მიიღო. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისტორიისა და პოლიტოლოგიის სპეციალობებით.

ახალგაზრდა პოლიტოლოგმა შრომითი საქმიანობა 2003 წელს ფონდში „ღია საზოგადოება — საქართველო“ დაიწყო არჩევნების მხარდამჭერი პროგრამის ვებსაიტის რედაქტორის თანამდებობაზე. იმავე წელს „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ“ ინსტიტუტში გადავიდა. პარალელურად ინგლისურენოვანი ყოველდღიური გაზეთის „24 საათი“ რედაქტორის მოადგილე ხდება. 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შიდა პოლიტიკისა და ინსტიტუციური მოწყობის სამსახურის მთავარი კონსულტანტის ადგილს იკავებს და სულ მალე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ანალიტიკური სამსახურის მთავარი მრჩევლის რანგში გვევლინება. 2008 წლიდან დღემდე კი საქართველოს პარლამენტის წევრია.

გიორგი კანდელაკმა კარიერაში წარმატებას საკმაოდ მოკლე ხანში მიაღწია და წინსვლაში ხელი არ შეუშლია იმ ფაქტს, რომ მას ევროპული განათლება არ აქვს მიღებული. შესაძლოა, დაწინაურებაში „სოროსის“ ფონდში მუშაობის ორთვიანი სტაჟი დაეხმარა. „სოროსის“ ფონდი ხომ ის ორგანიზაციაა, საიდანაც ყველა გზა ხელისუფლებაში მიდის.

ექსსოროსელი და საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ნაკლები აქტიურობით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელია, ჟურნალისტებს საკუთარი კომენტარებით არ ანებივრებს. ყმაწვილი დეპუტატი თუ ევროპაში არ იმყოფება ოფიციალური ვიზიტით, საპარლამენტო სხდომებსაც ესწრება და საკომიტეტო მოსმენებზეც დადის. ამ მხრივ თითით საჩვენებელი პარლამენტარია, თუმცა ქვეყნის შიდა ასპარეზზეც საკმაოდ პასიურია. საკუთარი პოზიციის დაფიქსირების ნაცვლად სხვისი მოსმენა ურჩევნია და, ძირითადად, პულტზე თითის დაჭერით შემოიფარგლება.

ბატონი გიორგი ამა თუ იმ საკითხზე იშვიათად აზრსაც გამოთქვამს. მაგალითად, როგორც დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომათა ოქმებიდან ირკვევა, კომიტეტში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ კანონ-პროექტის განხილვისას ბატონმა გიორგიმ გარკვეული შენიშვნები გააკეთა. თავისთავად ეს დიდი მიღწევაა „ნაციონალი“ დეპუტატისთვის, რასაც სულითა და გულით ვულოცავთ საქართველოს პარლამენტის ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატს.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ შეეცადა, გაერკვია რამდენად იცნობს მოკრივე გიორგი კანდელაკის სეხნიას საზოგადოება და რამდენიმე ცნობილ ადამიანს დაუკავშირდა.

რეჟისორმა **რეზო ესაძემ,** როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ გაიხსენა ვინ იყო და რას საქმიანობდა გიორგი კანდელაკი. მან გულისტკივილით აღნიშნა: „საქართველო ისეთი ქვეყანაა და ქართველები ისეთი ხალხი ვართ, რომ, თუკი ნორმალურად იქნება მოწყობილი ჩვენი ქვეყანა, ყველას კარგად ეცოდინება პარლამენტის თითოეული წევრი. კარგ ადამიანებს, ქვეყნის სამსახურში დაღლილ და დაუღლელ ადამიანებს, იმედია, თვითონ მოძებნის და გაეცნობა ხალხი“.

**გია ხუხაშვილი,** ეკონომიკური ექსპერტი: „არ ვიცი ვინ არის გიორგი კანდელაკი, მაგრამ ვვარაუდობ, რომ პარლამენტარია“.

**— ბატონო გია, გიორგი კანდელაკი ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელია, გარდა ამისა სამი დელეგაციის წევრია, რაც დამეთანხმებით, საკმაოდ საპასუხისმგებლოა. თქვენი აზრით, რატომ არ იცნობს მას საზოგადოება?**

— ეს ის კითხვაა, რომელიც მეც მაწუხებს. ქვეყნის უბედურებაა, როცა ადამიანები შრომის წიგნაკის გახსნისთანავე სახელმწიფოს ბედს წყვეტენ.

**— ის 27 წლის გახლავთ, რამდენად მიზანშეწონილია, ამ ასაკის ადამიანი პარლამენტის წევრი იყოს?**

— ქვეყანა კატასტროფის წინაშე დგას, რაც თინეიჯერული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგია. ეს ყმაწვილიც, როგორც ჩანს, ერთ-ერთი თინეიჯერი გახლავთ. გიორგი კანდელაკს არ ვიცნობ და კონკრეტულად მასზე არ ვისაუბრებ, ზოგადად იმ ფენომენზე მინდა ვილაპარაკო, რასთანაც გვაქვს საქმე. მას ძალიან სწრაფად მოუწია იმ მძიმე ტვირთის აწევა, რომელიც ძნელი საზიდია, რაც აისახება კიდეც ქვეყნის მდგომარეობაზე.

**— როცა საზოგადოებამ არც კი იცის კონკრეტული დეპუტატის არსებობის შესახებ, ეს ამ პიროვნების პრობლემაა თუ იმ პარტიისა, რომლის სიითაც მოვიდა პარლამენტში?**

— ეს პირველ რიგში ქვეყნისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების პრობლემაა, მეორეს მხრივ — თავად ამ ადამიანების. ძალიან ვწუხვარ, რომ ასე ახალგაზრდა ასაკში უწევთ პენსიაზე გასვლა. როდესაც ამხელა ტვირთი აიკიდეს და ვერ ატარეს, მაინტერესებს, ამის შემდეგ როგორ უნდა იცხოვრონ?!

**— შესაძლოა, ამ საკითხზე საერთოდ არ ფიქრობენ და ის სიკეთე უფრო ხიბლავთ, რაც დეპუტატის მანდატს მოაქვს...**

— თუ ესაა მათი ძირითადი მიზანი, კი ბატონო... ასეთი ადამიანები მოვლენ და წავლენ, მაგრამ მთავარი კითხვაა: ამ ქვეყანას რა ვუყოთ? დამერწმუნეთ, გავა წლები და მიხვდებიან, რაც დააშავეს.

**ნათია ქადაგიშვილი**

# თეონა ზარნაძე: ემიგრანტს იქ არც კანონი იცავს და არც — პოლიცია

**რუსეთში ღურწკაიას გახმაურებული მკვლელობის შემდეგ პრეზიდენტმა სააკაშვილმა საზღვრებს გარეთ გასულ საქართველოს ყველა მოქალაქეს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა. ძნელია ემიგრაციაში ქართველთა ყოფნის პირობები, მაგრამ რა ელოდებათ სამშობლოში ემიგრაციიდან დაბრუნებულებს, სადაც ხელისუფალნი მხოლოდ პირადი კითილდღეობისთვის ცხოვრობენ, ხოლო რიგითი ადამიანები მათი ეგოიზმის მსხვერპლნი არიან? ემიგრაციიდან დაბრუნებული თეონა ზარნაძის ტკივილი უშუალოდ უკავშირდება ჩვენში არსებულ ცხოვრებისეულ პრობლემებს.**



**— თეონა, რამ გადაგაწყვეტინათ 19 წლის ასაკში ქვეყნიდან წასვლა?**

— დედა 12 წლისას გარდამეცვალა. მე და მამა მარტონი დავრჩით. მამამ სამუშაო დაკარგა და მომაბეზრებელ, ბუზღუნა კაცად იქცა. ოჯახის დიასახლისობა მე დამაწვა. 14 წლისა უკვე გამოცდილი დიასახლისი ვიყავი, მამის გულის მოგება კი მიჭირდა. 16 წლისა რომ გავხდი, მამამ ცოლი მოიყვანა. ჩემი დედინაცვალიც ქვრივი იყო, ვაჟი ჰყავდა, რომელიც ბებიასთან იზრდებოდა. დედინაცვალი დილიდან საღამომდე, სიცივესა და სიცხეში ლილოში ვაჭრობდა. მამას „შემოდგომის აზნაურის“ კომპლექსი ჰქონდა და უკადრისობდა დახლთან დგომას, რაზეც რუსიკო ღიზიანდებოდა და ოჯახშიც გაუთავებელი ჩხუბი იყო. დედინაცვალი დასანახად ვერ მიტანდა, მამაკაცივით მაგინებდა, თუ ვინმეს უნდიხარ, გათხოვდი, მამაშენს შენი შენახვის თავი მაინც არ აქვსო. საცხოვრებლად დეიდაშენთან გადადი, შენს ოთახს გავაქირავებო. მე ლოჯიაში გადაბარგება ვარჩიე. ჩემს ოთახში კი ორი საეჭვო რეპუტაციის ქალბატონი დაბინავდა. ისინი ყოველღამ ღრეობდნენ. დილით, უამრავი ჭუჭყიანი ჭურჭელი და სიგარეტის ნამწვავები მხვდებოდა აულაგებელი, რომელიც სკოლაში წასვლამდე ჩემი დასალაგებელი ხდებოდა. მამაც აიყოლეს, მეგობარი მამაკაცებიც შემოყავდათ და ისეთი გაუთავებელი დროსტარება იმართებოდა, რომ ჩემი არსებობაც აღარ ახსოვდათ.

ამის გამო დეიდამ თავისთან გადამიყვანა და, დიდი ოჯახის მიუხედავად, ლუკმას მიყოფდა. სკოლა დავამთავრე, გულით მსურდა რაიმე სამუშაო მეშოვა, მაგრამ... მაშინ ერთმა მეზობელმა დეიდას ურჩია საზღვარგარეთ გავეგზავნე. ნასესხები ფულითა და დაკერებული ფეხსაცმელით ვეწვიე ნეაპოლს.

**— როგორ წარიმართა თქვენი ბედი იტალიაში?**

— ნეაპოლში დეიდას ნაცნობი ქართველი ქალი დამხვდა და მოხუცი კაცის მოსავლელად ერთ შესანიშნავ სახლში მიმიყვანა. ჩემი ბატონი 40-იან წლებში ლიტვიდან წამოსული ემიგრანტი გახლდათ. ექვსი ენის მცოდნე, უგანათლებულესი სეისმოლოგიის პროფესორი, ვულკანოლოგიური კვლევების უდიდესი სპეციალისტი და სათანადოდ დაფასებულიც, მაგრამ ამჯერად გაფანტული სკლეროზით დაავადებული. გაუხარდა, კარგად მიმიღო. მე მას დედასავით ვუვლიდი. უხვად მიხდიდა, მაღალი პენსია ჰქონდა, იტალიურ ენას მასწავლიდა. მოხუცი მზრუნველი და ინტერესიანი იყო, მაგრამ ფიცხი. ზოგჯერ ჯოხსაც მირტყამდა, მერე კი მებოდიშებოდა.

ამ უსიამოვნო პრეცენდენტებს თუ არ ჩავთვლით, გამიმართლა, ემიგრანტის პირობაზე სოლიდურ გასამრჯელოს ვიღებდი, მაგრამ მერე ყველაფერი დავკარგე.

**— მაინც რა მოხდა, რამ დაგირღვია ემიგრანტული ყოფის სიმშვიდე?**

— ჩემს ბატონს ორი ვაჟი ჰყავდა. ორივე ამერიკაში ცხოვრობდა. ჩემი ჩასვლიდან სამი წლის შემდეგ მოხუცს ვირჯინიელი შვილიშვილი ენდრიუ ესტუმრა იტალიური ფერწერის შესასწავლად. აღმოჩნდა, რომ გატაცებული იყო აზარტული თამაშებითა და ნარკოტიკებსაც ეტანებოდა. პროფესორს ის გამორჩეულად ნიჭიერ ყმაწვილად მიაჩნდა და მასზე რაიმე ცუდის თქმას ვერ იტანდა. ერთხელ ჩემთან ღლაბუციც კი მოიწადინა, მაგრამ მარიხუანათი გაბრუებულს ადვილად მოვერიე. ამის შემდეგ სამუშაოს შეცვლა მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი, მაგრამ მასთან შეხვედრას ყოველთვის ვერიდებოდი.

მოხუცის მოცემული გასამრჯელოთი ვალიც გავისტუმრე და დეიდის ოჯახსაც ვეხმარებოდი. დანაზოგს კი საფულით ქვეშაგებში ვინახავდი და კარებსაც გულმოდგინედ ვკეტავდი. ერთხელაც საფულე ვეღარ ვნახე. ამ ფაქტმა ჩემივე რეპუტაცია დააყენა ეჭვქვეშ. თავდაპირველად უხერხულობისგან მხრებს იჩეჩავდნენ, მერე კი მეკითხებოდნენ: „ამით რის მიღწევა გინდაო?“ ვერ გადმოგცემთ ჩემს განცდებს, ჩემი სიმართლე მათ თვალში უცნაურად ჩანდა, რაც უფრო ვცდილობდი დამტკიცებას, მით უფრო იზოლაციაში ვექცეოდი. არავის სურდა დაჯერება. ღამეებს თეთრად ვათენებდი, წლობით ნაჯაფი წყალში მეყრებოდა. ერთ დილას სამზარეულოში შევლასლასდი. ენდრიუმ კი მითხრა: „თუ ამ სახლში ვინმეა მათხოვარი, უსახლ-კარო, ფულზე დახარბებული, ეს შენ ხარ. ყველაფერს სჯობს, გაიხსენო, რომელ „მამალს“ მიეცი თანხა სიამოვნებისთვისო“; „მირჩია“ ჭკუით ვყოფილიყავი.

ცხოვრება მუდმივი ბრძოლის ასპარეზია, მაგრამ ემიგრანტი ამ ბრძოლის ყველა საშუალებას მოკლებულია — არც კანონი გიცავს და არც პოლიცია. შენ უზნეო ხალხისთვის უპატრონოდ მიგდებული მსხვერპლი ხარ. იქ გატარებული შრომის სიმძიმეს მხოლოდ ის მატანინებდა, რომ მომავალში ჩემი კუთხე მექნებოდა და მომავალსაც შევიქმნიდი. ბედისწერაზე და ჩემს მწარე ხვედრზე ფიქრში არ ვიცი, რა დრო გავიდა... ნანერვიულებსა და მშიერს მკვდარივით ჩამეძინა. კარზე უხეშმა ბრახუნმა გამომაღვიძა. კარში მდგარმა ზორბა პოლიციელმა საბუთები მომთხოვა და როგორც არალეგალი პოლიციაში წამიყვანა. რადგან პროფესორის ამერიკიდან ჩამოსული შვილიშვილი ბრალს მდებდა, რომ მოხუც სკლეროზიან პროფესორს თავი მოსამსახურედ შევატყუე და უზარმაზარ თანხებს ვძალავდი. საბედნიეროდ, მაჟორდომი დამემოწმა, რომ თანხას პროფესორი ნებით მაძლევდა და არ დამაპატიმრეს, მაგრამ დეპორტაციით სამშობლოში გამომისტუმრეს ისე, რომ ბილეთის ფულიც სახელმწიფომ გადამიხადა.

**— დამშვიდდი თეონა, ახლა სად ხარ და რას აპირებ?**

— დეიდაჩემის ოჯახი გაიზარდა. დეიდაშვილები დაქორწინდნენ, ბავშვები შეეძინათ. მე კი დავრჩი მათთან შეკედლებულ მარტოსულად. არც სამსახური, არც საკუთარი კუთხე... რა თქმა უნდა ჩემი ხვედრი ქვეყნის დღევანდელობითაა გამოწვეული. ხელისუფლებამ ხალხის პრობლემებს, ყოფის სიძნელეებს თუ არ მიხედა, საქართველო სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდება.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# არნო ხიდირბეგიშვილი: «Вы меня не предали... разочаровали!»

## ღია წერილი ბატონებს სილაევს, ბარანოვსკის, მალგინს, მედუშევსკისა და მირონენკოს

**პროლოგის ნაცვლად:** 2009 წლის 3 დეკემბერს, თბილისში, სასტუმრო „ვერე-პალასის“ საკონფერენციო დარბაზში უნდა გამართულიყო „მრგვალი მაგიდა“ **„საქართველოსა და რუსეთის სამეცნიერო და ექსპერტთა საზოგადოებების თანამშრომლობის მიმართულებები და პერსპექტივები“,** რომლის მიმდინარეობის დროსაც დაგეგმილი იყო მსჯელობა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე, რუსეთსა და საქართველოს მეცნიერთა შორის სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლის მექანიზმებზე, ორი ქვეყნის სამეცნიერო გამოცემებში მეცნიერული კვლევების მასალების პუბლიკაციებსა და ერთობლივ კვლევით და საგანმანათლებლო პროექტებზე. ამ ღონისძიების ინიციატორები იყვნენ: **არაკომერციული პარტნიორობა „ჰუმანიტარული თანამშრომლობის ცენტრი“, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის კავკასიური კვლევების ცენტრის მონაწილეობით.** რუსეთის მხრიდან „მრგვალ მაგიდაში“ მონაწილეობა უნდა მიეღოთ:

**ნ. ი. სილაევს** — „ჰუმანიტარული თანამშრომლობის ცენტრის“ დირექტორს;

**ვ. გ. ბარანოვსკის** — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს;

**ა. ვ. მალგინს** — მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორის მრჩეველს;

**ა. ი. მილერს** — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ თანამშრომელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში;

**ა. ნ. მედუშევსკის** — ჟურნალ „Российская история“-ს (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის გამოცემა) მთავარ რედაქტორს;

**ს. ვ. მირონენკოს** — რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივის დირექტორს.



„მრგვალი მაგიდა“ არ გაიმართა, რადგან ა.წ. 1 დეკემბერს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჩამოსვლისას, რუსეთის დელეგაციის ორი წევრი საქართველოში არ შემოუშვეს და დანარჩენები, პროტესტის ნიშნად, მათთან ერთად მოსკოვში დაბრუნდნენ.

საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების პოზიცია იმავე დღეს გამოხატა საქართველოს ვიცე-პრემიერმა, სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში **თ. იაკობაშვილმა**, რომელმაც რუსი ექსპერტების საქართველოში ჩამოსვლა მიზანშეუწონლად მიიჩნია მანამდე, სანამ ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალები იმყოფებიან: ***„ბოლო ხანებში გაჩნდა, ერთი მხრივ, საქართველოს ოკუპაციის გაგრძელების, ხოლო მეორე მხრივ, მეცნიერთა, მომღერალთა და ექსპერტთა ხშირი ვიზიტების ტენდენცია. სახალხო დიპლომატია ახლა უადგილოა... როცა რუსი ოკუპანტები საქართველოს დატოვებენ, პროფესორებს ქვეყანაში შემოსვლის პრობლემა არ ექნებათ“.***

ამას მოჰყვა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება მედიისთვის: ***„საქართველოს ხელისუფლების ქმედებამ საბოლოოდ დაადასტურა ამჟამინდელი ქართული რეჟიმის მისწრაფება, გაანადგუროს ყველაფერი, რაც ჯერ კიდევ აკავშირებს რუსებსა და ქართველებს. 1 დეკემბერს, მიზეზების აუხსნელად, თბილისის აეროპორტში შესვლაზე უარი უთხრეს ორ რუს მეცნიერს: რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივის დირექტორს ს. ვ. მირონენკოსა და მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის კავკასიური კვლევების ცენტრის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ჰუმანიტარული თანამშრომლობის დამოუკიდებელი ცენტრის დირექტორს ნ. ი. სილაევს. მგ ზავრობის პროგრამით დაგეგმილი იყო რამდენიმე შეხვედრა ქართველ ექსპერტებთან, „მრგვალი მაგიდის“ გამართვის ჩათვლით, რუსული კვლევების ქართული ინსტიტუტისა და თბილისის პოლიტიკური კვლევების სკოლის მონაწილეობით. ეს სამწუხარო აქციაა. რუსეთსა და საქართველოს შორის ჰუმანიტარული კონტაქტები არ უნდა შეწყდეს, მიუხედავად ორი ქვეყნის ურთიერთობებში ამჟამად არსებული სირთულეებისა. ოფიციალური თბილისის ამგვარი საქციელი ადასტურებს გახსნილობისა და რთულ საკითხებში არამიკერძოებული პოლემიკის პანიკურ შიშს. ეს შემაშფოთებელი სიმპტომია, რადგან საუბარია ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის არასასურველი კავშირების ბლოკირებაზე ორი ქვეყნის სამეცნიერო ელიტის წარმომადგენელთა შორის“.***

თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ეს თავის სასარგებლოდ გამოიყენა რუსეთმა, რომელმაც ევროპასა და აშშ-ს საქართველოს ხელისუფლების არაგულწრფელობა უჩვენა, რომელიც სიტყვით ღია დიალოგის მომხრეა, საქმით კი **(უკვე მეორედ!*)** აბრკოლებს არსებული მდგომარეობის მშვიდობიანი დარეგულირებისაკენ მიმართულ ჰუმანიტარულ კონტაქტებს **(აქედან გამომდინარე, შეიმუშავებს გეგმებს საკითხის არამშვიდობიანად გადაწყვეტისთვის!),** მაშინ ქართველ საზოგადოებასა და პირადად მე რუს მეცნიერებთან და ექსპერტებთან რამდენიმე კითხვა მიჩნდება:

**1.** ღრმად პატივცემულო ბატონებო! ღმერთმა დამიფაროს, ეჭვი შევიტანო თქვენს კომპეტენტურობაში, მაგრამ ძალიან მაინტერესებს: **როგორ ემზადებოდით ამ „ტექნიკური მიზეზებით“ არშემდგარი ღონისძიებისა და ზოგადად, საქართველოში ვიზიტისათვის?** რომელ საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით გააანალიზეთ საქართველოში დღევანდელი ვითარება და მიზანშეწონილად მიიჩნიეთ ამ პროექტის განხორციელება — თბილისში შეხვედრათა სერიის გამართვა ამ ფორმატში? ეს ქართული მედიის (ტელევიზია, პრესა, ინტერნეტგამოცემები), ქართველი კოლეგების, მეგობრებისა თუ სპეცსამსახურთა ფარული წყაროების ინფორმაცია იყო?

**2. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ძალიან დაიგვიანეთ, მეგობრებო?** ასეთი შეხვედრები უწინ — საქართველოში სოროსის ფონდის, თავისუფლების ინსტიტუტის, აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის, «რIАРЭ» -ის მებრძოლებისა და მსოფლიო გლობალიზაციის სხვა ემისართა შემოსვლამდე რომ გამართულიყო, დღეს სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლის მექანიზმების შექმნისა და „ჩამონგრეული“ ჰუმანიტარული „ხიდების“ სახალხო დიპლომატიის მეთოდებით აღდგენისთვის „ბრძოლა“ საჭირო ხომ აღარ იქნებოდა?!

**3. ვის შეხვდა ბატონი სილაევი თბილისში წინა ვიზიტისას (ღონისძიების მომზადების პროცესში) და რატომ გადაწყვიტა, რომ ისინი კონსტრუქციული თანამშრომლობისკენ გეზაღებული ღირსეული პარტნიორები არიან? პატრიოტები, რომლებიც საქართველოში ავტორიტეტით სარგებლობენ და რუსეთისადმი კეთილგანწყობა ამოძრავებთ?** თუ საინფორმაციო ტელესიუჟეტებით ვიმსჯელებთ, თქვენ აქ ამერიკული გავლენის აგენტები თუ გელოდნენ — ბითუმად ნაყიდი პოლიტმქადაგებლები, მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორებიდან აშკარა „ნატოელებად“ და „ნაბუკოელებად“ რომ გადაქცეულან და მთელი ცივილიზაციის მტრებს — ველურ რუსებს რომ გულიანად აგინებენ. თავს პოლიტოლოგ-ექსპერტებს უწოდებენ, მაგრამ ანალიტიკურ სტატიებსა და სამეცნიერო ნაშრომებს არ წერენ, სამაგიეროდ, იძლევიან ინტერვიუებს, ტელეეკრანებზე დღე-ღამეში 24 საათი ყელყელაობენ და ნატოს მიწიერ სამოთხედ, ხოლო რუსეთს ნამდვილ ჯოჯოხეთად ნათლავენ...

**განა ექსპერტთა მთელი ეს „თანამეგობრობა“ ყოველთვის არ ცდილობდა ჩამოეყალიბებინა საქართველოში სტერეოტიპი: „რუსეთი ხალხთა ციხეა!“, „რუსები ლოთები და აგრესორები არიან, რომლებიც პატარა ერებს ჩაგრავენ!“? ნუთუ გსიამოვნებთ ურთიერთობა ადამიანებთან, ყოველდღე რომ საჯაროდ გაგინებენ ᲓᲔᲓᲐ-სამშობლოს?!** ჩამოგითვალოთ მათი სახელები?! გამოგიგზავნოთ მათ საჯარო გამოსვლათა ამსახველი აუდიო და ვიდეომასალები, საგაზეთო ინტერვიუები? ვფიქრობ, არ ღირს, ეს ყველასთვის ცნობილია.

**4. მაშ, ნუთუ სწორედ ესაა იმ „ექსპერტთა თანამეგობრობა“, რომლებთანაც თქვენ, ბატონო რუსო მეცნიერებო, „მრგვალ მაგიდას“ უნდა მისხდომოდით, რათა მიუკერძოებელი პოლემიკა გაგემართათ?! განგეხორციელებინათ ერთობლივი კვლევითი და საგანმანათლებლო პროექტები, დახმარებოდით რუსეთში მათი თითო-ოროლა უნიჭო, ЦРУ-ს ინსტრუქციებიდან კალკირებული „სამეცნიერო ნაშრომის“ გამოქვეყნებაში?!** დიახ, ისინი ხელმძღვანელობენ სხვადასხვა ინსტიტუტს, მაგრამ ეს ყალბი ინსტიტუტები შეკვეთით, უცხოური გრანტებით შეიქმნა და სხვადასხვა უცხოური სპეცსამსახურის რეზიდენტურას წარმოადგენს. **ნუთუ ესეც არ იცით?!**

**იქნებ, გგონიათ, რომ ისინი გავლენითა და პოპულარობით სარგებლობენ საზოგადოებაში?** ცდებით, ქართველი ხალხი, რომელსაც ისინი 6 წელი აზომბებენ, დღეს მათ დასცინის!

**ან ეგებ, ფიქრობთ, რომ მათ წონა და რეალური ბერკეტები აქვთ საქართველოს ხელისუფლებაში?** ისევ ცდებით — სხვაგვარად აეროპორტიდან უკან არ გაგისტუმრებდნენ! ნახეთ, იმავე დღეს როგორი დამფრთხალნი იმართლებდნენ თავს საქართველოს ტელევიზიით — ***„აქაოდა, მათ შესახებ*** (ანუ თქვენზე! — ა. ხ.) ***ისეთი არაფერი ვიცოდითო...“***

**მაშ, რა გაქვთ მათთან საერთო, ბატონებო?!**

**5.** მაპატიეთ, ბატონებო, მაგრამ თქვენი გვარები, სამეცნიერო რეგალიები და იმ ცენტრთა სახელწოდებები, რომლებსაც თქვენ წარმოადგენთ, თითქმის არაფერს ეუბნება ქართველ საზოგადოებას. იქნებ, სწორედ ამიტომ ქვეყანაში თქვენი არშეშვების ფაქტს აქ არავითარი პროტესტი არ გამოუწვევია, უფრო მეტიც — უმეტესობამ მხარი დაუჭირა პრეზიდენტ **სააკაშვილს,** რომელმაც ***„საქართველოში არ შემოუშვა მეცნიერთა ნიღაბს ამოფარებული მორიგი რუსი აგენტები“!*** თავად საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობამ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერთანამშრომელი საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში **ალექსეი მილერი** გაზპრომის ხელმძღვანელად — **ალექსეი მილერად** მიიღო, ხოლო სახელმწიფო კანცელარიაში, ალბათ, ჩათვალეს, რომ იგი გასული საუკუნის ლეგენდარული ამერიკელი საქსოფონისტი **გლენ მილერი** იყო... არ ვხუმრობ — ორი თვის წინ ჩვენმა ხელისუფლებამ და მისი „ჯიბის“ ტელემედიამ „Известия“-ს მთავარი რედაქტორი **ვლადიმირ მამონტოვი** ცნობილ რეჟისორ-კინოდოკუმენტალისტად — **არკადი მამონტოვად** მიიღეს...

ზემონათქვამი ეხება მასპინძელ, ანუ ქართულ მხარესაც: მითხარით**, გეთაყვა, მაინც რა არის ეს რუსული კვლევების ქართული ინსტიტუტი და თბილისის პოლიტიკურ კვლევათა სკოლა — ორგანიზაციები, რომლებმაც დიალოგზე მიგიწვიეს?!** მეც კი, როგორც (ვიმედოვნებ) იცით, ამ სფეროში „ცოტა გათვითცნობიერებულმა“ ადამიანმა, მათ შესახებ პირველად გავიგე და ისიც — თქვენი წყალობით!

ხოლო თუ ეს ზემონახსენები ინსტიტუტები ყალბია, რომლებსაც პროქტო-პოლიტოლოგები ხელმძღვანელობენ, მაშინ ბოდიში: კი, სავარაუდოდ, საუკეთესო ქართული ღვინით, გემრიელი ქართული კერძებით გაგიმასპინძლდებოდნენ და თქვენც, როგორც კულტურული ადამიანები, იძულებული შეიქნებოდით, აგეტანათ რუსეთისა და მისი ხელმძღვანელობის ლანძღვა, „წითლის“ — „ვარდისფრად“, „ლურჯის“ — „ცისფრად“, „თეთრის“ — „ნაცრისფრად“ მონათვლა... **ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲛᲐᲓᲚᲝᲓᲔᲗ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲒᲘᲨᲕᲐᲗ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲒᲐᲠᲘᲓᲐᲗ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲡᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ!**

**6. საინტერესოა, რა ლოგიკით აპირებდით ერთობლივად გეძებნათ გასული წლის ომის შედეგად მომხდარი კატასტროფიდან გამოსავალი გზები იმათთან, ვინც ამ ომის პროვოცირება მოახდინა?! განა ამ „ექსპერტთა საზოგადოებამ“ და „სამეცნიერო ელიტამ“ არ უბიძგეს სააკაშვილს ამ ომისკენ და არ გააცილეს წესიერების ფარგლებს, რომელშიც, ასე თუ ისე, თავსდებოდა მანამდე?! განა მათ დღესაც „რომის პაპზე (ანუ სააკაშვილზე) დიდ კათოლიკებად“ არ მოაქვთ თავი, რითაც ამ უკანასკნელს აიძულებენ, მათზე მეტად გაისარჯოს და შედეგად, სიცოცხლეშივე „წმინდა მოწამედ“ იქცეს?!**

პირადად მე მიმაჩნია, რომ მათთან, ვინც მხოლოდ „ბუშის ბარკლებს“ მიირთმევს, ვისაც ვარსკვლავებიანი ცა — აშშ-ის ზოლიან-ვარსკვლავებიანი დროშა, ხოლო ჩვენი მაცხოვრის ჯვარი ნატოს ოთხქიმიანი ემბლემა ჰგონია, დიალოგის გამართვა, სულ მცირე, არაკონსტრუქციული, კონტრპროდუქტიული და, უბრალოდ, ამაზრზენია!

**7.** ბატონებო! ჩემი გვარი — **ხიდირბეგიშვილი** — წარმოიშვა ქართული სიტყვისგან **„ხიდი“**, ამიტომ მივესალმები ნებისმიერ **„ხიდს“** რუსეთსა და საქართველოს შორის, უკვე არაერთი წელია, რომ ვცდილობ, ჩემი მოღვაწეობით გავამაგრო.

ჯერ კიდევ ათეული წლის წინ, როცა პრეზიდენტი **სააკაშვილი** და თქვენი სამეცნიერო ცენტრები ხსენებაშიც არ იყვნენ, ჩვენ, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ **ალექსანდრე ჭაჭიასთან** ერთად მივუთითებდით რუსეთ-საქართველოს უკვე მაშინ შემაშფოთებელ ურთიერთობებში არსებულ სახიფათო ტენდენციებზე, ვლაპარაკობდით საქართველოსთვის მისაღებ **სახელმწიფო და სამხედრო ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე,** რასაც ჩვენს კონცეპტუალურ ნაშრომებსაც ვურთავდით, მაგრამ ეს ყველაფერი დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“...

გასული წლის აგვისტოში კი **„ხიდი“** რუსეთსა და საქართველოს შორის ტანკების სიმძიმის ქვეშ ჩაინგრა... **ამიტომ ეს კონფლიქტი ვერ დარეგულირდება საზოგადოებრივი სექტო-**

*პირველად ეს მოხდა მიმდინარე წლის 2 სექტემბერს, როცა თბილისში აეროპორტის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე არ გამოატარეს პირველი არხის წამყვანი **მ. შევჩენკო** და გაზეთ „Известия“-ს მთავარი რედაქტორი **ვ. მამონტოვი**, რომლებიც თბილისში, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ჰუმანიტარული შედეგების დარეგულირებისა და კავკასიაში კონფლიქტების დაძლევის სფეროში რუსეთ-საქართველოს საზოგადოებრივი კომისიის შეხვედრაზე ჩამოფრინდნენ.

# ბლაგვკუთხა სამკუთხედი, ანუ გვარამია «GO & STUDY», შაშკინი «COME HERE»

რის ძალისხმევით — საზოგადოებრივ და კულტურის მოღვაწეთა ურთიერთვიზიტებით, ერთობლივი კომისიებით, „მრგვალი მაგიდებით“, კონფერენციებითა და თვით საეკლესიო დელეგაციებითაც კი. **თანამედროვე ისტორიაში არ მოიპოვება პრეცედენტი, რომ ომისა და სისხლისღვრის, დიპლომატიურ ურთიერთობათა გაწყვეტისა და ხელისუფალთა ამგვარი ანტაგონიზმის შემდეგ, მხარეები ე. წ. სახალხო დიპლომატიის მეთოდებით დაზავებულიყვნენ.** რომელ სახალხო დიპლომატიაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა დღეს ერთმანეთს ავტომატის სამიზნით ვუყურებთ?!

როგორც სამართლიანად აღნიშნავს **ალექსანდრე ჭაჭია**, *„საზოგადოებრივ აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მაშინ, როცა არსებობენ ამ საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი პოლიტიკური სუბიექტები. საქართველოში არ არსებობს ასეთი სქემის სარეალიზაციო არხები — პოლიტიკურ ორგანიზაციათა არსებული ქსელი ანგაჟირებულია, ეს ეროვნულად ორიენტირებული ქსელი არ არის! პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები შეიქმნა და ფუნქციონირებს ამერიკელ კურატორთა მარად ფხიზელ კონტროლქვეშ და მათ მიერვე ფინანსდება. ეს პოლიტიკური სტრუქტურები და ორგანიზაციები საზოგადოებრივი აზრის მატარებლები არ არიან“.*

მიუხედავად ამისა, შეხვედრები, მსჯელობები, ერთმანეთისთვის ნაკლის მითითება — **მოკლედ, შესაძლოა არა მაგისტრალური, მაგრამ ქვეითად სასიარულო „ხიდის“ აგება, რომელზეც ადამიანები, და არა ტანკები ივლიან, აუცილებელია! უბრალოდ, უნდა იცოდეთ — ვისთან, როდის და როგორ აკეთოთ ეს!**

**8.** ბატონებო! ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა, მადლობა გადაგიხადოთ „მრგვალ მაგიდაში“ მოწვევისთვის, ა.წ. 3 დეკემბერს რომ უნდა გამართულიყო და თქვენი საქართველოში სტუმრობის პროგრამა დაებოლოვებინა. მინდა, განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ ჭეშმარიტ პატრიოტებთან — **არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელ ტარიელ გაგნიძესთან, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარ რედაქტორ ირაკლი თოდუასთან** (სამწუხაროდ, ქართული მხრიდან მონაწილეთა სია მკაცრად გასაიდუმლოებული იყო და მეტს ვერავის დავასახელებ!) იქ დასწრება ჩემთვის დიდი პატივი იყო, მაგრამ... **განა ჩვენ იმაზე მეტი არ დავიმსახურეთ, ვიდრე დასკვნით „მასოვკაში“ მონაწილეობაა?! როგორ წარმოგედგინეთ „მრგვალ მაგიდასთან“ იმ „იუდებთან“ ერთად, რომლებთანაც სტუმრად მოემგზავრებოდით და რომლებთანაც ორდღიანი ურთიერთობისას (1 და 2 დეკემბერს), ასე თუ ისე, კონტაქტს დაამყარებდით და გარკვეული თვალსაზრისიც ჩამოგიყალიბდებოდათ?!** მაგიდა სწორკუთხაც რომ ყოფილიყო, „საიდუმლო სერობის“ დარად, თქვენი ახალი „მეგობრები“ გამალებით იმუშავებდნენ ოტელ „ვერე-პალასის“ საკონფერენციო დარბაზში დამონტაჟებულ მოსასმენსა და სათვალთვალო აპარატურისთვის. **თქვენ ამას ღია დიალოგსა და მიუკერძოებელ პოლემიკას უწოდებთ?!**

**და რატომ მოხდა, რომ ნამდვილი პროფესიონალები** — მეცნიერები, რომლებიც დღეს შერისხული არიან მარტოდენ იმის გამო, რომ ვერ ხედავენ რუსეთ-საქართველოს მეგობრობის ალტერნატივას და იბრძვიან ისტორიული სამართლიანობის აღდგენის, ჩვენი საერთო წარსულის მიკერძოებულად ასახვისთვის – **საერთოდ დაგავიწყდათ?!**

**განა ქანთარიასა და ეგოროვის მიერ რაიხსტაგზე აღმართული გამარჯვების დროშა ქართულ-რუსული ძმობის ბაირაღი, მისი ურღვევობის სიმბოლო არ იყო?! ამხანაგ სტალინს სურდა, რომ ფაშიზმზე გამარჯვების ეს გვირგვინი ქართველს და რუსს ერთად, ხელიხელ დაედოთ! ხოლო თქვენი საქართველოში მომწვევმა ისტორიის ფალსიფიკატორებმა, რომლებიც მხოლოდ ყალბ დოლარებს თუ ასხვავებენ, ეს ბაირაღი ფეხქვეშ გათელეს...**

**9.** რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მედიისთვის გავრცელებულ ზემომოყვანილ განცხადებაში საუბარია **„*ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის არასასურველი კავშირების ბლოკირებაზე ორი ქვეყნის სამეცნიერო ელიტის წარმომადგენელთა შორის*“. ეს რომელ ქართულ ელიტაზეა საუბარი?! შემთხვევით, იმაზე ხომ არა, რომელსაც პუბლიკაციებში ბნელიტას ვუწოდებ?! საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლების მიერ ნაფერებ იმ შემოქმედებით და სამეცნიერო ინტელიგენციის ნაწილზე, რომელიც სპეცულუფისა და ლგოტების სიყვარულით მუდამ მხარს უჭერდა საქართველოს ნებისმიერ მოქმედ ხელისუფლებას იქამდე, სანამ მის მხარეს იყო ძალა — გამსახურდია იქნებოდა ეს, შევარდნაძე თუ სააკაშვილი?!**

მათ უმეტესობას თავი ერის „ნაღებად“ და „სვეტად“ რომ მიაჩნია, განათლება რუსეთში და პოპულარობა რუსეთის წყალობით მიიღეს, მაგრამ მოსკოვსა და თბილისს შორის **„ხიდის“** აღდგენა არ აწყობთ: უფრო მომგებიანია წინ და უკან „ბაგირზე“ ექსკლუზიურად სირბილი და იქიდან ქრთამის წამოღება, აქედან კი ანტირუსული პროპაგანდისთვის დივიდენდების მიღება...

**ნუთუ რუსეთის ხელმძღვანელები დღეს ისევ შეცდებიან და „უბეში მოითბობენ“ გამოჩენილ ქართველებს, სახეში რომ მიაყარეს ორდენები და შეურაცხყოფა მიაყენეს?! და ისინიც, ბინძური უნიტაზები რომ მიუთრიეს თბილისში, რუსეთის საელჩოსთან?! სადაც სულ ცოტა ხნის წინ სწორედ ისინი, და არა — ნამდვილი პატრიოტები, სასურველი სტუმრები იყვნენ!**

სხვათაშორის, არცთუ ყოველმხრივ განათლებულმა, მაგრამ მთელ მსოფლიოში თავისი ცბიერებითა და მსახიობური მონაცემებით სახელგანთქმულმა საქართველოს ექსპრეზიდენტმა **ე. შევარდნაძემ** ჩინებულად იცოდა ამ **„ელიტის“** ფასი — სურვილისამებრ იყენებდა თავისი მიზნებისთვის, საჩუქრებისა და სხვადასხვა თხოვნის შესრულების სანაცვლოდ: მათ ნაშიერებს ციხეში არ ამწესებდნენ ნარკოტიკების მოხმარებისთვის; ნებას რთავდნენ, მრავალჯერ სწვეოდნენ შორეულ უცხოეთს და მცირე სპეკულაციით დაკავებულიყვნენ; მათ შვილებს ხახვივით შერჩებოდათ ხოლმე ჩხუბსა და ავტოავარიებში უბრალო ადამიანების დახოცვა...

**ამიტომ ძველი ელიტა საბოლოოდ უნდა წავიდეს და მისი ადგილი დაიკავოს სისხლში ხელგაუსვრელმა ახალმა ელიტამ, მხოლოდ მასთან შეიძლება ჰუმანიტარული თანამშრომლობის დამყარება! ხოლო საქართველოსთვის გარდამავალ პერიოდში მმართველობის ყველაზე მისაღებ ფორმად არაკორუმპირებულ პროფესიონალთა დიქტატურა მიმაჩნია.**

10. ***«ВЕДАТЬ ВЫ НЕ ВЕДАЛИ, ЗНАЛИ ВЫ ЕДВА ЛИ, ВЫ МЕНЯ НЕ ПРЕДАЛИ, РАЗОЧАРОВАЛИ…»*** — ამჯერად მინდა დავეთანხმო **ბუბა კიკაბიძეს: ბატონებო სილაევ, ბარანოვსკი, მალგინ, მილერ, მედუშევსკი და მირონენკო — ВЫ МЕНЯ РАЗОЧАРОВАЛИ!** შესაძლოა, გსურდათ — როგორც უკეთესია, მაგრამ გამოვიდა — **როგორც ყოველთვის...** რა თქმა უნდა, **სამწუხაროა, შეცდომების დაშვება, მაგრამ უფრო უარესი ამ შეცდომების გამეორებაა: რა გირჩიოთ?**

შემდგომში უკეთ მოემზადეთ ასეთი პროექტებისთვის და გაითვალისწინეთ აქ წრფელი გულით მოცემული რჩევები, არა და, კიდევ სხვა მრავალი ნიუანსიც ხომ არსებობს: მაგალითად, მე არაფერი მითქვამს საქართველოსა და მისი უახლოესი მეზობლების – **აზერბაიჯანისა** და განსაკუთრებით, **სომხეთის** ურთიერთობებში არსებული ძალზე სერიოზული პრობლემების კომპლექსზე. **გაითვალისწინეთ: „კავკასიურ ქვაბში“ საქართველოს „მოხარშვის“ ნებისმიერი მცდელობა მარცხისთვისაა განწირული — სამი კავკასიური ქვეყნის პრობლემებისადმი არავითარი სტანდარტული მიდგომა არ არსებობს და არსებულ წინააღმდეგობათა ნიველირება სავალალო შედეგს მოიტანს, რისი „სუნიც“ უკვე ტრიალებს ჰაერში...**

კიდევ გირჩევთ, გაეცნოთ ჩემს პუბლიკაციას **„მოდი, ერთმანეთს სიტყვა მივცეთ!“** (http://geworld.net/ru/politics/427.html, გაზეთი *„საქართველო და მსოფლიო“* 2009 წლის 9 სექტემბერი, №28). ის მიმართულია რუსეთის ხელისუფლებისადმი და ნაკარნახევია მარტოდენ კეთილი განზრახვით — მომავალში თავიდან ავირიდოთ ის სავალალო შეცდომები, რომლებსაც წარსულში ჰქონდა ადგილი და დიდწილად ხელი შეუწყო რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივ ურთიერთობებში ამჟამინდელ კოლაფსს. **მასალა მთლიანად ეძღვნება უკვდავი რუსული ბიუროკრატიის — ყველა რანგის პოლიტიკოსისა და ხელმძღვანელი ჩინოვნიკის, საზოგადო მოღვაწეთა და ექსპერტთა მწვავე კრიტიკას, რომელთა გამოისობითაც, უფრო სწორად, დაუდევრობითა და დოყლაპიობით დღევანდელ კატასტროფამდე მივედით.**

ილვაწეთ, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი ქვეყნების საკეთილდღეოდ, ნუ გაიმეორებთ ძველ შეცდომებს და გააცანით რუსულ საზოგადოებას ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტები, რათა რუსეთში იცოდნენ: **საქართველოს, სააკაშვილის გარდა, სხვა ბევრი შვილიც ჰყავს!** მოიმოქმედეთ ეს და შთამომავლობა მადლიერი დაგრჩებათ.



კადრების სისტემის ერთუჯრედიან დაფაზე მორიგი სვლა გააკეთა პრეზიდენტმა: განათლებისა და მეცნიერების მინისტრად სასჯელაღსრულების, იურიდიული დახმარებისა და პრობაციის მინისტრი დიმიტრი შაშკინი დანიშნა.

ნიკა გვარამია?!

**„პრემიერ მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, რომ განათლების უკვე ყოფილმა მინისტრმა ნიკა გვარამიამ რამდენიმე თვის წინათ უცხოეთში სასწავლებლად წასვლის სურვილი გამოთქვა, თუმცა ამ თვეების განმავლობაში იგი მუშაობას აღნიშნულ პოსტზე პრემიერის თხოვნით კვლავ აგრძელებდა“** („ინტერპრესნიუსი“).

## ეს აბდაუბდა ასე იშიფრება: ნიკა გვარამია გაუშვეს, ანუ, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, GO AND STUDY.

ასე ირაკლი ოქრუაშვილიც, რომელიც გვარამიასავით წარმატებულ პროკურორად წარმოგვიდგინა თავის დროზე პრეზიდენტმა, შემდეგ — შს მინისტრად, შემდეგ — თავდაცვის მინისტრად, შემდეგ — ეკონომიკის, მგონი, დაბოლოს, „სასწავლებლად“ გაუშვეს უცხოეთში.

ამ სწავლა-განათლებას რა მოჰყვა, ყველას გახსოვთ.

ხომ არ იწყება ოქრუაშვილიზაცია გვარამიასი?

ალბათ, არა.

თუმცა ქება არც მას დააკლეს, ოღონდ — პრემიერმა ნიკა გილაურმა, რომელმაც „ნიკა გვარამიას მუშაობის პერიოდი წარმატებულად შეაფასა“... ნიკამ ნიკას, როგორც ირემმა ირემს ბალახი გაუწოდა: ცოტა ხანი ამის ცოხნით გაერთეო.

**ჯერ მწარე ჭამეო, — ბრძანა გურამიშვილმა, — ისწავლე ჯერ, ტკბილ კენწეროზე გასვლა, ანუ მინისტრის თბილ სავარძელში ჩაჯდომა თუ იმისთვის ყოფილა საჭირო, რომ ბოლოს და ბოლოს გაიგო — სწავლა-განათლება გაკლია და თავიდან უნდა დაეუფლო მეცნიერებათა საფუძვლებს, გამაგებინეთ, გეთაყვა, როგორ ხელმძღვანელობდა ეს პატივცემული НЕДОРОСЛЬ-ი განათლების სისტემას უმაღლეს დონეზე და თანაც წარმატებულად?!**

არ ჭამო, ჯობია, ასეთ შემთხვევაში. არ გაჭამონ — თანამდებობის შემოთავაზებით არ შეგიტყუონ ტრადიციულ კაკანათში, რომლის მთელი კონსტრუქცია ერთი გაკვანძული ძუისგან შედგება, გამოჰკრავენ, როცა დასჭირდებათ და აფართხალდები ფეხებით დაბმულ ჩიტ ჩიორასავით. დაგაბამენ.

**ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა ნიკა გვარამია, რომელიც პრეზიდენტმა პრემიერის ხელით ქვეყნის სამასხარო გახადა: განათლებანაკლული განათლებისა და მეცნიერების მინისტრი განათლების მისაღებად УШЛИ.**

**ნაკლებგანათლებული, როგორც ნაკლებმარილიანი ყველი, რომელსაც რუსულად ეწოდება СЫР — სირი.**

**რამდენ ვინმეს გაუხუნდა ტელეწატრაბახება, მათ შორის, ქვეყნის უპირველეს პირსაც, განათლებულ და ერუდირებულ კადრად რომ წარმოგვიდგინა მინისტრად დანიშვნისას ნიკა გვარამია.**

**„მოგვატყუე, მიხეილ?“**

**კადრები წყვეტენ ყველაფერს, მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ კადრებია ჩვენთან გაწყვეტილი, ყოველ შემთხვევაში, იმ გუბეში, სადაც ვიქტორ ასტაფიევივით თავის ციმორებს იჭერს მიხეილ სააკაშვილი.**

**სანამ ნიკა გვარამია ისწავლის, დიმიტრი შაშკინი იმინისტრებს. იმ ბალახის მორჩენილი ნაწილი, რომელიც ნიკა გილაურმა ნიკა გვარამიას გაუწოდა, პრემიერმა ბატონ შაშკინს უწილადა: „საუკეთესო მენეჯმენტის და დიალოგის კარგად წარმართვის გამოცდილება აქვს“** („ინტერპრესნიუსი“).

რომელი დიალოგის? პატიმრებთან რომ მართავდა თუ მათ ჭირისუფლებთან?

## თუ ციხის გამოცდილებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებს დააზეპირებინებს მოსწავლეებს, მომავალ თაობას, რა თქმა უნდა, გამოადგება პოლიციურ სახელმწიფოში ცხოვრების პირობებში.

წარმოიდგინეთ:

ხვდება ახალი მინისტრი სკოლის მასწავლებლებს სემინარზე (ტრენინგზე, კოლოკვიუმზე, კონფერენციაზე) და სწავლების პროგრესულ ფორმებსა და მეთოდებზე საუბარს ციხეების სინამდვილიდან აღებული მაგალითებით განამტკიცებს: **როგორ უზრუნველყო ნომერ იქს საპყრობილეში ყველა პატიმარი საწოლებით („მენეჯმენტი“) ან როგორ ესაუბრებოდა და ურჩევდა საქმეებს „კანონიერ ქურდებს“ ქურდული პრინციპებით ქურდულ ენაზე („დიალოგის კარგად წარმართვის გამოცდილება“).**

## ჩვენი პრეზიდენტი სამკუთხედებით გვმოძღვრავს. ახლაც ასე გამოვიდა: გვარამია ბოშათა ბანაკივით უცხოეთის ცაში მიდის, შაშკინი — მინისტრად, განათლების სისტემა კვლავ უპატრონოდ რჩება.

ლაშა გიორგიძე

**P.S.** ისე რამ შეგაჯავრათ სკოლა, ქვეყნის მამებო, ასეთ საკადრო ექსპერიმენტებს მაინც და მაინც განათლების სისტემის ბაზაზე რომ ატარებთ? თქვენი შვილები უკვე საზღვარგარეთ სწავლობენ?

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ამერიკელ გოგონებს რწმენაზე სახალხოდ ლაპარაკისთვის ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს

**სასამართლომ არ მიიღო აპელაცია ერიკა კორდერისაგან, რომელიც კოლორადოს შტატის ქალაქ მონიუმენტის საშუალო სკოლის ხელმძღვანელობამ აიძულა, 2006 წელს დიპლომის მიღებისას მასწავლებლებისათვის მიმართვის ტექსტში რელიგიის ხსენებისთვის ბოდიში მოეხადა.**


ერიკა კორდერი

სასამართლომ, ასევე, არ მიიღო ნევადის შტატის ქალაქ ჰენდერსონის მცხოვრების ბრიტანი მაკკომბის განმეორებითი სარჩელი იმის გამო, რომ 2006 წლის გამოშვებისას ქრისტიანული თემატიკის შემცველი მისი გამოსამშვიდობებელი სიტყვა მკაცრ ცენზურას დაექვემდებარა, გოგონა სკოლის წარმომადგენლობას დისკრიმინაციასა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ბრალდებებს უყენებდა.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში სკოლის წარმომადგენლები წინასწარ გაეცნენ კურსდამთავრებულთა გამოსამშვიდობებელ ტექსტებს და იქიდან რელიგიასთან დაკავშირებული ყველა სიტყვა ამოშალეს, მაგრამ ორივე შემთხვევაში გოგონები ამ შესწორებებს არ დაემორჩილნენ და დიპლომების გადაცემის ცერემონიაზე რწმენის საკითხებზეც ისაუბრეს.



კორდერი ირწმუნება, რომ სკოლის დირექტორი დიპლომს მანამდე არ აძლევდა, სანამ სახალხოდ ბოდიშის მოხდა არ აიძულა. გოგონამ სკოლას უჩივლა, მაგრამ სასამართლომ მისი სარჩელი არ მიიღო. მოსამართლეები თვლიან, რომ კორდერის შემთხვევაში სიტყვის თავისუფლების უფლება არ შელახულა, ვინაიდან მისი გამოსამშვიდობებელი სიტყვა „სკოლამ მოამზადა“ და არა — თავად მან.

# აშშ-ის საეპისკოპოსო ეკლესიაში ეპისკოპოსად ლესბოსელი აირჩიეს

**ლოს-ანჯელესის საეპისკოპოსო ეპარქიამ ეპისკოპოსად ლესბოსელი ქალი აირჩია. თანამდებობაზე წარმატებულად დამტკიცების შემთხვევაში, მერი გლასპული აშშ-ის საეპისკოპოსო ეკლესიაში არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ღიად მიმდევარი მეორე არქიერი იქნება.**


მერი გლასპული

მთელი მსოფლიოს ანგლიკანების სულიერმა ლიდერმა არქიეპისკოპოსმა როუენ უილიამსმა განაცხადა, რომ ლოს-ანჯელესის სასულიერო პირთა გადაწყვეტილება „ძალზე სერიოზულ კითხვებს“ ბადებს და შესაძლოა, საეკლესიო ერთიანობას ზიანი მიაყენოს.

მანამდე, 2003 წელს, აშშ-ის საეპისკოპოსო ეკლესია გახდა პირველი ანგლიკანური პროვინცია, რომელმაც ეპისკოპოსად აღიარებული ჰომოსექსუალი აკურთხა. ჯინ რობინსონის ამ თანამდებობაზე დამტკიცებამ აშშ-სა და მის საზღვრებს გარეთ კონსერვატორი ანგლიკანების უკმაყოფილება გამოიწვია. საეკლესიო ტრადიციების მიმდევარნი პირდაპირ და ღია განხეთქილებაზე წავიდნენ და თავად ჩამოაყალიბეს ჩრდილოეთ ამერიკის დამოუკიდებლი ანგლიკანური ეკლესია. გარდა ამისა, საეპისკოპოსო ეკლესიის შემადგენლობაში დარჩენილი ზოგიერთი ეპარქია თავის მხრივ უკმაყოფილებას გამოხატავს და ცდილობს, ეროვნული საეკლესიო ხელმძღვანელობისგან შორს დაიჭიროს თავი.

„ადამიანთა ნებისმიერი ჯგუფი, რომელსაც პიროვნების რომელიმე ცალკეული ასპექტის გამო ჩაგრავდნენ, სამართლიანობასა და თანასწორუფლებიანობასაა მოწყურებული“, — ნათქვამია გლასპულის განცხადებაში. 55 წლის გლასპული კანონიკად მერილენდის ეპარქიაში, უკვე რვა წელია, მსახურობს. თავის პარტნიორთან ბეკი სენდერთან ერთად კი 1988 წლიდან ცხოვრობს.

# რისთვის უხდის ბოდიშს მაყვალა ბერიანიძე აფხაზებს?

**1992 წლის 14 აგვისტოდან არ მინახავხართ, ომის ბურუსში დამეკარგეთ, მენატრებით, აფხაზებო!...**
**დღეს აფხაზეთსაც უჭირს. პოლიტიკანთა უგუნურებამ მოგვწყვიტა ერთმანეთს, ეს დროებითია!**
**არ მინდა, მარცვლებივით ასაკრეფი გახდეს ნაღდი აფხაზური გენი. ეს არ უნდა დავუშვათ აფხაზებმა და ქართველებმა!**
**რატომღაც მჯერა, რომ აფხაზეთს ისევ დანარჩენი საქართველო გაამაგრებს! მანამდე კი მე, ერთი რიგითი ქართველი, ბოდიშს გიხდით, რომ...**
**...შევარცხვინეთ დიდი მეფე დავით აღმაშენებელი — „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშა და შაჰინშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობით მპყრობელი“.**
**ბოდიშს გიხდით, რომ დავუშვით**
**ჩვენ შორის მესამის ჩადგომა...**



ჩემო აფხაზებო! ახალი არაფერი ხდება, პოლიტიკანები და პოლიტიკანობა 10 წლის და 100 წლის წინაც იყვნენ.

ჯერ კიდევ „დედა-ენის“ შემქმნელი იაკობ გოგებაშვილი 100 წლის წინათ წერდა აფხაზეთში მავანთა პოლიტიკანობის შესაძლო სავალალო შედეგების შესახებ:

**„ამჟამად აფხაზებს ორი მოტრფიალე ჰყავს. ერთნი ცდილობენ, დააშორონ იგინი საქართველოს, გაიმარტოვონ და გადაიბირონ თავისკენ. მეორენი მონატრულნი არიან, დაიცვან ისტორიული კავშირი აფხაზებისა ქართველებთან... ეს ორი მოწინააღმდეგენი სხვადასხვა ხერხს ხმარობენ თავისი წადილის მისაღწევად. პირველნი სწერენ კიდეც და შესაბამის საქმეებსაც აკეთებენ. ქმნიან ფაქტებსა და ამ ფაქტების ძალით იმედი აქვთ, ლელო გაიტანონ.**

**მეორენი მხოლოდ ბუზღუნობენ, სჩივიან, სწერენ კორესპონდენციებს გაზეთებში, სადაც თავის უკმაყოფილებას აცხადებენ, საქმით კი არაფერს აკეთებენ. ამ დალოცვილებს დავიწყებიათ ის საანბანო ჭეშმარიტება, რომ უკუღმართის საქმის ძლევა შეიძლება მხოლოდ წაღმართი საქმით და არა ცარიელი სიტყვით — ფაქტის გაქარწყლება ძალუძს მარტო ფაქტსავე და არა ლიტონს სიტყვასა.“**

ჩემო აფხაზებო, ბოდიშს გიხდით, რომ არ დაგეხმარეთ მაშინ, როცა სომხები თარგმნიდნენ „იავნანამ რა ჰქმნა?“-ს და აფხაზები — ვერა!

**ბოდიშს გიხდით, რომ ჩვენ ერთობლივად არ დავადექით სიყვარულის, ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით მომავლის ერთად შენების გზას; რომ ვერ მოვახერხეთ პოლიტიკანებისა და მათი მისწრაფებების დამარცხება.**

**ბოდიშს გიხდით, რომ იაკობ გოგებაშვილის 100 წლისწინანდელი შეგონებიდან ვერანაირი დასკვნა ვერ გამოვიტანეთ და არათუ გამოვასწორეთ, უფრო და უფრო გავამრუდეთ გზა, რომლითაც ერთად უნდა გვევლო.**

წერილში **„პოლიტიკანობა აფხაზეთში 100 წლის წინ“**, იაკობ გოგებაშვილი წერდა: **„სოხუმში მოიპოვებიან როგორც ქართველი, ისე აფხაზი პედაგოგები. მათ ადვილად შეუძლიათ რამდენსამე თვის განმავლობაში შეადგინონ შეერთებული ძალით აფხაზური „დედა-ენა“ და დაბეჭდონ იგი. თუ ადგილობრივ ვერ შეძლებენ ამ წიგნების დაბეჭდვას, გამოუგზავნონ თბილისში „წერა-კითხვის საზოგადოებას“ და იგი დიდი სიამოვნებით გამოსცემს თავის ხარჯებით“.**

არ გეწყინოთ, ჩემო აფხაზებო, მაგრამ რომელ ენაზე ლოცულობთ? რომელ ენაზე სწავლობენ თქვენი შვილები? რომელ კლასამდე ისწავლება აფხაზური სკოლებში? საით მიდის თქვენი და ჩვენი მომავალი?! ვთქვათ სიმართლე: ვიცავთ სახელმწიფო ენას ქართველები და აფხაზები? არ ვიცავთ!

სახელმწიფო ენის სტატუსი ინგლისურს დანარჩენ საქართველოში მხოლოდ ფორმალურად არ აქვს, ჩვენთანაც ისევე ჭარბობს მხედრულს ლათინური, როგორც თქვენთან აფხაზურს — კირილიცა.

ბეწვის ხიდზე ვდგავართ და ჯიუტი თხებივით ერთმანეთს „რქებით“ ვაწვებით. დავიღუპებით, თუ დროზე არ მოვეგეთ გონს!

ბოდიშს გიხდით, რომ სხვათა სათამაშო თოჯინები გავხდით ეს ამაყი და ძლიერი ხალხები...

აი, რას წერს დიდი იაკობი:

**„ქართულის ღვთისმსახურებას აფხაზთა ყური ისმენდა მრავალის საუკუნოების განმავლობაში, შეჩვეულია მასთან და საღმრთო ენის სახელი და პატივი აქვს მათ შორის.**

**თუ შეგნებული აფხაზები დაახლოვებით გაიცნობენ თავისი სამშობლოს წარსულს, ცხადია, დარწმუნდებიან, რომ აფხაზეთი მხოლოდ იმ საუკუნეებში სტკბებოდა კეთილდღეობით და კაი სახელით, როცა შეკავშირებული იყო საქართველოსთან პოლიტიკურად, სარწმუნოებით და ღვთისმსახურებით.**

**მეტსაც შეიტყობენ. მაშინ აფხაზეთი სათავეში ედგა მთელ დასავლეთ საქართველოს, რომელსაც აფხაზების სახელმწიფო ერქვა, მაგრამ, როცა ისტორიის უკუღმართმა ტრიალმა იგი მოსწყვიტა საქართველოს და გაამარტოვა, აფხაზები უკან-უკან წავიდნენ, დაეცნენ, რიცხვით მეტად შემცირდნენ და ახლა, წინანდელის მოზრდილის ერის ნაცვლად, წარმოადგენენ ერთ მუჭა თემს, რომელსაც გაქრობა ემუქრება.**

**თუ პოლიტიკოსებმა გაასცალკევეს, გაიმარტოვეს და მოსწყვიტეს საქართველოსა, მტკიცე კავშირი კი მეგრელებთან და სხვა ქართველებთან წელში გამართავს აფხაზებს, ზურგს გაუმაგრებს, ძალასა და ღონეს მისცემს და კარგის მომავლის იმედით აღავსებს“.**

ჩემო აფხაზებო, ხომ ხედავთ, როგორ გვიტევენ დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთსა თუ სამხრეთიდან?

**„ალყაში ვართ,“ ჩემო კარგებო, „პოლიტიკანების ალყაში“! არ გავარღვიოთ ეს ალყა? ველოდოთ სათითაოდ, როგორ გამოგვწოვენ ქართულ-აფხაზურ სისხლს?**

ველოდოთ, როგორ ამოგვგლეჯენ ნაღდ გენს, ქართულ-აფხაზურ სულს?

ერთხელ დავწერე, კიდევ დავწერ, ხმამაღლა ვიყვირებ, რომ ჩვენ წინ „კავკასიური ცარცის წრის“ სპექტაკლი თამაშდება...

## მე გიხდით ბოდიშს, მე, ქართველი დედა, რომელსაც ძალა არ ეყო (სხვებთან ერთად), შეეჩერებინა ვიღაცებისგან დაგეშილი პოლიტიკანები, „გაპოლიტიკოსებული კრიმინალები“, სისხლის მდინარეებში რომ ჩაახშეს ქართულ-აფხაზური ხმები... ცოდვის კალო რომ დაატრიალეს.

## 1992 წლის 14 აგვისტოდან არ მინახავხართ... „ომის ნისლში“ დამეკარგეთ...

## კიდევ ერთი ზამთარი ახლოვდება, უკვე მერამდენე უერთმანეთოდ...

## ჩვენს ცეცხლზე სხვები თბებიან...

**ერთი ჩემს გულშიც ჩამოიხედონ... მეც და ათასობით ჩემნაირს სჭირდება არა ბიჭვინთა, რიწა ან გულრიფში, არამედ, აფხაზები, უპირველეს ყოვლისა!**

არაფერი კეთდებოდა ამ ერთობისთვის, არაფერი! შედეგიც სახეზეა...

სირცხვილით ვიხსენებ ე. წ. „ვარდების რევოლუციის წინა პერიოდს.

ყველაფერი კეთდებოდა უაზრობისთვის, დაცინვისთვის, მთავარი საწუხარის ირონიზებისთვის.

2003 წლის 31 ივლისი იდგა... ხელისუფლების „ვარდისფერ გადატრიალებამდე“ 3 თვე და რაღაც დღეები რჩებოდა...

14 დღეში აფხაზეთში უაზრო ომის დაწყებიდან 11 წელი შესრულდებოდა.

რით ხვდებოდა ამ ტრაგიკულ დღეს საქართველოს წამსვლელი ხელისუფლება?

მონანიებით? საინტერესო და ერთმანეთთან მისასვლელი გზების ძიებით? არა!

მრცხვენია, ყველა ქართველის მაგივრად მრცხვენია, მაგრამ უნდა ვთქვა: აფხაზეთიდან დევნილთათვის სასუქის განაწილებით იყვნენ დაკავებულნი (?!).

**მრცხვენია, მაგრამ ეს განკარგულება უნდა გამოვაქვეყნო. მგონი, თქვენც შეგრცხვებათ, როცა ნახავთ, რომ სოხუმელებს, გაგრელებს, ოჩამჩირელებს, თქვენს მეზობლებსა და ძმებს აფხაზეთში დაბრუნების სანაცვლოდ სასუქს „აჩეჩებენ“ ხელში!**

დიახ, მე ბოდიშს გიხდით, რაც მოხდა, მაგრამ პასუხისმგებლობას ვერც ერთი ქართველი ვერ აიღებს იმაზე, რაც მოხდება, თუკი...

**ვფიქრობ, ამ წინადადებას დასრულება არ სჭირდება, ვფიქრობ, სოხუმში, ისევე როგორც თბილისში, კარგად იციან, რომ დღეს ჩვენ არა გამარჯვებული ან დამარცხებული მხარეები, არამედ მსხვერპლნი ვართ გარემოებებისა და პოლიტიკანთა უგუნურებისა... და ჩვენი გადარჩენა ამ ერთადერთი სიმართლის დროულ გააზრებაში, რაც მთავარია, დროული და მართებული ნაბიჯების გადადგმაშია...**

## მე ჩემდათავად, ერთმა რიგითმა ქართველმა ბოდიში მოგიხადეთ, თუმცა ვიცი, რომ საბოდიშოც, გამოსასწორებელიც და მისატევებელიც ერთმანეთთან კიდევ ბევრი დაგვრჩა.

მაყვალა ბერიანიძე

# გოლიათებთან მებრძოლი დავით ციმაკურიძე



**2005 წლის ერთ მშვენიერ დღეს, როცა პირველ ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს საიუბილეო საღამო მოუწყვეს, უკრაინელმა ჟურნალისტმა იან დიმოვიჩმა, რომელსაც მსოფლიოს საუკეთესო მოჭიდავეებზე — უძლეველ ფალავნებზე, მათ შორის, დავით ციმაკურიძეზე უამრავი ნარკვევი დაუწერია. იუბილარს უკრაინული ქუდი აჩუქა. ციმაკურიძე საჩუქარმა ისე გაახარა, რომ მთელი საღამო არ მოუხდია. იმ ქუდით თავდამშვენებული ფალავანი ფირზე აღვბეჭდე. დავით ციმაკურიძეს გარდაცვალებამდე ხან ერთ ტურნირზე იწვევდნენ საპატიო სტუმრად, ხან — მეორეზე.**

ასე იყო დაღესტანშიც, სადაც საერთაშორისო ტურნირზე მიიწვიეს და ქალაქ ჰასავიურტის საპატიო მოქალაქის წოდებაც მიანიჭეს. დავით ციმაკურიძის სტუმრობა ყველგან დიდ პატივად მიაჩნდათ, ისიც, ასაკის მიუხედავად, არსად იზარებდა მისვლას, ოლიმპიურ თამაშებზე მიმავალ ჩვენს ახალგაზრდა სპორტსმენებს გზას ულოცავდა და 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობისკენ მიმავალ საკუთარ გზაზეც უამბობდა...

მაშინ „ჰელსინკის გზას“ სხვა საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად ადგნენ საქართველოს ათლეტებიც.

დავითი ფოთში დაიბადა. ფოთელი ჭაბუკების უმრავლესობა მეზღვაურობაზე ოცნებობდა. დავითი კი ფეხბურთით იყო გატაცებული. როცა მშობლები თბილისში გადმოსახლდნენ, ველოსპორტმაც გაიტაცა, კრივმაც, ტანვარჯიშმაც.

— **ტანვარჯიშში სპორტის ოსტატის ნორმატივსაც მივუკაკუნე**, — მითხრა ერთხელ ბატონმა დავითმა, — **მაგრამ სწორედ იმ დროს ორძელიდან ზედიზედ რომ ჩამოვვარდი, ჩემმა მწვრთნელმა არჩილ ბაქრაძემ მირჩია, ტანვარჯიშისთვის, ცოტა არ იყოს, დამძიმდი, აქ ბევრს ვერაფერს მიაღწევ, მაგრამ შენ ისეთი მამის შვილი ხარ, რომ უთუოდ კარგი ფალავანი დადგებიო...**

დავითის მამა, მიშიკო მაჩაბელი, ჩინებული მოჭიდავე იყო. ცირკის არენაზე გამოდიოდა და იქ ბევრი სახელოვანი ფალავანი დაუცია ბეჭებზე. მიშიკო მაჩაბელს ტაშს უკრავდნენ თბილისშიც, ქუთაისშიც, ბათუმშიც და რუსეთის უდიდეს ქალაქებშიც...

სად ციმაკურიძე და სად მაჩაბელიო, ალბათ, იკითხავს მკითხველი.

დავითის მამა — მიხეილ ციმაკურიძე, ჯერ კიდევ რევოლუციამდე ქუთაისის გიმნაზიაში სწავლისას, ქართული ჭიდაობით იყო გატაცებული. მამამისს შვილის ეს გატაცება დიდად არ ეპიტნავებოდა, მაგრამ, როცა მიშიკომ ფრანგული ჭიდაობა (დღევანდელი ბერძნულ-რომაული) აირჩია და ამ საქმეში პროფესიონალობა განიზრახა, კოპები შეიკრა, რადგან იმ დროს ამ სტილის ფალავნები ცირკში გამოდიოდნენ, ეს კი დავითის პაპას გვარის შერცხვენად და ღირსების შელახვად მიაჩნდა.

როცა მიხეილი ცირკის არენაზე პირველად უნდა გამოსულიყო, მასთან მივიდა ასაკოვანი, დარბაისელი მამაკაცი, გვარად მაჩაბელი და უთხრა, ძალიან გამახარებ, თუ დღეს მაჩაბლის გვარით იჭიდავებ. ასე მამაშენიც დაწყნარდება და, როცა სახელს გაითქვამ, მერე აღარც ციმაკურიძის გვარით ჭიდაობას დაგიშლისო.

**ის დღე იყო და ის დღე — მას მერე მიხეილ ციმაკურიძე მხოლოდ მიშიკო მაჩაბლის ფსევდონიმით ჭიდაობდა.**

დავითმაც, მამამისის დარად, ბოლოს მაინც ჭიდაობა ამჯობინა. პეტრე იორდანიშვილს მიებარა, რომელმაც შემდგომ ბევრი სახელგანთქმული ფალავანი — ოლიმპიური ტრიუმფატორი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონპრიზიორი აღზარდა, იმ დარბაზს კი, სადაც ისინი დააფრთიანა, „პეტრეს ცირკი“ შეარქვეს. იმ „ცირკში“ პირველი დიდი მოჭიდავე სწორედ დავით ციმაკურიძე იყო.

ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე დავით ციმაკურიძე სსრ კავშირის შვიდგზის ჩემპიონის ტიტულით ჩავიდა, იქ კი საქართველოს ათლეტთაგან გახდა პირველი ოლიმპიური ჩემპიონი. უფრო მეტიც, დავით ციმაკურიძე გახლდათ საბჭოთა მოჭიდავე, ვინც ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამ წარმატებას მან საშუალო წონის ფალავანთა პაექრობაში მიაღწია.

არადა, საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ მიმავალი გზა დამარცხებით დაიწყო. სტარტზე მის გარდა სამივე საბჭოთა ფალავანი დამარცხდა. გაზეთები ირწმუნებოდნენ, რუსები სუსტები არიან. მათ მხოლოდ ექვსი წუთი გაუძელი და შემდეგ ჩოქბჯენში მათი ძლევა გარდაუვალიაო, მაგრამ სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ ქართველი ფალავნები დავით ციმაკურიძე და არსენ მეკოკიშვილი, რომლებსაც ყველა რუსებად მიიჩნევდა. არადა, ამ ორ ქართველთან ერთად ეროვნებით სამი აზერბაიჯანელი, თითო უკრაინელი, სომეხი და ესტონელი იყო. მათგან ჩემპიონები მხოლოდ ქართველები გახდნენ.

სახელგანთქმული ქართველი ფალავანი, შემდგომში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი, „ჭიდაობის პროფესორად“ წოდებული ვახტანგ ბალავაძე, რომელიც ჰელსინკში საბჭოთა ოლიმპიურ ნაკრებში სათადარიგოდ იყო, იხსენებს:

**„ჩვენ ისე ვიყავით დარწმუნებული დავითის სიძლიერეში, რომ არც ერთს არ მოგვსვლია აზრად, დამარცხების შემდეგ გვენუგეშებინა. არც იყო საჭირო: ციმაკურიძე ხომ პირველ ბრძოლაში ერთდროულად ორ მოწინააღმდეგესთან — შვედ ბენგტ ლინდბლადთან და მსაჯთან დამარცხდა. რიცხობრივმა უპირატესობამ გამარჯვების სასწორი შვედის სასარგებლოდ გადახარა“.**



მსაჯის წყალობას მოკლებული ლინდბლადი რომ ვერაფერს გახდებოდა, ეს მისმა მომდევნო გამოსვლებმაც თვალნათლივ აჩვენა — შვედმა ყველა ორთაბრძოლა წააგო, ჩვენმა ფალავანმა კი გამარჯვებას მიაღწია. მან ჯერ ამერიკელ დან ჰოჯს სძლია, თუმცა მათი შერკინება ჰელსინკის სარბიელზე ლამის უკანასკნელი აღმოჩნდა ორივესთვის; როცა ანგარიში 4:2 იყო დავითის სასარგებლოდ, ამერიკელი დარწმუნდა, ამ კაცთან ჭიდაობით ვერაფერს გახდებოდა. და გამწარებული კრივს დაესესხა. მაგრამ მუშტიკრივში არც ქართველი გახლდათ ჯაბანი — ერთ დროს ხომ კრივსაც მისდევდა. ჰოდა, მანაც ხელი გამოიღო და სხვებისთვის შეუმჩნევლად ამერიკელს ხურდა დაუბრუნა. თუმცა ეს ყველაფერი მსაჯს არ გამოჰპარვია, მაგრამ, ვინაიდან მუშტს პირველმა ამერიკელმა მიმართა, ისინი შეჯიბრებიდან მოხსნას გადაურჩნენ.

**ერთი სიტყვით, ციმაკურიძემ ბოლოს ჰოჯს ისეთი კვანტი გამოსდო, რომ ამერიკელი ჯერ ჰაერში ავარდა და მერე ხალიჩას ბეჭებით გაეკრა — წმინდა გამარჯვება! ამ დროს ტაბლო 5 წუთსა და 58 წამს უჩვენებდა.**

ამის მერე ციმაკურიძემ დაამარცხა ეგვიპტელი აბდუ ჰუსეინი, უნგრელი დიორდ გურიჩი, ბოლოს, გადამწყვეტ პაექრობაში კი — სახელგანთქმული ირანელი გულამ რეზი ტახტი, რომელიც შემდგომ ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გახდა.

კვლავ ვახტანგ ბალავაძეს დავუთმოთ სიტყვა:

**„შეუძლებელია ამ ორი ღირსეული მეტოქის შეხვედრის მთელი სისრულით აღწერა. მსაჯს რიგიანად არც კი ვაცადეთ გამარჯვებული დავითისთვის ხელის აწევა, რომ საჭიდაო არენაზე გადავცვივდით და ხელში ატაცებული ოლიმპიური ჩემპიონი გავიყვანეთ გასახდელისკენ, თავად ჩემპიონი კი შემდგომ იხსენებდა:**

**— ტახტივით ძლიერი, გამძლე და ტექნიკური მეტოქე არასოდეს მყოლია. ირანის შაჰის რჩეული ფალავანი იყო. ჭიდაობისას ძალიან ძლიერად ჩოქბჯენში იბრძოდა, როცა მკვეთრ ბრუნს აკეთებდა, მაგრამ მე ამის წინააღმდეგ კარგი დაცვა მქონდა და ვერაფერს გახდა. მეორეჯერ ხიდზე მივიყვანე, ის კი ისეთი ძლიერი იყო, მართლა „პარავოზივით“ მიმათრევდა. სამწუხაროდ, 1969 წელს 39 წლისა გარდაიცვალა. ამბობდნენ, შაჰმა მისი პოპულარობა ვერ აიტანა და მოაკვლევინაო. ირანში, სადაც ტახტი გამოჩნდებოდა, ფეხზე წამომდგარი ხალხი, „ტახტი“, „ტახ-ტის“ ძახილით ეგებებოდა. იგი ირანის სახალხო გმირად შერაცხეს. ასე იყო თუ ისე, ჰელსინკში მე მის ფანდებს ძნელად თავს ვაღწევდი, ის კი — ჩემსას. ის „მაკრატელათი“ ლამობდა გამარჯვებას, მე კი ჩემებური „ტრიალით“, რომელიც მერე საჭიდაო არენაზე „ამურის ტრიალის“ სახელწოდებით დამკვიდრდა...**

**— ჰო, მართლა, სულ მაინტერესებდა, რატომაა, რომ მთელი მოჭიდავეთა სამყარო და თქვენი ახლობელ-მეგობრები დავითის ნაცვლად ამურს გიწოდებენ?** — ერთხელაც გავბედე და ვკითხე ჩემპიონს. მაშინ ჯერ ვფიქრობდი, ახალგაზრდობაში, ალბათ, ქალების დიდი მუსუსი იყო-მეთქი. ამური ხომ სიყვარულის ღვთაებაა. მერე მისმა მეგობრებმა მითხრეს, ამურს ბავშვობიდან ვეძახითო, თუმცა საიდან შეერქვა ეს მეტსახელი, არავინ იცოდა.

— **სულ პატარა რომ ვიყავი, დედაჩემს გული გავუწყალე — გინდა თუ არა, მითხარი, საიდან გავჩნდი-მეთქი,** — სიცილით გაიხსენა დავით ციმაკურიძემ, — **აბა, რა უნდა ეთქვა, ადგა და მოიგონა, ერთ მშვენიერ დღეს გაწვიმდა. წვეთებთან ერთად პატარა ფრთებით ზეციდან ამურივით ჩამოფრინდი და ჩემი შვილი გახდიო. ამურს ხომ მართლაც ფრთოსან ბავშვად გამოსახავენ. ასე შემერქვა ეს სახელი.**

ახლა კვლავ საჭიდაო ხალიჩაზე გადახდენილ ბრძოლებს დავუბრუნდეთ, რომელთაგან დავით ციმაკურიძე როსტოველ ხანტიმერიანთან ჭიდაობას გამოარჩევდა.

— **ეს 1942 წელს იყო ფოთში**, — იხსენებდა დავით ციმაკურიძე, — **მაშინ ხანტიმერიანი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო და იმ გემზე მსახურობდა, რომელიც ფოთს იცავდა. იმ დროს შერკინება 20 წუთს გრძელდებოდა ხოლმე. აქედან ხანტიმერიანს 18 წუთი ხიდზე ვყავდი დაჭერილი, მაგრამ მეტს ვერაფერს აკეთებდა. ბოლოს ხელიდან გავუსხლტი და მალე შეხვედრაც დამთავრდა. 2:1 მომიგო, მაგრამ მეზღვაურებმა „ბრავოს“ ძახილით მე ამიტაცეს და მაბურთავეს. ისინი მამხნევებდნენ, ყოჩაღ, ამურჩიკ, შენგან დიდი მოჭიდავე დადგებაო.**

დადგა კიდეც. უბადლო მოჭიდავეც დადგა და სანაქებო მწვრთნელიც. 1956 წელს მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე რომ საბჭოთა ფალავნებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს და გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს, ამაში თავისი წვლილი დავით ციმაკურიძემაც შეიტანა — ის ხომ სსრ კავშირის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყო. დავით ციმაკურიძე სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებასთან ერთად სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის სახელსაც ატარებდა...

**ავთანდილ გურასაშვილი**

# საუკეთესო მანქანა უგზოობისთვის

**კონკურსში „2010 წლის საუკეთესო მანქანა უგზოობისთვის“ შვედურმა „Volvo XC60“ გაიმარჯვა. საპატიო ჯილდო კომპანიის პრეზიდენტს დუგ სპეკს ლოს-ანჯელესის საერთაშორისო ავტოსალონში გადაეცა.**



ავტომანქანა „XC60“ კონკურსის ფინალში გასული 10 საუკეთესოდან აირჩა. „ეს ჯილდო ვოლვოსათვის ძალზე წარმატებული წლის იდეალური დასასრულია. მოდელი „XC60-I“ არა მხოლოდ უამრავმა ჟურნალისტმა გამოცადა, არამედ მყიდველმაც ძალზე კარგად მიიღო“, — განაცხადა სპეკმა დაჯილდოების ცერემონიაზე.

კონკურსის მონაწილე მანქანებს ამერიკული და კანადური მასმედიის ავტომანქანების თემატიკის 19 წარმომადგენელი აფასებდა. მსაჯულებს უნდა შეერჩიათ მათი აზრით საუკეთესო მანქანა, რომელიც „მანქანასა და მძღოლს შორის ემოციურ კავშირს ასახავდა“. „საუბარია იმაზე, თუ რამდენად ასახავს ავტომანქანა ადამიანის პიროვნებას, მისი ცხოვრების სტილს, იმ იმიჯს, რომელთანაც ასოცირდებიან მანქანები მყიდველთათვის“, — განაცხადა კონკურსის დამაარსებელმა და მისმა აღმასრულებელმა პროდიუსერმა კორტნი კოლდველმა.

მსაჯულები ტესტირებათა შედეგებსა და მომხმარებელთა შეფასებებსაც ითვალისწინებდნენ. ჟიურის წევრები გამარჯვებულის შერჩევისას, ძირითადად, რამდენიმე კრიტერიუმს ეყრდნობოდნენ. უპირველეს ყოვლისა, მოდელი ახალი შექმნილი ან მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული უნდა ყოფილიყო და სადილერო ავტოსალონებში 2009 წლის 16 ნოემბრიდან მაინც უნდა გაყიდულიყო.

აღნიშნული გამარჯვება „Volvo XC60“-სათვის ზუსტად მეოცე ჯილდოა შარშან წლის ბოლოს ევროპაში დაწყებული მისი გაყიდვებიდან დღემდე. ის პირველი სერიული მანქანაა, რომელიც საბაზო კომპლექტაციაში „City Safety“-ის უსაფრთხოების სისტემითაა აღჭურვილი. როგორც ჩანს, ჟიურის გადაწყვეტილებაში ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა — უკანასკნელ პერიოდში მძღოლისა და მგზავრების უსაფრთხოება განსაკუთრებულად აქტიური თემაა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მიშთები, მიშტიკა და მიშთოლოგია

**მითოლოგია ბერძნული სიტყვაა და მითების ერთობლიობას ნიშნავს. მიშთოლოგია კი იმ ახალბედა, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი „მეცნიერების“ სახელწოდებაა, მიშისტ გმირებზე, ღმერთკაცებსა და ბაყბაყდევებზე რომ მოგვითხრობს, რომელთაგან ზოგიერთის ხსენებაზე ან დანახვაზე, გვინდა არ გვინდა, უკანალზე სამჯერ უნდა ვიბწკინოთ, მერე სამჯერ გადავაფურთხოთ და სამჯერ წარმოვთქვათ: „ფუი ეშმაკს!“ ყველაფრის მიუხედავად, მსგავსება მითებსა და მიშთებს შორის ძალიან დიდია, იმდენად დიდი, რომ ზოგიერთ ჭკუანაღრძობ მეცნიერში, შეიძლება კითხვაც კი გაჩნდეს: რომელი უფრო ადრეულია — მითოლოგია თუ მიშთოლოგია? წინამდებარე წერილში ბერძნული მითოლოგიის რამდენიმე გმირს დავახასიათებ და იმედია, თავადაც დარწმუნდებით, რომ მიშთოლოგიის პერსონაჟები მათი პროტოტიპები არიან.**




მაშ ასე, დავიწყოთ ჰეროსტატოსით, იგივე ჰეროსტრატეთი. ჩვენამდე მოღწეული ძველბერძნული ისტორიული წყაროების თანახმად, ჰეროსტრატე იყო ქალაქ ეფესოს ახალგაზრდა მცხოვრები, რომელმაც ქრისტეშობამდე 356 წელს მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი, უმშვენიერესი და უბრწყინვალესი არტემიდას ტაძარი ცეცხლის ალში გაახვია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს მან საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად ჩაიდინა...

ქართულ **მიშთოლოგიაში** მისი პროტოტიპი სხვა სახელითაა ცნობილი, თუმცა მის ხსენებას ორი მიზეზის გამო მოვერიდები — **ერთი იმიტომ, რომ არ მინდა ეს წერილი საჯდომზე ბწკენის, ფურთხებისა და „ფუი ეშმაკის“ ძახილის ფონზე წაიკითხოთ. მეორე კი იმიტომ, რომ, ვფიქრობ, უკვე გამოიცანით ჩვენი ჰალსტუხის ჭამაში დახელოვნებული ყოვლისშემძლე მხედართმთავრის ვინაობა...**

მაშ ასე, თანამედროვე ქართველი ჰეროსტრატე ტაძრების ნგრევით უფროა ცნობილი, ვიდრე დაწვით, მაგრამ მსხვერპლი, რომელიც მან უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე საკუთარი სახელის უკვდავყოფას შესწირა, ბევრად აღმატება მითოლოგიური ჰეროსტრატეს ნამოქმედარს. უფრო მეტიც, თუ ამ უკანასკნელმა ტაძრის დაწვა იკმარა, მისმა **მიშთოლოგიურმა** პროტოტიპმა მთელ ქვეყანაში დააგიზგიზა ჯოჯოხეთის ცეცხლი, შემუსრა ყოველივე ფასეული და ფეშქაშად გაუფინა საკუთარ ძალაუფლებას. რაც უფრო რწმუნდება იგი, რომ კეთილ სახელს ვერ დაიმკვიდრებს, მით უფრო ცდილობს, ღრმა ჭრილობა დატოვოს საკუთარი ერის სხეულზე. ეს კი ახალ სიბრიყვესა და ახალ ბოროტებას ნიშნავს!

მითოლოგიური ჰეროსტრატესგან განსხვავებით, ჩვენს „სახელოვან“ ბელადს მთაზე წამოჭიმული ზევსის საყდარივით დიდებული სასახლის მტკიცე გალავანი იცავს. მას მარჯვენა ხელი ჰყავს ისეთი, რომ რიგით მოკვდავთა ფიქრებსა და, წარმოიდგინეთ, სიზმრებსაც კი ისე კითხულობს, როგორც ფრიადოსანი მოსწავლე გაზუთხულ გაკვეთილებს... ორიოდე სიტყვას ამ პერსონაჟზეც მოგახსენებთ, მაგრამ მანამდე ბერძნული მითოლოგიიდან მის ანალოგზე ვისაუბროთ.

აქილევსი ჭკვიანი, წინდახედული და ყოვლისმცოდნე გმირია, ამასთან, ფარისეველიც, ვერაგიც და დაუნდობელიც. ყველაფერზე თვალი უჭირავს, ყველაფერს ყურს უგდებს, მეგობრებს არ ენდობა; ხოლო, თუ ვინმესგან საფრთხეს იგრძნობს, მას უმალვე ანადგურებს.

**მიშთოლოგიური ვანო-აქილევსიც** ყოვლისმცოდნე და შეუპოვარია. განსხვავება მხოლოდ ერთია — **ვანო-აქილევსი** ჰეროსტრატეს მარჯვენა ხელია, მისი მისია ზონდერთუხუცესობაა; როცა ჰეროსტრატეს ღვთაებრიობას შეურაცხყოფენ, როცა **მიშთიური** სამყარო დგება განსაცდელის წინაშე, ვანო-აქილევსი და მისი ზონდერლეგიონები აქტიურდებიან. ვინ მოთვლის, რამდენი ქართველი გააძევა მოუსავლეთში. ზოგი გაზით გაიგუდა, ზოგს ცემაში აღმოხდა სული... მოკლედ, მაგან უნდა თქვას, აქილევსი ვარო და თანაც თავიდან ქუსლამდე ჰეროსტრატეს **შადრ-ევანში** განბანილი...

თუმცა ზონდერთუხუცესი ერთადერთი გმირი არ არის, რომელიც სისასტიკით გამოირჩევა, თანამედროვე ქართულმა **მიშთოლოგიამ** იცის უფრო გაბედული პერსონაჟებიც, რომელთა შორის ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი ქალღმერთ თეანოს უჭირავს.

ბერძნულ მითოლოგიაში ეს სახელი ფარისევლობის, მოღალატეობის, დაუნდობლობისა და სისასტიკის სიმბოლოა, რამეთუ თეანო არგოსის მეფის ორმოცდაათ ქალიშვილთაგან ერთ-ერთია, რომელმაც მამის ბრძანებით ქორწილის ღამეს ქმარს ყელი გამოსჭრა.

გასაკვირი სულაც არ არის, რომ **მიშთოლოგიაში** ეს ქალღმერთი ზუსტად იმ სახელით დამკვიდრდა, რითაც ბერძნულ მითოსშია ცნობილი, თუმცა თანამედროვე **მიშთოსში** გაცილებით უფრო მრისხანე სახე მიიღო და, თუ მითოლოგიაში ქმარს ებრძოდა, **მიშთოლოგიაში** მართლმადიდებელთა არმიასა და პატრიარქს ებრძვის **თეა-თეანო-თუთბერიძე.** ძალთა თანაფარდობა მას გამარჯვების საშუალებას არ აძლევს, ამიტომ ათასი ხრიკებისა და ოინების გამოყენება უწევს. მაგალითად, ამ რამდენიმე ხნის წინათ კუდიანი ეშმაკის სახე მიიღო და რიგით მოკვდავთა ყველაზე სათუთ, მტკივნეულ წერტილზე მიიტანა იერიში.

ორიოდ სიტყვას ციკლოპზეც მოგახსენებთ. მაშ ასე, მითოლოგიის თანახმად, ციკლოპი ეს არის ცალთვალა ბუმბერაზი, კაციჭამია ურჩხული, რომელიც ყველაფერს ანგრევს, ლეწავს და პირში იყრის. იგი შეუბრალებელი არსებაა, ბოროტი და ულმობელი. მისი ერთადერთი საქმე გაძღომა და ძილია. ის არაფერს ჰყიდის და არც არაფერს ყიდულობს, განსხვავებით **მიშთოლოგიური** ანალოგისგან, **ბენდუ-ციკლოპისაგან,** რომელმაც ჩვენს მიშთოლოგიაში სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი, როგორც გამყიდველმა, ავსიტყვა და უხიაგმა **ბენდუ-ციკლოპმა.**

უფრო მეტიც, მითიური ციკლოპისგან განსხვავებით, **მიშთიურ** ციკლოპს, ჩამოთვლილი თვისებების გამო, მეტსახელად იუდაც კი შეარქვეს და მას შემდეგ, რაც **მიშა-ჰეროსტრატემ** და **ვანო-აქილევსმა** მძლავრი ჭიტლაყით ქუჩაში მოისროლეს, კინაღამ ისკარიოტს მოუხდა პატივცემულ **ციკლოპ-იუდას** გამგზავრება...

მითოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქალღმერთ არიადნეს. არც მეტი არც ნაკლები, იგი წაქეზებისა და მსახურთა შორის შუღლის გაჩენის სიმბოლოა. ცნობილია, რომ მინოტავრთან საბრძოლველად მიმავალ თეზევსს სწორედ მან მისცა ძაფის გორგალი, რომლის მეშვეობითაც თეზევსმა ლაბირინთიდან დასაბრუნებელი გზა არ დაკარგა.

მისი თანამედროვე პროტოტიპიც არანაკლებ წამქეზებელი და შუღლის გამჩენი ქალბატონია. **არიადნე-კონდოლიზას** ჩვენი ქვეყნის უახლოეს ტრაგიკულ წარსულში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სწორედ ამ პირშავი ქალღმერთის ავზნიანობას უკავშირებენ ზოგიერთები აგვისტოს ომს. ბოროტ ენებს თუ დავუჯერებთ, სწორედ მან უბოძა საბედისწერო ძაფის გორგალი ჰეროსტრატეს, რომელმაც შარშან, აგვისტოში, არც აცია, არც აცხელა და რუსეთთან ომი გააჩაღა. რა შედეგით დასრულდა **მიშთოლოგ ჰეროსტრატეს** შებმა ჩრდილოელ მეზობელთან, ყველას კარგად მოგვეხსენება, თუმცა თავად ჰეროსტრატესთვის რა მნიშვნელობა აქვს, საამაყო ფაქტი უკვდავყოფს მის სახელს თუ — სამარცხვინო...

აქვე კიდევ ერთი მითოლოგიური გმირის, **ანტიკლეს,** შესახებ მოგახსენებთ, რომელიც ტროაში საჩუქრად შეგზავნილ ცხენში იჯდა და რომელმაც ლომის წილი შეიტანა ამ დიდებული ციხე-ქალაქის დაცემა-განადგურებაში. მითოლოგია ანტიკლეს გვიხატავს როგორც ორგულ, მზაკვარ ადამიანს. ზოგიერთ წყაროში აღნიშნულია, რომ იგი არცთუ ურიგო მეომარი იყო, მაგრამ ომში ყოველთვის იმათ მხარეს იკავებდა, ვისაც გამარჯვების მეტი შანსი ჰქონდა...

თანამედროვე ქართული **მიშთოლოგია** სავსეა ანტიკლეებით, თუმცა მათ შორის **„უანტიკლესი“** მხოლოდ ერთია. ჩვენ მას კარგად ვიცნობთ, როგორც მითოლოგიური ანტიკლეს უბადლო პროტოტიპს, როგორც გამყიდველსა და საკუთარი კეთილდღეობისთვის ყველაფრის მკადრებელ პოლიტიკოსს, რომელსაც ხან **„ჰალსტუხიან ხვლიკად“** მოიხსენიებენ, ხანაც — **„შადიმანად“.**

დიახ, იგი ოპოზიციონერია და პარლამენტში საკუთარი ფრაქცია აქვს. ადრე ტელეეთერიდან ხელისუფლებას უჩხიკინებდა, მაგრამ მერე ყურის ძირში რომ წამოჰკრეს — **ვოე, ანტიკლე, თავი მართლა ანტი ხომ არ გგონია, ცოტა აზრზე მოდიო,** უცაბედად ზნეც იცვალა და ფერიც, — ახლა საერთოდ არც ერთი აქვს და არც — მეორე, ისე ძაღლის ბედზეა გაჩენილი ჩვენი სახელოვანი **ანტიკლე** — ვისთანაც პირი შეკრა, იყო ეს აჭარის ლომი თუ ოლიგარქთ-ოლიგარქი პატარკაციშვილი, ყველას დაენგრა საათივით აწყობილი საქმე. თვითონ ყოველთვის მოგებული დარჩა და თანაც როგორ — ერთი ათად აინაზღაურა მარჩენალთა დაკარგვით მიყენებული ზარალი. მოკლედ, მაგას **ანტიკლე** კი არა, სწორედ ის უნდა ერქვას, „რა ასოციაციასაც“ ეს მითოლოგიური სახელი სალიტერატურო ქართული ენის მეტ-ნაკლებად მცოდნეში იწვევს.

ჩრდილოეთის ქვეყნების მითოლოგიაში არსებობს ქალღმერთი სახელად ჰეიდი, როგორც მითი მოგვითხრობს, სადაც იგი მივა, ჭირი და უბედურება ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა, ქვეყნიერებას ქაოსი მოიცავს. არსად არ უხარიათ მისი გამოჩენა, მაგრამ ის ყველგან მიდის, ყველგან დაუპატიჟებელი და საშიში სტუმარია...

**მიშთოლოგიაში** ჰეიდის ფენომენი შორეული დასავლეთიდან შემოვიდა და სახელწოდებაც იგივე დარჩა, თუმცა თვით მიშთოლოგიის ფუძემდებლისთვის ეს ქალღმერთი **ჰეიდი ტალიავინი** — უხსენებლის სახელით დამკვიდრდა. რატომ? იმიტომ, რომ, როცა **მამა მიშთოლოგი** ჩრდილოელ მეზობელთან ომის შედეგად ყოფნა-არყოფნის ზღვარზე აღმოჩნდა, ჰეიდიმ პირველმა ჩასცა ლახვარი ისედაც სულთმობრძავ „ღვთაებას“. ამ ლახვარმა მართლაც ნამეტნავად აზარალა ჰეროსტატე. — **მეტი რაღა უნდა დამემართოს, კაცი ჰააგის ტრიბუნალის შიშითა და ძრწოლისგან ლამის კურდღლად ვიქცეო, — უთქვამს ამასწინათ ვანო-აქილევსისათვის.**

აქვე კიდევ ერთ ფრიად საგულისხმო პერსონაჟზეც მოგახსენებთ.

ბერძნულ მითოლოგიაში არის ასეთი ფიგურა პროკლეა — ტროას მეფის ლაომედონტის ასული, კიკნოსის პირველი ცოლი, ტენესისა და ჰემითეას დედა. როგორც მითი მოგვითხრობს, პროკლეა უზნეო და აღვირახსნილი ქალია, უვიცი და დაუნდობელი, რის გამოც მას ყველა უფრთხის.

მითოლოგია დადებითად ახასიათებს მამამისს — ლაომედონტს, ქმარს, ანუ კიკნოსს კი პროკლეას მსგავსად, უარყოფით გმირად წარმოგვიდგენს...

ქართულ **მიშთოლოგიაში** პროკლეას პროტოტიპი ერთ-ერთი გამორჩეული პერსონაჟია. ჩვენ მას **მაია ნადირაძის** სახელით ვიცნობთ...

**მიშთოლოგიური** პროკლეა წლების მანძილზე (და დღესაც) **მიშთიური** სამეფოს დაუცხრომელი ტრუბადური იყო, რის გამოც არაერთხელ დაუმსახურებია **ჰეროსტრატე მიშთოლოგის** კომპლიმენტი.

მთავარი მსგავსება, რაც **მითიურ პროკლეასა და ნადირაძეს** შორის არსებობს, მათი თვისებებია — პროკლეას უზნეობა ქმრებისა და საყვარლების წარამარა გამოცვლაში გამოიხატება, მისი პროტოტიპისა კი — **პოლიტიკურ ბანაკთა წარამარა გამოცვლაში.**

ამასთან, **პროკლეა ნადირაძე,** მითიური პროკლეას მსგავსად, ისეთი უვიცი და უწიგნურია, რომ ილია ჭავჭავაძესა და ალექსანდრე ჭავჭავაძეს ერთმანეთისაგან ვერ არჩევს.

ჩამოთვლილი თვისებების გარდა, ამ ორ პერსონაჟს კიდევ ერთი საერთო აქვთ — პროკლეას ყოფილი ქმრის კიკნოსის მსგავსად ნადირაძის ყოფილი ქმარი ირაკლი ბათიაშვილიც **მიშთოლოგიის** უარყოფითი პერსონაჟია, იმდენად უარყოფითი, რომ თვით **მიშთოლოგიის** ფუძემდებელ **ჰეროსტრატესაც** კი ყელში ამოუვიდა მისი ირონიული განცხადებების მოსმენა და რამდენიმე წელი ვირის აბანოში აყურყუტა ერის მოღალატის სტატუსით.

...მოკლედ, ბევრი რაღა გავაგრძელო და **მიშთოლოგიის** მთავარი ამოცანა თანამედროვე ქართული **მიშთების** შექმნა და დამკვიდრებაა. ჩვენც ამ პროცესის ნაწილი ვართ...

მოვა დრო, ეს **მიშთები** ერთ კატეგორიაში — **სამარცხვინო მითებში** გაერთიანდებიან და მათ ქართველი ხალხი თვალისდაუხამხამებლად ჩარეცხავს ისტორიის კანალიზაციაში...

**ჯაბა ჟვანია**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დათუნია ბაქრაძის აკუნა მატატა...

**იმ დღეს „ვარდოსანთა" პარლამენტის თავკაც დათუნია ბაქრაძეს ერთობ მძიმე დილა გაუთენდა — ჯერ იყო და თავის კანტორაში უთენია მისულმა გიჟივით დაიჩემა, წუხელ ჯონდი ბაღათურია ქოჩრიანი მესიზმრა, დღეს აქ რამე ცუდი მოხდებაო, მერე კი სხდომათა დარბაზში შევარდა და სავარძელზე იმდენი იქანავა, კინაღამ იქვე აიხდინა წინა ღამის ნანახი ავბედითი სიზმარი. პარლამენტში ჩვეულებრივი სასესიო დღე იყო, დეპუტატები სხდომის დასაწყებად ემზადებოდნენ... დარბაზში აკუნა მინაშვილი შემოვიდა, აღელვებულმა მიიხედ-მოიხედა და უმალ ბაქრაძისკენ გაემართა.**

— **აკუნ, რა ხდება მანდ, გარეთ, რა ხმაურია?** — შეაგება კითხვა პატივცემულმა თავმჯდომარემ ტრიბუნის კიბეზე ამომავალ მინაშვილს.

— ნუ მკითხავ, საშინელება მოხდა.

— **მაინც?**

— პალიკო, ჩვენი პალიკო!.. დაიბღავლა მინაშვილმა.

— **რა პალიკო, ბიჭო, რა მოუვიდა?**

— სხდომაზე მაგვიანდებაო და თურმე კისრისტეხით მორბოდა ეგ უბედური, კიბეზე ფეხი დაუცურდა.

— **მერე?**

— მგონი, კუდუსუნის ძვალი აქვს მოტეხილი, საშინლად ღრიალებდა.

— **ჰო, ღრიალი მეც მესმოდა, მაგრამ ფეხი როგორ დაუცურდა?**

— ბანანის ნაფცქვენზე...

— **ბანანის ნაფცქვენი კიბეზე... საიდან, როგორ?..**

— როგორც მითხრეს, ბოკერია ყოფილა აქ ამ დილით, ბანანს მიირთმევდაო და, ალბათ, ნაფცქვენიც იმან დააგდო.

— **ისე ეს ბოკერიაც კაი ვინმეა, რაღა მაინცდამაინც აქ მოუნდა ბანანის ჭამა. ჯონდი ბაღათურიას კაბინეტის კარებთან მაინც დაეგდო ნაფცქვენი.**

— კარგი იქნებოდა, მაგრამ არ ინება განგებამ...

სანამ ბაქრაძე და მინაშვილი პალიკოს კუდუსუნზე მოთქვამდნენ, დარბაზში გოკა გაბაშვილი შემობარბაცდა, მცირე ხანი კარებთან დაჰყო, დაათვალიერა დეპუტატები და დაღლილი ჩოჩორივით თავჩაქინდრული ისევ უკან გაბრუნდა.

ეს, რა თქმა უნდა, ბაქრაძეს არ გამოპარვია. ბევრი უძახა, გოკუშ, მოდი, შენც შემოგვიერთდიო, მაგრამ ხმა რომ ვერ მიაწვდინა, გაბრაზებულმა იმასაც კაი „ხოშიანი" ქოქოლა და მსუყე წყევლა-კრულვა მიადევნა. მერე მინაშვილს მიუბრუნდა:

— **რა სჭირს ამ გაბაშვილს, რა ბნედიანივით დაბარბაცებს?**

— რა სჭირს და წუხელ პრეზიდენტთან ყოფილა სასახლეში, სამი „პორცია" სუში უთქვლეფია ამ ოხერს ამას, აწყინა და ახლა წარამარა დარბის ტუალეტში.

— **კი მაგრამ, სამი „პორცია" რამ აჭამა, ამ მართლა ოხერს და მოსასპობს?!**

— როგორ თუ რამ, სამი უჭამია პრეზიდენტსაც და ხომ არ ჩამორჩებოდა?!

— **მართალია. დანარჩენები სად არიან, ეს გოგორიშვილი და მაჭავარიანი მაინც რა მიწამ ჩაყლაპა?**

— **მაჭავარიანს გუშინ დამალობანა უთამაშია ცისკარიშვილთან და, მგონი, სამუდამოდ დაიკარგა, ეძებეს და ვერსად იპოვეს... გოგორიშვილი კი ერთი-ორი კვირა არ იქნება, მერის არჩევნები ახლოვდება, დამკრძალავ ბიუროებში რაღაც საქმეები მაქვსო...**

— **მინისტრებიც არ მოვლენ? მგონი, დღეს კვეზერელს უნდა წარმოედგინა რაღაც კანონპროექტი.**

— კვეზერელი შეუძლოდაა, ვერ მოვა.

— **რაო, რა სჭირს, ფეხი დაეჭიმა თუ ჭიპლარი გაუღიზიანდა?**

— უარესი, ამ რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტმა ღირსების ორდენით რომ გამოჭიმა, ხომ იცი?

— **მერე?**

— მედალს რომ ჰკიდებდა, ქინძისთავი შიგ ძუძუში უხჩვლეტია, გაუღიზიანდა და ახლა ისეთი გასიებული აქვს, პამელა ანდერსონის მკერდი მიმიქარავს.

კარი გაიღო და დარბაზში პატივცემული მინისტრები: კახა ბაინდურაშვილი, ზურაბ პოლოლიკაშვილი, ლევან ბეჟაშვილი და ირაკლი ღვალაძე შემოვიდნენ. მათ მოჰყვნენ „ქრისტიან-დემოკრატები": ლევანა ვეფხვაძე, მაგდალენა ანიკაშვილი და პარტიის სიამაყე გიორგუნა თარგამაძე. ბაქრაძეს თვალები გაუბრწყინდა.

— **აჰა, როგორც იქნა, გვეღირსა პუბლიკა, მაგრამ რა უნდა ილაპარაკონ ახლა ამათ, ნეტავი?** — გადაულაპარაკა მინაშვილს.

— მაგი, დათუნა, ჩვენ კი არა, თვითონაც არ იციან, მაგრამ რას დავეძებთ, რამეს მაინც ხომ იტყვიან?

— **იტყვიან, აბა, არ იტყვიან?!**

— ჰოდა, დროზე მიეცი რომელიმეს სიტყვა და თავში ქვა უხლიათ...

— **სმენა იყოს და გაგონება!** — შესძახა ბაქრაძემ, — **ტრიბუნაზე ვთხოვთ ფინანსთა მინისტრ კახა ბაინდურაშვილს.**

ეს უკანასკნელი კოშმარზე გამოღვიძებულივით წამოხტა, სტაცა ხელი დავთარს და ბნედიანივით აბარბაცდა ტრიბუნაზე. მთელი ნახევარი საათი მოანდომა კანონპროექტის წარდგენას, განხილვასა და მისი ავკარგიანობის შესახებ მსჯელობას. ბოლოს თვითონაც მიხვდა, რომ არავინ უსმენდა და დაღლილ-დაქანცულმა ერთი წინადადებით განმარტა ყველაფერი:

— **ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ და მივედით დასკვნამდე, რომ ბიუჯეტი თავიდან უნდა დაიგეგმოს...**

— აუ, რას ქვია, თავიდან დაიგეგმოს?! თქვენ სახელმწიფო ხაზინა ბზრიალა ხომ არ გგონიათ, წარამარა რომ ატრიალებთ, — წამოხტა ლევანა ვეფხვაძე და შლეგივით შესკუპდა ტრიბუნაზე.

— ბატონო ფინანსთა მინისტრო, რასაც თქვენ ამბობთ, აბსურდია, თუ ბიუჯეტი თავიდანაა დასაგეგმი, ესე იგი ან თავის დროზე დაიგეგმა არასწორად, ან ყველაფერი კარგად იყო და ვიღაც ფულს ჯიბეში იდებდა.



ამაზე უმრავლესობა გადაირია, ბაინდურაშვილი ფეხზე წამოდგა და ვეფხვაძეს თითი დაუქნია:

— მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა ჯიბეში ფულის ჩადება!

ბაქრაძემ ესეც არ იკმარა და წარსულში გადაეშვა:

— **შენ, ჰეი, ვეფხვაძე ხარ თუ ბოკვერაძე, როგორ გვიბედავ და მფლანგველობას გვწამებ, ხომ არ დაგავიწყდა შენი წარსული?!..**

ლევანას ხმა არ ამოუღია, ეტყობა, არ ეგონა, ესოდენ მკვახე რეაქცია თუ მოჰყვებოდა მის გამოსვლას.

და მაინც, რა წარსული იგულისხმა ბაქრაძემ? ეს კითხვა დარბაზში ბევრს გაუჩნდა.

## რა თქმა უნდა, იგულისხმა ის, რომ პატივცემული ვეფხვაძე „მოქკავშირის" ძველი ნააქტივისტარია, დაუცხრომელი „ბაბუინი" და წინასაარჩევნოდ თურმე ისეთ რამეებსაც კადრულობდა, რასაც ყველაზე ვიგინდარა ნორჩი „ნაცმოელიც" კი ითაკილებს. ესეც რომ არ იყოს, წამოსაძახებლად ისიც ეყოფა, რომ „ქრისტიან-დემოკრატიული" პარტიის წევრია და...

მეტი ბინძური წარსული რაღა გინდა... სანამ ვეფხვაძესა და უმრავლესობის წარმომადგენლებს შორის დავაკამათი იყო, დარბაზში დავით დარჩიაშვილი შემოვიდა. მინაშვილმა უმალვე შენიშნა წვერ-ულვაშიანი კოლეგა და ხმამაღლა დაუძახა:

— დათო, მოდი, ჩვენთან დაჯე, ცოტა ხანს ვისაუბროთ.

— **ე, ბიჭო, დაანებე თავი, იჯდეს თავისთვის. მაგან ამ დილით სამჯერ დააცემინა ზედიზედ, რა იცი, იქნებ, „ღორის გრიპი" სჭირს, გადაგვდებს და მერე იყურყუტე რეანიმაციაში,** — გაუწყრა ბაქრაძე.

— თუ ასეა, იქნებ ერთიორი კვირით დაგვეთხოვა?!

— **ნუ ვიჩქარებთ, ცოტა ხანი დავაკვირდეთ, თუ ღრუტუნი დაიწყო, დათხოვნას მერეც მოვასწრებთ. ახლა ჯობია, შესვენება გამოვაცხადოთ, წავიდეთ, ცოტა წავიხემსოთ.**

— წავიხემსოთ და წავიხემსოთ.

— **ძვირფასო კოლეგებო, ვაცხადებ შესვენებას, სხდომა ერთ საათში განახლდება,** — ბრძანა თავმჯდომარემ და დეპუტატები ჯგუფ-ჯგუფად გაიკრიფნენ დარბაზიდან.

ამის შემდეგ ბაქრაძე და მინაშვილი კიდევ დიდხანს ჭორაობდნენ — ხან რაღაც გაურკვეველ სიტყვებს ყვიროდნენ, ხან, რომ იტყვიან, ლაითად იგინებოდნენ, ხანაც გულიანად ხარხარებდნენ და ტრიბუნაზე პირისპირ მსხდომნი დაუზოგავად აყრიდნენ ერთმანეთს ქოქოლას.

მინაშვილმა შენიშნა:

— ბიჭო, დათუნა, რომ ვაკვირდები, ამ დარბაზში ისეთი ამბები ტრიალებს, იქნებ, სწორადაც იქცევიან ის დეპუტატები, სხდომებზე რომ არ დადიან.

— **მაგაზე მეც მიფიქრია. მათი საქციელი სწორი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თავიანთ კაბინეტებში რომ აკეთებდნენ რამე უკეთეს საქმეს, მაგრამ მეტი არაა ჩემი და შენი მტერი, ჯონდი ბაღათურია, გია ცაგარეიშვილი ან კოკოშა გამსახურდია** იჯდეს ახლა და ქვეყნის მომავალზე ფიქრით ძაბავდეს გონებას. ასე არ არის?

— ასეა! — დაუმოწმა მინაშვილმა და ორივემ სიცილ-ხარხარით დატოვა დარბაზი.

ერთი საათის შემდეგ სხდომა ისევ განახლდა, თუმცა ამჯერად სრულიად ცარიელ დარბაზში. არც ერთი დეპუტატი პროცედურას არ დასწრებია. არც მინაშვილი შემოსულა... იჯდა ბაქრაძე თავისთვის გატრუნული და ნირწამხდარი ითვლიდა დარბაზის ჭერზე ალაგ-ალაგ მბჟუტავ ნათურებს.

**ჯაბა ჟვანია**

**P.S. ისე ცნობისთვის, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი პარლამენტის დამოკიდებულების ხარისხს პრეზიდენტის ნება-სურვილზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ საპარლამენტო ოპოზიციაც მიხეილის ისეთივე ყურმოჭრილი მონაა, როგორც უმრავლესობა და უუფლებო პარლამენტის ერთადერთი ფუნქცია სააკაშვილის ნება-სურვილ-ხუშტურების ნოტარიუსივით დამტკიცებაშიღაა, ცხადი გახდება, რომ ცარიელი დარბაზი სავსისაგან არაფრით განსხვავდება. იქნებ, სჯობდეს, სულ დავითხოვოთ ეს პარლამენტი და მის ნაცვლად ერთი ხეირიანი ნოტარიუსი დავუქირავოთ მიშიკოს...**

# პოლიტპატიმრები შიმშილობას იწყებენ

**საქართველოს საპყრობილეებში პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სამდღიან გამაფრთხილებელ შიმშილობას იწყებენ.**



როგორც „მედიანიუსს" არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" წარმომადგენელმა გელა ნიკოლაიშვილმა განუცხადა, გამაფრთხილებელი შიმშილობის აქცია 10 დეკემბრამდე გაგრძელდება. მოშიმშილეები პოლიტიკური რეპრესიების შეწყვეტას და პოლიტპატიმრების გათავისუფლებას მოითხოვენ. ისინი მოითხოვენ, აგრეთვე, ევროსაბჭოს ექსპერტებთან შეხვედრას, რათა დაუმტკიცონ, რომ პოლიტიკური ნიშნით არიან დაპატიმრებულნი. როგორც ნიკოლაიშვილმა აღნიშნა, შიმშილობას 40-ვე პატიმარი დაიწყებს.

# სოფელ ვაზისუბანში მდებარე IX-X საუკუნეების სამონასტრო კომპლექსი ინგრევა

**გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში მდებარე IX-X საუკუნეების სამონასტრო კომპლექსი სანაგირე ინგრევა. ჩამოქცეულია ჭერი და მთლიანად დარღვეულია კედლები.**

სავალალო მდგომარეობაშია კელიები და საიდუმლო განძთსაცავიც. დარღვეულია, ასევე, ძირითად ტაძარზე მიშენებული დიდმოწამე ბარბარეს სახელობის ეკლესია, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრის ისტორიკოსმა თამაზ მარკოზაშვილმა განაცხადა, სამონასტრო კომპლექსის ძირითადი ეკლესია მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ აგებულ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიაზეა დაშენებული. სანაგირე ორსართულიანია და შვიდი წმინდანის სახელობისაა. ისტორიული წყაროებით, მეფე ერეკლე ჯარს სანაგირეში ლოცავდა. სამებასა და ბახტრიონს მტრის შემოსევას სანაგირედან ატყობინებდნენ. ტაძარში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე შემორჩენილია ვახტანგ გორგასლის დროინდელი გვირაბები და გალავნები.

# ედპ სოზარ სუბარს დაუპირისპირდა

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ბაჩუკი ქარდავა ოპოზიციას ედპ-ს წინააღმდეგ ერთობლივი კამპანიის წამოწყებაში ადანაშაულებს.**

ქარდავას კრიტიკის ობიექტი კი ყოფილი სახალხო დამცველი, ალიანსის წარმომადგენელი სოზარ სუბარი გახდა. ედპ-ს თავმჯდომარემ სუბარი „იაღოველების ცოცხზე შემომჯდარ ადამიანად" მოიხსენია და მართლმადიდებლური ეკლესიის დაკნინების მცდელობაში დაადანაშაულა. „ალიანს საქართველოს" სურს, საკრებულოს გავლით ხელისუფლებაში მოიყვანოს ისეთი ადამიანი, რომელიც მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობის შესუსტებასა და საქართველოში არსებული სხვადასხვა სექტების პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებას ცდილობდა. მან სახალხო დამცველად ყოფნის დროს პარლამენტს მოსთხოვა, გაეუქმებინა სახელმწიფოსა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის დადებული საკონსტიტუციო ხელშეკრულება ან სხვა რელიგიურ მიმდინარეობასთანაც გაეფორმებინა ისეთი ხელშეკრულება, როგორიც მართლმადიდებლურ ეკლესიასთან არსებობდა", — განაცხადა ბაჩუკი ქარდავამ პრესაში ედპ-ს წინააღმდეგ გამოქვეყნებული განცხადების საპასუხოდ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მათთვის, ვინც სალოცავად და საღმრთო ლიტურღიაზე დასასწრებად ვერ იცლის

**ზოგიერთი ქრისტიანად მონათლული ვერც კი აცნობიერებს, რას აკლდება, როცა სალოცავად და საღმრთო ლიტურღიაზე დასასწრებად დროს ვერ პოულობს. დღეს სწორედ ამ საკითხებზე გვესაუბრება დეკანოზი ამირან ამირანაშვილი, თბილისის სიონის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის მოძღვარი.**





— ლოცვა, თავისი არსით, სულისა და ღმერთის შეხვედრაა, მაგრამ იმისთვის, რომ ეს შეხვედრა რეალურად შედგეს, კაციც და უფალიც თავიანთი ნამდვილი სახით უნდა იყვნენ წარმოდგენილნი.

— **რას გულისხმობთ, მამაო?**

— სამწუხაროდ, ადამიანები, უმეტესწილად არარეალურები ვართ და ღმერთიც ჩვენთვის არარეალურია. გვგონია, რომ უფალს მივმართავთ, სინამდვილეში კი ფანტაზიაში დახატულ მის სახეს წარმოვიდგენთ. გვგონია, რომ უფლის წინაშე ვდგავართ ჩვენი სიმართლით, სინამდვილეში კი საკუთარი თავის, ანუ ჭეშმარიტი **მეს** ნაცვლად ვიღაცას, თეატრალურ პერსონაჟს, მსახიობს წარვადგენთ. სხვადასხვანაირები ვართ სიტუაციიდან გამომდინარე. გარშემომყოფნიც ჩვენში სხვადასხვა ადამიანს იცნობენ.

— **განა ეს შესაძლებელია?**

— ალბათ, ნებისმიერ თქვენგანს შეუძლია ნაცნობებს შორის გაიხსენოს პიროვნება, რომელიც უცხოებთან თავაზიანობის განსახიერებაა, სახლში კი — ნამდვილი პირუტყვი ან მრისხანე უფროსი, რომელიც ოჯახურ წრეში მოკრძალებულია.

— **რომელია ადამიანის ჭეშმარიტი მე?**

— არ ვართ მიჩვეულნი, ვიყოთ ისეთნი, როგორებიც სინამდვილეში ვართ და არც კი ვიცით, რომელია ჩვენი ნამდვილი **მე**. სამწუხაროდ, არც ის ვიცით, როგორ ვიპოვოთ.

— **გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთ...**

— დღეში რამდენიმე წუთით მაინც დააკვირდით საკუთარ საქციელს და თქვენს დამოკიდებულებას სხვა ადამიანებთან, რათა გაარკვიოთ, როგორი პიროვნება ხართ. თუ თქვენს სულში ჩაიხედავთ და იკითხავთ, რამდენად ხშირად ამოდიხართ მისი სიღრმეებიდან, მიხვდებით, რომ ეს იშვიათად ხდება, რადგან სისტემატურად ვართ დაკავებულნი სხვადასხვა უმნიშვნელო საქმეებით.

— **როგორ გავთავისუფლდეთ სიყალბისგან?**

— გულისყურის მოკრების წუთებში მიატოვეთ ყველაფერი, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ არის და საკუთარ თავში ჩაიხედეთ, თქვენს სულიერ სამყაროს ჩაუღრმავდით. ყოველივე უსარგებლოს ჩამოშორება ძალიან ჰგავს კედლის ძველი მხატვრობის ან დიდი შემოქმედის ტილოს გაწმენდას, ვინაიდან საუკუნეთა განმავლობაში მხატვრის მიერ შექმნილ ჭეშმარიტ სილამაზეს ზევიდან საღებავი გადაუსვეს უგემოვნო ადამიანებმა. გაწმენდის პროცესში გვეჩვენება, რომ წავახდინეთ სილამაზე, რაც ჯერ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი, მაგრამ მერე ვიწყებთ ჭეშმარიტი მშვენიერების შეცნობას, უდიდესი მხატვრის მიერ ჩადებულს თავის ქმნილებაში. უცებ აღმოვაჩენთ, რომ ვართ უბადრუკი არსებები, რომელთაც ღმერთი ესაჭიროება, მაგრამ არა სიცარიელის შესავსებად, არამედ მასთან შესახვედრად. გარდა ამისა, კვირის განმავლობაში ყოველ საღამოს ილოცეთ მარტივი სიტყვებით: „უფალო, დამეხმარე, გავთავისუფლდე ყოველგვარი სიყალბისაგან და ვიპოვო ჩემი ნამდვილი **მე**. მწუხარება და სიხარული ღვთის უდიდეს წყალობად ითვლება, რადგანაც ხშირად სწორედ ამ დროს ვხვდებით საკუთარ თავს და ვართ უვნებელნი, მიუწვდომელნი ცხოვრების ყველა სიცრუისათვის.

— **რა უნდა მოვიმოქმედოთ, როცა ჩვენი წარმოსახვა არ შეესაბამება ღმერთის რეალურ არსს?**

— როცა ყმაწვილს გოგონა უყვარს, მას თავის წარმოსახვაში ამკობს ყოველგვარი სრულყოფილებით, რომელთაგან შეიძლება ერთიც არ ჰქონდეს, ანუ არარსებულ ღირსებებს მიაწერს. ამ შემთხვევაში კონტაქტი არ მყარდება, რადგანაც ყმაწვილი მიილტვის არარსებულისკენ. იგივე ხდება უზენაესთან კონტაქტის დროსაც. ჩვენ გვაქვს ღმერთზე გარკვეული აზრობრივი და ვიზუალური წარმოდგენა, შეკრებილი წიგნებიდან, ტაძარში მოსმენილიდან, ბავშვობაში უფროსების მონაყოლიდან. ხშირად ეს წარმოდგენები არ გვაძლევს რეალურ ღმერთთან შეხვედრის შესაძლებლობას.

— **თუ მაინც გვსურს, რომ შევხვდეთ?**

— ისარგებლეთ იმ ცოდნით, რომელიც კითხვის ან მოსმენის შედეგად შეიძინეთ, მაგრამ, ამავე დროს, გააგრძელეთ წინსვლა, მხოლოდ წარსულს ნუ დაუწყებთ ყურებას, ამგვარი ქცევით შეხვდებით არა ღმერთს, არამედ იმას, რაც უკვე იცით მის შესახებ. საერთოდ, ღვთისმეტყველება არის მთელი ადამიანური ცოდნა ღმერთზე და არა მხოლოდ ის მცირედი, რისი შეტყობაც მოასწარით. ამის მერე შეიძლება, ღმერთი მოვიდეს შენთან, შეგეხმიანოს, შენს ლოცვებს უპასუხოს, გაგრძნობინოს თავისი არსებობა.

— **როგორ ვისაუბროთ უფალთან?**

— გულახდილად!.. დაუშვებელია სიცრუე ღვთის წინაშე. უთხარით, ვინც ხართ, იმიტომ კი არა, რომ ეს მან არ იცის...

— **მაშ, რა საჭიროა თქმა, თუ ყველაფერს ხედავს?**

— გამოიჩინეთ გამბედაობა და სიმართლე უთხარით, ყველაფერი უამბეთ საკუთარ თავზე. გულახდილად აღიარეთ მის წინაშე, რომ თავს უხერხულად გრძნობთ, მაგრამ გაქვთ ჭეშმარიტი სურვილი, იხილოთ. მიანდეთ თქვენი ყოველგვარი საზრუნავი ღმერთს, უამბეთ ყველაფერი გულწრფელად.

— **უპასუხოდ დარჩენილ ლოცვებზე რას გვეტყვით?**

— სანამ ამ თემაზე დავიწყებდეთ საუბარს, ერთი რამ აუცილებლად უნდა ისწავლოთ: მიანდეთ ღმერთს თქვენი ყველა საზრუნავი. ყოველდღე გაიმეორეთ მარტივი ლოცვა: „დამეხმარე, ღმერთო, დავივიწყო ყველა საზრუნავი და ჩემი აზრები მხოლოდ შენკენ მოვმართო“. რაც შეეხება უპასუხოდ დარჩენილ ლოცვებს, საკმაოდ რთული, მაგრამ ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანი თემაა. ეს ერთ-ერთი უდიდესი განსაცდელთაგანია, რომელიც შეიძლება ნებისმიერ ადამიანს შეემთხვას, რის გამოც დამწყებთაც და გამოცდილებსაც ძალიან უჭირთ ლოცვა. ადამიანებს ეჩვენებათ, რომ ცარიელ ზეცას მიმართავენ.

— **რატომ ხდება ასე?**

— ხშირად ლოცვა ძალიან ბავშვურია და, რასაკვირველია, აუსრულებელი რჩება. მაგალითად, ერთი გოგონა თვეების განმავლობაში შესთხოვდა უფალს, ებოძებინა მისთვის უნარი, რომ ბაბუამისივით ყოველ საღამოს პირიდან კბილები გამოეღო და წყლიან ჭიქაში შეენახა. ზოგჯერ გვჯერა, რომ სწორად ვლოცულობთ, მაგრამ ისეთ რამეს ვითხოვთ, რაც სხვა ადამიანებსაც ეხებათ და მათზე არც კი ვფიქრობთ.

— **რას გულისხმობთ?**

— როცა ჩვენთვის ზურგის ქარს ვითხოვთ, არ ვუფიქრდებით, რომ შესაძლოა იგი სხვებისთვის ზღვაზე ატეხილი ქარიშხალი აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში ღმერთი თხოვნას არ შეგვისრულებს, რადგანაც უცნობი ადამიანები დაზარალდებიან. ისეც ხდება ხოლმე, რომ მთელი გულით ვლოცულობთ ღვთის წინაშე და ვითხოვთ, რაც ყველა თვალსაზრისით შესმენის ღირსია, მაგრამ პასუხად დუმილს ვიღებთ. ამის გადატანა გაცილებით მძიმეა, ვიდრე უარი. როცა ლოცვა უპასუხოდ რჩება, ეჭვი გვეპარება არა უფლის ყოვლისშემძლეობაში, არამედ ჩვენ მიმართ მის სიყვარულში. ვითხოვთ ჩვენთვის რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს, უფალი კი თითქოს ყურადღებას არ გვაქცევს, სად არის მისი თანაგრძნობა?..

ეს პირველი განსაცდელია!

— **რაში მდგომარეობს მეორე განსაცდელი?**

— ჩვენ ვიცით, მდოგვის მარცვლისოდენა რწმენაც რომ გვქონდეს, მთებს გადავდგამთ და როცა ვხედავთ, არაფერი იძვრის ადგილიდან, ვფიქრობთ: „შესაძლოა, ჩემი რწმენა რაღაცით ბიწიერი და არაჭეშმარიტია“. თუ ყურადღებით წაიკითხავთ სახარებას, ნახავთ, რომ იქ მხოლოდ ერთი უპასუხო ლოცვაა.

— **რომელი?**

— ქრისტეს ლოცვა გეთსიმანიის ბაღში. ღმერთმა ჩათვალა, რომ იესოს რწმენა ისეთი ძლიერი იყო, დუმილსაც აიტანდა. ღმერთი არ პასუხობს ჩვენს უღირს ლოცვებს და მაშინაც დუმს, როცა ჩვენში ხედავს სიღრმეს, რწმენის ძალას. იცის, რომ შეუძლია გვენდოს, რადგანაც დუმილის შემთხვევაშიც ერთგულნი ვიქნებით. როცა ეს განსაცდელი გეწვევათ, წაიკითხეთ თავად იესოს მიერ წარმოთქმული ლოცვა: „შევვედრებ სულსა ჩემსა ხელთა შენთა, უფალო; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“.

— **ზოგი თვლის, რომ საღმრთო ლიტურღიაზე დაუსწრებლადაც შეიძლება იყოს ჭეშმარიტი მორწმუნე...**

— რომ შეგვეძლოს დავინახოთ და გულით აღვიქვათ ან სულიერი თვალით განვჭვრიტოთ, სად ვართ და რა ხდება ტაძარში საღმრთო ლიტურღიის აღსრულების დროს, მერწმუნეთ, ასე აღარავინ იფიქრებს... მღვდლის მარჯვნივ მარტოოდენ ქრისტე შეიძლება იდგეს — საღმრთო ლიტურგიის ერთადერთი აღმსრულებელი, რამეთუ იესოა ეკლესიისა და ყოველი ქმნილების პირველი მღვდელმთავარი და იმავე დროს — მსხვერპლი, რომელსაც იგი შესწირავს, რათა მოწყალეჰყოს მამა ცხონებისათვის სოფლისა. აბა, წარმოიდგინეთ, ხართ ტაძარში, იქ, სადაც კაცქმნილი ღმერთი მღვდლის მარჯვენით დგას. ვინ იყვნენ ქრისტეს გარშემო საიდუმლო სერობაზე?.. მოციქულები, ხოლო გეთსიმანიის ბაღში მარტო დარჩა, რადგან არავის ეყო ადამიანური სიმტკიცე, ერთი საათის განმავლობაში მასთან ერთად ეფხიზლა. გოლგოთაზეც მხოლოდ იესოს დედა და მოციქული იოანე იყვნენ. მათ გარდა კიდევ რამდენიმე ერთგული დედაკაცი იდგა შორიახლოს, მოციქულები კი შიშმა შეიპყრო. გეთსიმანიაცა და გოლგოთაც ჩვენთან აღსრულებული საღვთო ლიტურღიის ნაწილია.

ეკლესია საკვირველი ადგილია — იქ ღმერთი და ერი ერთად ვართ, ერთი სიყვარულით შეკრულნი. ტაძარი ცოცხალ ღმერთთან შეხვედრის ადგილია. ღვთისთვის ყველანი მისიანები ვართ, ასე რომ, არ დაიზაროთ წირვალოცვაზე დასწრება, ამისთვის დრო აუცილებლად გამონახეთ... ერთი ახალგაზრდა მღვდლის ამბავი გამახსენდა. იმ ჟამად დათრგუნული და უმწეო იყო, არ იცოდა, როგორ დაეყენებინა წირვა და ძრწოლამ შეიპყრო. მან ღმერთს მიმართა: უფალო იესო ქრისტე! შენ ხარ პირველი იერარქი ჩვენი ეკლესიის, დადექ აქ და აღასრულე, რასაც მე ვერ ვბედავ. მოულოდნელად მღვდელმა იგრძნო, როგორ ჩადგა ვიღაც მასსა და წმიდა ტრაპეზს შორის. მსახურებას იესო აღასრულებდა, მღვდელი კი წმიდა სიტყვებს ხმამაღლა იმეორებდა ხალხის გასაგონად. ხედავთ, ვის წინაშე დგახართ, როცა საღმრთო ლიტურღიას ისმენთ. ჩვენ ღვთის ერი ვართ, ნათლისღების გზით ქრისტეს სხეული გავხდით და იგი თავისიანებად მიგვიჩნევს.

ესაუბრა
**ნინო გოძიაშვილი**

# მადლის ქვა



დავით გარეჯი

ერთხელ მამა დავითი იერუსალიმის მოსალოცად წასულა, მაგრამ შიგნით შესვლა თავისი სიმდაბლის გამო ვერ გაუბედავს. იმ ადგილიდან,სადაც უფალმა იესო ქრისტემ ილოცა, წმიდანმა ლოცვის აღვლენის მერე სამახსოვროდ სამი ქვა წამოიღო. ამ დროს იერუსალიმის პატრიარქს ხილვა ჰქონდა, რომ საქართველოდან ჩამოსულ ერთ-ერთ ბერს იერუსალიმის მთელი მადლი ქვების სახით გაჰქონდა. ისიც ეუწყა, რომ ბერს ორი ქვა უკან უნდა დაებრუნებინა, რათა იერუსალიმი მადლისაგან არ დაცლილიყო და მხოლოდ ერთი ქვის წაღების უფლება მიეცათ.

პატრიარქმა მდევარი დაადევნა მამა დავითს და ორი ქვა უკან დააბრუნებინა. მესამე კი, რომელიც წმიდანმა გარეჯში ჩაიტანა, მადლის ქვის სახელითაა ცნობილი. ამიტომ ითვლება გარეჯის სამჯერ მოლოცვა იერუსალიმის ერთხელ მოლოცვის ტოლფასად.

მადლის ქვა ბატის კვერცხზე ოდნავ მომცრო, მოწითალო-მოშინდისფროა და ალაგ-ალაგ სისხლის ნაკვალევი დაჰყვება.

1857 წელს მონასტერს ლეკები დაესხნენ და გაძარცვეს. ბერებიდან ზოგი ამოხოცეს, ზოგიც ტყვედ წაიყვანეს. ხელს გააყოლეს მადლის ქვაც, რომელიც ლუსკუმაში ინახებოდა.

ლეკებმა ქვის მნიშვნელობა ვერ გაარკვიეს და ერთ-ერთ მათგანს იგი სახლის სხვენში შეუნახავს. ეს დაუმახსოვრებია ტყვედ ჩავარდნილ ბერს და როცა ტყვეობიდან გათავისუფლება შეძლო, ქვა მოიპარა და კვლავ მამა დავითის მონასტერს დაუბრუნა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რატომ არის აუცილებელი ცოდვების აღიარება მოძღვრის წინაშე

**აღსარება სინანულის საიდუმლოს ნაწილია, ანუ მისი გარეგანი გამოვლინების ფორმა. საერთოდ, ეკლესიაში ყველაფერი და, მათ შორის, შვიდი საიდუმლოც წმიდა წერილიდან და საღმრთო გადმოცემიდან იღებს სათავეს. სახარებიდან ცნობილია, რომ იოანე ნათლისმცემელი ადამიანებს უფლის სიტყვის მისაღებად ამზადებდა, ანუ მათ სინანულისკენ მოუწოდებდა. მაცხოვარმა პირველად ასე იქადაგა: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებული არს სასუფეველი ცათა“.**



ბევრს აინტერესებს, რატომაა აუცილებელი აღსარება მოძღვრის წინაშე. სხვათა შორის, არაერთი სექტა მიიჩნევს, რომ თუ ადამიანს სინანულის განცდა აქვს, შეცოდებათა აღიარება და მაინცდამაინც სასულიერო პირამდე მიტანა საჭირო არ არის. განა გულთამხილველი უფალი უამისოდ ვერ დაინახავს კაცის სინანულს?

იმის მისახვედრად, თუ რატომაა დაწესებული აღსარების მსახურება, თავად სინანულის არსი უნდა გავაცნობიეროთ. სინანული იმაზე მეტია, ვიდრე მხოლოდ ცოდვათა აღიარება. იგი გულსა და სულში მიმდინარე ძვრაა. წმიდა მამები მას მეორე ნათლობას ადარებენ, რაც ხატოვანი გამოთქმა არაა. შეიძლება ითქვას, რომ სინანულის ცრემლი ნათლისღების წყლის ტოლფასია. იგი ადამიანს ცოდვებისგან ათავისუფლებს, რის გამოც მეორე ნათლობას უწოდებენ. იგივე ხდება მონაზვნად აღკვეცისას. მონაზვნობის ძირი სწორედ სინანულია, მონაზონი მუდმივად გრძნობს, რომ მასში კვდება ძველი ადამიანი და სინანულის ცრემლში ახალი იბადება.

უნდა ვიცოდეთ, რომ სინანული ღვთის დიდი წყალობაა, მისი საჩუქარი, მაგრამ უფლისგან არაფერი გვეძლევა, თუ თავად არ გავიღეთ მსხვერპლი. აღსარების თქმა მოძღვრის წინაშე აუცილებელია ეკლესიის მიერ დადგენილი წესის თანახმად, რათა სრულფასოვნად აღსრულდეს სინანულის საიდუმლო.



## სულისთვის სასარგებლო რჩევები

**● ყოველდღე ილოცე სხვებისთვის, მოიპოვე სულის მშვიდობა, რათა არავინ შეურაცხყო, არც შენ გეწყინოს ვინმესგან შეურაცხყოფა. მაშინ ღმერთი მოგცემს სინანულის ცრემლს.**

**● მხოლოდ მას შეუძლია, ურწმუნოს რწმენაზე დაელაპარაკოს, ვინც მტკიცედ დგას სარწმუნოებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსაუბრის სულს ურწმუნო დააზიანებს.**

**● საკუთარი თავის სიყვარული, მოყვასის სიყვარულს უნდა შევწიროთ მსხვერპლად, ხოლო ორივე ერთად — ღვთისას.**

**● ქვაბს, რომელიც გამუდმებით ცეცხლზე დგას და დუღს, ბუზი ვერ ეკარება. ასევეა სულიც — თუ იგი მუდამ ღვთის სიყვარულით იქნება ანთებული, ვერაფერი წაბილწავს.**

**● როგორც იუდა ვერ იხსნა მოციქულის სახელმა მარადიული სასჯელისგან ბოროტ ზრახვათა და საქმეთა გამო, ვერც ჩვენ გვიხსნის სასჯელისგან მხოლოდ ის, რომ ქრისტიანები გვქვია, თუ იესოს მცნებების მიხედვით არ ვიცხოვრებთ.**

**● ყოველ ადამიანს სამი გული უნდა ჰქონდეს: წრფელი — უფლისთვის, მოწყალე — მოყვასისთვის და მკაცრი — საკუთარი თავისთვის.**

**● სინანული კიბეა, რომელსაც იმ სანეტარო ადგილას ავყავართ, საიდანაც ოდესღაც დავეცით.**

# სამარხვო კერძები

## ყვავილოვანი კომბოსტო ნიგვზით

გარეცხილი ყვავილოვანი კომბოსტო დაანაწევრეთ კონებად და მარილწყალში მოხარშეთ (ძალიან არ ჩახარშოთ). დაფქულ ნიგოზს შეურიეთ დანაყილი ნიორი, ხმელი ქინძი, უცხო სუნელი, ყვითელი ყვავილი, დაჭრილი ქინძი, ოხრახუში და ერთმანეთში აურიეთ. მოასხით ცოტაოდენი ანადუღარი ცივი წყალი (იმდენი, რომ სქელი ფაფისმაგვარი მასა მიიღოთ), შეაზავეთ წიწაკით, ძმრით და მარილით.



ყვავილოვანი კომბოსტოს თითოეული კონა ამოავლეთ ნიგვზიან მასაში და წრიულად დაალაგეთ ბრტყელ თაფშზე. ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი კამა და ბროწეულის მარცვლები.

**მასალა:** ყვავილოვანი კომბოსტო — 2 კილოგრამი; ნიგოზი — 2 ჩაის ჭიქა; ნიორი — 4-5 კბილი; ხმელი ქინძი, უცხო სუნელი — თითო ჩაის კოვზი; ყვითელი ყვავილი — 1 ჩაის კოვზი; ქინძი, კამა — თითო პატარა კონა; წიწაკა, მარილი, ძმარი — გემოვნებით; ბროწეული — 1 ცალი.

## ბულგარული წიწაკა სტაფილოთი



წვრილად დაჭრილი ხახვი მოშუშეთ ზეთში. შეურიეთ დაჭრილი სტაფილო, ბულგარული წიწაკა, ნიორი და ხახვთან ერთად მოშუშეთ. დაუმატეთ ტომატი ან მსხვილ სახეხზე გახეხილი პომიდორი. 1-2 წუთის მერე მოაყარეთ დაჭრილი მწვანილი და ნელ ცეცხლზე გააჩერეთ სტაფილოს შერბილებამდე. შეაზავეთ მარილით, წიწაკით და გადმოდგით.

**მასალა:** სტაფილო — 1 კილოგრამი; ბულგარული წიწაკა — 0,5 კილოგრამი; ხახვი — 3-4 თავი; ზეთი — 100-150 გრამი; პომიდორი — 1 კილოგრამი ან ტომატი — 2 სუფრის კოვზი; ოხრახუში, ქინძი, კამა — თითო კონა; ნიორი, მარილი, წიწაკა — გემოვნებით.

## კითხვა-პასუხი

**რა შემთხვევაში შეიძლება იქცეს ჭამა ცოდვად?**

— ღმერთმა ადამიანი მიწიერ არსებად შექმნა და ხორციელი არსებობისთვის საზრდელი, ანუ სასმელ-საჭმელი ესაჭიროება. ცოდვით დაცემის შემდეგ კაცთა მოდგმას მრავალი თვისება გაუკუღმართდა და თითქმის ყველაფერს არადანიშნულებისამებრ, მოთხოვნილებებისა და სურვილების გათვალისწინებით იყენებს. ვისაც ბევრი ჭამა უყვარს, ჰგონია, არაფერს აშავებს, მაგრამ ასე არ არის. სული ცოდვას ემონება და ადამიანი თავისუფლებას კარგავს, ქრისტიანისთვის კი თავისუფლება, პირველ რიგში, ცოდვისგან განთავისუფლებაა.

**რა ასაკიდან შეიძლება მარხვის შენახვა?**

— ამ საკითხს ეკლესია ინდივიდუალურად უდგება. მოძღვარი ითვალისწინებს ბავშვის ასაკს, ჯანმრთელობას, ხასიათს და შესაბამისად აძლევს მას ლოცვა-კურთხევას, რომ ჯერ ოთხშაბათობითა და პარასკევობით იმარხულოს, მერე კი სხვა მარხვებიც შეინახოს; ძირითადად, 8 წლის ასაკიდან.

**აქვს თუ არა აზრი მარხვას ტაძარში სიარულის გარეშე?**

— როგორ ფიქრობთ, აზრი აქვს, მძიმე ავადმყოფმა შინ, თვითნებურად იმკურნალოთ და საავადმყოფოში არ წახვიდეთ? ექიმის დახმარება არ დაგჭირდებათ?

**უზეთო, მძიმე მარხვის დაცვა აუცილებელია?**

— თუ ადამიანი ჯანმრთელია, პირველ და ბოლო კვირას მძიმე მარხვა უნდა შეინახოს, თუმცა ერისკაცი პურსა და წყალზე არ უნდა იყოს. საზოგადოდ, ყველაფერი მოძღვრის კურთხევით უნდა ხდებოდეს, მაგრამ, როცა უწმინდესი მთელ ერს აკურთხებს მარხვაზე, ინდივიდუალური კურთხევა საჭირო აღარ არის.

**რატომ მივმართავთ უფალს — ყველაზე აღმატებულს შენობით და მოძღვარს თქვენობით?**

— თქვენობით მიმართვა გარკვეულ გაუცხოებას იწვევს უფლის წინაშე. ღმერთთან საუბარი ყველაზე ინტიმური, ფაქიზი და საგულისხმო რამ არის ადამიანის ცხოვრებაში. რაც შეეხება მოძღვარს, სამწუხაროდ, მასთან ასეთი სიახლოვე არ გვაქვს, ადამიანური მომენტები ხელს გვიშლის. თუ მოძღვარს შენობით მივმართავთ, კრძალვა და რიდი დაიკარგება. რადგანაც თქვენობით მიმართვა მიღებულია ჩვენს ენაში, ასეც უნდა მივმართოთ მოძღვარს.

რუბრიკას უძღვება **ნინო გოძიაშვილი**

# სასწაულებრივი მოქცევა

**გენადი მთელი ცხოვრების განმავლობაში საქმიანი ადამიანი იყო, თავის ოჯახსა და ახლობლებზე მზრუნველი ბევრ სიკეთეს აკეთებდა, მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ყურადღებას არ აქცევდა ეკლესიურ ცხოვრებას. მისთვის ეს მნიშვნელოვანი არ იყო. ასე მიაღწია მან 49 წლის ასაკს და უცებ, სრულიად ჯანმრთელს სარკომა დაემართა.**



დიაგნოზის გაგების შემდეგ ახლობლებმა მისი სულის გადარჩენისთვის იწყეს ზრუნვა, ტაძარში მიიყვანეს, მაგრამ გენადი არც წირვაზე გაჩერდა, არც მოძღვრის სიტყვა შეისმინა, სასულიერო პირს უმიზეზოდ განურისხდა, შეურაცხყოფა მიაყენა და ტაძრიდან გაიქცა.

მოგეხსენებათ, სარკომა ძალიან სწრაფად ვითარდება და მოკლე ხანში ბოლოს უღებს ადამიანს. მართლაც, გენადის ავადმყოფობა ელვის სისწრაფით განვითარდა, რასაც მძიმე ტკივილები ახლდა თან. ფაქტიურად, გენადის ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცა. ბუნებრივია, არც ძილი ჰქონდა, არც სიმშვიდე. ექიმები ვერაფრით უმსუბუქებდნენ ტკივილს, გამაყუჩებელიც არ მოქმედებდა.

მდგომარეობა უარესდებოდა და მისი არა მარტო ფიზიკური, არამედ სულიერი გადარჩენის იმედიც იწურებოდა. არანაირი ნიშანი იმისა, რომ ღვთისკენ პირს იბრუნებდა, არ ჩანდა.

მაგრამ ის, რაც შეუძლებელია კაცთათვის, შესაძლებელია უფლისათვის, რომელმაც გვიჩვება თავისი გულმოწყალება. გენადის მეგობარი იხსენებს: „არ დამავიწყდება 1999 წლის სექტემბრის პარასკევი საღამო. ჩვენს ოჯახში ტელეფონის ზარი გაისმა. რეკავდა გენადის მეუღლე, რომელმაც დაუჯერებელი რამ თქვა: „გენადი მღვდლის მოყვანას ითხოვსო“. ეს იმდენად წარმოუდგენელი იყო, ვიფიქრე, რაიმე გაუგებრობა ხომ არ არის-მეთქი, ამიტომ მის მეუღლეს ვთხოვე, ხელმეორედ ჰკითხე გენადის, რა სურს-მეთქი. მაშინ ტელეფონით თავად გავიგონე ლოგინად ჩავარდნილი ავადმყოფის მისუსტებული ხმა: „დიახ, დიახ, მღვდელი მომიყვანეთ“.

სასწრაფოდ დავუკავშირდი ჩემს მოძღვარს, რომელმაც ჩვეული გულისხმიერება გამოიჩინა და დაახლოებით ერთ საათში უკვე გენადისთან ვიყავით. იგი სრულიად მოწყვეტილი დაგვხვდა, კისრის ქვემოთ ვეღარაფერს გრძნობდა, კიდურებს ვერ ამოძრავებდა. ყველა ნიშნის მიხედვით აშკარა იყო, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენოდა. რა თქმა უნდა, ყველას გვაინტერესებდა, თუ როგორ გაუჩნდა მას მოულოდნელად მღვდლის ნახვის სურვილი. გენადიმ საოცარი ამბავი მოგვიყვა: დღეს ჩემი სული გამოვიდა სხეულიდან, მოვიარე ოთახები, დავათვალიერე მთელი სახლი, რისი გაკეთებაც, დიდი ხანია, უკვე აღარ შემიძლია, აივნიდანაც კი გადავიხედე, შემდეგ სული სხეულში ჩაბრუნდა, რაც ძალიან არ მინდოდა. ამავე დროს, დაამატა, საშინელ კოშმარებს ვხედავო. როგორც მისმა მეუღლემ აგვიხსნა, ავადმყოფი ცხადში ხედავდა შავით მოსილ არსებებს, რაც ტკივილებისგან ისედაც გაუსაძლის მის ყოფას, სრულიად აუტანელს ხდიდა. გენადისთვის, როგორც არაეკლესიური ადამიანისთვის, გაუგებარი იყო ამის მნიშვნელობა. ბუნებრივია, არ იცოდა პატერიკებში აღწერილი მრავალი შემთხვევა, როდესაც მომაკვდავს დემონები ეცხადებიან და სულს უშფოთებენ. ასეთმა მდგომარეობამ გენადის გადააწყვეტინა მოძღვართან საუბარი და ზიარება. სულში მანამდე უცნობმა გრძნობამ გაიღვიძა. დაიწყო აღსარება, მე დავტოვე ოთახი. აღსარება დიდხანს გრძელდებოდა. ჩანს, ბოროტს თავისი მსხვერპლის ხელიდან გაშვება არ სურდა. ავადმყოფშიც გარკვეული გაორება იგრძნობოდა: მთელი ცხოვრების განმავლობაში მასში დალექილი ათეისტური ცნობიერება უჩვეულო გრძნობას ებრძოდა. ეს იყო ბრძოლა ურწმუნოებასა და რწმენას, ბოროტსა და კეთილს შორის. ეშმაკი ღვთის არსებობასა და მის სამართლიანობაში აეჭვებდა, ანგელოზი კი საწინააღმდეგოს შთააგონებდა. ჩანს, ბოროტს არ ეთმობოდა ნადავლად დაგულებული სული. მოძღვარმა მომიხმო და ჩემი თანდასწრებით განაგრძო სნეულთან სარწმუნოებრივი საკითხების შესახებ საუბარი. სასულიერო პირი ყოყმანობდა, ეზიარებინა თუ არა გენადი, მაგრამ ავადმყოფმა მტკიცე სურვილი გამოამჟღავნა: — მე მინდა ზიარება და სწორედ ამიტომაც დაგიბარეთო. გენადი ეზიარა. ცოტა ხანს კიდევ დავყავით მასთან. როგორც შემდეგ გვითხრეს, მერე ჩასძინებია. დიდი ხნის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ორი საათი მშვიდად ეძინა. ამჯერად „შავოსნების“ ნაცვლად მის წინაშე ბავშვის სახის მქონე არსებები გამოჩნდნენ.

როგორც უკვე გითხარით, ეს მოხდა პარასკევს. კვირას, საღამოს 5 საათისთვის გენადიმ თავისი სული ყოვლადმოწყალე უფალს მიაბარა, რომელსაც არავის წარწყმედა არ სურს. გაჩნდა იმედი მისი სულის გამოხსნისა, რისთვისაც მადლობა შევწირეთ უფალს.

9 — 15 დეკემბერი, 2009 წელი. №41
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ექებეთ ცსს, ანუ ლენგლიში დაწერილი ბალკანურ-ქართული სცენარი

**„საქართველო და მსოფლიოს“ ერთგული მკითხველი დაგვემოწმება, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ საგაზეთო პუბლიკაციების ციკლით „კოსოვო გუშინ არის საქართველო დღეს“ წარმოგიდგინეთ საფუძვლიანი ანალიზი ჩვენი ქვეყნის განვითარების პერსპექტივის შესახებ, რომელიც კომპეტენტური კვლევის მასალებზე იყო დაფუძნებული.**
**დღეს ვაგრძელებთ ამ პრობლემის განხილვას.**






## „მცირე ინტენსივობის მართვადი კონფლიქტი“

გეოპოლიტიკური კატაკლიზმები, რომლებიც ბალკანეთში მოხდა, თავისით, „შემთხვევით“, „სპონტანურად“ არ წარმოშობილა.

ეს ცნობილია.

არც ისაა მაინც და მაინც დიდი საიდუმლო, რომ ისტორიული და გეოპოლიტიკური წანამძღვრების გარდა ეს ძვრები დაკავშირებულია **ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უხილავ და საიდუმლო გეგმასთან.**

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ სწორედ ამ გეგმით მოქმედებდა ნატო ბალკანეთში და იგი, ეს გეგმა, ისეთი ზეამოცანის განხორციელებას ისახავდა მიზნად, რომელიც გადაფარავდა არა მარტო საერთოსაკაცობრიო მორალისა და საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და მოთხოვნებს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, გაამართლებდა უზარმაზარ ფინანსურ დანახარჯებს, და რომელსაც მხარს დაუჭერდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყველა წევრი ქვეყანა.

არა „დაჩაგრული“ ალბანელების „მჩაგვრელი“ სერბების კირთებისგან გათავისუფლება, არა მილოშევიჩის რეჟიმის დამხობა დემოკრატიის გასამარჯვებლად, არამედ ნატოს და, უწინარეს ყოვლისა, აშშ შეიარაღებული ძალების ისეთ პოზიციებზე სამუდამო დაფუძნება, საიდანაც რეალურად იქნებოდა შესაძლებელი ალიანსის აღმოსავლეთისკენ გაფართოების ეფექტიანი მხარდაჭერა. თორემ ევროპის „ღრმა ზურგში“ აშშ 100-ათასიანი კონტიგენტის ბაზირება ძვირადღირებულ სიამოვნებად რჩებოდა არაფრისმაქნისი „ტურისტი-სამხედროების“ დროის სატარებლად.

დაზვერვის მასალებიდან ირკვევა, რომ **ჯერ კიდევ 15-20 წლის წინათ ბალკანეთში დასავლეთის გლობალური პოლიტიკა განისაზღვრებოდა ახალ, სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს რაიონებში ფართომასშტაბიანი და ფართო შესაძლებლობების მქონე პლაცდარმების შექმნის აუცილებლობით.**

**„დაჰკარი და იბატონეს“** სტრატეგია ისტორიულ ანალებში ჩაწერილი დარჩა. XXI საუკუნეში ბატონობას, მით უფრო, მსოფლიო ბატონობის მოპოვებას ახალი, პოლიტიკური და მორალური საფანელით გაჯერებულ-გამართლებული მეთოდებით ცდილობენ და ახერხებენ, სიტუაციების მოდელირების თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით.

ესაა ამოსავალი წერტილი და მიაქციეთ ამ მომენტს ყურადღება!

**პრინციპულად ახალი მეთოდი, რომელზეც აგებულია ამერიკანიზაციის გლობალური პოლიტიკის განხორციელების ტაქტიკა, არის მცირე ინტენსივობის მართვადი კონფლიქტი, რომელიც ეფუძნება მოცემულ რეგიონში ოსტატურად წარმართულ საყოველთაო მტრობასა და დაპირისპირებას** (ეროვნული, საზოგადოების ფენების, თაობების, იდეოლოგიური, კონფესიური, პროფესიული და ა.შ. და ა.შ. დაპირისპირებები), **რომელსაც არ შეუძლია თავისი თავის გაკონტროლება გარეშე ძალის გარეშე. „გარეშე ძალაც“ მზად არის, ნებისმიერ დაძახილზე გამოცხადდეს და ადგილზე გაარჩიოს საქმე — თავის სასარგებლოდ.**

ხომ არ გეცნობათ სიტუაცია? საქართველოში საქმე იქამდე მივიდა, რომ კონფლიქტებსაც სხვა გვირჩევს და, ეგ არაფერი, არჩევნების ობიექტურად ჩატარებას მხოლოდ „გარეშე დამხმარის“ მეშვეობით ვაპირებთ.

რას ნიშნავს სხვისი მოიმედეობა, იუგოსლავიის მაგალითზე შესანიშნავად ჩანს. ჩვენთან არა თუ არ გაითვალისწინეს ამ ქვეყნის ტრაგიკული მაგალითი, არამედ „ფერადი რევოლუცია“ სწორედ იქიდან გადმოიღეს სხვათა კარნახითა და ხელშეწყობით, და დღესაც კოსოვოს ბედნიერებით მოკირწყლულ გზას ვადგავართ.

## ძმათამკვლელი ომების ავტორები

მკვლევარები გვარწმუნებენ, რომ იუგოსლავიის ხალხები შეგნებულად გადაჩეხეს ძმათამკვლელ ომში, რათა შეექმნათ შესაფერისი მოტივები და პირობები ოპერაციისათვის „დიდი გადასახლება“, რომელიც, როგორც მეფის რუსეთში „დამნაშავე“ სოფლებში ეკზეკუციის ჩადგომა, ნატოს კონტინგენტის საოკუპაციო ავანგარდის შესვლას ითვალისწინებდა „მილოშევიჩის რეჟიმით“ დათრგუნულ ქვეყანაში.

სანამ ამას გიყვებით, პატივცემულო მკითხველებო, გაიხსენეთ ის მოვლენები, რომლებიც საქართველოში კონფლიქტურ სიტუაციებთან, იგივე — სამოქალაქო ომთან იყო დაკავშირებული და გაავლეთ პარალელები.

ამის გაკეთება არ უნდა იყოს ძნელი, როგორც იმ „სასწაულებრივ“ დამთხვევებში გარკვევა, რაც მოვლენების პარალელურ განვითარებაში გამოიხატებოდა — „უეცარი აჯანყებები“, „ბელგრადის მოულოდნელი სიჯიუტე“, მოსკოვში მორიგი „სახელისუფლო დამბლა“ და ა.შ., ეს ყველაფერი ზუსტად მაშინ იჩენდა თავს, როცა საჭირო იყო — არც ცოტა ადრე, არც ცოტა გვიან.

**ყველაფერი ზუსტად გათვლილი და ორგანიზებული იყო.**

ახლა უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ იმ სტრატეგიულ მიმართულებებზე, რომელთა გაკონტროლებას ისახავდა მიზნად მოსამზადებელი პერიოდი, ანუ „მცირე ინტენსივობის მართვადი კონფლიქტი“.

სად უნდა ჩამდგარიყო ნატოს ჯარი თავისი გავლენის გასავრცელებლად?

**აღმოსავლეთის მიმართულება**: აკონტროლებს რუსეთს და მის პოტენციურ მოკავშირეებს დსთ წევრი ქვეყნებიდან, უპირველესად, უკრაინას, და გადაუკეტავს მათ შავი ზღვიდან გასასვლელს.

**სამხრეთის მიმართულება**: ამერიკელებისთვის მნიშვნელოვან სპარსეთის ყურესთან, საერთოდ ახლო აღმოსავლეთთან და აშშ სტრატეგიულ მოკავშირესთან — ისრაელთან მიახლოებისთვისაა აუცილებელი.

**ჩრდილოეთისა და დასავლეთის მიმართულებით** ყალიბდება ევროპის გაფართოების ბუნებრივი ზღვარი. ამას იქით — არა, მიბრძანდით აღმოსავლეთისკენ — ევრაზიასთან ურთიერთობის პრობლემების ქარტეხილში, სადაც შუამავლად, რა თქმა უნდა, აშშ დაგხვდებათ.

პოლიტიკურ რუკაზე ევროპა ბალკანეთზეა დასვენებული, ამიტომ უჭირავთ თვალი ნახევარკუნძულისაკენ, მაგრამ ეს რეგიონი მთიანი რელიეფის გამო მოუხერხებელია სტრატეგიული აეროდრომებისთვის და სატანკო ნაწილების განსალაგებლად. მაგალითად, გერმანიიდან ბოსნიაში გადასროლილი აშშ სამხედრო ძალების პირველი სატანკო დივიზია კონფლიქტის დროს პოსავინის დერეფნის ვიწრო ყელში გაეჩხირა და მანევრირების ყოველგვარი შესაძლებლობა მოესპო.

სხვა სიტუაციაა კოსოვოს ველზე, რომელიც ნახევარკუნძულის ამ ნაწილში ყველაზე დიდი ბუნებრივი დაბლობია და საშუალებას იძლევა ყველა მიმართულებით საომარი მოქმედების გასაშლელად.

ამ ადგილს დაადგეს თვალი ნატოს სტრატეგებმა და საშუალება მისცეს ამ მხარის მკვიდრთ, დაეხოცათ ერთმანეთი. კონტროლირებადი კონფლიქტი შესანიშნავი საშუალებაა მოსახლეობისგან იმ ტერიტორიის გასაწმენდად, რომელიც გლობალიზაციის დამკვრელ ძალას აინტერესებს.

არც ალბანელები, არც სერბები არც ერთის კანონიერი ინტერესებისთვის არავინ შეწუხდება. ნებისმიერი მხარდაჭერა, რომელიმე ერთი მხარის პარტნიორად თავის წარმოჩენა მხოლოდ დროებითია.

უყურებს ყველაფერ ამას ევროპა და დუმს.

დუმილს ოქროს ფასი აქვს, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნიშნავს ხმაურიანი ოკეანისგაღმელი პარტნიორებისგან გათავისუფლებას კონტინენტის განაპირა რეგიონში მათი გადაადგილების გზით.

თანდათან ამერიკული ბაზები სამხრეთისკენ გადაინაცვლებს.

მაგრამ სამხრეთით საქართველოცაა. მიგვანიშნებს თუ არა ეს აზიმუტი რამეს?

რა თქმა უნდა, მიგვანიშნებს და კოსოვოს მაგალითიც გვიდასტურებს, რომ ასეა.

რატომ მაინც და მაინც საქართველო?

## რა თაფლი გვცხია ასეთი?

რა არის იმის მიზეზი, ჩვენ რომ დაგვადგეს თვალი?

რა თქმა უნდა, გეოსტრატეგიული მდებარეობა. ეს ყველამ იცის. ვიღაცას შეიძლება, ძალიანაც არ მოსწონდეს განსაზღვრება „დერეფანი“, მაგრამ ვართ ტრანსკავკასიური დერეფანი, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი და ამას ვერსად გავექცევით.

ჩვენი პრეზიდენტი ერთი ხანობა მხოლოდ ცინიკურად მოიხსენიებდა ამ სახელდებას და აცხადებდა, რომ ქვეყანა ვართ და არა დერეფანიო.

ასე სჭირდებოდა იმ პერიოდში შევარდნაძის დასაკნინებლად.

შემდეგ იყო, რომ ცხონებული ზურაბ ჟვანია მიიწვიეს აშშ-ში და თეთრ სახლსა და სახელმწიფო დეპარტამენტში აუხსნეს, რა მნიშვნელობაც აქვს აშშ-სთვის საქართველოს, როგორც საკვანძო ქვეყანას ენერგოშემცველების ტრანსპორტირების გზაზე.

ასე დამთავრდა ცინიზმი.

იუგოსლავიის დაბომბვის კვალზე აშშ მაშინდელი პრეზიდენტის ბილ კლინტონის დროინდელმა აშშ ენერგეტიკის მინისტრმა ბილ რიჩარდსონმა განაცხადა: **„საქმე ეხება ამერიკის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას... ჩვენ ვლაპარაკობთ იმათ სტრატეგიულ შეჩერებაზე, ვინც არ იზიარებს ჩვენს ფასეულობებს... ჩვენ დიდძალი ფული ჩავდეთ კასპიაში და ამჟამად ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ნავთობსადენები და პოლიტიკა ჩვენთვის საჭირო მიმართულებით მიემართებოდეს“.**

აშშ-ის ამ მაღალჩინოსნის გამონათქვამის ქვეტექსტი მიგვანიშნებს, რომ საქართველოში გამავალ ნავთობ და გაზსადენებზე პასუხისმგებლობას ამერიკა კისრულობს და, მაშასადამე, როგორც ბალკანეთში არ დათმო თავისი პოზიციები, ასევე არ დათმობს სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში.

ბალკანეთს რაც დაემართა, ვიცით. საქართველოს პერსპექტივაც კარგად ჩანს ამ გამოცდილების ჭრილში.

ცნობისთვის: **ნავთობსადენის ამერიკული პროექტი AMBO ტრანსბალკანური მარშრუტით შავი და კასპიის ზღვების აუზების ნავთობსადენებს უკავშირდება. კასპიის აუზი ის რეგიონია, სადაც ნავთობის ყველაზე დიდი აუთვისებელი მარაგია თავმოყრილი.**

დაუმატეთ ამას ყაზახეთის უმდიდრესი ნავთობსაბადოები ჩრდილოაღმოსავლეთ ყაზაგანში, რომლებიც, სპეციალისტების აზრით, ბევრად აღემატება ჩრდილოეთის ზღვის ნავთობრეზერვებს.

**ამ ნავთობის მოპოვებით და რუსეთისთვის გვერდის ავლით ევროპაში მისი ტრანსპორტირებით ამერიკელები ისეთ სტრატეგიულ დივიდენდებს მოიპოვებენ, გვეუბნებიან ექსპერტები, რომლებიც ფულად გამოსახულებაში მილიარდობით დოლარის ეკვივალენტური იქნება.**

ასეთ დივიდენდებს ნებისმიერ იუგოსლავიას შეწირავდნენ.

ამიტომ იყო, რომ იუგოსლავიის დაბომბვის შემდეგ AMBO-ს პროექტში კოლოსალური თანხების ჩადება დაიწყეს. კოსოვოს სერბებისთვის დატოვება ამერიკელებმა ეკონომიკურად გაუმართლებლად მიიჩნიეს. შესწევდათ ძალა და ასეც მოხდა, რადგან მსხვილი კაპიტალის უკან, რომელმაც ბალკანეთს უდიდესი ფული დაახარჯა, აშშ ხელმძღვანელობაში მყოფი გავლენიანი პოლიტიკოსები იდგნენ.

ოტავის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი **მიშელ ჩოსუდოვსკი აღნიშნავს: „AMBO“-ს კონსორციუმი უშუალოდაა დაკავშირებული აშშ სამხედრო-პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრთან და ვიცეპრეზიდენტ დიკ ჩეინის „ჰალიბერტონ ენერჯისთან“, საინჟინრო ფირმა Brown and Boot LTD-სთან,** მისივე შვილობილ ფირმასთან დიდ ბრიტანეთში. თეთრი სახლიდან წასვლის შემდეგ ბილ კლინტონი შეუერთდა იურიდიულ ფირმას White and Case LLT ნიუ-იორკში, რომელიც AMBO-სთან პარტნიორობს.

იქ, სადაც ერთმანეთს უკავშირდება დიდი პოლიტიკისა და დიდი კაპიტალის ინტერესები, ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც მათ გზაზე აღმოჩნდება, განწირულია.

კოსოვოს მაგალითმა ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცა.

ღმერთმა არ ქნას, მეორე მაგალითი საქართველო აღმოჩნდეს...

მაგრამ აქეთკენ რომ მივდივართ?



**არმაზ სანებლიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ხელისუფლების არაძალადობრივი დამხობის 198 ხერხი

## გიგა ბოკერიას საწვრთნელი სახელმძღვანელო






გაგრძელება. დასაწყისი იხ. №38-40

### როგორი ხასიათის მშვიდობა?

თუ დიქტატორები და დემოკრატები სამშვიდობო მოლაპარაკებას აწარმოებენ, საჭიროა, ნათლად და მკაფიოდ ვიაზროვნოთ, რადგან პრობლემა უაღრესად რთულია. **ყველა, ვინც სიტყვა „მშვიდობას“ წარმოთქვამს, მშვიდობისთვის არ იბრძვის, რაც თავისუფლებასა და სამართლიანობას გულისხმობს.** დიქტატორებისადმი პასიური დათმობა, რომლებიც მხეცურად ეპყრობიან ასობით ათას ადამიანს, არ არის ნამდვილი მშვიდობა. ჰიტლერი არაერთხელ მოუწოდებდა მშვიდობისკენ, რომელიც ესმოდა, როგორც მისი ნებისადმი უსიტყვო მორჩილება. **დიქტატორისთვის მშვიდობა ხშირად სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა ციხის ან საფლავის სიმშვიდეს.**

არსებობს სხვა საშიშროებაც. კეთილგანზრახვიანი მოლაპარაკება ზოგჯერ აირევა მოლაპარაკების მიზნებით ან მოლაპარაკების წარმართვის პროცესით. მოლაპარაკების დემოკრატ მონაწილეებს, ან დასახმარებლად მოწვეულ უცხოელ ექსპერტებს ხელის ერთი მოსმით შეუძლიათ უზრუნველყონ დიქტატორების ლეგიტიმურობა ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეებზე, რაზეც მათ უარი ჰქონდათ ნათქვამი ხელისუფლების ძალადობით ხელში ჩაგდების, ადამიანის უფლებათა დარღვევის, სისასტიკის გამო. **კანონიერი სტატუსის გარეშე, რაც დიქტატორებს აუცილებლად სჭირდებათ, არ შეუძლიათ უსასრულოდ მართონ სახელმწიფოები. მშვიდობის მომხრეებმა არ უნდა მისცენ მათ ამის საშუალება.**

### იმედის წყაროები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოპოზიციის ლიდერებმა შეიძლება დაიწყონ მოლაპარაკება დემოკრატიისთვის ბრძოლის უიმედობის გამო. ამ უიმედობის გრძნობის შეცვლა შესაძლებელია. **დიქტატურა მარადიული არ არის. დიქტატურის კირთების პირობებში მცხოვრები ადამიანები არ სუსტდებიან, დიქტატორებს არ უნდა მივცეთ უსასრულოდ ბატონობის საშუალება.** არისტოტელე დიდი ხნის წინათ აღნიშნავდა: „...ოლიგარქიისა და ტირანიის სიცოცხლე უფრო ხანმოკლეა, ვიდრე სხვა სახელმწიფო მოწყობის... ტირანიას არსად დიდი ხნით არ უარსებია“. თანამედროვე დიქტატურებსაც აქვთ სუსტი მხარეები, რომელთა გაღრმავება შესაძლებელია დიქტატორის ძალაუფლების შერყევით *(ეს სისუსტეები უფრო დაწვრილებით მე-4 თავშია განხილული).*

თანამედროვე ისტორია გამოავლენს დიქტატურების სუსტ მხარეებს და გვაჩვენებს, რომ ისინი შედარებით მოკლე დროში შეიძლება დაემხოს: თუ პოლონეთში კომუნისტური დიქტატურის დამხობას დასჭირდა ათი წელი — 1980-დან 1990 წლამდე, აღმოსავლეთ გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიაში საამისოდ 1989 წელს სულ რამდენიმე კვირა აღმოჩნდა საკმარისი. სალვადორსა და გვატემალაში 1944 წელს დაახლოებით ორკვირიანი ბრძოლის შემდეგ ბოლო მოეღოთ მყარად დამკვიდრებულ სამხედრო დიქტატორებს. ირანის შაჰის მძლავრი მილიტარისტული რეჟიმი რამდენიმე თვეში ააფეთქეს. სახალხო ძალამ 1986 წელს რამდენიმე კვირაში დაამხო ფილიპინების დიქტატორი მარკოსი. აშშ მთავრობამ უმალვე შეწყვიტა პრეზიდენტ მარკოსის მხარდაჭერა, როცა უეჭველი გახდა ოპოზიციის გაძლიერება. 1991 წლის აგვისტოში ძველი რეჟიმის მომხრეთა მცდელობა, სსრკ-ში მოეხდინათ გადატრიალება პოლიტიკური დაუმორჩილებლობის მეშვეობით, რამდენიმე დღეში დაიბლოკა. შემდგომ კი, ბევრმა ხალხმა, რომლებიც წლების განმავლობაში მისი ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა, რამდენიმე დღის, კვირისა და თვის განმავლობაში დაიბრუნა დამოუკიდებლობა. **ძველი შეხედულება, რომ ძალისმიერი მოქმედება სწრაფშედეგიანია, ხოლო არაძალადობრივ საშუალებებს საკმაო დრო სჭირდება, აშკარად უმართებულო გახდა.**

მოლაპარაკება არ არის ერთადერთი ალტერნატივა ხანგრძლივი გამანადგურებელი ომისა, ერთი მხრივ, და კაპიტულაციისა, მეორე მხრივ. არსებობს კიდევ ერთი შესაძლებლობა მათთვის, ვინც იბრძვის მშვიდობისა და თავისუფლებისთვის: **პოლიტიკური დაუმორჩილებლობა.**

## თავი 3

### საიდან ჩნდება ძალა?

მშვიდობიანი გზით თავისუფლების მოპოვება, რა თქმა უნდა, იოლი ამოცანა არ არის. იგი მოითხოვს დიდ სტრატეგიულ ცოდნას, ორგანიზაციასა და დაგეგმვას. უფრო მნიშვნელოვანია, რომ მას სჭირდება ძალა. **დემოკრატებს არ შეიძლება ჰქონდეთ დიქტატურის დამხობის და პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების იმედი, თუ არ შესწევთ უნარი ეფექტიანად გამოიყენონ საკუთარი ძალა.**

როგორ შეიძლება ამის განხორციელება? რომელი ძალის მობილიზაცია შეუძლია დემოკრატიულ ოპოზიციას დიქტატურისა და მისი ფართო სამხედრო და პოლიციური სისტემის დასარღვევად? პასუხი პოლიტიკური ძალის უგულებელყოფაშია. თუმცა, მისი არსის შესწავლა არც ისე რთულია, ზოგიერთი ძირითადი ცნება საკმაოდ მარტივია.

### ზღაპარი „მაიმუნების მბრძანებელზე“

მეთოთხმეტე საუკუნის ჩინელი მეზღაპრის ლუ ჯის იგავი ზუსტად ახასიათებს პოლიტიკური ძალაუფლების დავიწყებულ გაგებას:

„ფეოდალურ სახელმწიფო ჩუში ცხოვრობდა მოხუცი, რომელსაც მოსამსახურეებად მაიმუნები ჰყავდა. ჩუს მოსახლეობა მას „ჯი გონგს“ (მაიმუნების მბრძანებელს) ეძახდა.

ყოველ დილით მოხუცი შეკრებდა მაიმუნებს თავის ეზოში და უხუცეს მაიმუნს უბრძანებდა, წაეყვანა დანარჩენები მთებში ხილის მოსაკრეფად. წესით, თითოეულ მაიმუნს მოკრეფილის მეათედი მოხუცისთვის უნდა მიეცა. იმათ, ვინც ამას არ აკეთებდა, უმოწყალოდ ამათრახებდნენ. ყველა მაიმუნი იტანჯებოდა, მაგრამ ჩივილს ვერავინ ბედავდა.

ერთხელ პატარა მაიმუნი დანარჩენებს შეეკითხა: „მოხუცმა დარგო ეს ხეები და ბუჩქნარი?“ დანარჩენებმა უპასუხეს: „არა, თავისით აღმოცენდა“. მაშინ პატარა მაიმუნმა კვლავ იკითხა: „განა ჩვენ არ შეგვიძლია, მოვკრიფოთ მოხუცის დაუკითხავად?“ დანარჩენებმა უპასუხეს: „კი, შეგვიძლია“. პატარა მაიმუნმა განაგრძო: „მაშინ რატომ უნდა ვიყოთ მოხუცზე დამოკიდებულები, რატომ უნდა ვემსახუროთ მას?!“

დამთავრებული არ ჰქონდა ლაპარაკი პატარა მაიმუნს, რომ ყველა მაიმუნს გონება გაეხსნა.

იმავე ღამეს, როცა დარწმუნდნენ, რომ მოხუცს სძინავს, მაიმუნებმა მთლიანად მოშალეს მესერი, რომელიც გარს ერტყათ. წაიღეს ხილი, რომელიც მოხუცს ჰქონდა შენახული, წავიდნენ ტყეში და იქიდან აღარ დაბრუნებულან. მალე მოხუცი შიმშილისგან მოკვდა“.

იუ-ლი-ზი ამბობდა: „ზოგიერთნი თავის ხალხს პრინციპებით კი არა, ილეთების მეშვეობით მართავს. განა არ გვანან ისინი მაიმუნების მბრძანებელს? როგორც კი ხალხი გონს მოეგება, მათი ხრიკები აღარ გაჭრის“.

### პოლიტიკური ძალაუფლების აუცილებელი წყაროები

პრინციპი მარტივია. **დიქტატორები იმ ხალხის დახმარებას საჭიროებენ, რომელსაც მართავენ.** უამისოდ ისინი ვერ შეძლებენ უზრუნველყონ და შეინარჩუნონ პოლიტიკური ძალაუფლების წყაროები.

**პოლიტიკური ძალაუფლების ასეთი წყაროებია:**

**ავტორიტეტი, ადამიანების დარწმუნება, რომ ხელისუფლება კანონიერია და მათი მორალური მოვალეობაა, დაემორჩილონ მას;**

**ადამიანური რესურსები, — იმ პირებისა და ჯგუფების რაოდენობა და მნიშვნელობა, რომლებიც ემორჩილებიან ან ეხმარებიან ხელისუფალთ;**

**უნარი და ცოდნა, რაც აუცილებელია რეჟიმისთვის, რათა განახორციელოს კონკრეტული მოქმედება და წარმართოს თანამდგომი პირებისა და ჯგუფების მიერ შეთავაზებული დახმარება;**

**არამატერიალური ფაქტორები, ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური ფაქტორები, რომლებიც აიძულებს ადამიანებს, დაემორჩილონ მმართველებს და დაეხმარონ მათ;**

**მატერიალური რესურსები, ხელისუფალთა მიერ სიმდიდრეთა ხელყოფის კონტროლი, ბუნებრივი რესურსები, ფინანსური რესურსები, ეკონომიკური სისტემა, აგრეთვე, კავშირგაბმულობის საშუალებანი და ტრანსპორტი;**

**სანქციები, სასჯელი, რომელიც გამოიყენება ან ემუქრება დაუმორჩილებლებს ან თანამშრომლობაზე უარისმთქმელებს, რათა აიძულონ, დაემორჩილონ და ითანამშრომლონ, რაც აუცილებელია რეჟიმის არსებობისთვის და მისი პოლიტიკის განსახორციელებლად.**

ყველა მოცემული წყარო, დამოკიდებულია იმაზე, მიიღებს თუ არა მას ხელისუფლება და, აგრეთვე, დაემორჩილება თუ არა ხელისუფლებას მოსახლეობა და საზოგადოებრივი ინსტიტუტები.

სრული თანამშრომლობა, მორჩილება და მხარდაჭერა ზრდის ძალის აუცილებელი წყაროების რაოდენობას და, შესაბამისად, აფართოებს ნებისმიერი მთავრობის ძალაუფლებრივ შესაძლებლობებს.

მეორე მხრივ, აგრესორებთან და დიქტატორებთან ხალხის და ინსტიტუტების თანამშრომლობის შემცირებამ შეიძლება დააშროს ძალის ის წყაროები, რომლებზეც ყველა მმართველია დამოკიდებული. ამ წყაროების გარეშე მმართველთა ძალაუფლება სუსტდება და, საბოლოო ჯამში, ქრება.

ბუნებრივია, რომ დიქტატორები მგრძნობიარენი არიან იმ მოქმედებისა და იდეების მიმართ, რომლებიც ემუქრება მათ უკონტროლო ქცევასა და საქმიანობას. ამიტომ დიქტატორებს ურჩევნიათ, დაემუქრონ და დასაჯონ ისინი, ვინც არ ემორჩილება მათ, გაფიცულია ან თანამშრომლობაზე უარს ამბობს. მაგრამ რეპრესიები, დაუნდობელი სიმკაცრეც კი, ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს მორჩილებისა და თანამშრომლობის იმ დონეზე დაბრუნებას, რაც რეჟიმს ფუნქციონირების შესაძლებლობას აძლევს.

თუ რეპრესიებისგან დამოუკიდებლად ძალის წყაროები დასუსტდება ან საკმაო დროით გადაიკეტება, პირველივე შედეგი, რაც ამან შეიძლება გამოიღოს, იქნება დიქტატურის საკუთარ თავში დაურწმუნებლობა და დაბნეულობა. რასაც მოჰყვება დიქტატურის ძალაუფლების აშკარა დასუსტება. დროთა განმავლობაში ძალის წყაროების გაქრობამ შეიძლება გამოიწვიოს რეჟიმის დამბლა და უძალობა, სერიოზულ შემთხვევებში — მისი დაშლა და დამხობა. პოლიტიკური გამოფიტულობის მიზეზით დიქტატურის ძალაუფლება თანდათან ან უცებ გაქრება.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებისმიერი მთავრობის თავისუფლებისმოყვარეობა ან ტირანია ხალხის თავისუფლად ყოფნის, დამონების მცდელობის წინააღმდეგ მისი ამხედრების სურვილისა და შესაძლებლობის ანარეკლია.

გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, ტოტალიტარული დიქტატურებიც კი იმ მოსახლეობასა და საზოგადოებაზეა დამოკიდებული, რომლებსაც ისინი მართავენ. როგორც 1953 წელს პოლიტოლოგმა **კარლ ვ. დოიჩმა** აღნიშნა: „ტოტალიტარული ხელისუფლება მხოლოდ მაშინაა ძლიერი, როცა მას ხშირად არ გამოიყენებენ. თუ საჭირო ხდება ტოტალიტარული ხელისუფლების მუდმივად გამოყენება მთელი მოსახლეობის წინააღმდეგ, საეჭვოა, რომ იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ძლიერი დარჩეს. რადგან ტოტალიტარული რეჟიმები მოითხოვს უმეტეს ძალაუფლებას ხალხის სამართავად, ვიდრე მმართველობის სხვა ფორმებს... საჭიროების შემთხვევაში, ისინი იძულებული არიან, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის აქტიური მხარდაჭერის იმედად იყვნენ“.

მეცხრამეტე საუკუნის სამართალმცოდნეობის თეორეტიკოსმა **ჯონ ოსტინმა** აღწერა დიქტატურის მდგომარეობა იმედგაცრუებული ხალხის წინაშე. ოსტინი ამტკიცებდა, რომ **თუ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მზადაა, დაამხოს მთავრობა და საამისოდ მზადაა, აიტანოს რეპრესიები, მაშინ ხელისუფლების ძლიერება, იმათთან ერთად ვინც მას მხარს უჭერს, ვერ გადაარჩენს საძულველ მთავრობას,** უცხოური მხარდაჭერის პირობებშიც კი.

ოსტინი ასკვნის, რომ **შეუძლებელია ამხედრებულ ხალხის დაბრუნება მუდმივი მორჩილებიაში.**

უფრო ადრე კი ნიკოლო მაკიაველი ამტკიცებდა, რომ **ხელისუფალი, ვისთვისაც მთელი საზოგადოება მტერია, თავს უსაფრთხოდ ვერ იგრძნობს; რაც უფრო მეტია სისასტიკე, მით უფრო სუსტდება მისი რეჟიმი“.**

მოცემული დებულებების პოლიტიკური გამოყენების დემონსტრირება მოახდინეს ნორვეგიის წინააღმდეგობის მებრძოლება ნაცისტური ოკუპაციის დროს, და, როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, მამაცმა პოლონელებმა, გერმანელებმა, ჩეხებმა, სლოვაკებმა და ბევრმა სხვამ, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს კომუნისტურ აგრესიასა და დიქტატურას და, საბოლოო ჯამში, ხელი შეუწყვეს კომუნისტური მმართველობის დამხობას ევროპაში.

ეს, რა თქმა უნდა, ახალი მოვლენა არ არის: არაძალადობრივი წინააღმდეგობის შემთხვევები ცნობილია ძველი წელთაღრიცხვის ჯერ კიდევ 494 წლიდან, როცა პლებეებმა მხარი არ დაუჭირეს თავიანთ რომაელ პატრონებს — პატრიციებს. სხვადასხვა ეპოქებში არაძალადობრივ ბრძოლას მიმართავდნენ არა მხოლოდ ევროპის ხალხები, არამედ აზიის, აფრიკის, ორივე ამერიკის, ავსტრალიისა და წყნარი ოკეანის კუნძულების ხალხებიც.

ამრიგად, სამი უმთავრესი ფაქტორი, რომლებიც განსაზღვრავს, რა ზომამდე გააკონტროლებს მთავრობას ძალა თუ უკონტროლო დარჩება, არის: **1) მოსახლეობის მისწრაფება დაადგინოს, მთავრობის ძალაუფლების საზღვრები;** 2) დამოუკიდებელი ორგანიზაციებისა და ქვეშევრდომთა ინსტიტუტების შედარებითი შესაძლებლობა, კოლექტიურად გადაკეტონ ძალის წყაროები; 3) მოსახლეობის უნარი — უარი თქვას თანხმობასა და მხარდაჭერაზე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სერიული მკვლელობები დანაშაულის დასაფარად

## ექიმების თქმით, 21 წლის დამნაშავე ჩადენილი მკვლელობების შემდეგ შეურაცხადია

**თბილისის საქალაქო სასამართლოში 21 წლის ტარიელ საყვარელიძეს სამი პიროვნების მკვლელობისთვის მოსამართლე ეკა გაბრიჩიძემ 25 წლით თავისუფლების აღვეთა მიუსაჯა. ექიმების დასკვნით, საყვარელიძე შეურაცხადია და იგი მისჯილ 25 წელს სამკურნალო დაწესებულებაში მოიხდის. პროკურორი ნინო ჟღენტი საყვარელიძის მიმართ უვადო პატიმრობას ითხოვდა. თუმცა მისი ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. განაჩენით უკმაყოფილო დაზარალებულებმა მოსამართლის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. მათი განცხადებით, სასტიკი მკვლელი სამუდამოდ ციხეში ყოფნას იმსახურებდა.**



ტარიელ საყვარელიძეს 21 წლის თენგიზ გურაშვილის, 22 წლის ემილიან გაბედავასა და 65 წლის საშა მეტონიძის მკვლელობა ედებათ ბრალად. როგორც პროკურორი ნინო ჟღენტი აცხადებს, საყვარელიძე დაუსწრებლად იმ მიზეზით გაასამართლეს, რომ იგი შეურაცხადია. მისი თქმით, **როცა ჰკითხეს, აღიარებდა თუ არა დანაშაულს, მან განაცადა, რომ მოვკალი, მაგრამ ხომ გაცოცხლდნენო.**

საყვარელიძის მიმართ სს საქმე აღძრული იყო 236-ე მუხლის 1 და 2 ნაწილებით, 108-ე მუხლით, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ"ქვეპუნქტით, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით.

გამოძიებამ გაარკვია, რომ ტარიელ საყვარელიძე, ემილიან გაბედავა და თენგო გურაშვილი თანაკლასელები იყვნენ, ხოლო საშა მეტონიძე მათი თანაკლასელის, დავით მეტონიძის მამა იყო.

როგორც პროკურორი ჟღენტი საბრალდებო დასკვნაში აღწერს, **„2007 წლის 15 მაისს დავით მეტონიძემ ტარიელ საყვარელიძის დახმარებით სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გააფორმა კერძო პირებთან, 3%-ის ყოველთვიური გადახდით. ხოლო სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა თავისი კუთვნილი ბინა, რომელიც ორხევის დასახლებაში, ჩანტლაძის ქუჩაზე, მდებარეობს. საერთო ჯამში კი აიღო ფულადი თანხა 13 320 დოლარი.**

**„2007 წლის 12 ივლისს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დავით მეტონიძე დაიღუპა. მისი გარდაცვალების შემდეგ საშა მეტონიძისათვის იპოთეკარებისაგან გახდა ეს ყოველივე ცნობილი. მეტონიძემ მიაკითხა სახლში ტარიელ საყვარელიძეს და მოსთხოვა, აეხსნა მისთვის, თუ რა მიზეზით გამოიტანა თანხა მისმა შვილმა. ტარიელ საყვარელიძემ საშა მეტონიძეს განუცხადა, რომ მისთვის არაფერი იყო ცნობილი. ამის შემდეგ საშა მეტონიძემ შეიტყო, რომ შვილის გარდაცვალების შემდეგ ნასესხები თანხის პროცენტები გადახდილი ჰქონდა ტარიელ საყვარელიძეს. მან ჩათვალა, რომ ამ უკანასკნელს მიღებული ჰქონდა თანხის ნაწილი და დაბრუნება მოსთხოვა, რაზედაც უარი მიიღო. ამის შემდეგ საშა მეტონიძემ საჩივრით მიმართა ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურას და მოითხოვა წინასწარი გამოძიების დაწყება ტარიელ საყვარელიძის მიმართ თაღლითობის ფაქტზე,"** — განაცხადა პროცესზე პროკურორმა. ასევე, პროკურორის განმარტებით, საჩივრის შეტანის გამო განაწყენდა საყვარელიძე და შურისძიების მოტივით განიზრახა საშა მეტონიძის მოკვლა.

**„საყვარელიძე გადაჭრილი თოფით საშა მეტონიძესთან ბინაში მივიდა და ორი ჭრილობა მიაყენა, შედეგად მეტონიძე გარდაიცვალა. საყვარელიძე კი მიიმალა.**

**მკვლელობის შემდეგ საყვარელიძისთვის ცნობილი გახდა, რომ მეტონიძის მკვლელობის გამოძიების პროცესში იგი ამხილეს, როგორც დანაშაულის ჩამდენი პირი, თენგიზ გურაშვილმა და ემილიან გაბედავამ, რამაც იგი ძალიან გაანაწყენა.**

**2007 წლის 4 ნოემბერს საყვარელიძე მობილურით დაუკავშირდა გაბედავასა და გურაშვილს. ისინი ერთმანეთს თბილისის ზღვის სანაპიროზე შეხვდნენ, რა დროსაც საყვარელიძემ სანადირო თოფით მოკლა თენგიზ გურაშვილი და თენგიზ გაბედავა. მათი მოკვლის შემდეგ საყვარელიძე დაეუფლა ემილიან გაბედავას მამის ბმვ-ს მარკის ავტომანქანას და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა,"** — ამბობს პროკურორი ნინო ჟღენტი.

2007 წლის 6 ნოემბერს ტარიელ საყვარელიძე ვარკეთილში, მეგობრის ბინაში დააკავეს.

როგორც თენგიზ გურაშვილის დედა მანანა გურაშვილი იხსენებს, მის შვილსა და საყვარელიძეს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ: **„მეგობრობდნენ, ტარიელისთვის არასოდეს არაფერი ცუდი არ შემიმჩნევია. ჩვეულებრივი ბიჭი ჩანდა. იმ დღეს თენგოს საღამოს ათ საათზე ვიღაცამ დაურეკა და სახლიდან გავიდა. სახლში მთელი ღამე არ მოსულა. ვეძებდით, დილით კი პატრულმა შეგვატყობინა, რომ მოკლული იყო. ზღვაზე უპოვიათ, ორი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული — ერთი გულში, მეორე ზურგში."**

ჯემალ გაბედავა, ემილიან გაბედავას მამა: **„საყვარელიძე და ჩემი შვილი კლასელები იყვნენ. არ ვიცი, ვინ დაურეკა ტელეფონზე ჩემს შვილს, მაგრამ მანქანის გასაღები მთხოვა და 11-ის ნახევარზე სახლიდან გავიდა. მითხრა, ხუთ წუთში მოვალო. ფეხსაცმელიც არ ჩაუცვამს, ჩუსტებით ჩავიდა. მე ტელევიზორის ყურებაში ჩამძინებია. დილის შვიდ საათზე რომ გავიღვიძე, ბავშვი კიდევ არ იყო მოსული. აივნიდან გადავიხედე და მანქანაც არ იდგა. მერე თენგოს დედაც მოვიდა. ავფორიაქდით, ვეძებდით და 12 საათზე გამაგებინეს, რომ ჩემი შვილი და თენგო მოკლულები იყვნენ. ერთი ტყვია ჰქონდა ფერდში მოხვედრილი."**

საშა მეტონიძის და ლამარა მეტონიძე ამბობს, რომ საყვარელიძე მათი ოჯახის ახლობელი იყო და მისგან ამგვარი სისასტიკის ჩადენას ვერც წარმოიდგენდნენ:

**„ჩემი ძმისშვილი და ტარიელი მეგობრობდნენ. ჩვეულებრივი ბიჭი ჩანდა, არ გვეგონა, თუ ამდენი სისასტიკის ჩამდენი იქნებოდა. იმ დღეს ჩემი ძმის სახლში რომ მივედი, მკვდარი დამხვდა. მკლავში და გულში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი. მარტო ცხოვრობდა, მეუღლე, რამდენიმე წელია, გარდაცვლილი ჰყავს, მერე შვილი ავარიაში დაეღუპა. საყვარელიძესთან არანაირი კონფლიქტი არ ჰქონია. ტარიელმა ჩემს ძმისშვილს გამოატანინა იპოთეკური სესხი, მაგრამ ეს ჩვენ არ ვიცოდით. ჩემმა ძმისშვილმა მხოლოდ საბუთები გააფორმა, მთლიანი თანხა კი საყვარელიძემ წაიღო, პროცენტებსაც ის იხდიდა. მე მოკლული ძმა რომ დავინახე, მაშინვე ვივარაუდე, რომ მკვლელი საყვარელიძე იქნებოდა. არანაირი ზარალის ანაზღაურებას არ ვითხოვ, რადგან აუნაზღაურებელი ზარალი მომაყენა ამ პიროვნებამ. მე სასამართლოს მხოლოდ მის უმკაცრესად დასჯას ვთხოვ. ჩემი აზრით, ის ძალიან საშიში პიროვნებაა და ასეთი სასტიკი მკვლელი სამუდამოდ ციხეში ყოფნას იმსახურებს."**

როგორც პროკურორი ჟღენტი აცხადებს, **„სასამართლო გამოძიების პერიოდში საყვარელიძე დუმილის უფლებას იყენებდა. როგორც ექიმები ამბობენ, ბრალდებული შეურაცხადია და მისი სასამართლოში დაკითხვა ვერ მოხერხდა. თუმცა წინასწარი გამოძიებისას, როცა მას ვკითხეთ, აღიარებდა თუ არა ჩადენილ დანაშაულს, განაცხადა, რომ მოვკალი, მაგრამ მერე ხომ გაცოცხლდნენო."**

საყვარელიძის ადვოკატი ლალი აფციაური მიიჩნევს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი უდანაშაულოა. ტარიელ საყვარელიძის ოჯახის წევრები კი საუბარზე უარს აცხადებენ.

როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურში განაცხადეს, **„ტარიელ საყვარელიძეს სასამართლომ იძულებითი მკურნალობა დაუნიშნა. ვინაიდან იგი საზოგადოებისთვის საშიში პიროვნებაა, იზოლირებულ პირობებში უნდა იმყოფებოდეს და მისჯილ 25 წელს სამკურნალო დაწესებულებაში მოიხდის."**

# პოლიციელისა და ახალგაზრდა ქალის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობისთვის უვადო პატიმრობა მიუსაჯეს

**განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობებისთვის, ყაჩაღობისთვის და საქართველო-სომხეთის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფს, რომელსაც ცოლ-ქმარი ხელმძღვანელობდა, სასამართლომ მკაცრი განაჩენი გამოუტანა. ადვოკატების მცდელობამ, როგორმე გაემართლებინათ დამნაშავეები, შედეგი არ გამოიღო. მეტიც, ერთ-ერთ განსასჯელს მოსამართლემ უვადო პატიმრობა მიუსაჯა.**



ყველაფერი კი უბრალო შელაპარაკებითა და მუქარით დაიწყო. ნაცნობთან ვალის მისაღებად მისული ცოლ-ქმარი ამჯერადაც მშრალზე დარჩა. ოჯახის უფროსი სახლში არ დახვდათ, ხოლო დიასახლისმა ვერაფერი დამაიმედებელი პასუხი ვერ გასცა. დაუპატიჟებელი სტუმრები მუქარას არ მოერიდნენ და შეშინებულმა დიასახლისმა პოლიცია გამოიძახა. ყველაფერი კი ერთ-ერთი პოლიციელის მკვლელობით დასრულდა.

თბილისელ დავით ნეფარიძეს ცოლ-ქმარ ბადრი და ციური საბაშვილების 650 დოლარი ემართა. მოვალე თანხის გადახდას აჭიანურებდა, ამიტომ სახლში მიაკითხეს. თან ნათესავი ნუგზარ ბაზერაშვილი ახლდათ. შინ მისულებს ნეფარიძის ცოლი და მცირეწლოვანი ბავშვები დახვდათ. **როდესაც თანხის დაბრუნებაზე დამაიმედებელი პასუხი ვერ მიიღეს, ქალს დაემუქრნენ — თუ მისი მეუღლე ვალს არ გადაიხდიდა, ბავშვებს მძევლად აიყვანდნენ და მოკლავდნენ.**

შეშინებულმა ქალმა პოლიცია გამოიძახა. ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა საბაშვილსა და მის თანმხლებ პირებს განყოფილებაში წასვლა მოსთხოვეს, მაგრამ მათგან კატეგორიული უარი მიიღეს. ამასობაში ნეფარიძის ბინაში საბაშვილის ადვოკატიც მივიდა, რომელმაც თავის კლიენტს პოლიციის მოთხოვნის შესრულება ურჩია. დამნაშავეები პოლიციაში წასვლას ერთი პირობით დასთანხმდნენ — განყოფილებაში საკუთარი მანქანით გაემართებოდნენ. შეთანხმების შემდეგ მათ მანქანაში ორი პოლიციელი ჩაჯდა, დანარჩენები კი პოლიციის მანქანით უკან მიჰყვნენ.

როგორც საქმის მასალებში ვკითხულობთ, საჭეს საბაშვილი მიუჯდა, მის გვერდით მისი მეუღლე დაჯდა, ბაზერაშვილი კი პოლიციელებმა შუაში ჩაისვეს.

ავტომანქანის დაძვრისთანავე საბაშვილებმა პოლიციელებს მოსთხოვეს, რომ პოლიციის განყოფილების ნაცვლად ქალაქის სამმართველოში წასულიყვნენ, რაზეც უარი მიიღეს. ამის შემდეგ საბაშვილი მათ დაემუქრა, **„ახლა განახებთ, სად წაგიყვანთო"** და მანქანა კახეთის გზატკეცილის მიმართულებით გააქროლა.

საქმის მასალებში ვკითხულობთ, რომ **„საჭესთან მჯდომმა საბაშვილმა მარჯვენა ხელით ხელჯოხი აიღო, რითაც თავისა და ტანის არეში დაუწყო ცემა პოლიციელებს, ქალმა პოლიციის ერთ-ერთ თანამშრომელს, ბზიშვილს თმის წიწკნა დაუწყო, ხოლო უკანა სავარძელზე მჯდომი ბაზერაშვილი მთელი ძალით სცემდა მანქანის მარცხენა კართან მჯდარ მეორე პოლიციელს – დ. ძნელაძეს. ბაზერაშვილმა მანქანის კარი გააღო და ძნელაძე სწრაფად მიმავალი მანქანიდან გადააგდო. ამის შემდეგ ბაზერაშვილი მეორე პოლიციელს მიუბრუნდა და მასაც ცემა დაუწყო."**

საქმის მასალებში ისიც წერია, რომ მანქანიდან გადაგდებულ ძნელაძეს სწრაფად მიმავალი მანქანა შეეჯახა, რომელსაც პოლიციის თანამშრომელი მართავდა.

დამნაშავეებმა მეორე პოლიციელიც გადააგდეს მანქანიდან, თუმცა ამ დროს საბაშვილმა მანქანა დაამუხრუჭა და სწორედ ამან იხსნა ბზიშვილი სიკვდილისგან.

რაც შეეხება ძნელაძეს, ექსპერტიზის დასკვნით, დამნაშავეეებმა მას ხელითაც და ხელჯოხითაც თავის არეში სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები მიაყენეს. ამ დაზიანებებს კი მანქანის შეჯახება დაემატა, რაც საბოლოოდ ძნელაძის სიკვდილით დასრულდა.

ამის შემდეგ დამნაშავეთა ჯგუფი რუსთავში მიიმალა, მაგრამ სამართალდამაცავებმა მათი დაკავება იმავე ღამეს მოახერხეს.

სხვათაშორის, ამ საქმეში ერთი ფაქტი ბუნდოვანია; კერძოდ, საქმის მასალებში ვკითხულობთ, რომ დამნაშავეები იმავე ღამით დააკავეს, მაგრამ მოგვიანებით გაათავისუფლეს. თუ რის საფუძველზე გაათავისუფლეს, ამის შესახებ არაფერი წერია.

ერთი რამ ცხადია, გათავისუფლების შემდეგ ცოლ-ქმარი თანამზრახველებითურთ მორიგ, სასტიკ დანაშაულს ჩადიან, რასაც ყაჩაღობა და საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაც დაემატა.

მორიგი მსხვერპლი რუსეთის მოქალაქე ლუდმილა ლიაპკუსოვა აღმოჩნდა. დამნაშავეებმა მისი ნაცნობისგან შეიტყვეს, რომ ქალს 50 ათასი დოლარი ჰქონდა. საბაშვილის გადაწყვეტილებით, ჯგუფი ერევანში უნდა ჩასულიყო (ლიაპკუსოვა ერევანში ცხოვრობდა) და ქალი დაეყაჩაღებინა.

მეზობელ სახელმწიფოში გადასვლამდე ლიაპკუსოვა გარკვეული დროის მანძილზე თბილისში ვინმე მნაცაკანიანთან ერთად ცხოვრობდა. ფულის შესახებ სწორედ მნაცაკანიანმა იცოდა, რომელმაც ამის შესახებ თავის ნაცნობ საბაშვილს უამბო. საბაშვილს ბევრი აღარ უფიქრია, გეგმაც შეადგინა – ერევანში უნდა ჩასულიყვნენ და ქალისთვის თანხა წაერთმიათ. მათ თან მნაცაკანიანიც უნდა ხლებოდა, რადგან დიდი ალბათობა იყო, რომ ქალს უცნობი მამაკაცები სახლში არ შეეშვა. სანაცვლოდ, მნაცაკანიანს იმ თანხიდან 15 ათას დოლარს შეჰპირდნენ.

დამნაშავეები დარწმუნებულები იყვნენ, რომ დაყაჩაღების შემდეგ ქალი პოლიციას არ მიმართავდა, რადგან თანხა „შავი ბიზნესით" ჰქონდა მოპოვებული.

ერთი სიტყვით, წასვლის დღეც დათქვეს; ერევანში მიმავალ სამეულს კიდევ ერთი – ვინმე ბერძენიშვილი შეემატა. ჯგუფმა სა- ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ახალგაზრდა ქალი ჯერ მოკლეს, შემდეგ დაანაწევრეს

## «ბაზრობაზე შეიძინეს დიდი ზომის ჩანთა, რომელშიც ჩადეს მზია ბორტიშვილის გვამი და დუშეთის გზაზე ხრამში გადააგდეს»

**თბილისის საქალაქო სასამართლოში ქალის სასტიკი მკვლელობისთვის 4 ადამიანს ასამართლებენ, მათ შორის ერთ-ერთი ბრალდებული 38 წლის ქალია. პროკურორი ია დარჯანია მზია ბორტიშვილის მკვლელობის მოტივად ანგარებას ასახელებს. „იგი ბინაში მიიტყუეს, თანხა გამოსძალეს, მოკლეს შემდეგ გვამი ჩანთაში ჩადეს და ხრამში გადააგდეს.“ აღძრულია სს საქმე თამარ ბაშარაძის მიმართ 25,109 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. იგივე მუხლებით ედებათ ბრალი დავით ლორიასა და ედუარდ ნაზაროვს. გიგო ნაკაშიძეს კი მხოლოდ დანაშაულის დაფარვისთვის ასამართლებენ.**

საქმის მასალების მიხედვით, თამარ ბაშარაძეს მზია ბორტიშვილის მკვლელობა დიდი რაოდენობით ვალებმა გადააწყვეტინა. მას მევალეები ხშირად აწუხებდნენ და, როგორც თვითონ ამბობს, ემუქრებოდნენ კიდეც.

**„თამარ ბაშარაძე თბილისში იპოთეკური სესხების საშუამავლო ფირმა „თათია და კომპანიაში“ მუშაობდა. მას ფინანსური პრობლემები ვალის გადაუხდელობის გამო შეექმნა. ვინმე ლალი გოგოლაძე ხშირად აკითხავდა მას და ვალის დაბრუნებას თხოვდა. ვალის დასაფარად ბაშარაძემ გადაწყვიტა, დაუფლებოდა მზია ბოსტაშვილის კუთვნილ თანხას და მისი დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობა განიზრახა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან გეგმა შეიმუშავა. ჩანაფიქრი მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ დავით ლორიასა და მის მეგობარ ედუარდ ნაზაროვს გაანდო, რომლებიც დასთანხმდნენ, განეხორციელებინათ განზრახ მკვლელობა.**

**„ბაშარაძემ დანაშაულის ჩასადენად დიღმის მასივში ვინმე ხათუნა კობახიძისაგან ბინა იქირავა, შემდეგ მზია ბოსტაშვილს დაუკავშირდა და ბინის ყიდვა შესთავაზა, გასაყიდ ბინად კი მის მიერ ნაქირავები ბინა დაუსახელა,“** — ამბობს პროკურორი ია დარჯანია.

მისივე განმარტებით, **„2008 წლის 26 სექტემბერს ბაშარაძე მზია ბორტიშვილს ედუარდ ნაზაროვის „ოპელ ასტრის“ მარკის მანქანით შეხვდა და იგი ნაქირავებ ბინაში მიიყვანეს, სადაც მათ, წინასწარი შეთანხმებით, დახვდათ ლორია და ედუარდ ნაზაროვი. ეს უკანასკნელი ბორტიშვილს გაეცნო როგორც ბინის მფლობელი. მათ დაარწმუნეს ბორტიშვილი, რომ ბინას 20 000 აშშ დოლარად ყიდდნენ. შეთანხმდნენ, რომ მზია ბორტიშვილი ფულს ბინის გადაფორმების დღეს გადასცემდა. 29 სექტემბერს დილის საათებში ბაშარაძე კვლავ შეხვდა ბორტიშვილს და კვლავ მიიყვანეს ბინაში, სადაც იგი ჯგუფურად მოკლეს, მისი კუთვნილი თანხა კი მიისაკუთრეს. შემდეგ კი ეს ფული გაინაწილეს. ნაზაროვა და ლორიას შეხვდათ 6 500 თითოეულს, ხოლო ბაშარაძეს 7 000. ასევე დაეუფლნენ მის კუთვნილ ოქროს ბეჭედს, საყურეს, ორ ყელსაბამს, ჯვარს. შემდეგ ბაზრობაზე შეიძინეს დიდი ზომის ჩანთა,**



**რომელშიც ჩადეს ბორტიშვილის გვამი და დუშეთის გზაზე ხრამში გადააგდეს.“**

**„გვამის გადაგდების შემდეგ დავით ლორიამ მიმალვა გადაწყვიტა. მას თბილისის დასატოვებლად ავტომანქანა დასჭირდა და 2 ოქტომბერს დასახმარებლად ადრე ნასამართლევ გიგო ნაკაშიძეს მიმართა; მოუყვა მომხდარი მკვლელობის შესახებ და სთხოვა დახმარება. ნაკაიძე დასთანხმდა დანაშაულის დაფარვას და თავისი ნათესავი ლერი ნაკაიძე დაარწმუნა, რომ ლორია იყო რუსეთიდან ჩამოსული, არ ჰქონდა პასპორტი, რის გამოც პოლიციის ეშინოდა. 2008 წლის 5 ოქტომბერს თბილისში, პეკინის ქუჩაზე შეხვდნენ ერთმანეთს და ბათუმში გაემგზავრნენ, სადაც ისინი დააკავეს,“** — აღწერს საბრალდებო დასკვნაში პროკურორი.

გიგო ნაკაიძე 2008 წლის 6 ოქტომბერს დააკავეს, ნაზაროვი — 2008 წლის 17 ოქტომბერს, ლორია და ბაშარაძე კი — 5 ოქტომბერს.

წინასწარი გამოძიებისას დაკითხული თამარ ბაშარაძე დეტალურად იხსენებს მომხდარს:

**„დავით ლორია 2007 წელს ავლაბარში, რესტორანში, გავიცანი, სადაც მე ხელმძღვანელი ვიყავი, მას მერე მასთან ახლო ურთიერთობა მაქვს. იმ პერიოდში ლორია ჩემთან მიმტანად მუშაობდა. მერე სამუშაოდ საგანმანათლებლო ცენტრში გადავედი, სადაც წიგნებს ვთარგმნიდი. 2008 წელს ჩამოვაყალიბე შპს „თათია და კომპანია“, იმ პერიოდში ლორია უმუშევარი იყო. ჩვენ გვყავს საერთო შვილი, რომელიც 2008 წლის 25 მარტს შეგვეძინა. ნაზაროვს ვიცნობ ლორიასაგან. ბოლო დროს ნაზაროვი მირეკავდა და ფულს მთხოვდა, მეუბნებოდა, ლორიას ჩემი ვალი აქვსო... ასევე, ვალები პოკერ კლუბებში და თუ არ გადავიხდიდით, ჩემს 4 თვის შვილს მოკვლით ემუქრებოდა.“**

ლალი გოგლიძე: **„მე ვარ შპს „ლალის“ ხელმძღვანელი. ეს არის უძრავი ქონების სააგენტო და უძრავი ქონების გაქირავებას ეწევა. 2008 წელს ჩემი ქალიშვილი ნინო მივიდა საგანმანათლებლო ცენტრში. იქ ბაშარაძე ასწავლიდა უნარ-ჩვევებს. მან გაიგო, რომ ნინოს არ ჰქონდა დიპლომი და მოითხოვა ჩემთან შეხვედრა. ბაშარაძემ მითხრა, რომ განათლების მინისტრის მოადგილე ნინო ჩუბინიძე მისი დეიდაშვილი იყო და დაეხმარებოდა ნინოს დიპლომის აღებაში. მან მითხრა რომ ამ საქმეს სჭირდებოდა 7000 დოლარი, თავიდან კი 5 000 გვექნებოდა გადასახდელი. ბაშარაძის ანგარიშზე ჩვენ ჩავრიცხეთ 3 000 დოლარი. დიპლომი 5 აგვისტოს უნდა აგვეღო, მაგრამ ასე არ მოხდა, რომ მივაკითხეთ გვითხრა 29 სექტემბერს იქნებაო. როცა დავრწმუნდით, რომ ის დიპლომის მომცემი არ იყო და იტყუებოდა, მაშინ გადავწყვიტე, დამებრუნებინა ჩემი თანხა, ხშირად ვახსენებდი თავს, სამსახურშიც ვაკითხავდი.“**

მოკლული მზია ბორტიშვილის მეუღლე ვახტანგ თედიაშვილი ამბობს, რომ მას მაშინვე გაუჩნდა ეჭვი, რომ ბაშარაძე რაღაცას მალავდა:

**„წინა დღით მზია ქორწილში იყო, 29 სექტემბერს ვურეკავდი, მაგრამ ტელეფონი გამორთული ჰქონდა. ჩვენი ძალებით ვეძებდით მზიას, მაგრამ ვერ მივაგენით. 30 სექტემბერს კი პოლიციას მივადექი. ყველა გზით ვცდილობდი, მეუღლის პოვნას. მე მაეჭვებდა ბაშარაძის ქცევა და დარწმუნებული ვიყავი, რომ მან ბევრი რამ იცოდა მზიას გაუჩინარებაზე. ისიც ვუთხარი, რომ მონაწილე იყო ამ ამბის. მასთან პრეტენზია არ მექნებოდა, ოღონდ ცოცხალი ან მკვდარი მეპოვა. შემდეგ პოლიციამ ისინი დააკავა როგორც ეჭვმიტანილები.“**

ამასთან, ვახტანგ თედიაშვილს 20 ათასი დოლარისა და 6750 ლარის ოდენობის ზარალიც მიადგა და იგი ამ ზარალის ანაზღაურებასაც ითხოვს.

ქართველო-სომხეთის საზღვარი სხვისი პასპორტებით გადაკვეთა (შემდგომში მათ ბრალი საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვისაც წაუყენეს). ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

ერევანში დილის 10 საათზე ჩავიდნენ. ტაქსი გააჩერეს და მსხვერპლის სახლისკენ გაემგზავრნენ. ადგილზე მისულებმა როლები გადაინაწილეს: საბაშვილის ცოლი სიფრთხილისთვის სახლის ეზოში დატოვეს, ხოლო მამაკაცები ბინისკენ გაემართნენ. გეგმის მიხედვით, მნაცაკანიანმა მასპინძელ ქალბატონს თანმხლები პირები ბიძად და ნათესავებად გააცნო. მხოლოდ ამის შემდეგ შეუშვა ქალმა უცხო მამაკაცები ბინაში.

ბინაში შესვლის შემდეგ საბაშვილმა, ბერძენიშვილმა და ლიაპკუსოვამ სამზარეულოსკენ გასწიეს (ერთ-ერთმა წყურვილი მოიმიზეზა), ხოლო მნაცაკანიანი ფულის მოსაძებნად საძინებელ ოთახში შევიდა. ყოფილმა საყვარელმა სამალავს ვერ მიაგნო, სასტუმრო ოთახში გამოსულმა საბაშვილს შესთავაზა, რომ ამ საქმისთვის თავი დაენებებინათ და წასულიყვნენ, საბაშვილმა კი ძებნის გაგრძელება უბრძანა.

მცდელობის მიუხედავად, მნაცაკანიანმა ფულს ვერ მიაგნო. საბაშვილმაც ქალის ასალაპარაკებლად ხერხს მიმართა – ჯერ სახის არეში ხელი დაარტყა, შემდეგ აყვირებული ქალი სასტუმრო ოთახში გაიყვანეს, სკამზე დასვეს, „სკოჩით“ პირი და ხელ-ფეხი შეუკრეს; გონმიხდილ ქალს კაცები გამეტებით ურტყამდნენ. გონს მოსულს ფული მოსთხოვეს და ქალმაც მაშინვე სამალავისკენ მიუთითა. ყაჩაღებმა 50 ათასი დოლარი აიღეს, შემდეგ კი კვალის დაფარვის მიზნით ქალის მოკვლა გადაწყვიტეს.

**საბაშვილმა ოთახში ნაპოვნი წვეტიანი რკინის ხელკეტი ლიაპუსკოვას რამდენჯერმე თავში ჩაარტყა. დარტყმები სასიკვდილო აღმოჩნდა და ქალი ადგილზევე გარდაიცვალა. რაც ყველაზე შემზარავია, ლიაპუსკოვა თავისი ორი მცირეწლოვანი შვილის თვალწინ მოკლეს, რომლებიც შემდეგ დამნაშავეებმა ქალაქში გაიყვანეს და ისეთ ადგილას დატოვეს, სადაც, მათი ვარაუდით, ბავშვებს ვინმე იპოვიდა.**

**ლიაპუსკოვას მოკვლის შემდეგ, საბაშვილმა და ბერძენიშვილმა გვამს თავი მოახერხეს, ხელისა და ფეხის კიდურები დაანაწევრეს და ცელოფნის პარკებში მოათავსეს.**

ამის შემდეგ ბერძენიშვილი და საბაშვილი ბინიდან გამოვიდნენ, ხოლო მნაცაკანიანს შეპირებული 15 ათასი დოლარი არ მისცეს; მეტიც, საბაშვილი მას შვილის მოკვლით დაემუქრა და უბრძანა, მოკლულის დანაწევრებული გვამი და ტანსაცმელი მდინარეში გადაეყარა.

მომხდარიდან მოკლე ხანში საბაშვილი პოლიციამ დააკავა. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სამართალდამცავებმა მისი ბინა გაჩხრიკეს, რა დროსაც საბრძოლო მასალა, ხელყუმბარა ფ-1 და დეტონატორი ამოიღეს. პირადი ჩხრეკისას კი 0,247 გრამი „ჰეროინი“ უპოვეს. საბაშვილი ადგილზევე დააკავეს.

დააკავეს მისი მეუღლეც და ჯგუფის სხვა წევრებიც. მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით აღძრეს: მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, განზრახ მკვლელობის მცდელობა, ყაჩაღობა, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა, მუქარა და საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა.

**საბოლოოდ, საბაშვილს უვადო პატიმრობა მიუსაჯეს, ხოლო მის ცოლს — 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. რაც შეეხება ბაზერაშვილს, მას 20 წლით, ხოლო მნაცაკანიანს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ყაჩაღობისა და საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის აღძრეს. მოგვიანებით მას ციხე პირობითი სასჯელით, 5 წლით შეუცვალეს და საპატიმროდან გაათავისუფლეს.**

ადვოკატებმა განაჩენი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს; ისინი მსჯავრდებულების გამართლებას ითხოვდნენ.

**უზენაესმა სასამართლომ მათი არგუმენტები მხედველობაში არ მიიღო და განაჩენი უცვლელი დატოვა.**

# ქურდობაზე ნასწრებულმა მუშამ 44 წლის მამაკაცი ბარის ჩარტყმით მოკლა

**სექტემბერში დაბა წავკისში მკვლელობა მოხდა. 44 წლის შალვა გალუაშვილი მეზობლის სახლის დაცვას შეეწირა. იგი ბარის თავში ჩარტყმით მოკლეს. დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, თუმცა სამართალდამცავებმა მისი დაკავება მალევე მოახერხეს. დაკავებულმა დანაშაული აღიარა და მკვლელობის დეტალებზეც დაწვრილებით ისაუბრა.**

28 წლის ვახტანგ მაისურაძე და კიდევ რამდენიმე მამაკაცი ვინმე რამაზ ხუხიამ დაიქირავა. მუშებს დაბა წავკისში ხუხიას სახლის გარემონტება ევალებოდათ. ისინიც დაკისრებულ მოვალეობას თავს წარმატებით ართმევდნენ. სამუშაოს დასრულების შემდეგ მუშები ერთად ბრუნდებოდნენ თბილისში. ასე მოხდა მკვლელობის დღესაც. სამუშაო საათების დასრულების შემდეგ მუშები თბილისში დაბრუნდნენ, ისინი კოლმეურნეობის მოედაზე ჩამოვიდნენ და იქვე იქეიფეს. შეზახორშებულები მალევე დაიშალნენ და თავიანთ სახლებში გაეშურნენ.

თუმცა ვახტანგ მაისურაძე სახლში წასვლის ნაცვლად ისევ წავკისში აბრუნდა. როგორც გაირკვა, ნივთების მოსაპარად.

ხუხიას ეზოში ადვილად შევიდა. სახლიდან სამუშაო ინსტრუმენტები და კომპიუტერი გამოიტანა, შემდეგ ტაქსი გამოიძახა და მის მოლოდინში ეზოში გავიდა. მოულოდნელად ეზოში ხუხიას მეზობლად მცხოვრები შალვა გალუაშვილი შემოვიდა. მუშის ასეთ დროს იქ ყოფნით გაოცებულმა მას ეჭვით შეხედა და იქ ყოფნის მიზეზი ჰკითხა.

როგორც დაკავებულმა აღნიშნა, მეზობელი მიხვდა, თუ რისთვის იყო მაისურაძე მოსული და სახლიდან გასვლა დააპირა, სავარაუდოდ, ვინმეს დასაძახებლად, თუმცა კარამდე მისვლა ველარ მოასწრო, მაისურაძემ უკნიდან ბარი ჩაარტყა თავში, შემდეგ კი გვამი ეზოში გადამალა.

ამის შემდეგ მაისურაძე მშვიდად დაელოდა ტაქსს, მასში ნაქურდალი ნივთები ჩააწყო და თბილისში დაბრუნდა.

სამართალდამცავებმა იგი მალევე დააკავეს. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 177-ე (ქურდობისთვის) და 109-ე (მკვლელობისთვის) მუხლებით დამამძიმებელ გარემოებებში აღიძრა.

როგორც აღვნიშნეთ, დაკავებულმა დანაშაული აღიარა და მკვლელობის დეტალებზეც ისაუბრა.

**„გარეთ ვიყავი გასული, როცა ეზოში იქაური მეზობელი – შალვა შემოვიდა. ღამე აქ რატომ ხარო. აქ დავრჩი-მეთქი. პახმელიაზე ვარო, ამბობდა. აქ რას აკეთებო, არაფერი, ისემეთქი. მიხვდა, — აქ შენ კაი საქმეზე არ იქნებიო. მკერდში ჩამარტყა.**

**დავეცი. წამოვდექი. უკვე მიდიოდა. ბარი დავინახე, მოვუქნიე. შემობრუნდა, მაგრამ დარტყმა ვერ მოახერხა, დავასწარი. თავში მოხვდა და დაეცა. ხელებში მოვკიდე და გავათრიე, მეზობლებს რომ არ დაენახათ. ამის მერე ტაქსი გამოვიძახე, ნივთები ჩავაწყვე და წავედი,“** — ამბობს თავის ჩვენებაში მაისურაძე.

მას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა ჯერ არ დაწყებულა.

გვერდები მოამზადეს
სალომე გოგოხიამ და მაკა ქობალიამ

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ბეთანია

## სკვირეთის ხეობა

**მკითხველს ჩვენი წინა წერილიდან უთუოდ ემახსოვრება, რომ სკვირეთის (ვერეს) ხეობის მარჯვენა სანაპიროზე მოგზაურობისას წვერის, უძოს და კოჯრის ძეგლებზე კი ვისაუბრეთ, მაგრამ ბეთანია გამოვტოვეთ, გამოვტოვეთ იმიტომ, რომ მასზე ძალზე ბევრია სალაპარაკო. საქმე ის არის, რომ ბეთანია არც ისე კარგად არის ცნობილი ფართო საზოგადოებრიობისათვის, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.**


„ღვთისმშობელი“

1851 წლის ზაფხული იდგა. კავკასიის მეფისნაცვლის სალაშქრო კანცელარიის დირექტორმა და ერთ დროს რუსეთის განათლების მინისტრმა ბარონმა **ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიმ** პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულ **გრიმთან** ერთად სკვირეთის ხეობაში საზაფხულო-სააგარაკო მამულის ყიდვა განიზრახა თავად დავით ბარათაშვილისაგან. სააგარაკო მიწის ნაკვეთის შერჩევისას მას დაბურულ ტყეში აღმოუჩენია გუმბათიანი ეკლესია, რომელიც, როგორც ჩანს, საუკუნეზე მეტ ხანს ყოფილა მიტოვებული და გავერანებული **(ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომით დგინდება, რომ მის დროსაც კი აქ ერთადერთი ხუცესიღა მდგარა).** ნიკოლაის საქმის კურსში ჩაუყენებია საქართველოს ეგზარხოსი, რომელიც სასწრაფოდ ამოსულა ბეთანიაში. მას თან ამოუყვანია ქართული სიძველეების ცნობილი რუსი მკვლევარი, მხატვარი გრიგოლ გაგარინი. ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე არსებული სამეფო ოჯახის პორტრეტების წარწერები (გიორგი III, თამარ მეფე, ლაშა-გიორგი) თურმე პლატონ იოსელიანს წაუკითხავს და გაუცვნია გაგარინისათვის, რასაც ეს უკანასკნელი ადასტურებს ჟურნალ „კავკაზის“ 1851 წლის 72-ე ნომერში.

გაგარინი ძალიან ჩაუფიქრებია მონასტერს, მეტადრე კი ქართველი მეფეების გაფერმკრთალებულ ფრესკებს და ოდნავ აღუდგენია ისინი — გაუცოცხლებია ორიგინალის ფერები და სახეების ზოგიერთი შტრიხი, წვრილი ფუნჯით ასევე სკრუპულოზურად წამოუწევია მიმკრთალი ძირითადი წარწერები.

ტაძრის რესტავრაცია მოგვიანებით დაიწყო და იგი 1898 წელს დასრულდა, როცა აქ უკვე მონასტრის წინამძღვრად მღვდელ-მონაზონი სპირიდონი იქნა დადგენილი. რესტავრატორებმა ტაძარს პირვანდელი სახე არ დაურღვიეს.

* * *

...წვიმამ გადაიღო და ხეობის თავზე მანდილივით გაიშალა ნისლი. მზემ ნისლებში ბილიკი გაიკვალა და ბეთანია მოძებნა, ოქროსფერი კედლები და ჟოლოსფერი სახურავი გაუბრწყინა. მონასტრის ეზოში, რომელიც XIX საუკუნის გალავნითაა შემოსაზღვრული, იდილია სუფევს. საძმოს წევრები (მონასტრის წინამძღვარია არქიმანდრიტი იაკობ ბანძელაძე) იშვიათად გამოდიან სენაკებიდან (ხის კოტეჯებიდან) და უჩუმრად საქმიანობენ. ჩვენი მასპინძლობა ბერ ლაზარე ლიპარტელიანს დაევალა.

თავდაპირველად წუთიერი დუმილით პატივს მივაგებთ მთავარი ტაძრის, ღვთისმშობლის ეკლესიის, აღმოსავლეთ კედელთან დაკრძალული ორი არქიმანდრიტის იოანე მაისურაძის და იოანე მხეიძის ხსოვნას, რომელთაც XX საუკუნის 70-იან წლებში გააცოცხლეს და იხსნეს მონასტერი კომუნისტური ეპოქის ტყვეობიდან. ამის მერე დასავლეთ მკლავის ნართექსის ქვეშ არსებულ კრიპტაში ჩავდივართ. აქ მონასტრის ტერიტორიაზე მიკვლეული ძველი ბერ-მონაზვნების ძვლები დავანებული... კანდელის მქრქალ შუქზე გარდასული დღეები ჩურჩულებენ.

ბეთანიის მონასტერი ორი ძირითადი ნაგებობისგან შედგება — ღვთისმშობლის დიდი ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრისა და მისგან დასავლეთით მდგარი წმიდა გიორგის მცირე დარბაზული საყდრისაგან. ორივე ნაგებობა განვითარებული შუასაუკუნეების ქმნილებაა, თუმცა ასაკობრივად, დაახლოებით, ნახევარი საუკუნით განსხვავდებიან.

დიდ ტაძარს დასავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ მკლავებში დატანებული აქვს დაწყვილებული მოზრდილი სარკმლები, რომლებიც განსხვავებული ჩუქურთმიანი არშიებით არის შემკული. მრავალფეროვანი სამკაულებით არის მოჩარჩოებული გუმბათის ყელის ძველი სარკმლებიც (XIX საუკუნეში აღდგენილი გუმბათის ყელის ნაწილი უსამკაულოა). ტაძრის მთავარი შესასვლელი — სამხრეთ კარიბჭე 1 დიდი, მოქმედი და 4 მცირე, დეკორატიული თაღით არის წარმოდგენილი. ისინი წყვილ-წყვილი, უსამკაულო ლილვებითაა მოჩარჩოებული. კარიბჭის კამარას ვარსკვლავისებრი ფორმა აქვს. ყურადღებას იქცევს აღმოსავლეთ მკლავი, რომელშიც 5 სარკმელი და 3 სამერცხულია გაჭრილი. ყველა ამ სარკმელს სამკაულიანი საპირე აქვს. ცენტრალურ სარკმელს, ამასთანავე, დიდი, ქუსლებიანი თავსართიც გადაუდის თავზე. გარდა ამისა, აღმოსავლეთ მკლავში ჩასმულია ორი მაღალი ნიში, მაგრამ მათ არანაირი მარაო არ აქვთ თავში, რაც ასე დამახასიათებელია მსგავსი ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიებისათვის. მკლავებზე, მათ შორის აღმოსავლეთისაზეც, არ არის მოზრდილი ჯვრები. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია აღმოსავლეთ ფასადზე, რაც ე.წ. „სამთავისის ტრადიციული სისტემის“ დარღვევაა. ამ მხრივ ბეთანიის დიდი ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის მორთულობა დიდი ჯვრისა და რომბების გარეშე, ასევე ცენტრალური სარკმლის ოვალური და არა მართკუთხა ზედა ნაწილით, „ქვათახევზე“ მეტად „ფიტარეთთან“ და „წუღრუღაშენთან“ უფრო პოულობს საერთოს.


„წმიდა გიორგი“

ალსანიშნავია, რომ დიდი ტაძრების აღმოსავლეთ ფასადებისთვის „განკუთვნილი“ მაღალი, დეკორატიული ნიში და თანაც მარაოიანი, კენტად და მოულოდნელად გვხვდება ბეთანიის მეორე, მცირე დარბაზული საყდრის სამხრეთ ფასადზეც. მეორე მოულოდნელობა ის არის, რომ ამავე საყდრის დასავლეთ ფასადზე მოთავსებულია ე.წ. „სამთავისის დეკორატიული სისტემისათვის“ დამახასიათებელი, მართკუთხა საპირეში ჩასმული სარკმელი და მისგან ჩამდინარე ოთხმაგი ლილვი. და მაინც, წმიდა გიორგის ეს დარბაზული ეკლესია გაცილებით მნიშვნელოვანია თავისი სამი რელიეფური წარწერით.

სამხრეთ ფასადის წარწერა გვეუბნება: **„ღმერთო მაღალო, დიდო, ვით მათი გაზრდილი ეჯიბი წურილაიძე უპატიოსნეს მყო ჩემ ჯორსახეთასა პატრონმან რუსუდან, აგრეთვე უზეშთაეს და უმაღლეს ასუფევეთ წინაშე თქუენისა. ამათ მიერ შეგივრდები, რამეთუ სულითა ფრიად ცოდვილი ვარ“.**

ეჯიბი წურილაიძის ერთ-ერთი გამზრდელი და პატრონი რომ რუსუდანი ყოფილა, ეს ნათელია, მაგრამ ვინ იყო თავად რუსუდანი და მეორე პატრონი, ამ წარწერიდან არ ირკვევა. საიდუმლოს, რომელსაც პალეოგრაფმა ვალერიან სილოგავამ ახადა ფარდა, ასევე ვხვდებით ამავე ტაძრის დასავლეთ ფასადზე, სარკმლის თავზე არსებული გოლგოთის ჯვრის მიდამოებში. აქ ორი წარწერაა. პირველი მათგანი ჯვრის მკლავთაშორის სივრცეებშია ამოკვეთილი: **„რომელმან ჯუარსა ზედა იცევ ჩუენთვის, ქრისტე ღმერთო, მფარველ ექმენ პატრონსა რუსუდანს აქაც და სამუნოდცა ზეცასა სასუფეველსა შენსა“.**

ისევ პატრონი რუსუდანი, ისევ გაურკვევლობა... ვინ არის იგი, რომელიც ამ ტაძრის აგების დროს ცოცხალია?

ჯვრის ქვედა ნაწილში, გოლგოთა-პოსტამენტის ორსავ მხარეს ყველაზე საინტერესო წარწერაა, რომლის წაკითხვა, 1/3 ნაწილის დაზიანების გამო, ძალიან რთულდება. ეს პირველად მარი ბროსემ სცადა: **„ადიდე უფალო... სული დიდისა მამასახლისისა საბასი. მისი მმართველობის დროს... გადმოსვენებულ იქნა ძვლები... მისი ამილბარისა და ამირსპასალარისა... რომელმაც შეირთო ცოლად რუსუდან, ასული კვირიკე სომეხთა მეფისა. ღმრთისმშობელო, მეოხ მეყავ აქა... ასევე მეოხ მეყავ ჩემი სულისთვის. კარიბჭე... სვეტები... მღვდელნო, რომლებიც ილოცებთ, წმინდა ძმებო და თქვენ ყველამ, რომლებიც ატარებთ... დანო...“**


სუმბატ I ორბელი

დაკვირვებული მკითხველი უთუოდ მიხვდება, რომ ტექსტი ასეთი ქართულით არ იქნებოდა შედგენილი. საქმე ის არის, რომ მარი ბროსემ ამ სახით წარწერის ფრანგული თარგმანი გამოაქვეყნა, ზევით მოყვანილი ფრაზები კი ფრანგულიდან ქართულად ნათარგმნი ტექსტია მხოლოდ და არა დედანი.

მთავარი ის არის, რომ ტექსტში დაფიქსირებული „ამირსპასალარი“ და „რუსუდანი — ასული კვირიკე სომეხთა მეფისა“. წარწერაში, სხვა მრავალ სიტყვასთან ერთად, დაუზიანებლად და ცხადად არის შემონახული. მაგრამ ისტორიული საბუთებით ცნობილია, რომ კვირიკე III მანწარბედელის ქალიშვილი რუსუდანი გიორგი მესამის დროინდელი ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის, დიდი ივანე ორბელის მეუღლე იყო. ვალერიან სილოგავამ მოახერხა და ქარაგმათა სხვაგვარი გახსნით, ასევე წარწერაში სახელ „ივანეს“ აღმოჩენით, გადაშლილი სიტყვების ლოგიკური აღდგენით და ბროსეს გამოცემული ასომთავრული ტექსტის რეპრინტული გამეორებით, ასეთი შედეგი მიიღო: **„ქორონიკონი ჳივ (ანუ 1196 წ.) ადიდენ [ღმერთმან სასუფეველსა შინა ც]ათასა სული დიდისა სუმბა[ტ ერისთავთ ერისთავი]სა მათსა ზეობასა [ღირს ვიქმენ მათისა სახლისა სძალი] მათისა ძისა ერისთავთ ე[რისთავი]სა და ამირსპასალ[არისა და მანდატურთუხუცესისა და მათი შვილისა ივანეს] ცოლად... სომეხთა მეფისა კვირიკეს ასული რუსუდან... დედა[ო ღმრთისაო, სულთა მათთა შეუნდე და ექმენ მ]ათ სალბუნის დამდები“.** გარკვეული. ნაკლი, რა თქმა უნდა, ასეთ წაკითხვასაც აქვს, მაგრამ მისი შინაარსის ამგვარ გახსნას მხარს უბამს დიდი ტაძრის შიგნით, სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში, არსებული ქტიტორის ფრესკა და წარწერა. იგი ახლა მიმქრალია, მაგრამ 1936 წელს გადაიღო ს. მირზაშვილმა და ახლა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება. ბოლოს იგი შეისწავლა და 1983 წელს ასე გამოაქვეყნა ეკ. პრივალოვამ: **„დიდი სუმბატ მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი“.** როგორც ცნობილი ქართველი ისტორიკოსი შოთა მესხია აღნიშნავდა (და მას ეთანხმება პალეოგრაფი ვალერიან სილოგავა), ამ ორი დიდი სამოხელეო ტიტულის მატარებელი სუმბატი მხოლოდ და მხოლოდ დემეტრე I-ის დროინდელი დიდი ვეზირი სუმბატ I ორბელია, რომელიც, 1155 წლის სამეფო კარის გადატრიალების დროს, თანამდებობას ჩამოაშორა დემეტრე პირველის უფროსმა ძემ — 6 თვით გამეფებულმა დავით V-მ. ამის შემდეგ სუმბატ დიდი ორბელი, ისევე როგორც მისი პატრონი დემეტრე I, ბერად აღიკვეცა და მას სიმონი დაარქვეს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი მას მოიხსენიებს როგორც **„სუმბატ სვიმონქმნილს“** და გიორგი II-ის ერთ-ერთ მრჩევლად წარმოგვიდგენს. სუმბატის შთამომავალი, გასომხებული ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანიც, დაბეჯითებით ამბობს, რომ სუმბატ დიდი დაკრძალულია ბეთანიის მონასტერში, რომელიც ორბელთა საძვალეაო.

და კიდევ ერთი საინტერესო გარემოება: ბეთანიის დიდი ტაძრის კედელზე გამოსახული დიდი სუმბატი ბერის სამოსში კია, მაგრამ სამოსელს აშკარად ეტყობა გადაკეთება. მას ჯერ საერო სამოსი სცმია და მერე ბერის სამოსად გადაუკეთებიათ. აქედან გამომდინარე, **სუმბატ დიდს, რომლის მამა დიდი ივანე I ორბელი იყო, ხოლო პაპა — ლიპარიტ-აფხაზი, ტაძარი აუგია საერო ცხოვრებაში** (წარწერაც ხომ ამას გვეუბნება) — **ე.ი. 1155 წლამდე. აი, ეს არის ბეთანიის ტაძრის აგების ზედა თარიღი და არა თამარის მეფობის ხანა.**


ლაშა, თამარი, გიორგი III

1196 წელს, კვირიკიანთა სომეხი მეფის ასულსა და სუმბატის რძალ რუსუდანს (მისი მეუღლე, ასევე ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, ივანე II ორბელი დემნას აჯანყების თავკაცი იყო და სიკვდილით დასაჯეს) ორბელთა ახალი საძვალე ეკლესია აუგია და, როგორც ჩანს, თავადაც იქ დაკრძალულა.

რაც შეეხება გიორგი III-ის, თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის პორტრეტებს, ისინი, სხვა ფრესკებთან ერთად, სადღაც 1207 წლისთვის არის შესრულებული, როცა ლაშა უკვე თამარის თანამოსაყდრედ (თანამეფედ) აკურთხეს და ხმალი შეარტყეს.

...დრო სუნთქვასავით გარდასული...

ამ ფრესკებს მომავალ წერილში დავუბრუნდებით.

**გელა ქოქიაშვილი**
ავტორის ფოტოები

# რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომი და საქართველო



დასასრული. დასაწყისი იხ. №37-40

**რუსეთის წარმატებამ, სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების პირობებმა შეაშფოთა ევროპის დიდი სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი — ინგლისი. მათ რუსეთის მიმართ მტრული პოზიცია დაიკავეს და „დაჩაგრული“ თურქეთის ქომაგობა იკისრეს. ამან გაამხნევა ოსმალეთი და სულთანმა კვლავ დაიწყო იარაღის ჟღარუნი, ინგლისის ფლოტი კი, რუსეთზე ზემოქმედების მიზნით, შავ ზღვაში შევიდა. ინგლის-თურქეთის აგენტები მოედვნენ ამიერკავკასია-მცირე აზიასა და მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ.**

სულთანის ემისრები განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვდნენ მაჰმადიანი ქართველებისაგან. დერვიშ-ფაშამ აჭარლებს იარაღი დაურიგა და მათ რუსეთის წინააღმდეგ ამხედრება მოსთხოვა. ასეთივე ბრძანება მიიღო შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმაც. იმის გამო, რომ შერიფმა არ შეასრულა ეს მოთხოვნა, აჭარაში თურქთა დამსჯელი რაზმი გაიგზავნა, რომელმაც სოფ. სხალთაში არსებული მისი სასახლე მიწასთან გაასწორა. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი ახალციხეში გადავიდა და რუსეთის მთავრობის სამსახურში აშკარად ჩადგა.

ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ დაკავებული ანტირუსული პოზიციის და ინგლის-თურქეთის ახალი ომისათვის მზადების პირობებში სან-სტეფანოს ზავი დროებითი გამოდგა. რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა, დათანხმებოდა ბერლინში ევროპის სახელმწიფოთა კონგრესის მოწვევას და სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების გადასინჯვას.

ბერლინის კონგრესმა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ ევროპის დიდ სახელმწიფოთა პრემიერ-მინისტრები და სხვა წარმომადგენლები, სხდომები დაიწყო 1878 წ. 13 ივნისს. კონგრესის მუშაობის პროცესში განმტკიცდა ავსტრია-გერმანიის კავშირი და გამომჟღავნდა ინგლის-საფრანგეთის დაახლოების ტენდენცია. მეფის რუსეთი კი იზოლირებული აღმოჩნდა. კონგრესზე მწვავედ იდგა როგორც ბალკანეთის პოლიტიკური მოწყობის, ისე რუსეთ-თურქეთის აზიური საზღვრების საკითხი. განსაკუთრებით დიდი კამათი წარმოებდა ბათუმის გარშემო. მართალია, რუსეთის დიპლომატიამ ზოგი რამ დათმო, მაგრამ ძლევამოსილი ომის ძირითადი მონაპოვარი შეინარჩუნა.

1878 წ. 13 ივლისს ხელმოწერილი ბერლინის ტრაქტატის ძალით რუსეთის მფლობელობაში გადმოვიდა აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი და ოლთისი. თურქთა ხანგრძლივი ბატონობისაგან გათავისუფლდა, აგრეთვე, დასავლეთ სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი.

აღნიშნული ტერიტორიების უმეტესობა ბერლინის ტრაქტატის ხელმოწერის მომენტში რუსთა ჯარის ხელთ იყო. მხოლოდ აჭარაში (ბათუმითურთ) რჩებოდა თურქეთის ჯარი. ოსმალეთის მთავრობა აჭიანურებდა რუსეთისათვის აჭარის გადაცემას. თურქეთის აგენტები ყოველნაირად ცდილობდნენ, გამოეწვიათ კონფლიქტი აჭარლებსა და რუსეთის ჯარს შორის. ერთმორწმუნეებს მოუწოდებდნენ, გადასახლებულიყვნენ თურქეთის შიგა პროვინციებში. რუსეთის მთავრობამ კატეგორიულად მოითხოვა ბათუმიდან და აჭარიდან თურქეთის ჯარების გაყვანა. ბოლოს და ბოლოს, დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმად აჭარის ქალაქები და სოფლები რუსთა ჯარს უნდა გადასცემოდა თანდათანობით 16-დან 25 აგვისტომდე. თურქთა აგენტების ვარაუდი არ გამართლდა. აჭარის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თანაგრძნობით ხვდებოდა რუსთა ჯარს. 1878 წლის 25 აგვისტოს რუსთა ნაწილები ბათუმში შევიდნენ. ქალაქის მოსახლეობა გამათავისუფლებელ ჯარს ბარცხანასთან შეხვდა და მის უფროსს პურმარილი მიართვა. იმ დღესვე შევიდა ბათუმის ნავსადგურში რუსეთის ფლოტიც. ბათუმის ციტადელზე აღმართულმა რუსეთის ნაციონალურმა დროშამ და ქვემეხთა სალუტმა მოსახლეობას ამცნო, რომ დამთავრდა თურქთა ხანგრძლივი ბატონობა აჭარაში, რომ ეს მხარე დედასამშობლოს – საქართველოს დაუბრუნდა.

ქართველი ხალხი, მოწინავე საზოგადოებრიობა სიხარულით შეეგება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლებას. ი. გოგებაშვილი წერდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“.

მთავრობისაგან წაქეზებული თურქი ემისრები მაინც არ ცხრებოდნენ; შექმნეს ტერორისტული ორგანიზაციები, თავს ესხმოდნენ რუსთა და ქართველთა რაზმებს, წვავდნენ სახლებსა და მაღაზიებს, მოსახლეობას მოუწოდებდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ეპატიჟებოდნენ მათ „დედა თურქეთისაკენ“. თურქეთის ემისრებმა აჭარის რამდენიმე სოფლის აჯანყებაც კი შეძლეს. რუსეთის ადმინისტრაციის ზოგი წარმომადგენლები აჯანყებულთა მკაცრად დასჯას მოითხოვდა, სხვებს კი მიზანშეწონილად მიაჩნდათ აჭარლების კეთილგანწყობა მოლაპარაკებით ყოფილიყო მოპოვებული. „ჩვენი აზრი — ეს არის, — წერდა „დროების“ კორესპონდენტი, — რომ ჯარებითა და საზოგადოდ ძალდატანებით მხოლოდ ერთი შედეგის მიღწევა შეიძლება: მთელი აჭარის ხალხი გადასახლდება ოსმალეთში და, არა მგონია, რომ ამისთანა შედეგი ვისმესთვის სანატრელი და სასიამოვნო შეიქმნეს. ერთი ხეირიანი უფროსი, ხალხის ზნე-ჩვეულების მცოდნე ჭკვიანი კაცი უფრო მომეტებულ სარგებლობას მოიტანს ამგვარ შემთხვევაში და უფრო უკეთ მოუვლის და დააწყნარებს ხალხს, ვიდრე რამდენიმე ბატალიონი ჯარი“. მართლაც, აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად აჭარაში გაიგზავნა პოლკოვნიკი იოსელიანი მცირე რაზმით. იგი ჩავიდა სოფ. დანდალოში, სადაც რამდენიმე ათასი კაცი იყო შეკრებილი და დაარწმუნა აჭარლები აჯანყების უნაყოფობასა და რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების მიზანშეწონილობაში. მართალია, აჭარაში და ქართველებით დასახლებულ სხვა ახალშემოერთებულ რაიონებში სერიოზულ ანტიცარისტულ გამოსვლას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ სულთნის აგენტებმა, რომელთა საქმიანობას გარკვეული მოსაზრებით ხელს არ უშლიდნენ რუსეთის ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელეები, შეძლეს მაჰმადიან ქართველთა ნაწილის გაბრიყვება და მათი ოსმალეთში გადასახლება.

უნდობლობის გასაფანტავად, აჭარის მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტის დამყარების მიზნით მოწინავე ქართველ მოღვაწეთა ჯგუფმა აჭარელთა დეპუტაცია მოიპატიჟა თბილისში. ბანკეტზე ბევრი გულთბილი სიტყვა წარმოითქვა. ცხადი გახდა, რომ დიდი ხნის წინათ დაშორებულ და კვლავ შეყრილ ძმებს კარგად ესმოდათ ერთმანეთისა, კარგად ითვალისწინებდნენ არსებული სიძნელეების დასაძლევად ერთობლივი მუშაობის საჭიროებას. ილია ჭავჭავაძემ ქართველ ხალხს მოუწოდა, დახმარების ხელი გაეწოდებინა ახლად გათავისუფლებული და ომით დაზარალებული მაჰმადიანი ქართველებისათვის. „აბა, ქართველობავ, — წერდა დიდი მოღვაწე, — ეხლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს შენს ახლადშემოერთებულ ძმებსა! ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამაპაპათ ანდერძს: ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო!“

ილიას ეს მოწოდება როდი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მთელი ქართველი ხალხის დახმარებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ მალე მოიშუშა თურქთა ხანგრძლივი ბატონობისა და ომისაგან მიყენებული ჭრილობები და პროგრესული განვითარების გზაზე გამოვიდა.




გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული
მემკვიდრეობა»
მეორე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს. ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.

უნივერსალური წყალი „ისიდა“

მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა



**სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს და შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს დღიური ნორმის ოდენობით:**

**J იოდი** — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

**F ფტორი** — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

**Ma მანგანუმი** — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

**Ca კალციუმი** — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

**K კალიუმი** — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

**Mg მაგნიუმი** — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

**Na ნატრიუმი** — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

**Zn თუთია** — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და რაც წყაროსი) არ შეიცავს ყველა ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიურ და ხანგრძლივი გამოყენება იწვევს ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს, რომელსაც ეწოდება მიკროელემენტოზი. ამიტომ „ისიდაში“ გადახდილი ყოველი თეთრი დაგიზოგავთ ამ დაავადების სამკურნალოდ გადასახდელ მრავალ ათას ლარს.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება 20-ლიტრიან ბალონებში.

მსურველებმა დარეკონ თბილისში: 899-16-30-21, 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რატომ არის აუცილებელი პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია



**ყოველწლიურად მსოფლიოში რეგისტრირდება საშვილოსნოს ყელის კიბოს 500 ათასი ახალი შემთხვევა, აქედან 250 ათასი ქალი ამ დაავადებით იღუპება. დღეს, როდესაც ცნობილია მისი გამომწვევი მიზეზი, ანუ ადამიანის პაპილომავირუსი, საშვილოსნოს ყელის კიბოს თავიდან აცილება შეიძლება.**
**მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სკრინინგული პროგრამების საშუალებით ამ დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობა 70-80 პროცენტით შემცირდა. დღეს უკვე საქართველოშიც მიმდინარეობს თბილისის მოსახლეობის სკრინინგი საშვილოსნოს ყელისა და მკერდის კიბოს ადრეული დიაგნოსტიკისთვის.**
**XXI საუკუნე ახალი ერაა მედიცინაში, უკვე არსებობს ვაქცინები, რომელთა გამოყენებითაც ჩვენ შეგვიძლია, ვებრძოლოთ ადამიანის პაპილომავირუსს და მისით გამოწვეულ კიბოს. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა კალენდარული ვაქცინების სიაში, ანუ სახელმწიფო პროგრამაშია შეტანილი.**
**2000 წლიდან უკვე საქართველოშიც არსებობს პირველი Pap-დიაგნოსტიკის ლაბორატორია. საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ არჩილ ხომასურიძეს.**



არჩილ ხომასურიძე

**— ბატონო არჩილ, რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ დავიცვათ თავი საშვილოსნოს ყელის კიბოსა და ადამიანის პაპილომავირუსით გამოწვეული სხვა დაავადებებისაგან?**

— ყოველდღიურად მსოფლიოში საშვილოსნოს ყელის კიბოთი 600-ზე მეტი ქალი კვდება. 4-დან 3 შემთხვევაში ადამიანის პაპილომავირუსით პირველადი ინფიცირება ქალებში 15-24 წლის ასაკში ხდება. მეცნიერთა შეფასებით, უმრავლესობას ეს ვირუსი გადაეცემა სქესობრივი ცხოვრების დაწყებიდან 2-3 წლის მანძილზე. ამ ვირუსით დაავადებულია ყოველი მეათე ადამიანი.

ქალების ნახევარზე მეტი, რომელთაც დაესვათ ეს დიაგნოზი, მიეკუთვნებიან ასაკობრივ ჯგუფს 35-დან 55 წლამდე. ეს ვირუსი აავადებს როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს, რადგანაც მას აქვს დამახასიათებელი ნიშნები, სიმპტომები, რომელიც ადამიანების უმრავლესობამ არც კი იცის. ადამიანის პაპილომავირუსი ვრცელდება ძალიან ადვილად, მისი გადაცემისათვის საკმარისია ნებისმიერი ინტიმური ურთიერთობა, რომელიც გულისხმობს გენიტალურ კონტაქტს, თუნდაც სქესობრივი აქტის გარეშე. ეს ვირუსი საფუძვლიანად ცვლის ადამიანის ცხოვრების წესს და წარმოადგენს საფრთხეს სიცოცხლისათვის, რადგან მისი შედეგები შესაძლებელია გამოვლინდეს მთელი ცხოვრების მანძილზე.

**— რისთვის არის საჭირო ვაქცინაცია?**

— ვაქცინაცია ეფექტურად იცავს ადამიანს პაპილომავირუსის მე-16 და მე-18 ტიპით დაინფიცირებისაგან, ანუ იმ ორი ტიპის ვირუსისაგან, რომლებიც ყველაზე ხშირი მიზეზია საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარებაში. სწორედ ვაქცინაცია შეამცირებს ანომალური ცერვიკალური პროცესებისა და კიბოს განვითარების რისკს და დაიცავს აცრილს გენიტალური კონდილომებისა და მეჭეჭებისაგან, რომელთა მიზეზი 6 და 11 ტიპის პაპილომავირუსებია.

ვაქცინაციის ჩატარება განსაკუთრებით ეფექტურია პირველ სქესობრივ კონტაქტამდე, ვინაიდან ადამიანის პაპილომავირუსი ყველაზე ხშირი სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციას წარმოადგენს, ამიტომ ქალების უმრავლესობა ინფიცირდება სქესობრივი ცხოვრების დაწყებიდან ძალიან მალე. ვაქცინაციის ჩატარება ეფექტურად იცავს ქალს, ვინც არ არის დაინფიცირებული ამ ტიპის ვირუსებით.

ვაქცინა ვერ იცავს ადამიანს პაპილომავირუსის აბსოლუტურად ყველა ტიპისაგან, რომლებიც კიბოს იწვევს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხართ აცრილი, მაინც უნდა ჩაიტაროთ პერიოდული კვლევები — **რუტინული სკრინინგი,** რადგანაც ადრეულ სტადიაში აღმოჩენილი ატიპური ცერვიკალური უჯრედების მოშორება ძალიან იოლია და ამით თავიდან აიცილებთ საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარებას. ვაქცინაცია 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობს სამჯერადად და უზრუნველყოფს საიმედო დაცვას სულ მცირე 5 წლის განმავლობაში იმ ტიპის ვირუსისგან, რომლის წინააღმდეგაც ის შეიქმნა. ასევე, რეკომენდებულია ვაჟების ვაქცინაცია 9-დან 17 წლამდე ასაკში.

**— უსაფრთხოა თუ არა ეს ვაქცინა?**

— ვაქცინა უსაფრთხოა, კლინიკურმა კვლევებმა ცხადყო, რომ ვაქცინაციის შემდეგ განვითარებული გვერდითი მოვლენები მინიმალურია და ბანალური, რაც ზოგადად, სხვა ნებისმიერი ვაქცინის შემთხვევაში.

ვაქცინაცია უკუნაჩვენებია ორსულებში. პრობლემები ჩნდება მაშინ, როდესაც ქალის ორგანიზმი ვერ ებრძვის პაპილომავირუსს და საშვილოსნოს ყელში წარმოქმნილი ატიპური ცერვიკალური უჯრედები დროთა განმავლობაში პროგრესირებს კიბომდე, თუ არ მოხდა მისი დროული გამოვლენა, დიაგნოსტირება და დაზიანებული უჯრედების მოცილება. სამწუხაროდ, არ არსებობს მეთოდი, რომელიც წინასწარ ზუსტად განსაზღვრავს, რომელი ორგანიზმი მოერევა ვირუსს და რომელი — ვერა.

**ევროპის კიბოს ასოციაცია** (ECCA) მიიჩნევს, რომ ამ დაავადებისა და მისი პროფილაქტიკის შესახებ ცოდნის გაზრდა გამოიწვევს ამ დაავადების სიხშირის შემცირებას.

## ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები

| კიბოს ლოკალიზაცია | შემთხვევათა რაოდენობა წელიწადში | პარაზიტებით გამოწვეულ სიმსივნეთა რაოდენობა პროცენტულად |
|---|---|---|
| 1. ღვიძლის კიბო | 572.000 | 82% |
| 2. კუჭის კიბო | 996.000 | 55% |
| 3. ლიმფომების სიმსივნე | 300.000 | 16% |
| 4. საშვილოსნოს სიმსივნე | 500.000 | 100%!!! |
| 5. სარძევე ჯირკვლის კიბო | 200.000 | 100%!!! |
| 6. ნაღვლის ბუშტის კიბო | 10.053 | 90% |

# რა არის რეზონანსული დიაგნოსტიკა

**მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობა, სტრესები და ფსიქოემოციური ფონი ადამიანის იმუნურ სისტემას აქვეითებს. დღეს ყველას საფრთხეს უქმნის ისეთი დაავადებები, რომლებიც ადრე მხოლოდ ამა თუ იმ რეგიონისათვის იყო დამახასიათებელი.**
**მეცნიერული კვლევებით დასტურდება, რომ ბევრი ასეთი დაავადების გაჩენის მიზეზს წარმოადგენენ: პარაზიტები, სოკოები, მარტივი ერთუჯრედიანები. ისინი აქტიურად იპყრობენ და ეგუებიან ახალ გარემოს. შედეგად კი ვიღებთ მძიმე დაავადებებს, რომლებიც შემდეგ ქრონიკულ ხასიათს იძენს და არცთუ იშვიათად, ადამიანის სიკვდილსაც კი იწვევს.**
**თანამედროვე მედიცინისთვის დღეს არც ის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ ბევრი ონკოლოგიური დაავადება ზოგჯერ სწორედ ზემოთ აღნიშნული პარაზიტების ერთობლივი ზემოქმედებით არის გამოწვეული. შეიძლება თუ არა ამისგან თავის დაღწევა? როგორ დავამარცხოთ ქრონიკული უკურნებელი დაავადებები? რით დაგვეხმარება უახლოესი სამედიცინო ტექნოლოგია-ინფორმაციულ-რეზონანსული დიაგნოსტიკა მკურნალობაში?**
**ამ საკითხების გარშემო ვესაუბრებით რეზონანსული დიაგნოსტიკის ცენტრის ხელმძღვანელს — ექიმ ნუნუ ქემაშვილს**



**— ქალბატონო ნუნუ, რა არის მიზეზი ქრონიკული დაავადებების ხანგრძლივი მიმდინარეობისა, რომელიც ზოგჯერ უკურნებელ სახეს იღებს?**

— პრობლემა ის არის, რომ დროულად, ადრეულ სტადიაში, არ ხდება ზუსტი დიაგნოსტიკა. ტრადიციული და კლასიკური მეთოდები კი ხშირად დაავადების მიმდინარეობის შესახებ სრულ ინფორმაციას არ იძლევა. რეზონანსულ დიაგნოსტიკასა და თერაპიაში შერწმულია თანამედროვე იაპონური, ევროპული, ამერიკული და რუსული ტექნოლოგიები, რაც დღეს ყველა ქვეყანაში წარმატებული და პოპულარულია, რადგან სრულყოფილია როგორც დიაგნოსტიკის, ასევე თერაპიისა და მკურნალობის თვალსაზრისით.

**— რაში მდგომარეობს სიახლე, ან რა უპირატესობა აქვს ამ ტექნოლოგიას ძველთან შედარებით?**

— მაღალტექნოლოგიური კომპიუტერული გამოკვლევების სისტემები შესაძლებლობას იძლევა, მივიღოთ ზუსტი ინფორმაცია ნებისმიერი დაავადების წარმოშობის მიზეზზე.

ამ ტექნოლოგიით შესაძლებელია დაავადებათა ნაადრევი გამოვლენა და ზუსტი დიაგნოსტიკა, შემდეგ კი პრეპარატებისა და მკურნალობის ზუსტი შერჩევა.

**— ფიქრობთ, რომ მკურნალობა ხშირად არასწორად არის წარმართული?**

— რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ დაავადების მიზეზები უცნობია.

**— რომელი დაავადებებია დღეს ყველაზე მეტად გავრცელებული?**

— დღევანდელ მეტისმეტად დაძაბულ ყოფაში ყურადღებას გავამახვილებდი მთელ მსოფლიოში გავრცელებულ ქრონიკული დაღლილობის სინდრომზე, რაც განპირობებულია პარაზიტული ინფექციების ზრდით. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ქრონიკულ დაავადებებს — ქლამიდიოზს, ლამბლიოზს, სალმონელოზსა და სხვებს, დღეს ხშირად არასწორად მკურნალობენ. ბოლოს კი ისინი ხდება მიზეზი ისეთი დაავადებებისა, როგორიცაა: ნეფრიტი, ნეფროსკლეროზი, თირკმლის კენჭოვანი დაავადებები, უროლოგიური თუ გინეკოლოგიური დაავადებები.

**— შესაძლებელია თუ არა რეზონანსული თერაპიით, დიაგნოსტიკით, სწორი მკურნალობით ამ პარაზიტების დროული ალაგმვა?**

— შესაძლებელი კი არა, აუცილებელიც არის. განსაკუთრებით ბავშვებისათვის, რათა მათ შემდგომში ნებისმიერი ქრონიკული დაავადება ავაცილოთ თავიდან.

ვფიქრობ, დღეს მსოფლიო მედიცინაში ყურადსაღებია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები ონკოლოგიური დაავადებების შესახებ, რომელთა წარმომშობი მიზეზი იმ პარაზიტების, ვირუსებისა და სოკოების სიმბიოზია, რომელნიც შემდგომში ონკოლოგიური პროცესის პროვოცირებას ახდენს.

# მარიხუანა გაფანტულ სკლეროზს შველის



ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მარიხუანის ექსტრაქტით მკურნალობა კარგ შედეგს იძლევა გაფანტული სკლეროზით დაავადების დროს. ამდენად, ის მალე რეკომენდებული იქნება ასეთი პაციენტების სამკურნალოდ.

კვლევებს აწარმოებდა ლოს ანჯელესის გლობალური ნევროლოგიის ცენტრი, ექვსიდან ხუთ შემთხვევაში მკურნალობამ საუკეთესო შედეგები აჩვენა მარიხუანაზე დამზადებული პრეპარატების: **ტეტრაჰიდროკანაბინოლისა** და **კანაბინოიდის** დროს.

# მარტოობა გადამდები დაავადებაა

**ამერიკელი მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მარტოობის შეგრძნება ინეფექციური დაავადებასავითაა.**



კვლევებს აწარმოებდნენ ერთობლივად ჩიკაგოს, ჰარვარდისა და კალიფორნიის უნივერსიტეტების მეცნიერები, რომელთაც შეისწავლეს 5000-მდე მარტოხელა პიროვნება და შეადგინეს შესაბამისი გრაფიკული სქემა.

კვლევებმა აჩვენა, რომ ქალები, რომლებიც უფრო ხშირად საჭიროებენ ფსიქოლოგიურ თუ ემოციურ მხარდაჭერას მარტოობის დროს, მაინც მამაკაცებზე ძლიერები არიან. ერთ-ერთი მკვლევარის ჯონ კაჩიოპოს აზრით, მარტოობის დროს ადამიანი კარგავს გარშემომყოფთა ნდობას, რის შემდეგაც ის უფრო და უფრო ცუდად გრძნობს თავს. მეცნიერთა აზრით, ყოველივე ეს ადამიანის გონებრივი თუ შერყეული ჯანმრთელობის ფონზე ვითარდება და მაშინ, როცა ისინი თავს არიდებენ სოციალურ კონტაქტებს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# როგორ შევარჩიოთ საკვები პროდუქტები

**საკვები პროდუქტების შეძენა დღევანდელ პერიოდში ძალზე სერიოზულ დაკვირვებას მოითხოვს, რადგანაც მთელ მსოფლიოში წარმოებული საკვების 70 პროცენტი ან გენმოდიფიცირებულია, ან სუროგატი. არის ქვეყნები, სადაც ფაქტობრივად, უკვე წაშლილია ასეთი კრიტერიუმით პროდუქციის შეფასება, რადგანაც საშუალება არ აქვთ, თავად აწარმოონ რაიმე და მთლიანად უცხოეთზე არიან დამოკიდებულნი. ბოლო წლებში საქართველოც, ძირითადად, იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა, მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ დიდი ყურადღება ექცევა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს.**
**იმისათვის, რომ შევარჩიოთ და შევიძინოთ ჯანსაღი ადგილობრივი წარმოების საკვები პროდუქტები, ჩვენ მათ ბევრ ნიშან-თვისებას უნდა ვიცნობდეთ.**

## ვაშლი

ვაშლები, რომლებიც თანაბრად დიდი ზომისა და ერთნაირი წონის, ერთი შეხედვით კარგად გამოიყურება, მაგრამ ის აუცილებლად არის შეწამლული, რაზეც მათი თანაბარი ზომა-წონა მეტყველებს.

ასევე, საკმაოდ სარისკოა უცხოური დიდი ზომის მწვანე ვაშლის ყიდვა, რადგანაც ის, რომ არ გაფუჭდეს, მაღაზიაში მოხვედრამდე სპეციალური ხსნარით არის დამუშავებული. სხვათაშორის, ბევრმა არ იცის, რომ ასეთი ვაშლი წლობით ინახება!

თუ საქართველოს მაგალითზე ვიმსჯელებთ, მნიშვნელობა აქვს იმას, რომელ კუთხეშია ის მოყვანილი, ხომ არ არის ჩრდილი იმ ადგილას. ხშირად ვაშლს ინახავენ გოგირდის დახრჩოლებით. ასეთი ვაშლის ჭამის დროს, ადამიანს ხშირად ახველებს და მიზეზს ვერ ხვდება.

საუკეთესოა, ქართლის ვაშლი, თუ ის იქნება არათანაბარი ზომის, ზოგიერთი — თუნდაც ჭიანი (ჭიანი დამპალს არ გულისხმობს, რადგანაც ჰიბრიდულ, მოწამლულ ხილს ჭია არ ჭამს!) და მწიფე, რომელიც მზიან ადგილზე იქნება მოკრეფილი.



## ვაშლის ძმარი

ოჯახში ასევე შესაძლებელია ვაშლის ძმრის მომზადება, რათა ის შემდგომ საკვებში გამოვიყენოთ. ძმრისთვის ძირითადად გამოიყენება წვრილი ან თუნდაც არასასაქონლო დანიშნულების, მაგრამ არაუცხოური, რომელიც ვიცით, რომ ეკოლოგიურად სუფთა ადგილზეა მოყვანილი.

პირველ რიგში ხილი უნდა გაირეცხოს და გაიხეხოს ან ხორცსაკეპში გატარდეს. შემდეგ დაქუცმაცებული მასა გადააქვთ მინის ან თიხის ჭურჭელში. ამ მასას ემატება ანადუღარი თბილი წყალი (პროპორციით 0,5 კგ ვაშლს — 0,5 ლიტრი წყალი) და თაფლი (ყოველ 1 კგ. 100 გრ. თაფლი). შემდეგ დუღილის გამოსაწვევად მას ემატება 10 გრ. საფუარი და 20 გრამი გამომშრალი შავი პური.

ყოველივე ამის შემდეგ თავზე მჭიდროდ ახურავენ და დგამენ თბილ ადგილას, სადაც ტემპერატურა 20-30 გრადუსი იქნება.

ფერმენტაციის პირველ პერიოდში ნარევს დღეში ერთხელ ურევენ ხის კოვზით. 10 დღის შემდეგ მთლიან მასას დოლბანდში წურავენ, გაწურულს ყოველ ლიტრზე უმატებენ — 50-100 გრამ თაფლს ან შაქარს და ურევენ სრულ გახსნამდე. შემდეგ თავს მოუკრავენ და დუღილის პროცესს აგრძელებენ.

დუღილი დამთავრებულად ითვლება, როდესაც სითხე დაიწმინდება და ქაფი აღარ ექნება.

ვაშლის ძმარი მომზადების პროცესს გადის 40-50 დღის განმავლობაში, შემდეგ კი ინახება გრილ ადგილას.

ასეთი წესით დამზადებული ძმარი ძვირფასი სამკურნალო საშუალებაა, განსაკუთრებით, დიეტურ კვებაში.



## თაფლი



აკაციის ან ცაცხვის თაფლი საუკეთესოა, მაგრამ თუ ფუტკარი დენდრონებით, ანუ შხამიანი მცენარეებით იკვებება, ის თაფლშიც გადადის. ამიტომ ხშირად ამბობენ, რომ თაფლმა მომწამლაო. ეს იმის მანიშნებელია, რომ ფუტკარი შხამიანი მცენარეებით იკვებებოდა, რამაც გამოიწვია მოწამლვა.

ამიტომ, ყიდვის დროს უნდა მიექცეს ყურადღება, თუ სად, რომელ ადგილზეა თაფლი წარმოებული, რითი იკვებებოდა ფუტკარი.

ძირითადად, ფალსიფიცირებული თაფლი კეთდება მხოლოდ წაბლის თაფლისგან, ამიტომ ამ ტიპის ნატურალური თაფლი სასარგებლოა, მაგრამ ხშირად — სარისკო.

წაბლის თაფლის ყიდვა შეიძლება მხოლოდ მწარმოებელთან ან მეფუტკრესთან ადგილზე. დღეს საქართველოში საუკეთესო თაფლად ითვლება ქვეყნის სამხრეთში ან კახეთის რეგიონში, უდაბნოში წარმოებული პროდუქცია, ამიტომ უპირატესობა აქ წარმოებულს უნდა მივანიჭოთ.

## ყურძენი



თუ საქართველო ყურძნის ქვეყანაა, ცხადია, საუკეთესოდ კახეთის ყურძენი ითვლება, თანაც ნებისმიერი სახეობის. ის ერთ-ერთი ყველაზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტია ქართულ ბაზარზე.

როდესაც ზამთრის პერიოდში გვინდა ყურძნის შეძენა, ამ საქმეს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რადგან ზამთარში გასაყიდად გამოტანილი ულამაზესი და სავსე მტევანი მის გემოს არ შეესაბამება.

ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რაშია ის შენახული. კერძოდ, თუ ჩვეულებრივ, ყუთში აწყვია, შეიძლება იყოს შენახული გოგირდის ანჰიდრიტით. გოგირდი ბაქტერიოციდულია და ამით ეხმარება ყურძენს, რომ დიდხანს არ გაფუჭდეს, მაგრამ მისი ჭამისას აუცილებლად ხველა დაგეწყებათ.

ის განსაკუთრებით არასასურველი პროდუქტია ბავშვებისთვის.

ყველაზე კლასიკური და უვნებელია ყურძნის შენახვა ნახერხში, ამიტომ ასეთი წესით შენახული ყურძენი უვნებელიც არის და კარგადაც გამოიყურება.

## ყველი

ყველის ყიდვის დროს, ყურადღება უნდა მიექცეს როგორც მის გემოს, ასევე ფერს. ყვითელი ფერი მეტყველებს იმაზე, რომ ასეთი პროდუქტი შეიცავს კაროტინოიდებს — რაც მის მაღალ ხარისხზე მიანიშნებს. ყვითელი ფერი განსაკუთრებით უნდა ჰქონდეს ყველს გაზაფხულსა და ზაფხულში. რაც შეეხება ცხვრის ყველს, ის ძალიან მაღალკალორიული და ცხიმიანია, ამიტომ მისი მიღება მოხუცებისა და ბავშვებისთვის ნაკლებ სასურველია.



## ლობიო





ლობიო სამზარეულოს ერთ-ერთი ძირითადი პროდუქტია, ხორბლისა და სიმინდის შემდეგ. მის მარცვალში 25 პროცენტამდე ცილებია; შეუცვლელი ამინომჟავების მიხედვით ეს ცილები თევზისა და ხორცის ცილებს უახლოვდება, ასევე, არის მასში ვიტამინებიც. ის ერთნაირად გამოიყენება წლის ნებისმიერ დროს. ხელს უწყობს ორგანიზმიდან სითხისა და უვარგისი ნივთიერებების გამოდევნას.

ლობიოს ყიდვისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართლისა და კახეთის პროდუქტს, რადგან იმერული დიდხანს (მთელ ზამთარს) ვერ ძლებს, მას უჩნდება ჭია და შესანახად არ გამოდგება.

საუკეთესოდ ითვლება წითელი ლობიო, რადგანაც მის შემადგენლობაშია ფოლინის მჟავა, რომელიც ხელს უწყობს სისხლში წითელი ბურთულების წარმოქმნას.

## კარტოფილი



თუ შესანახად კარტოფილის ყიდვა გვსურს, პირველ რიგში უნდა მიექცეს ყურადღება მის წარმომავლობას. ყველამ ვიცით, რომ საქართველოში ახალციხის კარტოფილს ენიჭება უპირატესობა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ამ ადგილას მიწიდან ნიტრატები ჩამოირეცხება და მისი მდებარეობის გამო არ რჩება ნიადაგში. მისი გამოყენებისას კი უნდა ვიცოდეთ, რომ თუ კარტოფილს გავთლით და მოსახარშად ცივ წყალში ჩავყრით, მისი ვიტამინების 25-40 პროცენტს დავკარგავთ, ცხელ წყალში კი ვიტამინების დანაკარგი 7 პროცენტი იქნება მხოლოდ.

სასურველია როგორც არანიტრატიან ნიადაგზე მოყვანილი, ასევე, გრილ და ბნელ ადგილზე შენახული პროდუქტის ყიდვა.



## თევზი





თევზის ყიდვისას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ იმას, თუ კონკრეტულად იმ მომენტში რომელი პროდუქტი გვჭირდება — უცხიმო (ავადმყოფებისთვის, ბავშვებისა და მოხუცებისთვის) თუ ცხიმიანი. ამის მერე შეგვიძლია, ვიყიდოთ მდინარის — უცხიმო და ნაკლებცხიმიანი ან ოკეანის თუნდაც იგივე ჯიშის თევზი.

ოკეანის თევზში მეტია როგორც ცხიმი, ასევე სხვადასხვა ვიტამინები. საქართველოს მდინარეების თევზები თითქმის ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვისაა მისაღები, რადგანაც ისინი არ გამოირჩევიან ზედმეტი ცხიმიანობით.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ოკეანის თევზში (თუნდაც ავიღოთ სკუმბრიას ჯიშის თევზი) იოდია დიდი რაოდენობით, რადგანაც ოკეანის თევზები წყალმცენარეებითაც იკვებებიან.

ამდენად, თევზი შეიძლება ვიყიდოთ იმის შესაბამისად, თუ რომელი სახეობა გვჭირდება მოცემულ მომენტში.

რაც შეეხება ტბის თევზებს, ისინი ყველაზე უფრო ნაკლებ ვიტამინებსაც შეიცავს და დაბალკალორიულიცაა; შესაბამისად, მათი გამოყენება ნაკლებად მისაღებია.

გვერდი მოამზადა **ეთერ კასრელიშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რატომ აქვს «ექსტაზს» ობამას თავი?



**აშშ-ის შავ ბაზარზე გაჩნდა „ექსტაზის“ აბები, რომლებზეც ბარაკ ობამას სახეა გამოსახული. „საპრეზიდენტო“ ნარკოტიკი პოლიციამ ტეხასის შტატის პატარა ქალაქ პალმვიუში ამოიღო.**

ობამას თავის გარდა, აბებზე სხვა გამოსახულებებიც იყო, მაგალითად, სიმფსონების გმირებისა და ზღაპრების პერსონაჟების. პოლიციის განცხადებით, „ექსტაზი“ საბავშვო ვიტამინების აბებს უფრო წააგავს, ვიდრე ნარკოტიკს. სამწუხაროდ, ორიგინალური ნარკოტიკების შენახვისა და გავრცელებისთვის დაკავებული 22 წლის მამაკაცის პოლიტიკური მისწრაფებების თაობაზე არაფერია ცნობილი.

ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც ნარკოტიკების გასავრცელებლად ამერიკელები პრეზიდენტის სახელს იყენებენ. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ნიუ-იორკში ამოღებული ჰეროინის პარტია ბარაკ ობამას სახელით დამშვენებულ შეფუთვებში იყო დაფასოებული.



# ვინ ატარებს სამთავრობო სხდომას ევერესტზე?

**ნეპალის მინისტრთა კაბინეტი, რომელიც 23 წევრისგან შედგება, 3 დეკემბერს 2800 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ქალაქ ლუკლაში შეიკრიბა. 4 დეკემბერს მინისტრები ზღვის დონიდან 5250 მეტრზე მდებარე კალაპატარში, მორიგი სამთავრობო სხდომა სატარებლად ვერტმფრენით გაფრინდნენ.**

ნეპალელ მინისტრთა ამგვარი თავგანწირვა კოპენჰაგენის ეკოლოგიურ კონფერენციას ეძღვნება და ჰიმალაის დნობადი მყინვარებისადმი მსოფლიო საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ისახავს მიზნად. მეცნიერების აზრით, ამ მყინვარების დნობა მთის ფერდობებზე შეფენილი დასახლებული პუნქტების დატბორვასა და ჩაძირვასაც კი გამოიწვევს. ნეპალის მთავრობის უჩვეულო სხდომა მალდივის მინისტრთა კაბინეტის ინიციატივის გაგრძელებაა. ამ უკანასკნელებმა 17 ოქტომბერს სხდომა წყალქვეშ გამართეს, ამ აქციის შემდეგ კი თავიანთი წყალქვეშა კოსტიუმები საქველმოქმედო აუქციონზე გაყიდეს.



# ვინ დაარეგისტრირა ორანგუტანი Facebook—ზე?

**ვენის ზოოპარკის ბინადარი ორანგუტანი ნონია ახლა უკვე Facebook-ის მომხმარებელია. მისი თაყვანისმცემლების რაოდენობა დარეგისტრირებიდან რამდენიმე დღეში 3700-ს აჭარბებდა.**




ნონიას გვერდის მთავარ ნაწილს მის მიერვე გადაღებული ფოტოები შეადგენს. ფოტოებზე ზოოპარკის მაიმუნების გალიაში მცხოვრები ოთხი ცხოველის ცხოვრებაა ასახული. ნონია ამ ფოტოებს თავად იღებს. „Samsung ST1000“-ის ფოტოაპარატი მისთვის სპეციალურად შეფუთეს მაიმუნის კბილებგამძლე „ჩიხოლში“, ფოტოგრაფს კი ყველა დაჩხაკუნებაზე ქიშმიშს აჭმევენ, „მუშაობა“ რომ არ მოსწყინდეს. ფოტოაპარატი ინტერნეტშია ჩართული, ამიტომ ნონიას მიერ გადაღებული ყველა კადრი ავტომატურად ხვდება Facebook–ის მისსავე გვერდზე. ზოოპარკის წარმომადგენელთა თქმით, აქციის მიზანია, ცხოველების მოყვარულებს მიეცეთ საშუალება, რომ ცხოვრებას მაიმუნის თვალით შეხედონ.

# სააკაშვილი ტერორისტებს საქართველოში ეპატიჟება

**საქართველო რუსეთს დარტყმას აყენებს. თბილისში მუშაობის დაწყებას აპირებს „პირველი კავკასიური“ ტელეარხი, რომლის მაუწყებლობა რუსეთის ჩრდილოკავკასიურ რეგიონზეც გავრცელდება. იგეგმება საქართველოს მოსაზღვრე რუსულ ტერიტორიებზე ცხოვრების გაშუქება. ისმის ჭორები, რომ ტელეარხზე ალა დუდაევა და ოლეგ პანფილოვი იმუშავებენ.**



მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა კამპანია 08.08.08 წააგო, იმის კეთება დაიწყო, რაც ყოველთვის ყველაზე კარგად გამოსდიოდა — ხმაური ატეხა. დაუსრულებლად იხლიჩება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას, ეუთოსა და ნატოს შორის, მივლინებებით დადის ბრიუსელში, პარიზსა და ვაშინგტონში; ყველგან ატარებს კონცერტებს, უკაცრავად, გამოდის მოხსენებით პატარა საქართველოსა და პირადად მისი, სააკაშვილის წინააღმდეგ აგორებული რუსული საფრთხის თაობაზე. ხელს აწერს აშშ-სთან კაბალურ ხელშეკრულებებს და გზავნის ათასობით ქართველ სამხედროს ავღანეთში ისევე, როგორც 2008 წლის აგვისტოში გაგზავნა ისინი ცხინვალში. მაშინ სეპარატისტებს ებრძოდა, ახლა ტერორისტებს ებრძვის. ადვილი და სასიამოვნოა ბრძოლა სხვისი სიცოცხლის ხარჯზე. ამასთანავე, თბილისში ამაყად ფრიალებს ქართული დროშა ქართველი მინი-ფიურერის ახალი რაიხსტაგის თავზე. პრეზიდენტის სასახლის კედლებს დემოკრატი პრეზიდენტის საჭიროებისთვის ქვეყნის მუზეუმებიდან „ამოღებული“ ნახატები ამშვენებს. ამ სასახლეში ენდი გარსიას მონაწილეობით იღებენ ფილმს „ჯორჯია“. გარსია განასახიერებს სააკაშვილს და მის რთულ ცხოვრებას პატარა „ჯორჯიაზე“ შეტევის დროს.

რაც მართალია, მართალია, კონფლიქტის დღეების მანძილზე და შემდეგაც უცხოელ ჟურნალისტებთან გამუდმებულ შეხვედრებს ყველა ვერ გაუძლებდა. ასეთი დატვირთვისა და დაძაბულობისგან უნებლიეთ დაიწყებ ჰალსტუხების ჭამას.

სამწუხაროდ, პოლიტიკური ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც საქართველოშია წარმოდგენილი, აბსოლუტურად უუნაროა.

ზამთარი საქართველოშიც დგება. ეკონომიკური კრიზისის გამო მოსახლეობის დიდ ნაწილს შესაძლოა კვლავ ჰქონდეს სახლის გათბობის პრობლემა. ანტირუსული ტელეარხის, ფილმ „ჯორჯიასა“ და სხვადასხვა აქციებისთვის (მათ შორის ვლადიმერ პუტინზე საჩივრების დასარიგებლად სააკაშვილის მთელ მსოფლიოში მოგზაურობებისთვისაც) დახარჯული სახსრები მშვიდობიან მიზნებს ბევრად უფრო მეტად გამოადგებოდა.

დასანანია, რომ საქართველოს ხელისუფლებას მშვიდობიანი მიზნები არ აქვს.

სამწუხაროდ, საქართველოში, ისევე როგორც უკრაინაში, „დემოკრატების“ ფერადი რევოლუციების გამარჯვების შემდეგ ცხოვრება სულ უფრო და უფრო სევდიანად მიედინება. ცხადია, რომ ამერიკული იმპერია წარმოების, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების საბჭოთა კავშირისდროინდელ დონემდე აღდგენასაც არ აპირებს.

სააკაშვილი აპირებს, ჩრდილოეთ კავკასიას რუსული უღლის, ამაყი კავკასიელი ხალხის უზურპაციისა და სხვა ამგვარების შესახებ აცნობოს. სურს, საკუთარი წვლილი შეიტანოს ჩრდილო კავკასიის დესტაბილიზაციაში (თითქოს, პანკისში ჩეჩენი მებრძოლებისთვის მიცემული თავშესაფარი არ კმარა). შესაძლოა, ვილაც უკმაყოფილოებმა უყურონ და დაუჯერონ კიდეც ქართულ არხს, მაგრამ საქართველოს რა ხეირი? იქნებ პრეზიდენტი სააკაშვილი კვლავ ახდენს თავისი ავადმყოფური ამბიციების რეალიზებას ქართული ტერიტორიისა და ქართველი ხალხის უსაფრთხოების ხარჯზე? არავისთვისაა საიდუმლო, რომ რუსეთის საქართველოსთან საზღვარი მთიან რაიონებში შეღწევადია. ხომ არ მოხდება ისე, რომ ბოევიკთა მიღწევების განდიდების შემდეგ ეს ბოევიკები საქართველოს პლაცდარმად ჩათვლიან? და ხომ შეიძლება, მხოლოდ პანკისსაც არ დაჯერდნენ...

ეს რუსულ ტანკებს შეიძლება უბრძანო, შემობრუნდნენ თბილისიდან 30 კილომეტრში, მაგრამ ტერორისტებს ვინ უბრძანებს შემობრუნებას?

**მარია სოლოვიევა,**
**сегодня.ру**

# მიხეილის მეგობრების აფხაზურ-ოსური უძილობა

**საქართველოს თხოვნით, აშშ-მა ამ ქვეყანას იარაღისა და სამხედრო ტექნიკის დიდი პარტია შესთავაზა. აშშ მზადაა, საქართველო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებით, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსებით, ავტომატური იარაღითა და საბრძოლო მასალებით მოამარაგოს. რუსეთის ფედერაციის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს გენერალური შტაბის უფროსმა ალექსანდრე შლიახტუროვმა განაცხადა, რომ „საქართველო აღადგენს თავის სამხედრო პოტენციალს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მოწოდების ხარჯზე“. ქართულ ჯარს ტრადიციული სპონსორები ჰყავს. აშშ-ის გარდა მას იარაღით ამარაგებენ ნატოს სხვა ქვეყნები, ისრაელი და უკრაინა.**



ამერიკელთა მრავალწლიანი მცდელობა, შექმნან საქართველოში ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალები, შედეგების მხრივ ძალიან ჰგავს ციგნების კოლმეურნეობების მშენებლობის საბჭოთა სევდიან გამოცდილებას. მიუხედავად ამისა, ქართული ჯარის გადაიარაღება მაინც უქმნის საფრთხეს კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებას. სააკაშვილისთვის ძალზე დიდია ცდუნება, მოაწყოს კიდევ ერთი სისხლიანი პროვოკაცია და მორიგი დამარცხების შემდეგ გაძლიერებული მატერიალური დახმარება მოსთხოვოს დასავლეთს.

„ვიდრე აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დანარჩენი საქართველოსგან რუსული მავთულხლართითაა გამოყოფილი, ევროპა მშვიდად ვერ დაიძინებს“, — განაცხადა ახლახან საქართველოს პრეზიდენტმა. „დღეს, როდესაც ევროპა ბერლინის კედლის დაცემის 20 წლისთავს ზეიმობს... საქართველოში მავთულხლართია გადაჭიმული... აქ, ჩვენთან, გადის საზღვარი თავისუფლებასა და არათავისუფლებას შორის. ეს არ არის ადმინისტრაციული ან კიდევ რაიმე სხა სახის საზღვარი. ეს ოკუპაციის ხაზია. მე არასდროს ვლაპარაკობ მასზე, როგორც ადმინისტრაციულ ან პოლიტიკურ საზღვარზე — ეს ოკუპაციის ხაზია... ეს არის საზღვარი ადამიანობასა და არაადამიანობას შორის, რომელსაც შეუძლია ბავშვებს დაუყენოს დარაჯები. ეს არის საზღვარი წარსულსა და მომავალს შორის და მომავალი ეკუთვნის საქართველოს და თავისუფლებას“, — ამბობს სააკაშვილი.

ვინ იფიქრებდა, რომ ევროპას ღამით არ სძინავს და სულ აფხაზეთზე ფიქრობს. საინტერესოა, საქართველოს პრეზიდენტის რამდენი მსმენელი ანგარიშობდა, შეძლებს თუ ვერა, უახლოეს მომავალში გადავიდეს რუსეთში, ანუ „არათავისუფლებაში“, თუ ამას მხოლოდ ორიოდე წლის შემდეგ მოახერხებს და მანამდე მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით თავისუფლების მოთმენა მოუწევს? რატომ არ უნდათ ამერიკელებს, ქართველებს იმაშიც დაეხმარონ, რომ არ გარბოდნენ თავიანთი მშობლიური მიწიდან, სადაც ცხოვრება გაურკვეველი მიზეზის გამო კატეგორიულად არ სურთ? ან, უკიდურეს შემთხვევაში, მაინცადამაინც რუსეთში ნუ ემიგრირებენ, რუსეთში, სადაც უკვე ველარავინ ითვლის ქართველებს. ყველაზე ხშირად წერენ მილიონ ქართველ ემიგრანტზე, რომლებმაც მიატოვეს „თავისუფლება“ და გადავიდნენ ოკუპაციის ხაზს მიღმა, „არათავისუფლებაში“, „არაადამიანობაში“. აშშ-მა ამიერკავკასიაში ახალი ომის მზადებაზე დახარჯული თანხის მცირე ნაწილი მაინც მოახმაროს ქართველების საქართველოში დარჩენის საქმეს, მათი მშობლიურ მიწასთან განშორებისაგან, „არათავისუფლებასა“ და „არაადამიანობაში“ ცხოვრებისგან დახსნას. ვშიშობ, აშშ-ს, ისრაელს, უკრაინასა და სხვა ქვეყნებს მხოლოდ ტექნიკისა და სპეციალიტს-ინსტრუქტორების კი არა, ათეულ ათასობით ჯარისკაცის ექსპორტირებაც მოუხდებათ საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის.

**მაქსიმ კუნიკოვი,**
***сми2.ру***



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ამერიკა მკვლელობათა ეპიდემიამ წალეკა

**არამოტივირებული, მასიური მკვლელობები, უკვე კარგა ხანია, ამერიკის თავისებურ სავიზიტო ბარათად იქცა. მაგრამ ახლა „წმინდა ამერიკულ მკვლელობათა“ შორის ახალი ტენდენციაა — ამერიკელები თავიანთი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს ხოცავენ. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სისხლიანი ანგარიშსწორებები ახლდა ამერიკის ერთ-ერთ უმთავრეს დღესასწაულს — მადლიერების დღეს, რომელსაც, როგორც წესი, ოჯახურ წრეში აღნიშნავენ ხოლმე.**

ფლორიდის ხელისუფლება ეძებს 35 წლის მამაკაცს. ეჭვმიტანილი მაიამელი პოლ მაიკლ მერიჯია. მან მადლიერების დღეს სახლში შეკრებილი ოჯახის 17 წევრიდან ოთხი სიცოცხლეს გამოასალმა, მათ შორის ერთი ექვსი წლის ბავშვია. კიდევ ერთი ადამიანი დაჭრილია, საავადმყოფოში წევს და ჯერაც არავინ იცის, გადარჩება თუ ვერა. მომხდარის მოტივების შესახებ არაფერია ცნობილი.

ლოს-ანჯელესთან ახლოს მდებარე ქალაქ უილმინგტონის მკვიდრმა ერვინ ანტონიო ლუპომ, დაკარგა რა სამსახური ადგილობრივ საავადმყოფოში, სასოწარკვეთილმა ჯერ ცოლი და ხუთი შვილი ამოხოცა, შემდეგ კი თავი მოიკლა. ამ განაჩენის აღსრულებამდე მამაკაცმა ადგილობრივ ტელეარხს მისწერა წერილი, სადაც საკუთარი ქმედების ახსნას შეეცადა. ტელეარხმა მაშინვე პოლიციას აცნობა, მაგრამ ადგილზე მისულ სამართალდამცავებს ოჯახის ყველა წევრი — 8 წლის გოგონა, 5 წლის ტყუპი გოგოები, 2 წლის ტყუპი ბიჭები, თავად ლუპო და მისი ცოლი — მკვდარი დახვდათ.

ბანკის გაკოტრებულმა მენეჯერმა სიდედრი, ცოლი და თავისი სამი შვილი ამოხოცა და შემდეგ თავი მოიკლა.

34 წლის კრისტოფერ ვუდმა ცოლი და სამი მცირეწლოვანი (2, 4 და 5 წლის) შვილი დახოცა, შემდეგ კი თავი მოიკლა. სიკვდილამდე დაწერილ წერილში ის ამბობს, რომ ვერაფრით უმკლავდება ფინანსურ პრობლემებს, აქვს 450 ათასი დოლარი ვალი და ძალიან უყვარს თავისი ცოლ-შვილი.

ბოსტონში მამაკაცმა ყელი გამოჭრა თავის ორ დას და მესამესაც ზედ მიაყოლებდა, პოლიცია რომ არ დადგომოდა თავზე.

მაიამიში მამაკაცი ცოლთან შეკამათდა, რის შედეგადაც ჯერ ოჯახის ოთხივე წევრი გამოასალმა სიცოცხლეს, შემდეგ კი თავი მოიკლა.

ალაბამის მცხოვრებმა ათი ადამიანი დაცხრილა, მათ შორის თავისი ოჯახის წევრები, შემდეგ კი თავი მოიკლა.

ტეხასში მამაკაცმა თავის ყოფილ შეყვარებულს ესროლა, მისი დედა და შვილი მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა.

ალაბამაში მამაკაცმა დედამისის სახლს ცეცხლი წაუკიდა და არავინ იცის, დედა ცოცხლად გამოწვა სახლში თუ მანამდე მოკლა. შემდეგ სხვა ქალაქში წავიდა საკუთარი ნათესავების ამოსახოცად. მოკლა დეიდა, ბიძა, ბებია, პაპა და ერთი მცირეწლოვანი ბავშვი. იქვე სიცოცხლეს გამოასალმა ორი უცხო ადამიანი, ესროლა და დაჭრა ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომლები და პოლიციელები. ბოლოს კი თავი მოიკლა.

კლივლენდში მამაკაცმა მოკლა ცოლი, ცოლის და და მისი სამი ბავშვი, შემდეგ კი თავი მოიკლა.

ქალაქ ბინგემტონში ვიეტნამელმა ჯივერლი ვონგმა მიგრაციის ცენტრის შენობაში ატეხა სროლა და 13 ადამიანი მოკლა.

ამერიკის პოლიცია შეშფოთებულია მასიური მკვლელობებისა და მკვლელობა-სუიციდების ეპიდემიით. პოლიტიკოსები, სამართალდამცავები და ჟურნალისტები მიზეზებს ეძებენ. კრიზისი არაფერ შუაშია, ვინაიდან სხვა ქვეყნებში მას ნაკლები პრობლემები არ შეუქმნია რიგითი მოქალაქეებისათვის. მიზეზად არც იარაღის ბრუნვა გამოდგება, ვინაიდან კანადასა და ავსტრალიაში იარაღი კიდევ უფრო ბევრია, მაგრამ იქ მსგავსი არაფერი ხდება.

როგორც ჩანს, საქმე ამერიკელთა მენტალურ თავისებურებებს, მათ მსოფლმხედველობას ეხება. ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ მსგავსი ქმედებები გამოყენების იდეოლოგიის შედეგია. მის შედეგად ადამიანი საკუთარ **მეს** თავის ქონებასთან აიგივებს, ამ ქონების დაკარგვა, სოციალური სტატუსის დაქვეითება ასეთი ადამიანისათვის სიკვდილის ტოლფასია. სიცოცხლეს კმაყოფილება და პოზიტივი უნდა მოჰქონდეს, თუ ასე არ არის, რა აზრი აქვს სიცოცხლეს?

„სიკვდილის ექიმის“ — ჯეკ კევორკიანის პაციენტთა დიდი ნაწილი, რომელთაც ევთანაზია აირჩიეს, განუკურნელი დაავადებების კი არა, ჩვეულებრივი დეპრესიების მსხვერპლნი იყვნენ. მათთვის სიცოცხლიდან გაქცევის მიზეზად ჩვეულებრივი ცხოვრებისეული პრობლემებიც საკმარისი აღმოჩნდა. ამასთანავე, უკიდურესი ეგოცენტრიზმის გამო, ამგვარ ადამიანებს იმის გაფიქრებაც კი ზარავთ, რომ მათი წასვლის შემდეგ სიცოცხლე გაგრძელდება. გაგრძელდება მათი ახლობლების სიცოცხლეც. ამიტომაც, ბავშვებზე ზრუნვის ცინიკური მოტივით, მათ ბავშვებიც თან მიჰყავთ იმქვეყნად.

ასეა თუ ისე, ის, რაც დღეს და უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ხდება ამერიკაში, ამ ქვეყნის საზოგადოების ღრმა მორალურ კრიზისზე მიანიშნებს. ამერიკელები კი ამ გახრწნილი „იდეალების“ მთელ კაცობრიობაში დანერგვას ყველა მეთოდით ცდილობენ, ხანდახან იარაღის ძალითაც. იდეალებისა, რომლებსაც თავად ამერიკელები, უკვე კარგა ხანია, პანტაპუნტით ეწირებიან.

# რა უნდა ჩვილს ევროკავშირის სხდომაზე?



**შვედეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ტობიას ბილსტრემი ევროკავშირის კომიტეტის მართლმსაჯულებისა და შინაგანი საქმეებისადმი მიძღვნილ სხდომაზე თავის რვა თვის ქალიშვილთან ერთად გამოცხადდა.**

სხდომა კომიტეტის შტაბბინაში, ბრიუსელში ტარდებოდა და კონკრეტულად ადამიანებისთვის თავშესაფრის მიცემისა და ადამიანებით ვაჭრობისათვის წინააღმდეგობის გაწევის თემებს განიხილავდა. მთელი სხდომის განმავლობაში ბილსტრემს ხელში ეჭირა ბავშვი. სხდომას ესწრებოდა 35 წლის მინისტრის მეუღლეც.

შვედეთის ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებით, სხდომაზე ბავშვის გამოჩენა უკავშირდებოდა ტობიასის სურვილს, რაც შეიძლება მეტი დრო გაატაროს საკუთარ ოჯახთან ერთად. თავად მინისტრის განცხადებით კი, მისი მეუღლე და შვილი ბელგიაში საკუთარი ხარჯით ჩაფრინდნენ და ამაზე გადასახადების გადამხდელთა ფული არ დახარჯულა.

# ვინ მისცემს მაწანწალას 111 მილიონს?

**ორმა უნგრელმა მაწანწალამ მოულოდნელად გაიგო, რომ მემკვიდრეობით 111 მილიონ ევროს მიიღებენ. უსახლკაროებმა მაშინვე შვებით ამოისუნთქეს და პირველი, რაც თავში აზრად მოუვიდათ, ის იყო, რომ ახლა უპრობლემოდ მოიგებდნენ სუსტი სქესის წარმომადგენელთა გულებს.**



41 წლის ჟოლიტ პელადი და მისი 39 წლის ძმა გეზა, რომლებიც მდიდარი ოჯახის შთამომავალმა დედამ დიდი ხნის წინათ მიატოვა, ბუდაპეშტის შემოგარენში უკიდურეს სილატაკეში ატარებდნენ სიცოცხლეს. მოულოდნელად მაწანწალები უნგრეთის სოციალური სამსახურის თანამშრომელმა გერმანელი ადვოკატის დავალებით მოძებნა და აცნობა, რომ მათ გერმანიაში ბებია გარდაეცვალათ. მოხუცის ანდერძში კი წერია, რომ მთელ თავის ქონებას, 111 მილიონ ევროს, უტოვებს თავის ქალიშვილს, რომელსაც ორი ვაჟი ჟოლიტი და გეზა ჰყავს. ვინაიდან ძმების დედა გარდაცვლილი აღმოჩნდა, ქონების ერთადერთ მემკვიდრეებად ისინი რჩებიან. ძმებს, ვიდრე მემკვიდრეობის განკარგვას შეუდგებოდნენ, ბებიასთან ნათესაური კავშირისა და დედის გარდაცვალების დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვება მოუწევთ.

# ვინ დააგორებს ილ-86-ს?

**„ძალის აკადემიის“ ექვსი რუსი ათლეტი ვნუკოვოს აეროპორტში მდგარ ილ-86-ს დაეჭიდა და 20 სანტიმეტრით გააგორა, რითაც რუსეთის ახალი რეკორდი დამყარდა.**

ძალოსნები გინესის რეკორდის დამყარებას აპირებდნენ და ამისთვის თვითმფრინავი 10 მეტრზე უნდა გაეგორებინათ, მაგრამ, ორგანიზატორთა თქმით, ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას ტექნიკურმა პრობლემებმა შეუშალა ხელი — ანგარში ტემპერატურა ძალიან დაბალი იყო, ჯაჭვი კი სამ ადგილას გაწყდა. გარდა ამისა, ნაცვლად წინასწარ დაგეგმილი 130 ტონისა, თვითმფრინავი სავსე ავზის გამო 155 ტონას იწონიდა. მსოფლიო რეკორდის დამყარება გაზაფხულისთვის გადაიდო.

ძალოსნებმა ღონისძიება მოსკოვისთვის ბრძოლის 68 წლის იუბილესა და დიდ სამამულო ომში გამარჯვების მომავალ 65-ე წლისთავს მიუძღვნეს. ჟიურის თავად მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი ხელმძღვანელობდა.

# ვაშინგტონი ავღანეთში სსრკ-ს ბედს გაიზიარებს

**ამერიკელთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ ამერიკის ავღანური კამპანია ძალიან ემსგავსება საბჭოთა გამოცდილებას. მაგალითად, როგორც ერთ დროს საბჭოთა კავშირი, ამერიკაც მხარს უჭერს ავღანეთში მოსახლეობას შორის არაპოპულარულ, კორუმპირებულ ხელისუფლებას, რომელიც ამერიკამ თავადვე მოიყვანა ხელისუფლებაში, შექმნა რა ნიადაგი კორუფციისათვის.**



ახლახან ობამამ ავღანეთში აშშ-ის ახალი სტრატეგია გაახმიანა, მაგრამ მანამდე მედვედევს დაურეკა. მათთვის, ვისაც 1989 წელს ავღანეთიდან საბჭოთა ჯარის გაყვანა ახსოვს, ეს ნამდვილი ბედის ირონია იყო. რუსეთს, თუ მოინდომებს, შეუძლია, დიდი დახმარება გაუწიოს აშშ-სა და მოკავშირეებს ავღანეთში. მით უფრო, რომ ობამამ წლის დასაწყისში მოახერხა ამერიკული ჯარისა და იარაღის რუსეთის საჰაერო სივრცით გატარების თაობაზე შეთანხმებისთვის მიღწევა. შეთანხმება ამ დრომდე არ ამოქმედებულა, რუსი პოლიტიკოსები მისი წინააღმდეგნი არიან. არადა, ამ დერეფნის ამუშავება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან ძირითადი სახმელეთო გზატკეცილი წარამარა თალიბების მიერაა ბლოკირებული.

რუსეთის პოზიციას ნიშნის მოგების ჟინი ატყვია — თავის დროზე აშშ გულმოდგინედ ცდილობდა, ავღანეთის ისტორიის „საბჭოთა ქვეთავი“ ცივ ომად ექცია. რუსეთის სპეციალისტთა ახალი სტატისტიკის თანახმად, ავღანეთში 14 400 რუსი სამხედრო დაიღუპა, ათეულ მილიარდობით მანეთის დანახარჯებმა კი საბჭოთა ეკონომიკის გაკოტრება დააჩქარა.

საბჭოთა ხელმძღვანელობა ავღანეთს ძვირადღირებულ ახალ პლაცდარმად მიიჩნევდა ცივ ომში, მაგრამ ამავე დროს ცდილობდა, ეს ქვეყანა მრავალსაუკუნოვანი ინერტულობისაგან განეკურნა: საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდებოდა სკოლები და საავადმყოფოები. მოდერნიზაციის პროგრამამ, მათ შორის ქალების ემანსიპირებისა და გოგონებისთვის განათლების მიცემის მცდელობებმა მღვდელთმსახურები აღაშფოთა და ჯერ სამოქალაქო ომის, შემდეგ კი საბჭოთა ინტერვენციის პროვოცირებაც მოახდინა.

მოჰამედ ნაჯიბულა, სისხლიანი ტერორის პერიოდის საიდუმლო პოლიციის ხელმძღვანელი, ადამიანი, რომელიც 1986 წელს კრემლმა ფაქტიურად დანიშნა ავღანეთის პრეზიდენტად, ხალხში საკმაო პოპულარობით სარგებლობდა.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთვის საკვირველი იყო, რომ საბჭოთა ჯარის გაყვანიდან სამი წლის მანძილზე ნაჯიბულა მოჯაჰედებს უმკლავდებოდა. ამას იმის წყალობით ახერხებდა, რომ ქალაქელები უკმაყოფილონი იყვნენ მათი შუასაუკუნოვანი დაუნდობლობებით. 1996 წელს მოჯაჰედებმა ქაბული აიღეს და ნაჯიბულა ჩამოახრჩეს, მაგრამ ავღანელები დღემდე იხსენებენ მას, როგორც უკანასკნელი მეფის — ზამირ-შაჰის შემდეგ საუკეთესო მმართველს. ხალხი მას დღესაც კარზაიზე მაღლა აყენებს. კარზაი თავის ხალხში სულმოკლე, მხდალ, კორუმპირებულ, უბრალო ხალხის გაჭირვების არმცოდნე მმართველად ითვლება და, რაც კიდევ უარესია, მას უფრო მეტად, ვიდრე თავის დროზე ნაჯიბულას, ოკუპანტების მიერ დანიშნულ კაცად მიიჩნევენ.

თუმცა ზოგიერთ ასპექტში ობამას უფრო მომგებიანი პოზიცია აქვს, ვიდრე გორბაჩოვს ჰქონდა თავის დროზე. საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, აშშ ამ ომში მარტო არაა, თუნდაც მთავარ ტვირთს სწორედ ის ზიდავდეს. მოწინააღმდეგეები — თალიბები და „ალ-ქაიდა“ — უცხოეთიდან რაიმე დახმარებას არ იღებენ, მოჯაჰედები კი, სულ მცირე, 10 მილიარდ დოლარს იღებდნენ. კოალიციაში 43 ქვეყანაა და ის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიხედვით მოქმედებს, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ავღანეთის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც დამოუკიდებლად აზროვნებს და ექსტრემისტების მიერ არაა დაშინებული, თალიბების დაბრუნება არ სურს.

**The New York Times**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ქრონოგრაფი

## რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 9-დან 15 დეკემბრამდე?

### 9 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**როცა კანონები და განკარგულებები მრავლდება, ქურდებისა და ყაჩაღების რიცხვი იზრდება.**
**ლაო ძი**

**536 წელს** ბიზანტიელებმა რომი აიღეს.
**1608 წელს** დაიბადა ინგლისელი პოეტი ჯონ მილტონი.
**1755 წელს** ჰალიფაქსში გაიხსნა კანადაში პირველი საფოსტო განყოფილება.
**1842 წელს** ინგლისში პირველი საშობაო ღია ბარათი გამოუშვეს.
**1852 წელს** ტორონტოში დაარსდა საფონდო ბირჟა.
**1893 წელს** საფრანგეთის პარლამენტში ანარქისტების მიერ შეგდებული ბომბის აფეთქების შემდეგ სპიკერმა შარლ დიუპუიმ განაცხადა: „ბატონებო, სხდომა გრძელდება!“ (ეს გამოთქმა მოგვიანებით გამოიყენა ოსტაპ ბენდერმა).
**1929 წელს** გაზეთმა „პრავდამ“ პირველად წამოაყენა ლოზუნგი: „ხუთწლედი — ოთხ წელიწადში“.
**1931 წელს** ესპანეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.
1967 წელს ჩაუშესკუ რუმინეთის პრეზიდენტი გახდა.

### 10 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**ხელისუფლება არ აფუჭებს ადამიანებს, სამაგიეროდ, ქვეყნის სათავეში მოქცეული ბრიყვები აფუჭებენ ხელისუფლებას.**
**ბერნარდ შოუ**

**1520 წელს** მარტინ ლუთერმა საჯაროდ დახია პაპის ედიქტი და ერესის ქადაგების შეწყვეტა მოითხოვა.
**1768 წელს** ინგლისში დაარსდა ხელოვნების სამეფო აკადემია.
**1815 წელს** დაიბადა ინგლისელი მათემატიკოსი, გრაფინია, ჯორჯ ბაირონის ქალიშვილი, მსოფლიოში პირველი პროგრამისტი აუგუსტა ლავლეისი, რომლის საპატივცემულოდაც პროგრამირების ენას ეწოდა ADA.
**1815 წელს** პეტერბურგში აიგო პირველი რუსული ხომალდი „ელისაბედი.“
**1821 დაიბადა** რუსი პოეტი და პუბლიცისტ, ჟურნალ „სოვრემენიკის“ გამომცემელი ნიკოლაი ნეკრასოვი.
**1939 წელს** საფრანგეთში აიკრძალა ხორცის გაყიდვა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
**1945 წელს** აშშ ნიუ იორკში გაეროს შტაბის გახსნაზე დათანხმდა.
**2002 წელს** ერაყელმა ექიმებმა 4 საათის გარდაცვლილი ბავშვი გააცოცხლეს.

### 11 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**უკიდურესი სიამაყე ან დამცირება საკუთარი თავის უკიდურესი არცოდნაა.**
**ბენედიქტ სპინოზა**

**361 წელს** თავისი გვარდიელების მიერ იმპერატორად გამოცხადებულმა იულიანემ კონსტანტინეპოლი დაიკავა, რითაც მისი 18-თვიანი მმართველობა დაიწყო.
**1282 წელს** მოკლეს უელსის უკანასკნელი პრინცი, რის შემდეგაც უელსი ინგლისის მმართველობაში გადავიდა.
**1769 წელს** ინგლისში დააპატენტეს ჟალუზები.
**1781 წელს** დაიბადა ინგლისელი ფიზიკოსი, კალეიდოსკოპის გამომგონებელი დევიდ ბრიუსტერი.
**1843 წელს** დაიბადა გერმანელი მიკრობიოლოგი, ტუბერკულოზის ჩხირების აღმომჩენი, ნობელის პრემიის ლაურეატი რობერტ კოხი.
**1936 წელს** ინგლისის მეფემ ედუარდ VIII-მ, ორჯერ განათხოვარი ამერიკელი ქალის, უოლის უორფილდ-სიმფსონის სიყვარულით, ტახტზე უარი განაცხადა.
**1981 წელს** სიცივის გამო ლონდონის საათი ბიგ-ბენი გაჩერდა.
**2003 წელს** ევროპაში სპამერები დამნაშავეებად გამოაცხადეს.

### 12 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**შეშლილია ის, ვისაც საკუთარი თავის მართვა არ ძალუძს, მაგრამ სხვების მართვა სურს.**
**პუბლიუსი**

**1398 წელს** თემურ-ლენგის ბრძანებით დელის ციხეებში 100 ათას ინდოელ ტუსაღს ყელი გამოჭრეს.
**1653 წელს** ინგლისში დაითხოვეს პარლამენტი და მთელი ძალაუფლება ოლივერ კრომველს გადაეცა.
**1792 წელს** ვენაში 22 წლის ლუდვიგ ვან-ბეთჰოვენს მუსიკის პირველი გაკვეთილი ჩაუტარა ფ. ჰაიდნმა.
**1821 წელს** დაიბადა ფრანგი მწერალი გუსტავ ფლობერი.
**1863 წელს** დაიბადა ნორვეგიელი მხატვარი-ექსპრესიონისტი ედვარდ მუნკი.
**1913 წელს** ლუვრში მონა-ლიზა დააბრუნეს.
**1936 წელს** ჩინეთის პრეზიდენტი ჩან-კაიში მისვე გენერლებმა დააპატიმრეს.
**1962 წელს** ჯონ კენედიმ გაავრცელა ფრთიანი გამოთქმა „სინათლე გვირაბის ბოლოს“.

# მეცნიერების სახელით ჩადენილი გმირობა

**შეცნობის წყურვილი მეცნიერებს აიძულებს, საკუთარ თავზე სიცოცხლისთვის სახიფათო ცდები ჩაატარონ.**


ლუი პასტერი

1998 წელს, პირველად მსოფლიოში, რედინგის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის პროფესორმა ქევინ უორვიკმა ხელში კომპიუტერის ჩიპი ჩაინერგა და კინაღამ კიდური დაკარგა.

თითქმის ერთი თვეა, ვიწრო საკანში, რომელიც კოსმოსური ხომალდის ნაკვეთურის იმიტაციაა, 6 მოხალისე ცხოვრობს — მოსკოვის მედიკო-ბიოლოგიური პრობლემების ინსტიტუტი მარსზე გაფრენის იმიტაციას ახდენს. „კოსმონავტებთან“ ერთად იტანჯებიან ბიოქიმიკოსი, ინჟინერი და ექიმი, ანუ ის ადამიანები, ვინც სტატუსის მიხედვით საკნის მიღმა უნდა იმყოფებოდნენ და ცდის პირებს გარედან აკვირდებოდნენ, მაგრამ მათ მიაჩნიათ, რომ საკუთარ ტყავზე უნდა გამოცადონ, თუ რას განიცდის ადამიანი ხანგრძლივი კოსმოსური ფრენისას.

მეცნიერების ისტორიაში მრავლადაა ასეთი გმირული მაგალითები:

ავსტრალიელმა მეცნიერებმა რობინ უორენმა და ბარი მარშალმა 1982 წელს ადამიანის კუჭის ლორწოვანაზე ბაქტერია Helicobacter pylori აღმოაჩინეს და ივარაუდეს, რომ სწორედ ის და არა სტრესი ან ცხარე საკვები იწვევს გასტრიტსა და კუჭის წყლულს. არადა, კოლეგებმა მეცნიერები მასხრად აიგდეს. მაშინ გაბრაზებულმა მარშალმა კოლბიდან ბაქტერიებით სავსე ბულიონი დალია და მალე გასტრიტითაც დაავადდა. შედეგად უორენისა და მარშალის აღმოჩენა აღიარეს. 2005 წელს მეცნიერებმა ნობელის პრემიაც მიიღეს.

ამასწინათ ნიუ იორკის სამედიცინო სკოლისა და ტოკიოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა განაცხადეს, რომ თავიანთ ტვინს საექსპერიმენტოდ იმეტებენ — ტვინის ხვეულები ნანოსადენებით უნდა გაავსონ, რათა ცალკეული ნერვული უჯრედის ქცევას დააკვირდნენ. მართალია, სადენები ადამიანის თმაზე 100-ჯერ წვრილია, მაგრამ ძალზე ბევრია. თანაც, ეს პლატინის ძარღვები კაპილარებში შეაღწევენ, თითოეულ ნეირონს მისწვდებიან და სუსტ ელექტრულ იმპულსებს დაიჭერენ. ეს იმპულსები კი ტვინის ნებისმიერი ნაწილის ზედმიწევნით დეტალური „აქტივობის რუკის“ შექმნის საშუალებას მისცემს. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ამ „თმების“ მეშვეობით ბოლოს და ბოლოს აზროვნების მექანიზმში გაერკვევიან. და არ გამორიცხავენ, რომ სხვისი აზრების წაკითხვასაც შეძლებენ.



„საკუთარ თავზე ჩატარებული ცდის მთავარ მიზანს იმის ჩვენება წარმოადგენდა, რომ შავი ჭირით დასნებოვნების უაზრო შიში, რომელიც მთელი ეკონომიკური ცხოვრების პარალიზებას იწვევს, უსაფუძვლოა, რადგან ყველა როდი ავადდებოდა მძიმე ეპიდემიის ბობოქრობისას, — წერდა თავის წიგნში „დრამატული მედიცინა“ ავსტრიელი ექიმი ჰუგო გლიაზერი, — კლოტმა შავი ჭირით დაავადებულის სისხლიანი პერანგიდან ბაქტერიული ფლორა აიღო, მარცხენა მხარში, საზარდულსა და სხეულის კიდევ 6 ადგილას აცრა გაიკეთა, პატარა ჭრილობები კი შავი ჭირით დასნეულებულის სისხლში ამოვლებული სახვევებით შეიხვია. თუმცა ესეც არ იკმარა, კანი დაისერა და ამ ადგილას ავადმყოფის კარბუნკულიდან აღებული ჩირქი წაიცხო და სისხლიანი სახვევი გადაიკრა. შემდეგ სნეულის ტანსაცმელი ჩაიცვა და მისსავე საწოლში ჩაწვა. ერთი სიტყვით, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დასნებოვნებულიყო, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა“. ასე აღწერს გლიაზერი ექსპერიმენტს, რომელიც 1802 წელს ეგვიპტეში საკუთარ თავზე ჩაიტარა ინგლისელმა ექიმმა ანტუან კლოტმა.

ლუი პასტერმა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა შექმნა. გარკვეულ ხანს მის გამოყენებას უფრთხოდნენ, განსაკუთრებით იმ დროს, როცა ზუსტად არ იცოდნენ, ცოფიანი იყო თუ არა ძაღლი, რომელმაც ადამიანი დაკბინა. შიშობდნენ, რომ, თუ ცხოველი ჯანმრთელი აღმოჩნდებოდა, შესაძლოა, ვაქცინა სასიკვდილო ყოფილიყო.

პასტერს პირადად სურდა ვაქცინის უვნებლობის დამტკიცება ინიექციის გაკეთებით, მაგრამ ბოლო წუთებში დაფრთხა. სამაგიეროდ, სახიფათო ექსპერიმენტს მისი კოლეგა, ექიმი ემერიხ ულმანი დათანხმდა. „ვნახოთ, ცოფისგან მოვკვდები თუ არა“, — მშვიდად განაცხადა მან და სახელო აიკაპიწა. ულმანი გადარჩა, პასტერის ვაქცინას კი მთელ მსოფლიოში იყენებენ.

რუსული ტრანსფუზიოლოგიის ფუძემდებელი ალექსანდრე ბოგდანოვი მიიჩნევდა, რომ სისხლის გადასხმის პროცედურა ადამიანის ორგანიზმს აახალგაზრდავებდა და მძიმე სნეულებებს არჩენდა. 1926-დან 1928 წლამდე მან 11-ჯერ გადაისხა სისხლი და ყოველ ჯერზე ირწმუნებოდა, რომ თავს ჩინებულად გრძნობდა, მაგრამ მეთორმეტედ ტრაგედია მოხდა: ბოგდანოვმა სისხლი „გაუცვალა“ ტუბერკულოზით დაავადებულ სტუდენტს. მედიკოსი იმედოვნებდა, რომ ახალგაზრდას თავის იმუნიტეტს გადასცემდა და ეტყობა, გადასცა კიდეც. შედეგად, სტუდენტი გადარჩა, ექსპერიმენტატორი კი დაიღუპა. სავარაუდოდ, ბოგდანოვის სიკვდილის მიზეზად სისხლის რეზუსების შეუთავსებლობა იქცა. მაშინ ხომ არაფერი იცოდნენ რეზუს-ფაქტორის არსებობის თაობაზე...

ნობელის პრემიის ლაურეატმა პიერ კიურიმ რადიაციის კვლევისას 10 საათის განმავლობაში დაისხივა ხელი. შედეგად, გაჩნდა წყლული და მასთან ერთად — მედიცინის ახალი დარგი — რადიოთერაპია. თავად პიერი კი იმის გამო დაიღუპა, რომ ცხენის ფლოქვების ქვეშ მოყვა.

ახალი დიაგნოსტიკური მეთოდების შესამუშავებლად გერმანელმა ქირურგმა ვერნერ ფორსმანმა 1929 წელს ვენაში შეიყვანა კათეტერი გულის არეში და ამისათვის 1956 წელს ნობელის პრემია მიიღო.

შვედმა ქიმიკოსმა კარლ შეელემ 1782 წელს სინილის მჟავა აღმოაჩინა, გემო გაუსინჯა და გარდაიცვალა.

1933 წელს ჟენეველმა ექიმმა და ზოოლოგმა ჟაკ პონტომ შხამიანი გველის გესლის საწინააღმდეგო შრატი შექმნა და სამ ქვეწარმავალს თავის დაგესვლის საშუალება მისცა. შრატმა იმოქმედა და პონტო გადარჩა.

# შვიდის მაგია

**კალიფორნიელმა მეცნიერებმა გამოკვლევების შედეგად დაასკვნეს, რომ ციფრი 7 ადამიანის ტვინისთვის გარკვეული მაგიური ძალის მატარებელია.**



ექსპერტთა აზრით, „შვიდი“ ტვინის „ოპერატიული მეხსიერების“ მაქსიმალური მოცულობის ერთგვარი ეკვივალენტია. ამიტომ ნებისმიერი, 7-თან დაკავშირებული მნიშვნელობა იოლად დასამახსოვრებელია. კერძოდ, საუბარი ეხება ტელეფონის შვიდნიშნა ნომრებს.

„შვიდიანის“ იდუმალების მტკიცებულების დადასტურება ადვილია: სთხოვეთ მეგობარს, შეადგინოს 10-სიტყვიანი სია, შემდეგ კი მეხსიერებაში აღადგინოს იგი. პრაქტიკულად ყველა ადამიანი (90%) მაშინვე გაიხსენებს 10-დან შვიდ სიტყვას.

ციფრი 7 თავის ტვინის სინაფსების რაოდენობასა და მათი ურთიერთკავშირის სპეციფიკაზე მეტყველებს. შვიდიანის თეორიის თანახმად, მიუხედავად ადამიანის ნერვულ სისტემაში მიმდინარე პროცესების აღმწერი მათემატიკური მოდელების სირთულისა, ყველაფერი მაინც 7-მდე დადის.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ნასა ნიბირუს ეძებს



**მიუხედავად მტკიცებებისა, რომ მითიური პლანეტა არ არსებობს, ამერიკელები აამოქმედებენ ტელესკოპს (wise), რომელიც ციური სხეულის მოძებნას დაიწყებს. უნიკალურ ინსტრუმენტიანი აპარატი უკვე დამონტაჟებულია სასტარტო მოედანზე. ეს ინფრაწითელი ტელესკოპია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ჩვეულებრივი ოპტიკური ტელესკოპებისთვის შეუმჩნეველი ობიექტების აღმოჩენა. ინფრაწითელი ტელესკოპი მათ სითბური გამოსხივებით (ძალზე სუსტითაც კი) შენიშნავს.**

ინსტრუმენტის დანიშნულება მთელი ცის დასკანირება და იქ სახიფათო, უჩინარი ასტეროიდების აღმოჩენაა, რომლებმაც ბოლო ხანებში ჩვენთან „სტუმრობას“ მოუხშირა. წლის დასაწყისიდან დედამიწაზე რამდენიმე ასეთი ასტეროიდი (მადლობა ღმერთს, პატარა ზომის) ჩამოვარდა, რამდენიმემ კი გვერდით, სახიფათო მანძილზე ჩაგვიქროლა. ინფრაწითელი ტელესკოპი კი ასეთ ციურ სხეულებს შეამჩნევს. ასტრონომები იმედოვნებენ, რომ მისი დახმარებით აღმოაჩენენ 100.000-მდე ასტეროიდს, რომლებიც ჩვენს პლანეტას ემუქრება.

ნასას ცნობით, ინფრაწითელი ტელესკოპი პატარა, ჩვეულებრივ დიაპაზონში ხილულ და იუპიტერის ზომის ობიექტებსაც შეამჩნევს, თუ ისინი 60.000 ასტრონომიული ერთეულით მოგვიახლოვდება (ასტრონომიული ერთეული დედამიწიდან მზემდე დისტანციის ტოლია).

მაინც რა ობიექტებია ასეთი, ზომით იუპიტერს რომ უტოლდება? არსებობს მხოლოდ ერთი, თითქოსდა მითიური პლანეტა ნიბირუ. 2012 წელს კოსმოსის სიღრმეებიდან მის ვიზიტს მოსალოდნელი გლობალური კატასტროფის თეორიის თაყვანისმცემლები ელიან. აქაოდა, ჩამოფრინდება და სამყაროს აღსასრულიც დადგებაო.

ახლახან ნასას წამყვანმა სპეციალისტებმა დაიწყეს მტკიცება, რომ არავითარი ნიბირუ არ არსებობს, ისევე, როგორც რაიმე ასტრონომიული მონაცემი, რომელიც მასზე მიანიშნებს. თუმცა, როგორც ჩანს, მკვლევარებმა მაინც გადაწყვიტეს, ყოველი შემთხვევისთვის შეემოწმებინათ, ხომ არ ცდებიან. კონკრეტულად სიტყვა ნიბირუ არავის წარმოუთქვამს, თუმცა განაცხადეს, რომ „კომეტების ტრაექტორიის განსაზღვრა ადასტურებს, რომ 25 ათასი ასტრონომიული ერთეულის მანძილზე შესაძლოა ძალიან დიდი პლანეტა იმალებოდეს“.

ეს პროექტ wise-ის ერთ-ერთმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა, პიტერ ეიზენჰარდმა განაცხადა.

# მესამე რაიხის «ტიტანიკი»



**ეს საკრუიზე ხომალდი ნაცისტური გერმანიის სიმბოლო იყო. გერმანელებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ მისი ჩაძირვა შეუძლებელი იყო, მაგრამ 1945 წლის 30 იანვარს დანციგის უბეში XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი საზღვაო კატასტროფა მოხდა, რომელმაც ექვსჯერ მეტი ხალხი იმსხვერპლა, ვიდრე ბრიტანულმა „ტიტანიკმა“. გერმანელებმა მომხდარს „ომის საზღაური“ უწოდეს.**

დიდი ხნის განმავლობაში ლაინერ „ვილჰელმ გუსტლოფის“ შექმნისა და დაღუპვის ისტორია გერმანიასა და სსრკ-ში სახელმწიფო საიდუმლოს წარმოადგენდა, თუმცა მითქმა-მოთქმა და ვარაუდებზე დავა არ წყდებოდა. ამ ხომალდს მუდამ უამრავ საიდუმლოს უკავშირებდნენ: ქარვის ოთახის გაუჩინარებას, წყალქვეშა ჯადოსნური იარაღის შექმნის საიდუმლო პროექტს, ჰიტლერის საიდუმლო არქივების განადგურებასა და სხვ. 1980-90-იან წლებში გემი-სიმბოლოს — „ვილჰელმ გუსტლოფის“ ისტორია გამოკვლევების, ფილმებისა და ბესტსელერების მუდმივ თემად იქცა. „ვილჰელმ გუსტლოფი“ დღემდე რჩება ასწლეულის ერთ-ერთ ყველაზე იდუმალ ხომალდად.

# თანამედროვე «შერეკილები»

**ბათუმელი კაცი გემის ან ნავის აშენების ნაცვლად, ფრენაზე თუ იფიქრებდა, არ მეგონა, თანაც არა მარტო იფიქრებდა, არამედ თანამედროვეობის „ბიძია-ბაბუაც“ გახდებოდა თავისი „ერთაოზითურთ.“ როგორც მიხვდით, ჩემი დღევანდელი პოსტი ეხება ფრენასა და ორ მეგობარს — ნიკა სურმანიძესა და დავით კაიკაციშვილს, რომლებსაც გაფრენა სურთ.**

ნიკა წარმოშობით ბათუმიდანაა, მაგრამ ერთ დღეს, 16 წლის ასაკში, თბილისში გადმობარგება გადაწყვიტა და ასეც მოიქცა. ამჟამად ამერიკის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში სწავლობს და ბიზნესითაა დაინტერესებული. ბიზნესთან ერთად მის ინტერესს მძაფრი შეგრძნებები და ფრენა წარმოადგენს. „ავიაცია ბავშვობიდან მიყვარდა. ადრე პატარა რადიომართვად საფრენ აპარატებს ვაკეთებდი, მერე კი, 14 წლიდან უკვე მომბეზრდა, რადგან იმით მე ვერ ვიფრენდი. მერე მანქანებზე გადავერთე. ახლა უკვე მანქანებიც მომბეზრდა, რადგან პარაშუტით რამდენჯერმე გადმოხტომის შემდეგ მანქანის სისწრაფე აღარ მყოფნიდა... შემდეგ, როცა თვითმფრინავის მართვა ვისწავლე, მანქანა საერთოდ ვეღარ მანიჭებდა ვერანაირ სიამოვნებას და აზრად მომივიდა, რომ თვითმფრინავი ამეშენებინა“, — გვიამბობს ნიკა.



ნიკა კაბინაში

ასეთ ექსცენტრიკულ იდეას, თავისთავად, დიდი თანხაც სჭირდებოდა. მეგობრებმა ხარჯები დაიანგარიშეს და საქმეს შეუდგნენ.

თვითმფრინავის მოდელის შესახებ ნიკა ამბობს: „თვითმფრინავის მოდელი ჩემი დაპროექტებული არ არის, ძველი პოლონური თვითმფრინავია, რომელიც საკმაოდ ადვილი სამართავია და ადვილი ასაშენებელიც, იმის გათვალისწინებით, რომ 20 წელზე მეტია გასული ამ თვითმფრინავის დაპროექტებიდან. კონსტრუქციაში რაღაც ცვლილებები შევიტანე. უფრო თანამედროვე მასალები უნდა გამოვიყენო. მაგალითად, ფრთები იქნება ნახშირბადის ბოჭკოვანი მასალისგან, რომელიც უფრო ნაკლებს იწონის და უფრო მყარია, ვიდრე ხე“.

— რატომ მაინცდამაინც თვითმფრინავი და არა, დავუშვათ, ნავი, მანქანა ან ველოსიპედი? შთაგონება საიდან გეწვია?

— გემი რომ ამეგო, რატომ გემი და არა თვითმფრინავიო, — ამას მკითხავდნენ? პასუხი კი მარტივია: თვითმფრინავი ამათგან ყველაზე რთული ასაშენებელი და ყველაზე სწრაფია. თანაც, რასაც ფრენის დროს განიცდი, მასთან ველოსიპედი ან მანქანა რა მოსატანია?!



თვითმფრინავი სახლში იგება

ნიკა და დავითი, სავარაუდოდ, ორ-სამ კვირაში გაფრინდებიან.

**ბლოგერი ტომუშკა**
**(ბლოგი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“)**

თვითმფრინავის 3D ვერსია



# ქრონოგრაფი

## რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 2-დან 8 დეკემბრამდე?

### 13 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**ძლიერ ხელისუფალთ სძულთ გონიერი ხალხი.**
**ერაზმ როტერდამელი**

**1519 წელს** მაგელანის ექსპედიცია ბრაზილიაში ჩავიდა.
**1553 წელს** დაიბადა საფრანგეთის მეფე ჰენრიხ IV, ბურბონთა დინასტიის პირველი წარმომადგენელი.
**1642 წელს** ჰოლანდიელმა მეზღვაურმა ა. ტასმანმა ახალი ზელანდია აღმოაჩინა.
**1769 წელს** 13 წლის მოცარტმა პირველი საკონცერტო ტურნე გამართა.
**1797 წელს** დაიბადა გერმანელი პოეტი ჰაინრიხ ჰაინე.
**1862 წელს** ფრედერიქსბურგთან (აშშ) გამართულ ბრძოლაში სამხრეთელებმა ჩრდილოელები დაამარცხეს.
**1907 წელს** დაიღუპა ინგლისური ხომალდი „თომას ლოუსონი“ (მსოფლიოში ერთადერთი შვიდანძიანი შხუნა).
**1937 წელს** იაპონელებმა დაიპყრეს ნანკინი (ჩინეთი) და მსოფლიოში უდიდესი სისხლიანი სასაკლაო გამართეს, დაიღუპა 200 ათასი კაცი.
**1966 წელს** ამერიკის ავიაციამ პირველად დაბომბა ჰანოი.
**1992 წელს** ლონდონის აუქციონზე ელისაბედ I-ის სათითე სარეკორდო ფასად — 31.180 დოლარად გაიყიდა.
**2003 წელს** გარდაიცვალა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი.

### 14 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**სამოთხეში დამსახურებების მიხედვით კი არა, პროტექციით იღებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზღურბლს მიღმა დარჩებოდით, მაშინ, როცა თქვენს ძაღლს სამოთხეში გაამწესებდნენ.**
**მარკ ტვენი**

**1503 წელს** დაიბადა მიშელ ნოსტრადამუსი.
**1639 წელს** გერმანიაში კლარნეტი გამოიგონეს.
**1792 წელს** დაიბადა რუსი მწერალი, პოეტი, ლიტერატურული სალონის დამაარსებელი, იმპერატორ ალექსანდრე I-ის ფავორიტი ზინაიდა ვოლკონსკაია.
**1895 წელს** დაიბადა ფრანგი პოეტი პოლ ელუარი.
**1900 წელს** ბერლინის უნივერსიტეტში გერმანელმა პროფესორმა მაქს პლანკამ საზოგადოებას თავისი კვანტური თეორია გააცნო.
**1901 წელს** ლონდონში გაიმართა პირველი ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში.
**1911 წელს** მსოფლიოში პირველად რ. ამუნდსენის ნორვეგიულმა ექსპედიციამ სამხრეთ პოლუსს მიაღწია.
**1918 წელს** ინგლისში ქალებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში.
**1946 წელს** გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ნიუ იორკი თავისი შტაბბინის ადგილმდებარეობად აირჩია.
**1960 წელს** ევროპულმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის შექმნის შესახებ.
**2003 წელს** დააპატიმრეს ერაყის ლიდერი სადამ ჰუსეინი.

### 15 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**პოლიტიკას გული არ აქვს, მას მარტო თავი აქვს.**
**ნაპოლეონ ბონაპარტე**

**37 წელს** დაიბადა რომის იმპერატორი ნერონი.
**1775 წელს** პეტრე-პავლეს ციხესიმაგრეში იდუმალ გარემოებებში გარდაიცვალა ავანტიურისტი ქალი (თავადის ასული) ტარაკანოვა, რომელიც თავს ტახტის მემკვიდრედ ასაღებდა.
**1778 წელს** ნაპოლეონ ბონაპარტემ კორსიკა დატოვა და საფრანგეთში გაემგზავრა.
**1832 წელს** დაიბადა ფრანგი ინჟინერი, ეიფელის კოშკის შემქმნელი ალექსანდრ ეიფელი.
**1852 წელს** დაიბადა ფრანგი ფიზიკოსი, ურანის რადიოაქტიურობის აღმომჩენი, ნობელის პრემიის ლაურეატი ანტუან ბეკერელი.
**1860 წელს** დაიბადა დანიელი ფიზიოთერაპევტი, სხივური თერაპიის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი ნილს ფინზენი.
**1919 წელს** აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ კანონიერად ცნო ქვეყანაში „მშრალი კანონის“ შემოღება.
**1923 წელს** სტალინმა გაზეთ „პრავდაში“ ბრძოლა გამოუცხადა ტროცკიზმს.
**1939 წელს** გერმანიაში ყავის შემცვლელის — ერზაცის წარმოება დაიწყეს.
**1944 წელს** ინგლისიდან საფრანგეთში გადაფრენისას უკვალოდ გაქრა ამერიკელი დირიჟორი გლენ მილერი.
**1944 წელს,** აშშ-ში პანიკის თავიდან აცილების მიზნით, ამერიკელ სამხედრო კორესპონდენტებს აეკრძალათ ამერიკულ ხომალდებზე იაპონელი კამიკაძეების თავდასხმის შესახებ რეპორტაჟების გადმოცემა.
**1973 წელს** ნიუ იორკში წარმოადგინეს ყველაზე ხანგრძლივი ოპერა „იოსებ სტალინის ცხოვრება და დროება“, რომელიც 13 საათსა და 25 წუთს გრძელდებოდა.

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

# ორიოლდე სიტყვა ნური ხიშბაზე

**ძვირფასო მკითხველო! დამეთანხმებით, რომ აფხაზეთი ბაჯაღლო ოქროა, გაგრა კი თავისი შემოგარენით შიგ ჩასმული მარგალიტი. აფხაზეთს ომამდე, კერძოდ გაგრას და ბიჭვინთას, უამრავი დამსვენებელი სტუმრობდა უცხოეთიდან თუ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან. განსაკუთრებული პატივით რუსეთის მოქალაქეები სარგებლობდნენ.**



ცნობილია, რომ გაგრაში სასტუმრო „გაგრიფში“ ერთადერთი საოცნებო ადგილი იყო წელიწადის ოთხივე დროში, განსაკუთრებით კი სექტემბერში. სასტუმროს დირექტორი გვარად მელაძე გახლდათ. ჩემი და ჩემი მეგობრების სასტუმროში მოხვედრა, მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის ან მინისტრთა საბჭოს მაღალჩინოსანი ჩინოვნიკის ზარის საშუალებით ხდებოდა. ზარი ჯერ საოლქო კომიტეტში ან გაგრის ქალაქკომში შედიოდა, ხოლო შემდგომ — სასტუმროს დირექტორთან, მაგრამ ზარის რაოდენობა ბევრად მეტი იყო, ვიდრე სასტუმროს ნორმები. ასეთ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობდა ბედი — როგორ ხასიათზე დაგვხვდებოდა დირექტორი მელაძე. ბევრჯერ გავწბილებულვართ, ბევრჯერ ასეთი პასუხიც მიგვიღია: „ეტა გასტინიცა ნე გარმონ“ „ია ჟდუ პრეზიდენტა უგანდი“ და ა.შ. ჩვენი იძულებითი გადანაცვლება ბიჭვინთაში ან ლიძავაში ხდებოდა.

გავიდა დრო, სასტუმროს დირექტორად აფხაზი ნური ხიშბა დაინიშნა. კაბინეტის კარი მოკრძალებით შევაღე. ჩვენს პირველ შეხვედრას მარტო გაცნობის დონეზე არ ჩაუვლია.

ერთხელ სასტუმროს ვესტიბიულში ვიდექით და ვსაუბრობდით. უცებ, მანქანის მუხრუჭების ხმამ ჩვენი ყურადღება მიიქცია. ავტომანქანიდან შუახნის მამაკაცი გადმოვიდა, უცნაური ფერის შორტი ეცვა, მარცხენა ტოტზე გემი ეხატა, მარჯვენაზე — ღუზა. შემობრუნდა, „სომბრერო“ დაიხურა. შორტის უკანა ტოტები უცხო ენაზე დაბეჭდილი ალბომი გეგონებოდა. მანქანაში ქალბატონი იჯდა. ერთი სიტყვით, „ეკიპაჟი“ მზად იყო დასასვენებლად და განუსაზღვრელი ოდენობით ფულის დასახარჯავად. უცნობმა, რომელიც, როგორც ჩანს, არ იყო მიჩვეული უარის თქმას, აღაშფოთა იმან, რომ სასტუმროში თავისუფალი ნომრები არ იყო. ერთი სიტყვით, უცნობი პროვოკატორს უფრო ჰგავდა, ვიდრე დამსვენებელს. გაიძახოდა საქართველოში რუსულ ენაზე მელაპარაკებიანო. მიუხედავად ყოველივე ამისა, ნური ხიშბამ უცნაური დამსვენებელი უყურადღებოდ არ დატოვა და ადმინისტრატორს დაავალა, ქალაქის სხვა სასტუმროში გამოეძებნა მისთვის ნომერი.

ნურისთან ჩემი ურთიერთობა თანდათან ღრმავდებოდა. სასტუმროდან სტუმარ-მასპინძლობამ მის სახლში გადაინაცვლა. შესანიშნავი ოჯახი — ორი ვაჟკაცი, ქართველი მეუღლე, რომელმაც სიამოვნებით წაგვიკითხა გალაკტიონის ლექსი:

**„გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!**
**ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია.**
**მომენატრა მზე, სინათლის მფენი;**
**მომენატრა ზღვა, რომელიც შორია.**
**მომაგებე შენ იგივე პალმა,**
**სად ოდესმე მშვენიერმა ქალმა**
**გადიწერა ჩუმად ლექსი ჩემი;**
**მომაგებე მშობლიური გემი,**
**მომაგებე მშობლიური მიწა,**
**შენი ძველი მეგობარი მიცან“.**

მეხსიერება თუ არ მღალატობს, ამ ოჯახში იმ დღეს აფხაზი სტუმრებიც იყვნენ. მათ შორის იმ დროისთვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვლადისლავ არძინბა, რომელმაც ჩვენი დღეგრძელობისას რუსულად თქვა: „იცით, რა — ყველა ქართველი თქვენნაირი რომ იყოს, მათთან მეგობრულად სიამოვნებით ვიცხოვრებდიო“. რა თქმა უნდა, ჩვენც იგივე აზრი გავიზიარეთ, სამადლობელ სადღეგრძელოში.

გადიოდა წლები. ამასობაში ქალაქის ცენტრში, ზღვის პირას აშენდა სასტუმრო „გაგრა“, რომლის დირექტორად დაინიშნა ნური ხიშბა. სამსახურებრივი საქმიანობის გამო ხშირად უხდებოდა თბილისში ჩამოსვლა. მიუხედავად უამრავი ნაცნობ-მეგობრისა, იგი სასტუმრო „თბილისში“ ჩერდებოდა. მაშინვე გავარდებოდა ხმა — ნური თბილისშია. სასტუმროსთან რიგი იდგა, რათა ნური „ხელში ჩაეგდოთ“ და სპეციალურად მისთვის მოწყობილ წვეულებაზე წაეყვანათ. ზოგჯერ დროის უქონლობის გამო წვეულების გადავადებაც ხდებოდა. ერთი სიტყვით, ბედმა გამიღიმა და ნური მესტუმრა. სიმართლე გითხრათ ვასახელე თბილისი და თბილისური სტუმარ-მასპინძლობა. ელგუჯა მაღრაძის თამადობით, ნოდარ დუმბაძის მოადგილეობით, შიგადაშიგ ქართლოს კასრაძის ოხუნჯობით, რუსული რომანსების დიდოსტატის ცინუკი დადიანის სიმღერებით გაბრუებული ნური ხიშბა აღფრთოვანებას ვერ მალავდა. წვეულებას ბევრი საინტერესო ადამიანი ესწრებოდა. მათ შორის მოსკოვის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების უცვლელი კაპიტანი, მსოფლიო მნიშვნელობის წყალბურთელი კაკო მშვენიერაძე, ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლისა და ლოტბარის მარო თარხნიშვილის შვილიშვილი თამილა თარხნიშვილი. ერთი სიტყვით, ქართული სუფრა ოლიმპიადას დაემსგავსა. წინანდლიდან ჩამოტანილმა რქაწითელმა თავისი ქნა, შემოგვათენდა. დამშვიდობებისას პირობა დავდეთ, ყოველი წლის 10 სექტემბერს გაგრაში უნდა ვყოფილიყავით. მართლაც, პირობა მტკიცე და უტყუარი აღმოჩნდა.

**1985 წლის სექტემბერი იყო. პლაჟზე ნური გამოჩნდა. გაგვიკვირდა, ხელი დამიქნია, მაშინვე ჩავიცვი და კაბინეტში ავედი, აღელვებული იყო — თბილისის ტელევიზიამ შეგვამოწმა, ნომერი თავისუფალი რატომ გაქვთო. ავუხსენი, რომ ნომერი, რომელიც თავისუფალია, განაწილებულია და ელოდება დამსვენებელსმეთქი. ეს ჩვენი საქმე არ არისო და წავიდნენ. მაშინვე დავურეკე ტელევიზიის კომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარეს — არმაზ სანებლიძეს. ავუხსენით სიტუაცია, რა თქმა უნდა, არაობიექტური კრიტიკული სიუჟეტი ეთერში არ გასულა.**

გაგრის შემოსასვლელში, კოლხიდასთან ერთხელ ბენზინი გამითავდა. სრულიად უცნობმა მანქანა გააჩერა და დამეხმარა. უცნობი აფხაზი აღმოჩნდა. ისიც საგულისხმოა, რომ ამ დროს ბენზინის დეფიციტი იყო.

## თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ მე და ჩემი მეგობარი ნოდარ ძოწენიძე აფხაზეთში მოყვრებს ვაგროვებდით, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე კი — მტრებს. სამწუხაროდ, მტრების შეგროვებლებმა გვაჯობეს.

**1989 წლის სექტემბერი უკანასკნელი აღმოჩნდა. ჩვენს ნებივრობას ვიღაცამ წერტილი დაუსვა. მიუხედავად ყოველგვარი ინფორმაციისა და ურთიერთკავშირის შეწყვეტისა, ჩვენს გულებში მეგობრობა გრძელდება, იგი მარადიულია. დარწმუნებული ვარ, ამასვე ფიქრობს ნური ხიშბა. სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს!**

**ჟანი სიხარულიძე**








მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი —
ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

● უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევას და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
● ჰორმონული, გენეტიკური, იმუნოლოგიური, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური გამოკვლევები;
● სასქესო ინფექციების დადგენა, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
● სპერმის კომპიუტერული ანალიზი;
● ხელოვნური ინვიტრო განაყოფიერება; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვა;
● ქალებში და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენა და მკურნალობა, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
● ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
● სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკა, ქირურგიული კორექცია;
● კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობა და პროფილაქტიკა;
● ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენა; შობადობის რეგულაცია — მედიკამენტური კონტრაცეფცია;
● ულტრასონოგრაფიული, ბიოქიმიური, ჰორმონული, ციტოგენეტიკური გამოკვლევები.

მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45, 99-61-97, 99-54-77







http://www.geworld.net


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net